ვ. სიფრაშვილი

ვ. ი. ლენინის მიერ ახალი ტიპის პარტიის შექმნა

სახელგამი
1957

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომში გაშუქებულია XIX ს. 90-იანი წლების მეორე ნახევარსა და 900-იანი წლების დამდეგს რუსეთის მუშათა მოძრაობაში მომხდარი ძირითადი მოვლენები და ის თეორიული ბრძოლები და პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც დიდმა ლენინმა ჩაატარა ამ პერიოდში ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის.

ამიტომ ნაშრომში არ არის სპეციალურად დასმული და დეტალურად განხილული „საგლეხო რეფორმის“ შემდეგდროინდელი რუსეთის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის, ნაროდნიკულ-უტოპიური სოციალიზმისა და მასთან ბრძოლის, 90-იანი წლების პირველ ნახევარში მუშათა მოძრაობის აღმავლობის, პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ შექმნისა და მისი საქმიანობის საკითხები.

რა თქმა უნდა, ნაშრომი დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებებისაგან. ავტორი დიდი მადლობით მიიღებს ყველა მართებულ შენიშვნას.

ავტორი

შესავალი

XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი ერთ-ერთი მდიდარი და მნიშვნელოვანი პერიოდია რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში. აღნიშნულ პერიოდში ევროპისა და ამერიკის მოწინავე ქვეყნების კაპიტალიზმი შევიდა იმპერიალიზმის სტადიაში; რუსეთის ახალგაზრდა კაპიტალიზმი გადაიქცა მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაჭვის ერთ-ერთ მთავარ რგოლად; რუსეთში დაიწყო მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარება ლენინიზმით.

იმპერიალიზმმა უაღრესად გაამწვავა სოციალური და ნაციონალური წინააღმდეგობანი. მეფის რუსეთი იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტი გახდა და მომწიფდა პირობები რევოლუციისათვის.

დიდი რუსი ხალხი, რუსეთში შემავალ სხვა ხალხებთან ერთად, საუკუნეების განმავლობაში აწარმოებდა გმირულ განმათავისუფლებელ ბრძოლას გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ. რუსეთის ხალხების საუკუნოვანი ბრძოლები უცხოელ დამპყრობლებთან და ამ ბრძოლებში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებები ქმნიდა რწმენას შინაურ მტრებზე, ცარიზმსა და მემამულეთა კლასებზე გამარჯვებისათვის, წარმოშობდა მისწრაფებას საერთო მტრების წინააღმდეგ რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების გაერთიანებისათვის.

გასული საუკუნის 50 — 60-იან წლებში რუსეთში მომზადდა ობიექტური პირობები რევოლუციისათვის. დიდმა რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა მოამზადეს იდეოლოგიური რევოლუცია. მართალია, რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილო-

ბისა და სუბიექტური პირობების მოუმწიფებლობის გამო, მას პოლიტიკური რევოლუცია არ მოჰყოლია, მაგრამ გლეხობის რევოლუციური გამოსვლები და მისი იდეური გამოძახილი — საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა — შიშის ზარს სცემდა გაბატონებულ კლასებს.

რუსეთის იმპერიის გლეხობის რევოლუციურმა მოძრაობამ, ბურჟუაზიული ტენდენციების მომწიფებამ და 1854 — 1856 წლების ყირიმის ომში მეფის მთავრობის დამარცხებამ განაპირობა „საგლეხო რეფორმის“ გატარება 1861 წელს. მაგრამ ზევიდან გატარებულმა „საგლეხო რეფორმის“ მძიმე შედეგებმა კიდევ უფრო გააძლიერა გლეხთა მოძრაობა. თუ 1830 — 1860 წლებში, 30 წლის მანძილზე, რუსეთში ადგილი ჰქონდა გლეხთა 987 გამოსვლას, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, 1861—1870 წლებში, სულ რაღაც 9 — 10 წლის განმავლობაში გლეხთა 11 170 გამოსვლა მოხდა. საგლეხო რეფორმის მძიმე შედეგებმა გააძლიერა გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, რამაც საკმაოდ შეარყია ცარიზმის საფუძვლები.

პარიზის კომუნის ჩახშობისა და I ინტერნაციონალის დაშლის შემდეგ მსოფლიო რეაქციის ცენტრი თანდათან იწყებს გადანაცვლებას მეფის რუსეთიდან დასავლეთ ევროპაში და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო დასავლეთიდან რევოლუციური მოძრაობის ცენტრი გადმოდის რუსეთში. კ. მარქსი და ფ. ენგელსი 1882 წელს წერდნენ: „1848 — 1849 წლების რევოლუციის პერიოდში არა თუ ევროპის მონარქებს, არამედ ევროპის ბურჟუებსაც ევროპის საქმეებში რუსეთის ჩარევა მიაჩნდათ ერთადერთ ხსნად პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელმაც ის იყო იწყო გამოღვიძება. რუსეთის მეფე მათ გამოაცხადეს ევროპის რეაქციის მეთაურად. დღეს იგი (1882 წელს—ვ. ს.) გატჩინაში ზის როგორც რევოლუციის სამხედრო ტყვე, და რუსეთი წარმოადგენს ევროპის რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმს“ [1].

80-იანი წლებიდან რუსეთის ცარიზმს არა თუ არ შეეძლო ევროპის რეაქციის დასაყრდენი ყოფილიყო, არამედ თვითონ

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1948, გვ. 13.

ეძებდა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დახმარებას რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თუმცა „საგლეხო რეფორმის“ შემდეგ ნახევრადბატონყმური ურთიერთობა აბრკოლებდა საწარმოო ძალების განვითარებას, მაგრამ ბურჟუაზია მაინც თანდათან იკაფავდა გზას, ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა. ეროვნული ბურჟუაზიის განვითარებასთან ერთად ფეხს იკიდებდა უცხოეთის კაპიტალი, რომელიც თავის გავლენას უმორჩილებდა მრეწველობის მთავარ ობიექტებს. რუსეთის კაპიტალიზმს არ გაუვლია მრეწველობის განვითარების ყველა სტადია (მანუფაქტურიდან მანქანათმშენებლობამდე, როგორც ეს ევროპის ქვეყნებში ხდებოდა). აქ მოკლე დროში მოხდა მანქანური წარმოების გადმონერგვა დასავლეთ ევროპიდან.

XIX საუკუნის 90-იან წლებში სამრეწველო აღმავლობა რუსეთში უმთავრესად დაკავშირებული იყო რკინიგზების მშენებლობასთან. 1890 — 1900 წლებში გაყვანილ იქნა 21 ათას ვერსზე მეტი ახალი რკინიგზა. რკინიგზების მშენებლობა იწვევდა სამთო და მანქანათმშენებელი მრეწველობის განვითარებას, იზრდებოდა ქვანახშირის მოპოვება და თუჯისა და ფოლადის წარმოება. 1867 — 1902 წლებში რუსეთში გაიზარდა თუჯის ჩამოსხმა 10-ჯერ, ხოლო ქვანახშირის ამოღება — 38-ჯერ.

XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთმა სამთო მრეწველობის, ქვანახშირის მოპოვებისა და თუჯის წარმოების განვითარების ტემპის მხრივ უკან ჩამოიტოვა ევროპისა და ამერიკის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები. 1889 — 1899 წლებში ქვანახშირის ამოღებისა და თუჯის წარმოების განვითარების ტემპით რუსეთმა გაუსწრო: ინგლისს — დაახლოებით ორნახევარჯერ, ამერიკის შეერთებულ შტატებს — დაახლოებით ორჯერ, გერმანიას — ორნახევარჯერ, საფრანგეთსა და ბელგიას — ორჯერ და უფრო მეტად.

მსხვილი სამანქანო მრეწველობის აღმავლობამ გამოიწვია მსუბუქი მრეწველობის სწრაფი განვითარება. სართავი და საქსოვი ფაბრიკების პროდუქცია 1889 — 1899 წლებში რუსეთში 76 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როდესაც ამავე პერიოდში ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში ამ წარმოებათა პრო-

დუქციის ზრდა საშუალოდ 32 — 33 პროცენტს ძლივს აღწევდა. რუსეთის მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია 1875 — 1900 წლებში ხუთჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. რაღაც ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში რუსეთში მოხდა ისეთი ძვრები, რისთვისაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მთელი საუკუნეები დასჭირდა. რუსეთის მრეწველობის 40 პროცენტზე მეტი 1889 — 1899 წლებში შეიქმნა.

რუსეთის მრეწველობის განვითარების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა მისი განსაკუთრებული კონცენტრაცია. წარმოების კონცენტრაციის მხრივ რუსეთმა 90-იან წლებში პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში.

რუსეთის მრეწველობის კონცენტრაციამ განაპირობა სამრეწველო პროლეტარიატის კონცენტრაცია. XIX საუკუნის 90-იანი წლების დამლევისათვის მეფის რუსეთმა გაუსწრო მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს სამრეწველო პროლეტარიატის კონცენტრაციის მხრივაც. ისეთ დიდ საწარმოებში, სადაც 500 და მეტი მუშა მუშაობდა, თავმოყრილი იყო 80-იან წლებში, რუსეთის მუშათა საერთო რიცხვის 27 პროცენტი, 90-იან წლებში — 47 პროცენტი, 1900 წლისათვის კი — 51 პროცენტი, ევროპისა და ამერიკის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში 80-იან წლებში იგი შეადგენდა 18 — 19 პროცენტს, 90-იან წლებში — 27 — 28 პროცენტს, 900-იან წლებში კი 32 — 33 პროცენტს არ აღემატებოდა.

1883 — 1903 წლებში რუსეთის მუშათა რიცხვი ორნახევარჯერ გაიზარდა. XIX საუკუნის დამლევისათვის რუსეთის პროლეტარიატი უკვე 2792 ათას კაცს ითვლიდა თავის რიგებში.

თუმცა რუსეთმა მრეწველობის განვითარების ტემპით XIX საუკუნის 90-იან წლებიდან გაუსწრო მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, მაგრამ ეკონომიურად იგი მათ საკმაოდ ჩამორჩებოდა. 1897 წლისათვის სოფლის მეურნეობაში ჩაბმული იყო რუსეთის მოსახლეობის ხუთი მეექვსედი, ხოლო მრეწველობასა და ვაჭრობაში—დაახლოებით ერთი მეექვსედი. რუსეთში წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარებისათვის არ არსებობდა ინდუსტრიული ბაზა, წარმოებისა და მოხ-

მარების საშუალებათა წარმოებისათვის საჭირო მანქანა-იარაღები ძირითადად საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ, რაც აბრკოლებდა კაპიტალიზმის განვითარებას. რუსეთი თავს ვერ აღწევდა ეკონომიურ ჩამორჩენილობას.

თუმცა „საგლეხო რეფორმის“ შემდეგ ნახევარი საუკუნის მანძილზე რუსეთში რკინის მოხმარება ერთიხუთად გადიდდა, მაგრამ იგი მაინც რჩებოდა „წარმოუდგენლად ჩამორჩენილ, ღატაკ და ნახევრადველურ ქვეყნად“, რომელიც მოწინავე იარაღებით აღჭურვილი იყო „ინგლისზე ერთოთხად უარესად, გერმანიაზე ერთიხუთად, ამერიკაზე ერთიათად უარესად“ (ლენინი).

მეფის რუსეთის მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადახლართვა ბატონყმური ურთიერთობის ნაშთებთან წარმოშობდა მშრომელთა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის უსაზიზღრეს ფორმებს.

რუსეთის მრავალეროვანი მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კაპიტალისტურ და მემამულურ ექსპლოატაციას ემატებოდა მათი ნაციონალური ჩაგვრა. კაპიტალისტური და მემამულური ექსპლოატაციის გადახლართვა გაძლიერებულ ეროვნულ ჩაგვრასთან და ცარიზმის პოლიციურ დესპოტიზმთან აუტანელს ხდიდა მუშების, გლეხებისა და ყველა პროგრესული ადამიანის მდგომარეობას, ამწვავებდა და აღრმავებდა სოციალურ და ნაციონალურ წინააღმდეგობას.

მეფის რუსეთში მუშათა კლასის მდგომარეობა აუტანელი იყო. ხანგრძლივი სამუშაო დღე, ხელფასის მინიმალური სიმცირე, მისი სამარკო სისტემით გადახდა, გაძლიერებული ჯარიმები, მძიმე საბინაო პირობები, წარმოების მეპატრონეთა თვითნებობა, ათასგვარი დამცირება და უუფლებობა წარმოადგენდა რუსეთის მუშათა კლასის ხვედრს.

სამუშაო დღის ხანგრძლიობა მეფის რუსეთის ფაბრიკებში 14 — 15 საათს აღწევდა, ქარხნებში, რკინიგზის სახელოსნოებსა და შახტებში კი სამუშაო დღის მინიმუმი 12 საათი იყო. ხელფასი იმდენად მცირე იყო, რომ იგი მარტოხელა მუშებსაც კი ძლივს ყოფნიდათ საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მუშების ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ რუსეთში პირველ ხანებში არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იგი თანდათან კლასობრივ ელფერს იღებს. გაფიცვის ტალღამ მოიცვა მრეწველობის მრავალი დარგი. 70-იან წლებში რუსეთში 176 გაფიცვა და მუშათა 49 გამოსვლა მოხდა. მარტო 1879 წელს აღრიცხულია ეკონომიური ხასიათის 41 გაფიცვა.

ცალკეული საწარმოების მუშათა გაფიცვების მარცხი იძლეოდა ბიძგს მათი გაერთიანებისათვის. რუსეთის მუშათა გაერთიანების ცდები იყო 1875 წელს „სამხრეთ რუსეთის კავშირისა“ და 1878 წელს „ჩრდილოეთ რუსეთის კავშირის“ შექმნა. ეს ორგანიზაციები მალე გაანადგურა მეფის მთავრობამ. მაგრამ ცარიზმის რეპრესიებმა ვერ შეაშინა რუსეთის მებრძოლი მუშათა კლასი. 1881 წლიდან მუშათა საგაფიცვო მოძრაობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. 1881 — 1886 წლებში ადგილი ჰქონდა 48-ზე მეტ გაფიცვას, რომლებშიც მონაწილეობას იღებდა 80 ათასი მუშა.

რუსეთის პროლეტარიატი იმ დროს წარმოადგენდა კლასს „თავისთავად“. მას ჯერ კიდევ არ ესმოდა თავისი ისტორიული ამოცანები. მის წინაშე ისტორიის მიერ წამოყენებული ამოცანების რევოლუციური გადაწყვეტისათვის საჭირო იყო რუსეთში მარქსიზმის გამარჯვება, საჭირო იყო რუსეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მშრომელი და ექსპლოატირებული მასების გაერთიანება ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მაგრამ 80-იან წლებამდე რუსეთის მუშათა მოძრაობა მარქსიზმს არ იცნობდა. მარქსისტული მსოფლმხედველობის შემოჭრასა და გავრცელებას ხელს უშლიდა არა მარტო ცარიზმის სასტიკი რეჟიმი, არამედ აგრეთვე ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული მიმდინარეობანიც.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთის მზარდი მუშათა მოძრაობის ნიადაგზე და დასავლეთ ევროპის პროლეტარული მოძრაობის გავლენით დაიწყო პირველი მარქსისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბება რუსეთში. 1883 წელს გ. ვ. პლეხანოვის ხელმძღვანელობით ქ. ჟენევაში დაარსდა პირვე-

ლი მარქსისტული ორგანიზაცია — „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი. მან სერიოზული მუშაობა ჩაატარა ნაროდნიკობის იდეალისტურ შეხედულებათა კრიტიკისა და მარქსიზმის გავრცელებისათვის რუსეთში.

ამ. ჯგუფმა გ. ვ. პლეხანოვის მეთაურობით აღმართა მარქსიზმის დროშა რუსეთისა და საზღვარგარეთის ლიტერატურაში, მაგრამ პლეხანოვმა ვერ შესძლო ნაროდნიკების იდეურად განადგურება, საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის დაძლევა და მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთება.

ისტორიამ რუსეთის პროლეტარიატის წინაშე დააყენა მსოფლიო იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევისა და საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის დამკვრელ ბრიგადად გადაქცევის საკაცობრიო ამოცანა.

მეფის რუსეთის პროლეტარიატის განსაკუთრებული რევოლუციურობა განაპირობა შემდეგმა ძირითადმა მიზეზებმა: ჯერ ერთი, გარეშე და შინაურ მტრებთან საუკუნოვან გმირულ ბრძოლებში გამობრძმედილმა რუსეთის ხალხმა კაპიტალიზმის განვითარების პირობებში წარმოშვა მებრძოლი პროლეტარიატი, რომელმაც მიიღო გმირული ბრძოლების მდიდარი ტრადიციები და გამოიყენა ყოველივე დადებითი ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლებში; მეორე, დიდ რუს რევოლუციონერ დემოკრატთა მიერ რუსული კლასიკური მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, რომელიც მიმართული იყო რუსეთისა და საერთაშორისო იდეალიზმის წინააღმდეგ, ნიადაგს ქმნიდა მარქსიზმის გამარჯვებისათვის რუსეთში; მესამე, რუსეთში მრეწველობის კონცენტრაცია და მის საფუძველზე დიდ საწარმოებში პროლეტარიატის კონცენტრაცია განაპირობებდა რუსეთის პროლეტარიატის ლტოლვას გაერთიანებისა, ორგანიზებისა და დარაზმულობისაკენ; მეოთხე, სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ორმაგი უღელი, იმპერიაში შემავალ ხალხთა ეროვნული პროლეტარიატის ინტერნაციონალური ბრძოლის ამოცანები განაპირობებდა რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლისუნარიანობას; მეხუთე, კაპიტალისტურ-მემამულური ჩაგვრისა და ექსპლოა-

ტაციის გადახლართვა ცარიზმის უსასტიკეს პოლიტიკურ დესპოტიზმთან, და მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობა უკარნახებდა რუსეთის პროლეტარიატს გამოსულიყო ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ბელადად; მეექვსე, მოახლოებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელიც იმპერიალიზმის ეპოქაში, განვითარებული პროლეტარიატისა და რეაქციული ბურჟუაზიის პირობებში უნდა გატარებულიყო, განაპირობებდა რუსეთის პროლეტარიატის არა მარტო რევოლუციურ შინაარსს, არამედ რევოლუციაში მის ჰეგემონიასაც; მეშვიდე, რუსეთში კაპიტალიზმის გვიანი განვითარების გამო, პროლეტარიატს საშუალება ეძლეოდა კრიტიკულად გადაესინჯა ევროპისა და ამერიკის პროლეტარული მოძრაობის ისტორია, აეწონ-დაეწონა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ამით თავიდან აეცილებინა დიდი შეცდომები, რევოლუციურად გადაეწყვიტა მის წინაშე ისტორიის მიერ წამოყენებული ამოცანები.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ლენინი სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას; დაიწყო რუსეთის პროლეტარიატის მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდად გადაქცევისათვის ბრძოლის ეპოქა.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ვ. ი. ლენინმა შეუპოვარი იდეური ბრძოლა გააჩაღა რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, მოახდინა ნაროდნიკული მსოფლმხედველობის სრული იდეური განადგურება და უზრუნველყო მარქსიზმის გამარჯვება რუსეთში. მისმა პრინციპულმა ბრძოლამ ნაროდნიკობის, „ლეგალური მარქსიზმისა“ და რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრწყინვალე როლი ითამაშა რუსეთის მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან პრაქტიკულად შეერთების საქმეში.

1895 წლის შემოდგომაზე ვ. ი. ლენინმა დააარსა პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“, რომელიც წარმოადგენდა მუშათა მოძრაობაზე დაყრდნობილ, ახალი ტიპის პარტიის პირველ სერიოზულ ჩანასახს. „ბრძოლის კავშირმა“ ვ. ი. ლენინის მეთაურობით მსოფლიო

პროლეტარული მოძრაობის ისტორიაში პირველად დაიწყო მუშათა მოძრაობის შეერთება სოციალიზმთან.

თუმცა მეფის ოხრანკამ მოახერხა „ბრძოლის კავშირის“ დარბევა, ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების დაპატიმრება, მაგრამ ვლადიმერ ილიას-ძე ციხიდანაც ახერხებდა „ბრძოლის კავშირის“ ხელმძღვანელობას.

ვ. ი. ლენინის მითითებით „ბრძოლის კავშირის“ მეთაურობით 1896 წლის ზაფხულში პეტერბურგში მოეწყო 30 ათასი მუშის გაფიცვა. ეს იყო პირველი პოლიტიკური გაფიცვა რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. მართალია, მეფის მთავრობამ მოახერხა ხაგაფიცვო მოძრაობის ჩახშობა, მაგრამ იგი იძულებული გახდა ერთი წლის შემდეგ, 1897 წლის ივნისში, გამოეცა კანონი სამუშაო დღის 11½ საათით განსაზღვრის შესახებ.

XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მუშათა საგაფიცვო მოძრაობა განსაკუთრებით გაიზარდა. მარტო 1895 — 1899 წლებში, ოთხი წლის მანძილზე, 221 ათასზე მეტი მუშა გაიფიცა.

90-იანი წლების მეორე ნახევრიდან სცენაზე გამოვიდა საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული სახესხვაობა — „ლეგალური მარქსიზმი“ და „ეკონომიზმი“, რომლებიც ხელს უშლიდნენ მუშათა მოძრაობას.

ვ. ი. ლენინის დაპატიმრებისა და გადასახლების შემდეგ, 1897 — 1899 წლებში, „ეკონომისტებმა“ დააარსეს გაზეთი „რაბოჩაია მისლი“ (რუსეთში) და ჟურნალი „რაბოჩეე დელო“ (საზღვარგარეთ).

„ეკონომისტები“ ცდილობდნენ შეეჩერებინათ მუშათა მზარდი მოძრაობა, ჩაეყენებინათ იგი „წმინდა“ ეკონომიური ბრძოლის კალაპოტში. „ლეგალურ მარქსიზმს“ და „ეკონომიზმს“ მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში ეხმარებოდნენ ბუნდელები და „სოციალისტ-რევოლუციონერთა“ ორგანიზაცია.

ვ. ი. ლენინის გადასახლებაში ყოფნის დროს. 1898 წლის მარტში, ქ. მინსკში შეიკრიბა რსდმპ I ყრილობა, მაგრამ მან ვერ შეძლო პარტიის დაარსება, რადგან არ არსებობდა პარტიის პროგრამა და წესდება.

I ყრილობის შემდეგ რსდმ პარტიაში დაიწყო იდეური დაბნეულობისა და ორგანიზაციული დაქსაქსულობის პერიოდი, რომელსაც „თეორიულად“ ამართლებდნენ „ეკონომისტები“ და მათი მეგობრები. „ეკონომისტებს“ სურდათ II ინტერნაციონალის ტიპის რეფორმისტული პარტიის შექმნა, რაც, მათი აზრით, რსდმპ II ყრილობის დაუყოვნებლივი მოწვევით უნდა განხორციელებულიყო. ვ. ი. ლენინმა უარყო პარტიის შექმნის ეს იოლი გზა და გადაჭრით მოითხოვა ყრილობის მოწვევამდე პროლეტარული პარტიის ამოცანების მეცნიერული დამუშავება.

II ინტერნაციონალის პარტიები ჩამოყალიბდნენ ევროპის ბურჟუაზიული რევოლუციების შემდგომ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული პირობები პროლეტარული რევოლუციისათვის. ეს პარტიები უმთავრესად წარმოშობილი იყვნენ პროფესიული კავშირებიდან და შენარჩუნებული ჰქონდათ რეფორმისტული ხასიათი, ხოლო პროფკავშირების ხელმძღვანელები გადაიქცნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელებად. ამიტომ ისინი უვარგისი აღმოჩნდნენ პროლეტარიატის ხელმძღვანელობისათვის.

რუსეთში პროლეტარული პარტია იქმნებოდა იმპერიალიზმის ეპოქაში, როცა რუსეთი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი გახდა. ისტორიამ რუსეთის პროლეტარიატს წილად არგუნა ჰეგემონის როლი ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ახალმა პირობებმა პროლეტარიატის წინაშე დააყენა ახალი ამოცანები, მოითხოვა პარტიული მუშაობის გარდაქმნა ახალ, რევოლუციურ ყაიდაზე, განაპირობა ახალი ტიპის პარტიის შექმნის აუცილებლობა. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მოგვცეს გენიალური მონახაზები კომუნისტური პარტიის მშენებლობის საკითხებზე, მაგრამ იმ დროს არ იყო პირობები ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის. მარქსისა და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ მათი შეხედულებანი უარყვეს II ინტერნაციონალის ოპორტუნისტმა ბელადებმა თავიანთი ფაქტიური ბატონობის პერიოდში. ამიტომ ვ. ი. ლენინს წილად ხვდა მარქსის-

ტული პრინციპების აღდგენა, ახალი დებულებებისა და დასკვნების შემუშავება, ახალი ტიპის პარტიის შექმნა.

ვ. ი. ლენინმა გადასახლებაში ყოფნის უკანასკნელ წლებში მეცნიერულად დაამუშავა მარქსისტული პარტიის აგების გეგმა. ვ. ი. ლენინი მარქსისტული პარტიის შექმნის გზაზე მთავარ რგოლად სთვლიდა საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსებას, რომელიც დაუპირისპირდებოდა „ეკონომისტებისა" და მათი მეგობრების ბეჭდვით ორგანოებს, გააშიშვლებდა „ეკონომიზმის" ოპორტუნისტულ ბუნებას და მოამზადებდა ახალი ტიპის პარტიის იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ წანამძღვრებს.

იდეური ორგანოს დაარსების ლენინური გეგმა მოიწონა სოციალ-დემოკრატთა ფსკოვის თათბირმა 1900 წლის აპრილში. გადაწყდა „შრომის განთავისუფლების" ჯგუფთან მოლაპარაკება და გაზეთის დაარსება საზღვარგარეთ.

ვ. ი. ლენინმა 1900 წლის აგვისტოში შეძლო შეთანხმება „შრომის განთავისუფლების" ჯგუფთან, კერძოდ გ. ვ. პლეხანოვთან და გაზეთ „ისკრას" და ჟურნალ „ზარიას" დაარსება. გაზეთ „ისკრას" პირველი ნომერი გამოვიდა 1900 წლის 24 დეკემბერს. მისი გამოსვლით დაიწყო „ეკონომიზმისა" და ყველა სახის ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა იდეური განადგურებისა და მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ნამდვილი ბრძოლის პერიოდი.

ვ. ი. ლენინი განსაზღვრავდა, რომ ახალი ტიპის პარტია უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან: ხელმძღვანელი კადრის პროფესიონალ მარქსისტ-რევოლუციონერთა ვიწრო წრისა და პერიფერიული ფართო პარტიული მასებისაგან. „ისკრამ" ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით გააშიშვლა „ლეგალური მარქსისტების, ეკონომისტების", ბუნდელების, „სოციალისტ-რევოლუციონერების", მათი საზღვარგარეთელი მეგობრების ოპორტუნისტული ბუნება და რუსეთის პროლეტარიატი მტკიცედ დააყენა რევოლუციური ბრძოლის გზაზე.

„ისკრას" სერიოზულ დახმარებას უწევდა გაზეთი „პრძოლა", რომელიც წარმოადგენდა ლენინური „ისკრული" რევოლუციური იდეების მგზნებარე აგიტატორსა და პროპაგანდისტს

ამიერკავკასიაში. „ბრძოლამ“ ი. სტალინისა და მის თანამებრძოლთა მეთაურობით შეუპოვარი მუშაობა გააჩაღა ამიერკავკასიაში „ლეგალური მარქსიზმის“, „ეკონომიზმის“ ნაირსახეობის — ნ. ჟორდანიას ოპორტუნისტული ჯგუფისა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ. ი. ბ. სტალინისა და მისი თანამებრძოლების — ლ. კეცხოველის, ა. წულუკიძისა და სხვების შეუპოვარმა იდეურმა ბრძოლამ უზრუნველყო არა მარტო მარქსისტული პარტიის აგების ლენინური გეგმის დაცვა, არამედ მის საფუძველზე ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების ჩამოყალიბება თბილისსა, ბათუმსა და ბაქოში 1901 — 1902 წლებში.

ვ. ი. ლენინმა გაზეთ „ისკრას“, ჟურნალ „ზარიას“ ფურცლებზე და განსაკუთრებით თავის კლასიკურ ნაშრომში „რა ვაკეთოთ?“ დაიცვა მარქსიზმი, იდეურად გაანადგურა რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნიზმი, განავითარა, გაამდიდრა მარქსისტული მოძღვრება ახალი დებულებებითა და დასკვნებით, გენიალურად შეიმუშავა ახალი ტიპის პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები.

XIX საუკუნის დამლევს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იფეთქა სამრეწველო ეკონომიურმა კრიზისმა, რომელიც 1900 წელს რუსეთის მრეწველობასაც მოედო. კრიზისის შედეგად 1900 — 1903 წლებში რუსეთში 3 ათასამდე მსხვილი და წვრილი საწარმო დაიხურა და 100 ათასზე მეტი მუშა დარჩა უმუშევარი. კრიზისმა გამოიწვია მუშათა ხელფასის მკვეთრი შემცირება.

1900 წელს ხარკოვის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ხელმძღვანელობით გაიმართა მუშათა საპირველმაისო პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიც 10 ათასამდე კაცი ღებულობდა მონაწილეობას. რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად აქ მოხდა მუშებთან ერთად მოსწავლე ახალგაზრდობის გამოსვლა.

„ისკრის“ გამოსვლის დროიდან რუსეთის მუშათა კლასი თანდათან თავისუფლდებოდა „ეკონომიზმის“ გავლენისაგან,

იწყებოდა პოლიტიკური გაფიცვები და მასობრივი დემონსტრაციები.

1900 — 1903 წლებში მუშათა საგაფიცვო მოძრაობამ სერიოზული ხასიათი მიიღო უკრაინაში, პოლონეთში, ბალტიისპირეთში, ამიერკავკასიაში და სხვ. ამიერკავკასიაში მუშათა და გლეხთა მოძრაობა გაიზარდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ბრძოლის კავშირის" გავლენით „მესამე დასში" ჩამოყალიბდა მარქსისტთა ახალი თაობის რევოლუციური ჯგუფი. ამ ჯგუფის ხელმძღვანელობით 1899 — 1900 წლებში თბილისში პირველად მოეწყო საპირველმაისო დემონსტრაციები.

1900 წელს თბილისის გარეუბანში გაიმართა საპირველმაისო დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა აღმართეს წითელი დროშები. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ლენინური ჯგუფის ხელმძღვანელობით 1900 წლის აგვისტოში მოეწყო რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა დიდი პოლიტიკური გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობდა 4 000-ზე მეტი მუშა. გაფიცვის ორგანიზაციაში აქტიურ როლს ასრულებდა მ. ი. კალინინი. იგი თბილისში ჩამოვიდა 1900 წლის ივლისში და თვალსაჩინო რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. მთავრობამ სასტიკი რეპრესიული ღონისძიებებით შეძლო გაფიცვის ჩახშობა, მაგრამ, როგორც გაზეთი „ბრძოლა", წერდა, „დამარცხდნენ რა მუშები გუშინ, ამით მათ გამარჯვება მოამზადეს დღეისათვის".

1901 წელს პოლიტიკური დემონსტრაციები ჩატარდა თბილისში, ვარშავაში, ლოძში, ვილნიუსში, კოვნოში, ბელოსტოკში, ყაზანში, სიმფეროპოლში და სხვა ქალაქებში. 1901 წლის 22 აპრილს თბილისის მუშებმა ლენინურ-ისკრული ჯგუფის მეთაურობით ააფრიალეს ბრძოლის დროშა და დაიძრნენ ქალაქის ცენტრისაკენ, ისმოდა დემონსტრანტების მედგარი შეძახილები—„გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას!", „ძირა ტირანია!" (გაზ. „ბრძოლა"). დემონსტრაცია დახვრიტა პოლიციამ. მოკლულ იქნა 40-მდე მუშა. დაიწყო დემონსტრანტების მასობრივი დაპატიმრება. ამ დემონსტრაციის მნიშვნელობაზე „ისკრა" წერდა: „თბილისში კვირა 22 აპრილს...

მომხდარ ამბავს ისტორიული მნიშვნელობა აქვს მთელი კავკასიისათვის. ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა" („ისკრა", № — 6, 1901 წ.).

რუსეთის მუშათა მოძრაობის აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ობუხოვის სამხედრო ქარხნის მუშათა საპირველმაისო გაფიცვას 1901 წ. 7 (20) მაისს, რომელიც გადაიქცა ხელჩართულ ბრძოლად მეფის მთავრობის შეიარაღებულ ნაწილებსა და უიარაღო მუშებს შორის. ამ გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 4 000-დე მუშა. მუშებმა ორჯერ შეძლეს პოლიციისა და სამხედრო ნაწილების თავდასხმის შეგერიება, მხოლოდ ომსკის ლეგიონის გადმოსროლით მოახერხა მეფის მთავრობამ საგაფიცვო მოძრაობის სისხლში ჩახრჩობა. ამ ბრძოლაში რამდენიმე ათეული მუშა დაიღუპა, 300-ზე მეტი მუშა დააპატიმრეს.

„მთავრობამ გაიმარჯვა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მაგრამ თვითეული ასეთი გამარჯვება განუხრელად მოაახლოებს მის საბოლოო დამარცხებას. თვითეული შეტაკება ხალხთან გააძრავლებს აღშფოთებულ და ბრძოლის წყურვილით გამსჭვალულ მუშათა რიცხვს, წამოაყენებს უფრო გამოცდილ, უკეთ შეიარაღებულ, უფრო გაბედულად მოქმედ წინამძღოლებს" [1].

900-იანი წლების დასაწყისში გაიზარდა პოლიტიკური გაფიცვების რიცხვი. XIX საუკუნის 80-იან წლებში რუსეთში მუშათა პოლიტიკურ გაფიცვებს თითქმის არ ჰქონდა ადგილი. 90-იანი წლების პირველ ნახევარში რუსეთის მუშათა საგაფიცვო მოძრაობის მხოლოდ ერთი პროცენტი ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს, 1896 წელს—2 პროცენტი, 1900 წელს — 12,3 პროცენტი, ხოლო 1903 წელს — 29 პროცენტს მიაღწია. მუშათა კლასის მოძრაობის მძლავრი აღმავლობა და პოლიტიკური ხასიათის მოძრაობის განუხრელი ზრდა ცხადყოფდა რუსეთის მუშათა მოძრაობაში ლენინურ-ისკრული მიმართულების გამარჯვებას ოპორტუნიზმზე.

რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა სერიოზულ გავლენას ახდენდა გლეხობაზე და ტონს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 21 — 22.

აძლევდა მის მოძრაობას. ძლიერი ბატონყმური ნაშთების არსებობა, კაბალური სესხები, მიწის საიჯარო ქირის ზრდა უმწეო მდგომარეობაში აყენებდა „საგლეხო რეფორმით“ გაძარცულ, უმიწაწყლო, გაღატაკებულ გლეხობას. გლეხთა 10 მილიონ კომლს, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, 73 მილიონი დესეტინა მიწა ჰქონდა, მაშინ როდესაც 28 ათასი „გაუთლელი ლენდლორდი“ 62 მილიონ დესეტინას ფლობდა.

1900 — 1902 წლებში გლეხთა მოძრაობა კვალდაკვალ მისდევდა მუშათა მოძრაობის აღმავლობას. 1900 წელს მარტო რუსეთის ევროპულ ნაწილში 48-ჯერ ჰქონდა ადგილი გლეხთა რევოლუციურ გამოსვლას, 1901 წელს — 50-ჯერ, 1902 წელს— 340-ჯერ.

1902 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში გლეხთა მოძრაობა დაიწყო უკრაინაში, — პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში, და მთელ პოვოლოჟიეში. აჯანყებული გლეხობა ცეცხლს უკიდებდა მემამულეთა სახლკარს, ხოცავდა ერობების უფროსებსა და მემამულეებს და ხელში იგდებდა მათ მიწებს. გლეხთა მოძრაობის ჩასახშობად მეფის მთავრობა გზავნიდა სამხედრო ძალებს და ცეცხლითა და მახვილით უმასპინძლდებოდა ამბოხებულთ.

მაგრამ გლეხთა მოძრაობა არ ცხრებოდა. მან განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1902 — 1903 წლებში საქართველოში, ბალტიის პირეთსა და პოლონეთში.

საქართველოში რევოლუციური გლეხები აწყობდნენ მიტინგებსა და საპირველმაისო დემონსტრაციებს, გამოდიოდნენ მეფის მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგებით, ავრცელებდნენ რევოლუციურ პროკლამაციებს და სხვ.

რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლების აღმავლობამ სერიოზული გავლენა მოახდინა მოსწავლე ახალგაზრდობაზე. სტუდენტთა მოძრაობა დაიწყო უმაღლეს სასწავლებლებში გამეფებული რეაქციული წესების წინააღმდეგ. მეფის მთავრობა ცდილობდა ჩაეკლა ყოველივე ცოცხალი და პროგრესული, სტუდენტები აღეზარდა რელიგიისადმი თაყვანისმცემელ და ცარიზმის დამცველ ყურმოჭრილ მონებად.

ლენინური „ისკრას“ კვალდაკვალ გაზეთი „ბრძოლა“ ამხელდა უმაღლეს სასწავლებლებში გამეფებულ რეაქციულ პოლიტიკას. „დღევანდელ პირობებში, — წერდა „ბრძოლა“, — მეცნიერების ტაძარი (უმაღლესი სასწავლებელი — ვ. ს.) მხოლოდ საპყრობილეა მოსწავლეთათვის, სადაც სასტიკად იდევნება ყოველი თავისუფალი აზრი და მეცნიერება; რომ, მართალია, პროფესორები უნდა იყვნენ ტაძრის ლამპრები, მაგრამ დღეს ისინი მხოლოდ მმართველობის ჩინოვნიკებად გადაქცეულან და მეცნიერება გაუყიდიათ ორდენებზე და კარგ შემოსავალზე; რომ ისინი დღეს მხოლოდ თავქვევით დაკიდებული ლამპრები არიან, რომლებიც სინათლის მაგივრად კვამლსა და სიმყრალეს უშვებენ გარშემო“ („ბრძოლა“, № 2 — 3, გვ. 23 — 24).

სტუდენტთა მოძრაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1887 წლის ზამთარში. იგი მოედო ყველა უმაღლეს სასწავლებელს, მათ შორის ყაზანის უნივერსიტეტსაც. აქ სტუდენტთა მოძრაობას I კურსის სტუდენტი ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა. მაგრამ მეფის მთავრობამ მოახერხა სტუდენტთა მოძრაობის ჩახშობა და იგი ერთხანს დაღმავალი ხაზით მიდიოდა.

მუშათა მოძრაობის გავლენით სტუდენტთა მოძრაობის აღმავლობის ახალი ეტაპი დაიწყო 900-იანი წლების დასაწყისში. 1900 წელს სტუდენტთა მოძრაობას მეფის მთავრობამ უპასუხა უმაღლესი სასწავლებლების დახურვით და მოძრაობაში მონაწილე სტუდენტების ჯარში გაგზავნით.

მეფის მთავრობის მოქმედებამ მოსწავლე ახალგაზრდობაში მრისხანე აღშფოთება გამოიწვია. პროტესტის ნიშნად 1901 — 1902 წლის ზამთარში გამოცხადდა სტუდენტთა საყოველთაო გაფიცვა, რომელშიც 30 000 კაცი იღებდა მონაწილეობას. მეფის მთავრობა უსასტიკეს რეპრესიებს მიმართავდა, მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობის მღელვარება არ ცხრებოდა. სტუდენტობა ცდილობდა თავისი მოძრაობა დაეკავშირებინა მუშათა მოძრაობისათვის.

მუშათა კლასისა და გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ, განსაკუთრებით კი სტუდენტთა მოძრაობის წინააღმდეგ მეფის მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა მოძრაობაში მოიყვანა ლიბერალური ბურჟუაზია. ლიბერალური ბურჟუაზია ძირითა-

დად ორ მიზანს ისახავდა: ერთი მხრივ, გონს მოეყვანა მეფე და მისი მთავრობა, ხოლო მეორე მხრივ, ჩამოეცვა ნიღაბი ცარიზმით უკმაყოფილებისა, მოეპოვებინა ხალხის ნდობა, ჩამოეშორებინა ხალხი ან მისი ნაწილი მაინც რევოლუციური მოძრაობისაგან.

მეფის მთავრობა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ რეპრესიების პარალელურად იყენებდა, ე. წ. „მოქნილ ზომებს". ასეთი იყო „პოლიციური სოციალიზმის" ორგანიზაციის შექმნა პოლკოვნიკ ზუბატოვის მიერ 1903 წელს და „საფაბრიკო-საქარხნო კრების" ორგანიზაციის დაარსება ხუცეს გაპონის მიერ 1904 წელს. ეს ორგანიზაციები მიზნად ისახავდნენ მშრომელი მასების მოტყუებას და რევოლუციური მოძრაობისათვის ძირის გამოთხრას; მაგრამ არავითარ ძალას არ შეეძლო შეეჩერებინა რევოლუციის აბობოქრებული ქარიშხალი, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური კლასი, რუსეთის პროლეტარიატი ედგა სათავეში.

მუშათა კლასისა და მისი მოკავშირე გლეხობის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა, სტუდენტთა პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები ნათელყოფდა ჯერ ერთი იმას, რომ რუსეთის მუშათა მოძრაობის მტერი „ეკონომიზმი" და მისი მიმდევრები მარქსიზმ-ლენინიზმთან წარმოებულ თეორიულ ბრძოლაში დამარცხდნენ, იდეურად გაკოტრდნენ, ხოლო მეორე მხრივ, ცხადყოფდა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მოახლოებას.

გაზეთმა „ისკრამ" და ჟურნალმა „ზარიამ" ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მოამზადეს ახალი ტიპის პარტიის რევოლუციური პროგრამის პროექტი.

ვ. ი. ლენინის ხანგრძლივმა შეუპოვარმა თეორიულმა ბრძოლამ მარქსიზმის მტრების წინააღმდეგ და პრაქტიკულმა რევოლუციურმა მუშაობამ თავისი ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. რსდმპ II ყრილობაზე, 1903 წელს, (რომელიც ბრიუსელ-ლონდონში მიმდინარეობდა) ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შეიქმნა რუსეთის პროლეტარიატის მებრძოლი პარტია, ახალი ტიპის პარტია, რომელიც პრინციპულად განსხვავ-

დებოდა II ინტერნაციონალის სოციალ-რეფორმისტული პარტიებისაგან. ეს იყო არა მარტო „ეკონომიზმის“ საბოლოო და სრული იდეური განადგურება, არამედ „ეკონომისტების“ მემკვიდრე მენშევიკებისა და საერთაშორისო ოპორტუნიზმისადმი სასიკვდილო ლახვარის ჩაცემა, მათი საბოლოო იდეური განადგურების საწინდარი.

კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ლენინის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა დაამხო ექსპლოატატორთა ბატონობა 1917 წლის ოქტომბერში და შექმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. საბჭოთა ხალხმა მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიის მოკლე მონაკვეთში, 40 წლის მანძილზე, ჩვენი დიდი ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე კულტურულ, ყველაზე მოწინავე და ყველაზე ძლიერ ინდუსტრიულ და მექანიზებულ მსხვილ სოფლის მეურნეობის ქვეყნად გადააქცია.

— --- –

თავი პირველი

ვ. ი. ლენინის ბრძოლა „ლეგალური მარქსიზმისა“ და „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ

მარქსიზმი, როგორც ახალი საზოგადოებრივი კლასის — პროლეტარიატის — მსოფლმხედველობა, ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა სამრეწველო პროლეტარიატში აღმოაჩინეს მატერიალური საფუძველი პროლეტარული მსოფლმხედველობის შექმნისათვის. მათ პროლეტარიატს მისცეს ყოვლისმძლე იდეური იარაღი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა კრიტიკულად, მეცნიერულად გადაამუშავეს კაცობრიობის ცოდნათა ჯამი საერთოდ, კერძოდ კი XIX საუკუნის სამი დიდი ქვეყნის მონაპოვარი: გერმანული კლასიკური ფილოსოფია, ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომია და ფრანგული უტოპიური სოციალიზმი. მათ პირველად შექმნეს მწყობრი მეცნიერული მოძღვრება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების. შესახებ და გზა გაუნათეს ახალ საზოგადოებრივ კლასს — პროლეტარიატს — კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ, კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მატერიალისტური დიალექტიკის უნივერსალური კანონების აღმოჩენით და საზოგადოების ისტორიაზე მათი გავრცელებით გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს მანამდე გაბატონებულ იდეალისტურ მსოფლმხედველობას. მათ პირველებმა აიყვანეს სოციოლოგია ნამდვილ მეცნიერულ სიმაღლეზე და შექმნეს მოძღვრება საზოგადოების

განვითარების შესახებ, მოძღვრება პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, მოძღვრება მთელ მსოფლიოში კომუნისტური საზოგადოების გამარჯვების შესახებ.

მარქსიზმის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლა გააჩაღეს ექსპლოატატორული კლასების იდეოლოგებმა. მათ მიზნად დაისახეს პროლეტარიატის სულიერი იარაღის, სოციალისტური იდეოლოგიის განადგურება და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის დამორჩილება ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი.

მარქსიზმს თავს ესხმოდნენ, „გაბათილებულად და განადგურებულადაც" კი აცხადებდენ ბურჟუაზიული მეცნიერები და პოლიტიკოსები, მაგრამ მარქსისტული მოძღვრება „მისი ყოველი „მოსპობის" შემდეგ უფრო მტკიცე, უფრო გამოწრთობილი, უფრო სიცოცხლისუნარიანი ხდებოდა" (ლენინი).

დარწმუნდნენ რა, რომ მარქსიზმის წინააღმდეგ მარტო გარედან ბრძოლით ვერაფერს გახდებოდნენ, რადგან ამ ფრონტზე დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდნენ, ექსპლოატატორულმა კლასებმა და მათმა იდეოლოგებმა დაიწყეს ბრძოლის „ახალი გზების ძებნა". მათ გადასწყვიტეს მარქსიზმის ორი მხრიდან „ცეცხლში მომწყვდევა", მისთვის შიგნიდან და გარედან „ორმაგი ცეცხლის გაჩენა". წვრილბურჟუაზიულმა და ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა აამოქმედეს მთელი თავიანთი იდეური არსენალი, გააბეს ქსელი მუშათა მოძრაობის შიგნით მერყევ ადამიანებთან, რათა ამ გზით მიეღწიათ მარქსიზმზე „გამარჯვებისათვის".

კაცობრიობის ისტორიაში, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის დროიდან, ექსპლოატატორული კლასები ყოველთვის ახერხებდნენ რევოლუციური ორგანიზაციების შიგნით ოპორტუნისტული ელემენტების „აღმოჩენას" და მათ გამოყენებას საკუთარი ინტერესებისათვის. ოპორტუნისტული ელემენტების გამოყენებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო კაპიტალისტური წყობილების დროს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

მუშათა მოძრაობაში ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წარმოშობისა და განვითარების მიზეზები კაპიტალისტური წყობილების ბუნებაშია.

ანტაგონისტური საზოგადოება გაპირობებულია ჩაგრული და მჩაგვრელი კლასების არსებობით, ხოლო ამ კლასთა არსებობა განაპირობებს მათ ურთიერთზეგავლენას. საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში ურთიერთზეგავლენა წარმოშობს, ერთი მხრივ, პროგრესული იდეების გამომხატველ ერთეულ პირებს ექსპლოატატორულ კლასთა ინტელიგენციის რიგებში, ხოლო, მეორე მხრივ, ოპორტუნისტული რეაქციული იდეების მატარებელ ადამიანებსა და ჯგუფებსაც კი ექსპლოატირებული კლასების ცალკეულ ფენებში. თუ პირველნი დგებიან დაჩაგრული კლასების მხარეზე, მეორენი ღალატობენ მშრომელ ხალხს და ხდებიან ექსპლოატატორთა კლასების აპოლოგეტები.

პროლეტარიატი ბურჟუაზიული საზოგადოების შემადგენელი ნაწილია. იგი დაკავშირებულია ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენებთან. პროლეტარული პარტია კი პროლეტარიატის ორგანული ნაწილია და ამიტომ ისიც არაა თავისუფალი ბურჟუაზიული საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან ურთიერთობისა და მათი გავლენისაგან. ასეთ პირობებში „ბურჟუაზიული იდეები, ზნე-ჩვეულებები, განწყობილება არც თუ ისე იშვიათად შეაღწევს ხოლმე პროლეტარიატსა და მის პარტიაში“ (სტალინი).

გარდა ამისა, როგორც ბურჟუაზიული კლასი, ისე პროლეტარიატიც არაა ერთგვაროვანი— ისინი სხვადასხვა ფენებისაგან შედგებიან.

ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენებს პროლეტარიატის წინააღმდეგ აერთიანებს კერძო საკუთრებისა და ექსპლოატაციის ინტერესები. მაგრამ ბრძოლა ამ ფენებს შორის მოგების მიღებისა და არსებობისათვისაც კი ხშირად მწვავე წინააღმდეგობამდე აღწევს.

პროლეტარიატს ბურჟუაზიის წინააღმდეგ აერთიანებს ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მძიმე პირობები. მაგრამ პროლეტარიატი ერთგვაროვანი არ არის. იგი შედგება სამი ფენი-

საგან. პირველი ფენაა პროლეტარიატის ძირითადი მასა — სამრეწველო პროლეტარიატი, რომელიც წარმოადგენს მარქსიზმის საიმედო დასაყრდენს; მეორე ფენას შეადგენენ გლეხობიდან, ქალაქის მდაბიოთა რიგებიდან და ინტელიგენციიდან გამოსული მუშები, რომლებსაც პროლეტარიატის რიგებში შეაქვთ მერყეობა. მესამე ფენაა მუშათა არისტოკრატია, პროლეტარიატის ყველაზე უზრუნველყოფილი ნაწილი, რომელიც მიისწრაფვის ბურჟუაზიასთან კომპრომისისაკენ. ეს ორი უკანასკნელი ფენა ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის ოპორტუნიზმის წარმოშობისათვის მუშათა მოძრაობაში.

მშრომელთა გაძლიერებული ექსპლოატაციით დაინტერესებული ბურჟუაზია იბრძვის პროლეტარიატის გაერთიანების წინააღმდეგ, პროლეტარული პარტიების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების წინააღმდეგ და ამისათვის ბრძოლის ყოველგვარ ხერხს იყენებს. იგი ცდილობს გამოიყენოს პროლეტარიატის ჩამორჩენილი ფენები და პროლეტარულ პარტიებში არსებული მერყევი ელემენტები მუშათა კლასისა და ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული მასების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბურჟუაზია ხარჯავს გარკვეულ თანხებს მუშათა მოძრაობის შიგნით ოპორტუნისტული ელემენტების გასამრავლებლად.

ასე წარმოიშვა და განვითარდა მუშათა მოძრაობის შიგნით ოპორტუნისტული მიმდინარეობანი, რომლებსაც იყენებდა და იყენებს ბურჟუაზია პროლეტარული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მარქსიზმის დამარცხებას და საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის დაშლას ისახავდა მიზნად ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულში ანარქისტების მოთხოვნა წვრილბურჟუაზიული ორგანიზაციის „ალიანსის“ I ინტერნაციონალში გაერთიანების შესახებ. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა პრინციპული ბრძოლით მიაღწიეს ანარქისტების ანტიპროლეტარული მსოფლმხედველობის იდეურ დიძლევას და მათი მოთხოვნის უარყოფას.

მარქსიზმის გაყალბებას ისახავდა მიზნად ლასალიანელთა ოპორტუნისტული მიმდინარეობის გაერთიანება სოციალ-დემოკრატიის რევოლუციურ ფრთასთან — ეიზენახელებთან 1875 წელს გოთას ყრილობაზე. ყრილობამ ლასალია-

ნელთა გავლენით და შემარიგებელთა მხარდაჭერით მიიღო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტული პროგრამა, რომელიც გვერდს უვლიდა მარქსიზმში მთავარს—მოძღვრებას პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ეს პროგრამა სასტიკად გააკრიტიკა კ. მარქსმა. „გოთას პროგრამას“ კ. მარქსი ბრაკესადმი მიწერილ წერილში უწოდებდა „პარტიის დემორალიზაციის მომხდენ პროგრამას“. „გოთას პროგრამა“ აბსტრაქტულად მოითხოვდა რაღაც „თავისუფალ სახელმწიფოს“, რაც წარმოადგენდა ფრანგ განმანათლებელთა „გონების თავისუფლების“ ახალ ფორმებში განმეორებას.

კ. მარქსმა „გოთას პროგრამის კრიტიკაში“ გენიალურად მიუთითა პროლეტარიატისა და მისი პარტიის სამოქმედო ამოცანებზე და მეცნიერულად დაასაბუთა კაპიტალისტური სამყაროს პროლეტარული რევოლუციით დამხობის აუცილებლობა, კომუნისტური წყობილების გამარჯვება.

მარქსიზმის იდეურ „განადგურებას“ ისახავდა მიზნად ევგენი დიურინგის ეკლექტიკური ნაშრომები, რომლებიც XIX საუკუნის 70-იან წლებში გამოქვეყნდა და რასაც დიდი მოწონებით შეხვდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტული ნაწილი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტული ზედაფენა ი. მოსტის და ედ. ბერნშტეინის მეთაურობით ცდილობდა დიურინგის ფანტასტიკური შრომების პოპულარიზაციას.

როცა ფ. ენგელსი 1876 წელს პრესაში გამოვიდა დიურინგის მსოფლმხედველობის გამანადგურებელი კრიტიკით და იცავდა მარქსიზმს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტულმა ნაწილმა გადაჭრით მოითხოვა შეწყვეტილიყო დიურინგის კრიტიკა ჟურნალ „ფორვერსტში“. ოპორტუნისტებმა ი. მოსტმა, ედ. ბერნშტეინმა, ვალტაიხმა და სხვებმა შემარიგებლების დახმარებით მიაღწიეს იმას, რომ „ფორვერსტმა“ შესწყვიტა ფ. ენგელსის კრიტიკული წერილების ბეჭდვა.

მაგრამ ოპორტუნისტების ცდა — იდეურ განადგურებას გადაერჩინათ დიურინგის ეკლექტიკურ-მეტაფიზიკური შეხედუ-

ლებანი—უშედეგო აღმოჩნდა. ამის შემდეგ ენგელსის წერილები იბეჭდებოდა „ფორვერსტის“ თეორიულ დამატებაში. ფ. ენგელსის ეს თეორიულ-პოლემიკური წერილები 1878 წელს ლაიპციგში გამოქვეყნდა ცალკე წიგნად — „როგორ მოახდინა ევგ. დიურინგმა მეცნიერებაში გადატრიალება“, რომელმაც შემდგომ გამოცემებში მიიღო „ანტი-დიურინგის“ სახელწოდება.

ფ. ენგელსმა თავის გენიალურ ნაშრომში „ანტი-დიურინგში“ არა მარტო იდეურად გაანადგურა დიურინგის მეტაფიზიკურ-ეკლექტიკური მსოფლმხედველობა და სასიკვდილო ლახვარი ჩასცა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, არამედ მან თავისი კლასიკური ნაწარმოებით გაამდიდრა მარქსიზმის თეორიული საფუძვლები—დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისა და 90-იანი წლების დასაწყისისათვის მარქსიზმის გამარჯვება მუშათა მოძრაობაში ფაქტი გახდა. II ინტერნაციონალი (დაარსდა 1889 წელს) ფ. ენგელსის ხელმძღვანელობით პირველ ხანებში თითქმის ყველა ძირითად საკითხში მარქსისტულ ნიადაგზე იდგა.

ასეთი იყო მარქსიზმის ნახევარსაუკუნოვანი (1845 — 1895 წწ.) ბრძოლისა და გამარჯვების ისტორია. მაგრამ II ინტერნაციონალის პარტიებში თანდათან მოიკიდა ფეხი ოპორტუნიზმმა, რომელსაც ტონს აძლევდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტული ზედაფენა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაივიწყა მარქსიზმში მთავარი — მოძღვრება პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

ერფურტის ყრილობაზე 1891 წელს მიღებულ იქნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალი პროგრამა, თუმცა იგი მაღლა იდგა „გოთას პროგრამაზე“, მაგრამ მასაც ემჩნეოდა ოპორტუნისტული ფრთის გავლენა. „ერფურტის პროგრამაში“ არაფერი იყო ნათქვამი პროლეტარულ რევოლუციაზე და პროლეტარიატის დიქტატურაზე. ერთმანეთში იყო არეული პროგრამა-მინიმუმისა და პროგრამა-მაქსიმუმის საკითხები. პროგრამა-მაქსიმუმი არ სცილდებოდა პროგრამა მინიმუმს.

პროგრამაში გათიშული იყო თეორიული დებულებები პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობისაგან, რაც II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიების ბელადებისათვის განუკურნებელ სენად გადაიქცა.

ფ. ენგელსმა სასტიკად გაილაშქრა „ერფურტის პროგრამის“ ანტიმარქსისტული დებულებების წინააღმდეგ და გატეგორიულად მოითხოვა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის შეტანა პროგრამაში. ფ. ენგელსის მიერ „ერფურტის პროგრამის“ კრიტიკა წარმოადგენდა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიების წინასწარ გამიზნულ კრიტიკას.

ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ (იგი 1895 წლის აგვისტოში გარდაიცვალა) მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო გამოცოცხლება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ თეორიულ ბრძოლაში დამარცხებულმა ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ. მუშათა მოძრაობის შიგნით დაიწყო მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ფორმებისა და მეთოდების გამონახვა. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „შეიცვალა ბრძოლის ფორმები და საბაბნი, მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა. და მარქსიზმის არსებობის მეორე ნახევარსაუკუნე დაიწყო (გასული საუკუნის 90-იანი წლები) მარქსიზმის შიგნით მარქსიზმისადმი მტრული მიმდინარეობის ბრძოლით“ [1].

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სიცოცხლეში მუშათა მოძრაობის შიგნით ბრძოლა რევოლუციურ და ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა შორის, როგორც დასავლეთ ევროპის მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში — გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში, ისე რუსეთშიაც, ძირითადად რჩებოდა ნაციონალურ ფარგლებში. ბრძოლა ეიზენახელებსა და ლასალიანელებს შორის გერმანიაში, გედისტებსა და პოსიბილისტებს შორის — საფრანგეთში, სოციალ-დემოკრატებსა და ფაბიანელებს შორის — ინგლისში, სოციალ-დემოკრატებსა და ნაროდნოვოლცებს შორის — რუსეთში, ნაციონალურ ფარგლებს არ გასცილებია.

XIX საუკუნის 90-იან წლების მეორე ნახევრიდან ეს ბრძოლა გასცდა ცალკეული ქვეყნების ნაციონალურ ფარგლებს და

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 23.

ინტერნაციონალური ხასიათი მიიღო. ამის შემდეგ II ინტერნაციონალის პარტიების ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა შორის დავას იწვევდა მარქსისტული მოძღვრების არა ცალკეული დებულებები, არამედ მთლიანად მარქსიზმი, რომელიც „მოძველებულად" და „დოგმატურად" ცხადდებოდა. მარქსიზმის „კრიტიკის თავისუფლების" ლოზუნგით გამოდიოდნენ ყველა ქვეყნის ოპორტუნისტები: გერმანიაში — ბერნშტეინელები, ინგლისში — ფაბიანელები, საფრანგეთში — მილიერანელები, რუსეთში — „ლეგალური მარქსისტები" და „ეკონომისტები" და სხვ. ყველა ისინი წარმოადგენდნენ მარქსიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ერთ მთლიან ბანაკს.

მალე დაიწყო II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმის ფაქტიური ბატონობის პერიოდი. II ინტერნაციონალის ოპორტუნისტი ბელადები, თავიანთი წვრილ-ბურჟუაზიული ბუნების გამო, ეგუებოდნენ ბურჟუაზიას და გამოხატავდნენ კაპიტალიზმის სასიცოცხლო ინტერესებს. ისინი მთავარ ყურადღებას აქცევდნენ ლეგალური მუშაობის ფორმებს, ფაქტიურად ბურჟუაზიასთან შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ბურჟუაზიის ნასუფრალით სუქდებოდნენ. მათ არ სურდათ ეფიქრათ რევოლუციაზე, მასების რევოლუციურ აღზრდაზე.

ამ პერიოდში საერთაშორისო ოპორტუნიზმის ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა, გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა ედ. ბერნშტეინმა მარქსიზმს აშკარად და საბოლოოდ უღალატა და დაიწყო მისი რევიზია.

ედ. ბერნშტეინმა და მისმა თანამოაზრეებმა დაიწყეს მარქსიზმის კრიტიკა ყველა მიმართულებით: ფილოსოფიაში, ეკონომიურ მეცნიერებაში, სოციალიზმის თეორიაში. მათ უარყვეს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია და მეცნიერული კომუნიზმის თეორია. ედ. ბერნშტეინი, ევგენი დიურინგის მსგავსად, მარქსისტულ დიალექტიკას „მეცნიერების ხაფანგს" უწოდებდა და მოითხოვდა მის გამოდევნას მეცნიერებიდან. მალე ედ. ბერნშტეინს მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარი დაუჭირეს მ. ადლერმა, ფორვუნდერმა, ჰილფერდინგმა, კაუცკიმ, შმიდტ-

მა და სხვ. რუსეთში მათ გამოეხმაურნენ ცნობილი „ლეგალური მარქსისტები“ პ. სტრუვე და ბარანოვსკი.

კ. კაუცკი, იცავდა რა ედ. ბერნშტეინის ანტიმეცნიერულ შეხედულებას, მოითხოვდა მარქსისტული ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შეგუებას კანტიანურ იდეალისტურ აგნოსტიკურ ფილოსოფიასთან. კ. კაუცკი წერდა, რომ „პროლეტარიატის ჩაგვრისაგან განთავისუფლების თეორიულად დასაბუთებას ყველა უნდა ცდილობდეს და ეს სურვილი, ვისაც როგორ შეუძლია, ისე უნდა გამოხატოს..., მატერიალისტურად, კანტიანურად, ქრისტიანულად თუ სხვანაირადო“. ეს იყო მოწოდება მეცნიერული კომუნიზმის თეორიული საფუძვლების — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის — უარყოფისაკენ, მისი შეგუებისაკენ ბურჟუაზიულ-იდეალისტურ ფილოსოფიასთან. ასეთი საჯარო გამოსვლებით II ინტერნაციონალის ოპორტუნისტმა ლიდერებმა ოფიციალურად დაამყარეს კავშირი ბურჟუაზიულ-იდეალისტურ ფილოსოფოსებთან.

ედ. ბერნშტეინმა 90-იანი წლების მეორე ნახევარში რიგი ანტიმეცნიერული ნაშრომები გამოაქვეყნა მარქსიზმის წინააღმდეგ. ასეთები იყო: „სოციალიზმის პრობლემები“, „შესაძლებელია თუ არა მეცნიერული სოციალიზმი?“, „სოციალიზმის წინასწარი პირობები“, „სოციალიზმის წინამორბედნი“ და სხვ. ამ ნაშრომებში მან მიზნად დაისახა მარქსიზმში მთავარი მოძღვრების — პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის — სრული უარყოფა. იგი ასაბუთებდა, რომ „მარქსისტული სოციალიზმი არამეცნიერული, იდეალისტური და სპეკულაციურიაო“. „მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო, — წერდა ედ. ბერნშტეინი, — რომ ის (მარქსისტული სოციალიზმი. — ვ. ს.) შეიცავს იდეალიზმის სპეკულაციურ ელემენტებს... იგი მეცნიერულად დაუსაბუთებელია და არ ემორჩილება მეცნიერულ სინამდვილეს“ [1].

ედ. ბერნშტეინი უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლების — სენ-სიმონის, შარლ ფურიესა და რობერტ ოუენის

[1] Эд. Бернштейн, Возможен-ли научный социализм? 1906, стр. 21.

შეხედულებებს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ გენიალურად დამუშავებულ მეცნიერული კომუნიზმის თეორიას. „სენ-სიმონთან ძნელია იპოვნო, — ამბობდა იგი, — რაიმე ისეთი, რომელსაც შეიძლება უწოდო უტოპიური“, და შემდეგ — „თუ ჩვენ ეხლა შევადარებთ ამ სამი, ეგრეთწოდებული უტოპისტის დოქტრინას (სენ-სიმონი, შ. ფურიე და რ. ოუენი. — ვ. ს.), და განვიხილავთ მარქსის მოძღვრებას, მაშინ ვნახავთ, რომ ეს უკანასკნელი არ შეიცავს უფრო მეცნიერულ ელემენტებს...“ [1].

ედ. ბერნშტეინის შეხედულებით, მარქსიზმი აღარ უპასუხებდა საზოგადოებრივი განვითარების ისტორიას და „ვერ პოულობდა ცხოვრებაში გამართლებას“.

ედ. ბერნშტეინი უარყოფდა კ. მარქსის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმის განვითარება და მრეწველობის კონცენტრაცია იწვევს წვრილი წარმოების ექსპროპრიაციას, რომ წვრილი მწარმოებლები ვერ უძლებენ საკონკურენციო ბრძოლებს, კოტრდებიან და იძულებული ხდებიან გადავიდნენ ნახევრადპროლეტარიატისა და პროლეტარიატის რიგებში.

წინააღმდეგ მარქსისტული მეცნიერული დებულებისა, ბერნშტეინი მეტაფიზიკურად ასაბუთებდა, რომ კაპიტალიზმის შემდგომი განვითარებით მარქსის ეს დებულება არ გამართლდა; მისი აზრით, გერმანიის სინამდვილეში პირიქით მოხდა — მრეწველობის ცალკეული დარგების გამსხვილებასთან ერთად „წვრილი წარმოებები რაოდენობრივადაც გაიზარდა“. მან ვერ გაიგო, რომ სანამ კაპიტალისტური სამყარო არსებობს, მსხვილი წარმოების გვერდით აუცილებლად იარსებებს წვრილი წარმოებაც, რომ ე. წ. „წმინდა კაპიტალიზმი“ შეუძლებელია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ განუწყვეტლივ არ მიმდინარეობს მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების ე. წ. „გადაყლაპვა“.

ედ. ბერნშტეინს კ. მარქსის ამ დებულების „უარყოფით“ სურდა შეექმნა ილუზია იმის შესახებ, რომ ვითომ კაპიტა-

[1] Эд. Бернштейн, Возможен-ли научный социализм? стр. 21 — 22.

ლისტურ სამყაროში აღ არსებობს წინააღმდეგობა წვრილ და მსხვილ ბურჟუაზიას შორის და თითქოს ყველას შეუძლია გამდიდრდეს.

ვ. ი. ლენინი, ილაშქრებს რა ედ. ბერნშტეინის ანტიმეცნიერული შეხედულებების წინააღმდეგ, ამბობს: „უდავო მონაცემები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მსხვილ წარმოებას წვრილ წარმოებასთან შედარებით ტექნიკური და კომერციული უპირატესობა აქვს არა მარტო მრეწველობაში, არამედ მიწათმოქმედებაშიც... რევიზიონისტები ამ საკითხში მეცნიერული თვალსაზრისით სცოდავდნენ ცალმხრივად ამოგლეჯილი ფაქტების ზერელე განზოგადებით, კაპიტალიზმის მთელ წყობასთან მათ დაუკავშირებლად“ [1].

მეორე დებულება, რომელიც ედ. ბერნშტეინის თვალსაზრისით მარქსიზმში ვითომ „შეცდომას წარმოადგენდა“, ეს იყო ექსპლოატატორული და ექსპლოატირებული კლასების დამოკიდებულების საკითხი, კერძოდ, პროლეტარიატის ბედის საკითხი.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაასაბუთეს, რომ რაც უფრო ვითარდება კაპიტალიზმი, მით უფრო უარესდება პროლეტარიატისა და ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული მასების საარსებო პირობები, — როგორც შედარებით, ისე აბსოლუტურადაც.

კ. მარქსის ეს დებულება საყოველთაოდ ნათელყო კაპიტალისტური წყობილების განვითარების მთელმა ისტორიამ.

ამის საწინააღმდეგოდ ედ. ბერნშტეინი ცდილობდა „დაემტკიცებინა“, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად თითქოს უმჯობესდება პროლეტარიატისა და ყველა მშრომელის მდგომარეობა. ედ. ბერნშტეინი თვითნებურად და ისტორიული ფაქტების გვერდის ავლით ასაბუთებდა, რომ რაც უფრო ვითარდება კაპიტალიზმი, ექსპლოატატორულ და ექსპლოატირებულ კლასებს შორის წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო სუსტდება, რომ კაპიტალის მოგების მეტი ნაწილი მიდის მშრომელთა კლასების სასარგებლოდ, მშრომელთა მდგომარეობა კაპიტა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 25 — 26.

ლიზმის აღმავლობასთან ერთად „უმჯობესდება როგორც აბსოლუტურად ისე შედარებით“. მას თავის ე. წ. „გამოკვლევებში“ მოჰქონდა ფაქტები მუშათა არისტოკრატიის მდგომარეობის შესახებ, და განზრახ თვალს ხუჭავდა უმუშევართა, ნახევრად უმუშევართა და მცირე ხელფასის მქონე მუშათა მდგომარეობის წინაშე. ედ. ბერნშტეინი ნამდვილი ფაქტების ფალსიფიკაციით ცდილობდა საქმე ისე დაეხატა, თითქოს კაპიტალიზმის განვითარება წარმოებდა პროლეტარიატის, ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ინტერესებისათვის.

ედ. ბერნშტეინის შეხედულებათა წინააღმდეგ „გაილაშქრა“ კ. კაუცკიმ, რომელმაც გამოაქვეყნა ბროშურა „ანტი-ბერნშტეინის“ სახელწოდებით. ამ ბროშურაში მან შედარებითი და აბსოლუტური ცნებები მეტაფიზიკურად დააცილა ერთმანეთს და თვითნებურად ასაბუთებდა, რომ კაპიტალიზმის განვითარების დროს მუშათა კლასის საარსებო პირობები „შედარებით უმჯობესდება და აბსოლუტურად უარესდება“. ბერნშტეინის ე. წ. კრიტიკოსი კ. კაუცკი მალე მარქსიზმის დაუძინებელი მტერი და ბურჟუაზიული წყობილების აქტიური დამცველი გახდა.

ედ. ბერნშტეინს არ მოსწონდა აგრეთვე ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისების მარქსისტული თეორია. კ. მარქსმა გენიალურად დაასაბუთა კაპიტალისტური წყობილების დროს პერიოდული ეკონომიური კრიზისების აუცილებლობა, დაამტკიცა, რომ ყოველ 12 — 10 — 8 წელიწადში ერთხელ წარმოშობილი ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისი აიხსნება ძირითადი წინააღმდეგობით წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძოკაპიტალისტურ ფორმას შორის.

კ. მარქსის მიერ მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიური კრიზისების თეორიის წინააღმდეგ ედ. ბერნშტეინი ცდილობდა ყალბი დებულებებით დაემტკიცებინა, რომ კაპიტალისტური წყობილება „განიკურნა“ ეკონომიური კრიზისებისაგან. მისი თვალსაზრისით, ეკონომიურ კრიზისებს ადგილი ჰქონდა ბურჟუაზიული წყობილების ჩამოყალიბების პროცესში, რაც ვითომ კაპიტალიზმის განუვითარებლობით აიხსნებოდა, ხოლო შემდგომ, კაპიტალიზმის განვითარებასა და განმტკი-

ცებასთან ერთად, იგი „განიკურნა“ ეკონომიური კრიზისების ე. წ. „საყმაწვილო სენისაგან“.

ამ ანტიმეცნიერულმა შეხედულებამ თავისი გამოძახილი პოვა მეფის რუსეთშიც — ტუგან-ბარანოვსკის ეკონომიური ხასიათის ნაშრომებში: „სამრეწველო კრიზისები თანამედროვე ინგლისში“ და „ბაზრების თეორია“.

ტ. ბარანოვსკი თავის ნაშრომებში, ბერნშტეინის მსგავსად, აბსტრაქტული მსჯელობით ცდილობდა „დაემტკიცებინა“, რომ ვითომ სინდიკატებისა და ტრესტების წარმოშობა და მონოპოლისტური გაერთიანებები სპობდა ჭარბწარმოების ეკონომიურ კრიზისებს და ამის შემდეგ „იწყებოდა კაპიტალიზმის ჰარმონიული განვითარების ხანა“.

ბერნშტეინის შემდეგ იმპერიალიზმის აპოლოგეტები კვლავ ეძებენ „მეცნიერულ“ გზებს კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიური კრიზისებისაგან „განთავისუფლებისათვის“, მაგრამ მათი ყოველი ცდა უნაყოფოა; ჭარბიწარმოების ეკონომიური კრიზისების მოსპობა შეიძლება მხოლოდ კაპიტალიზმის მოსპობით.

ედ. ბერნშტეინმა და მისმა თანამოაზრე რევიზიონისტებმა მიზნად დაისახეს მარქსისტული მოძღვრების ყველა ძირითადი დებულების „განადგურება“. მათ კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ თეორიას დაუპირისპირეს ე. წ. საყოველთაო უფლების, ბურჟუაზიული პარლამენტური დემოკრატიის მოთხოვნა. ისინი ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ „ბურჟუაზიული დემოკრატიული თავისუფლება“ და პარლამენტური სახელმწიფოებრივი წყობილების „საყოველთაო-საარჩევნო უფლება“ თითქოს საბოლოოდ ხპობს ნიადაგს კლასობრივი ბრძოლისათვის.

რევიზიონისტები უარყოფდნენ სახელმწიფოს მარქსისტულ თეორიას, უარყოფდნენ ბურჟუაზიული სახელმწიფოს კლასობრივ შინაარსს. მათი გაგებით, სახელმწიფო წარმოადგენდა რაღაც ზეკლასობრივ დაწესებულებას, რომელიც თითქოს ერთნაირად იცავდა ყველა კლასისა და ფენის სასიცოცხლო ინტერესებს. რევიზიონისტები იყენენ ბურჟუაზიული მსოფლ-

მხედველობის აქტიური დამცველნი და მის „ახალ“ ფორმებში მქადაგებელნი.

„უდავოა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ რევიზიონისტების ეს შემოდავება გამოიხატებოდა შეხედულებათა, სახელდობრ, დიდი ხნიდან ცნობილ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ შეხედულებათა საკმაოდ მწყობრი სისტემით. ლიბერალები ყოველთვის ამბობდნენ, რომ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი სპობს კლასებს და კლასობრივ დაყოფას, რაკი ხმის უფლება, სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლება განურჩევლად ყველა მოქალაქეს აქვსო“ [1].

ედ. ბერნშტეინმა მარქსიზმში მთავარი — მოძღვრება პროლეტარულ რევოლუციაზე და პროლეტარიატის დიქტატურაზე — შეცდომად გამოაცხადა. მისი აზრით ამ დებულებების „თეორიულ დასაბუთებას“ შეუძლებელს ხდიდა კაპიტალისტური წყობილების განვითარება. ბერნშტეინის ანტიმეცნიერული შეხედულებით, ბურჟუაზიული პარლამენტი, დემოკრატიული, რესპუბლიკური სახელმწიფოებრივი წყობილების ჩამოყალიბება და განვითარება, ვითომდა დღის წესრიგიდან ხსნიდა პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხებს. მან წამოაყენა ოპორტუნისტული ლოზუნგი „მოძრაობა ყველაფერია და საბოლოო მიზანი არაფერიო“. ამ ლოზუნგის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ შეწყვეტილიყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა პოლიტიკური მოძრაობა.

ბერნშტეინი ილაშქრებდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობის წინააღმდეგ. „გაფიცვის ღირებულება, — წერდა ედ. ბერნშტეინი, — შეიძლება განხილულ იქნას სამი თვალსაზრისით: პირველი — გაფიცვაში მონაწილე მუშების თვალსაზრისით, მეორე — მწარმოებელთა თვალსაზრისით, მესამე — საერთოდ სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით. გაფიცვა არის მუშაობის შეწყვეტა, გაფიცვაში მონაწილე მუშებისათვის იგი წარმოადგენს სამუშაო ხელფასის დაკარგვას, მწარმოებლებისათვის მოგების დაკარგვას, სახალხო მეურნეობაში წარმოების

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 28.

შემცირებას“ [1]. „დგება ეპოქა, — განაგრძობს იგი, — როცა გაფიცვა არავითარ როლს აღარ შეასრულებს როგორც საბრძოლო იარაღი... სამრეწველო დემოკრატიის განვითარება ზედმეტს ხდის გაფიცვებს, როგორც იარაღს ეკონომიური ბრძოლისათვის.

ასევე პოლიტიკური დემოკრატიის განვითარება ზედმეტს ხდის პოლიტიკური გაფიცვის გამოყენებას, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღს“ [2].

ედ. ბერნშტეინი კაპიტალისტურ წყობილებას გვიხატავდა არა როგორც ანტაგონისტურ წყობილებას, არამედ როგორც სახალხო წყობილებას, რომლის განვითარებითაც დაინტერესებული უნდა ყოფილიყო საზოგადოების ყველა კლასი და ფენა.

ედ. ბერნშტეინის ე. წ. ახალი შეხედულება სავსებით ემთხვეოდა დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბებულ ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობას და იგი არსებითად წარმოადგენდა ბურჟუაზიული სოციალიზმის ახალ ფორმებში გადამღერებას, რომლის რეაქციული ბუნება საქვეყნოდ ამხილეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ჯერ კიდევ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი, აკრიტიკებდნენ რა ბურჟუაზიული სოციალიზმის რეაქციულ ბუნებას, მიუთითებდნენ რომ ბურჟუაზიული სოციალიზმის მტკიცება იქამდე მიდის, რომ არსებობს ბურჟუაზიული „თავისუფალი ვაჭრობა! მუშათა კლასის ინტერესებისათვის; მფარველობითი ბაჟები! მუშათა კლასის ინტერესებისათვის; საკანიანი სატუსაღოები! მუშათა კლასის ინტერესებისათვის... ბურჟუაზიის სოციალიზმი სწორედ იმის მტკიცებაში მდგომარეობს, რომ ბურჟუები ბურჟუები არიან — მუშათა კლასის ინტერესებისათვის“ [3].

საკითხი ედ. ბერნშტეინის ანტიმარქსისტული შეხედულების შესახებ ორჯერ დაისვა გერმანიის სოციალ-დემოკრატიუ-

---

[1] Эд. Бернштейн, Стачка, 1907, стр. 90.

[2] Там-же, стр. 128.

[3] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1948, წ. გვ. 90.

ლი პარტიის ყრილობებზე (1898 წელს ქ. შტუტგარდტში და 1899 წელს ქ. ჰანოვერში); მაგრამ ,ყრილობები დაკმაყოფილდნენ ფაქტების ფიქსირებით და ბერნშტეინელობის მეცნიერული კრიტიკა მოცემული არ ყოფილა. კაუცკის, ჰილფერდინგისა და სხვების შემარიგებელი პოლიტიკის გამო ედ. ბერნშტეინი არა მარტო თავისუფლად მოქმედებდა მარქსიზმის წინააღმდეგ, არამედ გარკვეული თანაგრძნობითაც კი სარგებლობდა II ინტერნაციონალის პარტიებისა და მათი ლიდერების უმრავლესობას შორის.

ბერნშტეინელობის ერთგვარ თავისებურ სახესხვაობად გადაიქცა ინგლისში ბურჟუაზიული ინტელიგენციის მიერ შექმნილი „ფაბიანელთა საზოგადოება". ბურჟუაზიულ-რეფორმისტულმა ჯგუფმა 1894 წელს დააარსა მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოება, რომელმაც შემდგომ „ფაბიანელთა" სახელწოდება მიიღო. მას ასე ეწოდა თავისი გაუბედაობისა და დაცდითი პოლიტიკის გამო (ფაბიუსი — იტალიელი გენერალი, რომელიც გაბედული სტრატეგიისა და ტაქტიკის წინააღმდეგი იყო). ინგლისის ბურჟუაზიულ ინტელიგენტთა ეს ჯგუფი მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის წინააღმდეგი იყო და გაუბედაობისა და მოთმინების პოლიტიკას ქადაგებდა.

მარქსიზმის წინააღმდეგ „კრიტიკის თავისუფლების" ლოზუნგით ედ. ბერნშტეინის გამოსვლამდე „ფაბიანელთა საზოგადოებას" არ ჰქონდა გარკვეული პროგრამა. ამიტომ ედ. ბერნშტეინის მიერ მარქსიზმის წინააღმდეგ წამოყენებული დებულებები „ფაბიანელთა საზოგადოებამ" თავის სამოქმედო პროგრამად გაიხადა. ფაბიანელებმა 90-იანი წლების დამლევიდან ფართო ხასიათი მისცეს ინგლისის მუშათა მოძრაობაში რეფორმისტულ-ოპორტუნისტულ აგიტაცია-პროპაგანდას. ისინი გაუბედაობისა და დაცდის პოლიტიკის აგიტაცია-პროპაგანდით ცდილობდნენ ჩაეკლათ მუშათა კლასში რევოლუციური სიფხიზლე, შეტევითი პოლიტიკური ბრძოლის ინიციატივა, რათა მუშათა მოძრაობა გადაექციათ ტრედ-უნიონისტურ მოძრაობად და შეეგუებინათ იგი ბურჟუაზიული წყობილების განვითარების ინტერესებისათვის.

ფაბიანელები ასაბუთებდნენ, რომ, რაც უფრო მოიცდის მუშათა კლასი, მით უფრო მოიგებს იგი, რომ ბურჟუაზიას თვითონ შეუძლია „დაადგეს პროლეტარიატის მდგომარეობის თანდათანობითი გაუმჯობესების გზას". მათი გაგებით, კაპიტალიზმის განვითარების ყოველი ახალი ეტაპი განამტკიცებდა „პროლეტარიატის ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას."

ფაბიანელთა საზოგადოების ჩამოყალიბებამდე ერთი წლით ადრე, 1893 წლის 18 იანვარს, ფ. ენგელსმა ზორგესადმი მიწერილ წერილში საქვეყნოდ გამოამჟღავნა მათი ბურჟუაზიული ბუნება. „...ფაბიანელები აქ, ლონდონში, — წერდა ფ. ენგელსი, — კარიერისტების ბანდას წარმოადგენენ,... შიში რევოლუციის წინაშე მათი ძირითადი პრინციპია... მათი სოციალიზმი მუნიციპალური სოციალიზმია" [1].

ფაბიანელთა ოპორტუნისტულ-რეფორმისტული შეხედულება შემდგომ გააგრძელეს ინგლისში მემარჯვენე ლეიბორისტებმა, რომლებიც კაპიტალისტური საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დაცვის პოლიტიკაში არაფრით არ ჩამორჩებიან კონსერვატორებს.

XIX საუკუნის 90-იანი წლების დამლევისათვის ბერნშტეინელობის პრაქტიკულ გამოხატულებას საფრანგეთში წარმოადგენდა მინისტერიალიზმი, ანუ მილიერანიზმი.

საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტული ფრთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მილიერანი შევიდა რა საფრანგეთის ბურჟუაზიულ რეაქციულ მთავრობაში, და მიიღო რა მინისტრის პოსტი, საქმით გახდა პროლეტარიატისა და ყველა მშრომელის მოღალატე და პრაქტიკულად დაიწყო მუშაობა ბურჟუაზიის სასარგებლოდ. იგი აქტიურად გამოდიოდა ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცების მოთხოვნით და შეტევას აწარმოებდა პროლეტარიატის პოლიტიკური მოძრაობის წინააღმდეგ. მილიერანი პარლამენტში წინადადებას იძლეოდა ცეცხლითა და მახვილით ჩაეხრჩოთ მუშათა ყოველი მოძრაობა, რომელიც ბურჟუაზიული წყობილების წი-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 506.

ნააღმდეგ იქნებოდა მიმართული. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ზედაფენა (მარჯვენა ფრთა) არა თუ ეწინააღმდეგებოდა მილიერანის ანტიპროლეტარულ მოქმედებას, არამედ მოწონებითაც კი შეხვდა მას. იგი თვით ცდილობდა ბურჟუაზიულ მთავრობაში მოხელეობას და პროლეტარიატის ინტერესების გაყიდვის ფასად ნასუფრალის მიღებას.

ასე ჩამოყალიბდა მარქსიზმის წინააღმდეგ სამი ძირითადი მიმართულება ევროპის მუშათა მოძრაობაში — გერმანიაში — ბერნშტეინელობა, ინგლისში — ფაბიანელობა და საფრანგეთში — მილიერანიზმი, რომლებმაც მალე თავისი მომხრეები გამონახეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის მეფის რუსეთშიც. სწორედ ამ გაგებით უწოდებდა ვ. ი. ლენინი რუსულ ოპორტუნიზმს საერთაშორისო ოპორტუნიზმის სახესხვაობას.

ბერნშტეინელობას დიდი გავლენა ჰქონდა მეფის რუსეთში როგორც მუშათა მოძრაობის გარეთ, ისე მის შიგნით. თუ რამდენად დიდი იყო ეს გავლენა რუსეთში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1900 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ედ. ბერნშტეინის სამი ნაშრომი: „ისტორიული მატერიალიზმი", „სოციალიზმის პრობლემები" და „სოციალიზმის წინასწარი პირობები".

„ლეგალურმა მარქსისტებმა" მუშათა მოძრაობის გარედან, და „ეკონომისტებმა" მუშათა მოძრაობის შიგნიდან ერთდროულად დაიწყეს ედ. ბერნშტეინის შეხედულებათა პოპულარიზაცია და მარქსიზმის წინააღმდეგ გააფთრებული იერიში მიიტანეს.

მეფის რუსეთში ოპორტუნისტულ-რევიზიონისტული მიმდინარეობის წარმოშობა მარტო საერთაშორისო ოპორტუნიზმის გავლენით არ აიხსნება. რუსეთში ოპორტუნისტულ-რევიზიონისტულ შეხედულებათა ჩამოყალიბებას საკუთარი სპეციფიკური პირობებიც ჰქონდა.

„საგლეხო რეფორმის" შემდეგ მრეწველობის სწრაფი განვითარების შესაბამისად რუსეთის პროლეტარიატის რიგები ივსებოდა გაპროლეტარებული გლეხობით, რომელსაც თან მოჰქონდა თავისი წვრილბურჟუაზიული სულისკვეთება. ეს ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ოპორტუნიზმისათვის.

XIX საუკუნის 80—90-იან წლებში კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ და რუსეთის სოფლის მეურნეობაში კაპიტალის შეჭრამ სოფელიც გათიშა ორ ერთიმეორისადმი შეურიგებელ ბანაკად — ერთ მუჭა ექსპლოატატორებად და მრავალრიცხოვან ნახევრადპროლეტარებად და პროლეტარებად. გაპროლეტარებული მასები დაუსრულებელ ნაკადად აწყდებოდნენ ქალაქებს სამუშაოს საძებნელად. სოფლებიდან შიმშილსა და სიღატაკეს გამოქცეული გაპროლეტარებული მასების ერთი ნაწილი დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ ძლივს შოულობდა სამუშაოს. სამუშაოზე მოწყობილი მუშები ცდილობდნენ როგორმე დამაგრებულიყვნენ საწარმოებში, რადგან მათ დაკარგული ჰქონდათ სოფელში დაბრუნებისა და იქ ხელახლა ცხოვრების დაწყების იმედი.

გუშინდელი კერძო მესაკუთრისათვის, რომელიც მდგომარეობით პროლეტარი გახდა, მაგრამ ჯერ კიდევ წვრილბურჟუაზიული შეგნებისა იყო, ერთბაშად ძნელი გასაგები ხდებოდა საუბრები პოლიტიკურ ბრძოლაზე, პროლეტარულ რევოლუციაზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე და სოციალიზმზე. სამაგიეროდ მისთვის ადვილი მისაწვდომი იყო საუბრები ეკონომიური ბრძოლის საკითხებზე, რომლებსაც „ლეგალური მარქსისტები" და „ეკონომისტები" ატარებდნენ.

პროლეტარიატის რიგებში პოლიტიკურად ჩამორჩენილი წვრილბურჟუაზიული მასების არსებობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა რუსეთის მუშათა მოძრაობაში ოპორტუნისტული მიმდინარეობის ჩამოყალიბებისათვის.

90-იან წლებში ბაზარზე საქონლის გაზრდილი მოთხოვნილება, საბაზრო-საკონკურენციო ბრძოლა და დამარცხების შიში აიძულებდა კაპიტალისტებს არ შეეწყვიტათ საწარმოთა მუშაობა, რადგან ასეთ პირობებში საწარმოთა გაჩერებას მათი გაკოტრება მოჰყვებოდა. შექმნილი ვითარების გამო წარმოების მეპატრონენი იძულებული ხდებოდნენ დაეთმოთ მუშებისათვის, მოემატებინათ მათთვის რაღაც კაპიკები, რათა თავიდან აეცილებინათ გაფიცვა. ეს გარემოება კი შესაფერ ნიადაგს ქმნიდა აგიტაციისათვის ეკონომიური ბრძოლის მიზანშეწონილობის შესახებ.

მარქსისტული ლიტერატურის სიმცირე სერიოზულ სიძნელეს ქმნიდა რუსეთის მუშათა კლასის პოლიტიკურად გათვითცნობიერებისათვის. მართალია, „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა გ. ვ. პლეხანოვის მეთაურობით დიდი მუშაობა ჩაატარა ამ მხრივ 80-იან წლებში — რუსულ ენაზე თარგმნა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ზოგიერთი ნაწარმოები, რომელიც იგზავნებოდა რუსეთში არალეგალურად, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ეს ლიტერატურა იმდენად მცირე იყო, რომ მარქსისტული წრეების ხელმძღვანელებისათვისაც არ კმაროდა. 80 — 90-იან წლებში გ. ვ. პლეხანოვმაც გამოაქვეყნა რიგი ნაშრომები, მაგრამ, ჯერ ერთი, არც მათ შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ მარქსისტულ ლიტერატურაზე რუსეთის მუშათა კლასის მზარდი მოთხოვნილება და, მეორეც, თვით პლეხანოვის ნაშრომებიც არ იყო თავისუფალი ზოგიერთი პრინციპული ხასიათის შეცდომისაგან.

რაც შეეხება ვ. ი. ლენინის გენიალურ ნაშრომს — „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“, რომელიც 1894 წელს გამოქვეყნდა ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი (შრომის მეორე ნაწილი მალე მოსპო მეფის ცენზურამ), მისი ტირაჟი იმდენად მცირე იყო, რომ მარქსისტული წრეებისა და ორგანიზაციების ზოგიერთ ხელმძღვანელს იგი მხოლოდ გარკვეული დროით ეგზავნებოდა გასაცნობად.

გარდა ამისა, ცარიზმის რეაქციის სასტიკი რეპრესიების პირობებში მეტად ძნელი იყო ისედაც მცირერიცხოვანი მარქსისტული ლიტერატურის (კონსპირაციის წესით) გამოყენება. ამიტომ რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, რომ არაფერი ვთქვათ მუშებზე, მარქსიზმს ეცნობოდა არა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ორიგინალებიდან და მათი მოწაფეების შრომებიდან, არამედ „ლეგალური მარქსისტების“ და მათი საზღვარგარეთელი მასწავლებლების რევიზიონისტული ნაწერებიდან.

„ლეგალური მარქსისტების“ ნაწერები იბეჭდებოდა ლეგალურად მეფის მთავრობის მიერ ნებადართულ ჟურნალ-გაზეთებში. ამ ნაწერებში არაფერი იყო მარქსისტული. ბუნებრივია,

რომ ასეთი მდგომარეობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ოპორტუნისტული მიმდინარეობის გავრცელებისა და მისი გავლენის ზრდისათვის არა მარტო მუშათა მოძრაობის გარეთ, არამედ მუშათა მოძრაობის შიგნითაც.

ნაროდნიკობაზე მარქსიზმის გამარჯვებამ და რუსეთის მუშათა მოძრაობის ზრდამ საქვეყნოდ ნათელყო მარქსისტული მსოფლმხედველობის სისწორე. ამ გარემოებამ საკმაოდ გააძლიერა რევოლუციური ახალგაზრდობის სიმპათიები და მისწრაფება მარქსიზმისადმი, მარქსისტული მსოფლმხედველობის შესწავლისადმი. ამის შედეგად მარქსისტულ ორგანიზაციებს მოაწყდა ინტელიგენციის რიგებიდან გამოსული რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა, რომელიც სუსტი იყო თეორიაში და გამოუცდელი ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობაში. მარქსიზმზე მათ ჰქონდათ ბუნდოვანი და არასწორი წარმოდგენა, შეძენილი „ლეგალური მარქსისტების" ოპორტუნისტული ნაწერებიდან. ინტელიგენციის რიგებიდან გამოსული ახალგაზრდობის მოზღვავებას მარქსისტულ წრეებში ის მოჰყვა, რომ მათ შემოიტანეს მუშათა მოძრაობაში „ლეგალური მარქსისტების" ნაწერებიდან შეძენილი ოპორტუნისტული შეხედულებანი.

ასეთი იყო ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს საერთაშორისო ოპორტუნიზმის სახესხვაობის — „ლეგალური მარქსიზმისა" და „ეკონომიზმის" წარმოშობა და განვითარება რუსეთში. „ლეგალური მარქსისტები" და „ეკონომისტები" რუსეთში ავრცელებდნენ ისეთსავე ანტიმარქსისტულ შეხედულებებს, რასაც ქადაგებდნენ ბერნშტეინი და მისი თანამოლაშქრეები საზღვარგარეთ.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ მარქსიზმის რევიზია და საერთოდ ოპორტუნიზმი წარმოადგენდა არა მარტო რუსულ, არამედ საერთაშორისო მოვლენას მსოფლიოს მუშათა მოძრაობაში. იგი წარმოიშვა ბურჟუაზიის ეკონომიური და იდეოლოგიური დახმარებით, პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, ბურჟუაზიასთან თანამშრომლობისათვის, ბურჟუაზიის საზოგადოებრივი წყობილების დასაცავად, პროლეტარიატისა და ყველა მშრომელი და ექსპლოა-

ტირებული მასების კლასობრივი ბრძოლისაგან ჩამოცილებისათვის.

ვ. ი. ლენინმა საქვეყნოდ ამხილა მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის ჩამოყალიბების კლასობრივი არსი. მან გვიჩვენა, რომ ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში მემარჯვენე, „არქიმემარცხენე“ და ცენტრისტულ-ოპორტუნისტული მიმდინარეობანი, რომლებიც ათასჯერ იცვლიან ელფერს და სახელწოდებას, როგორც არ უნდა შეინიღბონ, მაინც ერთ მთლიან, საერთო ბანაკს წარმოადგენენ მეცნიერული კომუნიზმის წინააღმდეგ.

რითი აიხსნება XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მუშათა მოძრაობის შიგნით და მის გარეთ მარქსიზმის მტრების გაერთიანება და ერთობლივი ბრძოლა პროლეტარული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ? რამ განაპირობა მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა ზრდა II ინტერნაციონალის პარტიებში?

XIX საუკუნის დასასრულიდან კაპიტალიზმი იმპერიალიზმში გადაიზარდა. იმპერიალიზმი, წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია-ცენტრალიზაციით, საბანკო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალთან შეზრდით, ბაზარზე საქონლის ნაცვლად საფინანსო კაპიტალის გამოსვლით, ფინანსური ოლიგარქიის ბატონობით ამწვავებს და აღრმავებს წინააღმდეგობას არა მარტო ექსპლოატატორ და ექსპლოატირებულ კლასებს შორის, არამედ აგრეთვე იმპერიალისტურ ქვეყნებს შორისაც პირველობისათვის, რადგან დამთავრებულია მსოფლიოს განაწილება და დღის წესრიგში დგება მისი გადანაწილების საკითხი.

იმპერიალიზმის ეპოქაში იზრდება მშრომელთა ჩაგვრა, ექსპლოატაცია, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ძარცვა-გლეჯა, მშრომელთა აბსოლუტური და შედარებითი გაღატაკება, რაც ზრდის რევოლუციური აფეთქების ელემენტებს მეტროპოლიებში, განმათავისუფლებელი ომების ელემენტებს კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის უთანაბრო, ნახტომისებური განვითარება უკიდურესად ამწვავებს წინააღმდეგობებს მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის — ნედლეულის

წყაროებისა, საქონლის გასაღებისა და კაპიტალის გატანისათვის.

იმპერიალიზმის ეპოქაში ღრმავდება და მწვავდება ძირითადი წინააღმდეგობანი შრომასა და კაპიტალს შორის, სხვადასხვა ფინანსურ ჯგუფებსა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, გაბატონებულ „ცივილიზებულ“ ერებსა და კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებს შორის. იმპერიალისტური ქვეყნების ბრძოლას ამ წინააღმდეგობათა „დაძლევისათვის“ მოსდევს საწინააღმდეგო შედეგები, რაც ასუსტებს კაპიტალიზმის ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძვლებს მეტროპოლიებში, კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში. „იმპერიალიზმს მუშათა კლასი რევოლუციისაკენ მიჰყავს“. იგი აჩქარებს პროლეტარული რევოლუციის მოახლოებას. პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების საკითხი პრაქტიკულად დგება დღის წესრიგში.

იმპერიალიზმის დროს პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის პრაქტიკულ საკითხად გადაქცევამ გააბოროტა და აღაშფოთა საერთაშორისო ბურჟუაზია და მისი პარტიები, ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესების დამცველი II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული ბელადები და საერთოდ ყველა ქვეყნის ოპორტუნისტები. მათ დაიწყეს გააფთრებული ლაშქრობა პროლეტარული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავდა პროლეტარიატის აცდენას რევოლუციური ბრძოლის გზიდან და მის გადაყვანას რეფორმისტულ გზაზე. ისინი ცდილობდნენ შეეცვალათ რევოლუციური მარქსიზმი რეფორმიზმით და მოემზადებინათ პირობები ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი მუშათა მოძრაობის დამორჩილებისათვის.

პირველი სერიოზული ბრძოლა მუშათა მოძრაობაში საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ფ. ენგელსის შემდეგ გ. ვ. პლეხანოვმა ჩაატარა. მან მკაცრად გაილაშქრა ედ. ბერნშტეინისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ და კაუცკისადმი მიწერილ წერილში კატეგორიულად მოითხოვა შეწყვეტილიყო მარქსიზმის რევიზია. მაგრამ ცენტრიზმის ლიდერი კ. კაუცკი თვით დაეშვა ოპორტუნისტული ჭაობისაკენ. იგი უსაყვე-

დურებდა პლეხანოვს ბერნშტეინისადმი კრიტიკის სიმკაცრეს და არაამხანაგურ დამოკიდებულებას. თავის საჟურნალო წერილებში, რომლებიც ქვეყნდებოდა „ვადემეკუმში“. გ. ვ. პლეხანოვმა გაილაშქრა აგრეთვე საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული სახესხვაობის „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინის პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლამდე გ. ვ. პლეხანოვი ერთადერთი მარქსისტი იყო საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, რომელმაც თავის ნაშრომებში მკაცრად გააკრიტიკა რევიზიონისტები და სერიოზული როლი შეასრულა მარქსიზმის თეორიული საფუძვლების — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის — დაცვის საქმეში.

მაგრამ არც გ. ვ. პლეხანოვი იყო თანამიმდევარი შემოქმედებითი მარქსისტი, მას არ შეეძლო მარქსიზმის ბოლომდე დაცვა და მით უმეტეს მისი შემოქმედებითი განვითარება. გ. ვ. პლეხანოვმა ვერ შეძლო „ლეგალური მარქსიზმისა“ და „ეკონომიზმის“ იდეური განადგურება, ვერ შეძლო კლასობრივი ბრძოლის გაგება აეყვანა პროლეტარიატის დიქტატურის არსის გაგებამდე. იგი უშვებდა პრინციპული ხასიათის შეცდომებს როგორც დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში, ისე პოლიტეკონომიაში და მეცნიერული კომუნიზმის თეორიაში. გ. ვ. პლეხანოვის ამ პრინციპულმა შეცდომებმა განაპირობა შემდეგ მისი გადასვლა ოპორტუნიზმის ბანაკში.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში მარქსიზმის რევიზიისა და მისი რუსული სახესხვაობის — „ლეგალური მარქსიზმისა“ და „ეკონომიზმის“ — საბოლოო იდეური განადგურება ისტორიამ წილად არგუნა ვ. ი. ლენინს.

ვ. ი. ლენინის მიერ ნაროდნიკების იდეურმა განადგურებამ ნიადაგი მოამზადა რუსეთის მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული წრეებისა და ორგანიზაციების გაერთიანებისათვის ერთ ცენტრალიზებულ ორგანიზაციაში.

ამ ისტორიულ ამოცანას ისახავდა ვ. ი. ლენინის მიერ 1895 წლის შემოდგომაზე დაარსებული პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“, რომელიც პირველი სერიოზული ჩანასახი იყო ახალი ტიპის

პარტიისა. „ბრძოლის კავშირმა“ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით პრაქტიკულად პირველმა დაიწყო მსოფლიო პროლეტარული მოძრაობის ისტორიაში მუშათა მოძრაობის შეერთება სოციალიზმთან.

მაგრამ „ბრძოლის კავშირმა“ ვერ შეძლო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული წრეებისა და ორგანიზაციების ერთიან ცენტრალიზებულ პარტიაში გაერთიანება, ერთი მხრივ იმიტომ, რომ მეფის მთავრობამ მოახერხა 1895 წლის 8 დეკემბერს ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების დაპატიმრება, მეორეც, მუშათა კლასის იდეურ-პოლიტიკური მომზადების საქმეს წინ გადაეღობა „ლეგალური მარქსიზმი“ მუშათა მოძრაობის გარეთ და „ეკონომიზმი“— მუშათა მოძრაობის შიგნით.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან რუსეთის მუშათა მოძრაობაში ახალი პერიოდი დაიწყო. იგი რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ელფერს იღებდა. რუსეთის მუშათა მოძრაობისათვის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ხასიათის მიცემა საშიშროებას ქმნიდა არა მარტო ცარიზმისათვის, არამედ ბურჟუაზიისათვისაც. ბურჟუაზიას ეშინოდა რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატისა, რათა მას მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ერთი მხარიდან მეორე მხარეზე არ გადაეტანა შაშხანა და არ მიემართა იგი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამ საშიშროებამ 90-იანი წლებიდან აამოძრავა ლიბერალური ბურჟუაზიული ინტელიგენცია. იგი ცდილობდა მიტმასნებოდა რუსეთის მუშათა მზარდ მოძრაობას, გამხდარიყო მისი დროებითი „თანამგზავრი“ და შეეჩერებინა იგი.

მეფის მთავრობა ცდილობდა ნაროდნიკული ორგანიზაციების წინააღმდეგ გამოეყენებინა ყველა საშუალება, მათ შორის ლიტერატურული იარაღიც. ლიბერალური ბურჟუაზიული ინტელიგენცია ბრძოლას აწარმოებდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების მოწინააღმდეგე ნაროდნიკობასთან. შექმნილი ვითარების გამო ლიბერალურმა ინტელიგენციამ იპოვა ლეგალური ტრიბუნა მეფის მთავრობის მიერ ნებადართულ ჟურნალ-გაზეთებში. იგი ცდილობდა მარქსიზმის სამოსელში გახვეულიყო. მარქსის ნაშრომებიდან ამოგლეჯილი ადგილების

დამახინჯებით მან დაიწყო ლეგალურად გამოსვლა ჟურნალ-გაზეთებში. სწორედ აქედან მიიღო მან „ლეგალური მარქსიზ-მის“ სახელწოდება.

„ლეგალურმა მარქსიზმმა“ მიზნად დაისახა „ერთი გასრო-ლით ორი კურდღლის მოკვლა“; ერთი მხრივ, მუშათა მზარდი მოძრაობისადმი გარედან მიტმასნება, ხალხთა მასებში ნდობის მოპოვება და თავის გამოცხადება მუშათა მოძრაობის „თანა-მგზავრად“, ხოლო, მეორე მხრივ, ნაროდნიკობის წინააღმდეგ ლიტერატურული ბრძოლით ცარიზმთან მჭიდრო კავშირის დამყარება და მუშათა მოძრაობის ბურჟუაზიული იდეოლო-გიისადმი დამორჩილება.

„ლეგალურმა მარქსისტებმა“ პ. სტრუვესა და ტ. ბარანოვ-სკის მეთაურობით, საზღვარგარეთელი რევიზიონისტების კვალდაკვალ დაიწყეს მარქსიზმის კრიტიკა ლეგალურ პრესა-ში. პეტერბურგში ლიბერალური ბურჟუაზიული ინტელი-გენციის ერთი ჯგუფი 90-იანი წლების დასაწყისში შემოიკრიბა ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის“ გარშემო და გადააქცია იგი მარ-ქსიზმთან შეხამებისა და მისი გაყალბებისათვის ლიტერატუ-რული ბრძოლის ტრიბუნად. ბურჟუაზიული ინტელიგენციის მეორე ჯგუფმა მარქსიზმის კრიტიკა დაიწყო ჟურნალ „იური-დიჩესკი ვესტნიკში“, რომელიც მოსკოვში გამოდიოდა.

ვ. ი. ლენინმა სწორად გაიგო, რომ რევიზიონისტულ-ოპორტუნისტული მიმდინარეობის წარმოშობა დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის ბრძოლის გზაზე. მან ჯერ კიდევ 1893 წელს პეტერბურგში მარქსისტული წრის სხდომაზე წაკითხულ რეფერატში „ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო“ მკაცრად გააკრიტიკა „ლეგალური მარქსისტების“ ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა.

1894 წლის შემოდგომაზე პეტერბურგის ერთ-ერთ მარქსის-ტულ წრეში ვ. ი. ლენინი კვლავ გამოვიდა „ლეგალური მარქ-სისტების“ იდეური ბელადის პ. სტრუვეს წინააღმდეგ თავისი ცნობილი რეფერატით „მარქსიზმის ანარეკლი ბურჟუაზიულ ლიტერატურაში“. მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა „ლეგა-ლური მარქსისტები“ და მათი იდეური ხელმძღვანელები: სტრუვე, ბარანოვსკი, ბერდიაევი, ბულგაკოვი და სხვ.

ლენინი მოითხოვდა მათი ლიტერატურული ორგანიზაციის ყოველ ნაბიჯზე მხილებას. იგი თავის გამოსვლებში „ლეგალურ მარქსისტებს“ უწოდებდა „ფორმალურ მარქსისტებს“. ის კურიოზად და გაუგებრობად თვლიდა იმ გარემოებას, რომ ლიბერალურ-რადიკალური ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ზოგიერთები მარქსისტებად თვლიდნენ. „არ შეიძლება... არ აღინიშნოს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ მარქსიზმი უსაძაგლეს შევიწროებასა და დამახინჯებას განიცდის, როცა ჩვენი ლიბერალები და რადიკალები იწყებენ მის გადმოცემას ლეგალური პრესის ფურცლებზე“[1].

„ლეგალური მარქსისტები“ მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ძირითადად ევროპული რევიზიონისტების თვალსაზრისზე იდგნენ, მაგრამ ზოგ საკითხში ისინი ერთგვარ „ორიგინალობასაც“ იჩენდნენ. მაშინ როდესაც ედ. ბერნშტეინი მარქსისტულ დიალექტიკას მეცნიერების „ბორკილს“ უწოდებდა და მოითხოვდა მის განდევნას მეცნიერებიდან, „ლეგალური მარქსისტები“ დიალექტიკურ მეთოდში ეძებდნენ ევოლუციური, რეფორმისტული განვითარების დამასაბუთებელ ადგილებს, ნაწილობრივი უარყოფის გამართლებას. მათი შეხედულებით, მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის ძირითადი კანონები ვითომ მხოლოდ „რეფორმისტული ცვლილებების ასახვაში მართლდებოდა“. მარქსიზმის ასეთი დამახინჯებით „ლეგალური მარქსისტები“ უარყოფდნენ მეცნიერული კომუნიზმის თეორიულ საფუძველს — დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს.

„მარქსიზმი მათს („ლეგალური მარქსისტების“ ვ. ს.) გადმოცემაში,—წერდა ვ. ი. ლენინი,—თითქოს, იქცევა მოძღვრებად იმის შესახებ, თუ როგორ ხდება კაპიტალისტური წყობილების დროს დიალექტიკური განვითარება იმ ინდივიდუალური საკუთრებისა, რომელიც მესაკუთრის შრომაზეა დაფუძნებული, როგორ იქცევა ის თავის უარყოფად ..... და სერიოზულად ჰგონიათ, რომ მარქსიზმის მთელი შინაარსი ამ „სქემაშია“,... გვერდს უვლიან კვლევის პირდაპირ მიზანს —

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 387.

ანტაგონიზმისა და ექსპლოატაციის ყველა ფორმის გამოაშკარავებას“...[1]

1894 წელს გამოქვეყნდა პ. სტრუვეს წიგნი „კრიტიკული შენიშვნები რუსეთის ეკონომიური განვითარების საკითხის შესახებ“, სადაც იგი აკრიტიკებდა მარქსისტულ მსოფლმხედველობას და აკეთებდა პრინციპულ გადახვევას დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმიდან, ეკონომიური მოძღვრებიდან და მეცნიერული კომუნიზმის თეორიიდან. იგი მარქსიზმში ეძებდა ბურჟუაზიისათვის „სასარგებლო ისეთ ცალკეულ გამოთქმებს“, როგორიცაა ბურჟუაზიული წყობილების პროგრესულობა ფეოდალიზმთან შედარებით, წვრილი კერძო საკუთრების გადაქცევა მსხვილ კაპიტალისტურ საკუთრებად და სხვ., და იყენებდა მათ ნაროდნიკობის წინააღმდეგ. მართალია „ლეგალური მარქსისტები“ აწარმოებდნენ პოლემიკას ნაროდნიკული შეხედულების წინააღმდეგ, მაგრამ მათი კრიტიკა მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების დაცვის კონცეფციით ისაზღვრებოდა.

ვ. ი. ლენინი, აწარმოებდა რა იდეურ ბრძოლას „ლეგალური მარქსისტების“ წინააღმდეგ, ამავე დროს დასაშვებად თვლიდა მათთან დროებით ტაქტიკურ ბლოკს ნაროდნიკული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის. მაგრამ ვ. ი. ლენინი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა, რომ აუცილებელი იყო „ლეგალური მარქსისტების“ წინააღმდეგ იდეური ბრძოლა, მათი ყოველ ნაბიჯზე მხილება და იდეური განადგურება. მარქსისტების დროებითი ბლოკი ოპოზიციურ ჯგუფებთან საერთო მტრის წინააღმდეგ ტაქტიკური თვალსაზრისით არა მარტო დასაშვებია, არამედ აუცილებელიცაა. „მარქსისტები ამას აკეთებენ იმისათვის, რათა დააჩქარონ საერთო მტრის დაცემა“ (ლენინი).

ვ. ი. ლენინმა მოახერხა „ლეგალურ მარქსისტებთან“ დროებითი ტაქტიკური ბლოკი და მათთან ერთად 1895 წლის აპრილში გამოსცა კრებული „ჩვენი სამეურნეო განვითარების დახასიათებისათვის“. კრებულში დაიბეჭდა ვ. ი. ლე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 387.

ნინის (ტულინის ფსევდონიმით), გ. ვ. პლეხანოვის, პ. სტრუ-ვეს და სხვათა სტატიები.

ვ. ი. ლენინმა თავის სტატიაში —„ნაროდნიკობის ეკონო-მიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში", მო-გვცა არა მარტო რუსეთის ეკონომიური განვითარების მეც-ნიერული ანალიზი და გამოამჟღავნა ნაროდნიკული წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმის ბუნება, არამედ საქვეყნოდ ამხილა „ლეგალური მარქსისტების" კავშირი ცარიზმთან.

ვ. ი. ლენინმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა პ. სტრუ-ვეს ანტიმარქსისტული შეხედულებანი ფილოსოფიურ, ეკო-ნომიურ და ისტორიის საკითხებზე. მან გვიჩვენა, რომ პ. სტრუ-ვე ფილოსოფიური საკითხების განხილვის დროს იდგა ბურ-ჟუაზიული პოზიტივიზმის პოზიციაზე, ბრმად აღიარებდა საზოგადოებრივი მოვლენების აუცილებლობას და არ შეეძლო მეცნიერულად აეხსნა მოვლენათა აუცილებლობის გამომწვევი კონკრეტული მიზეზები. პ. სტრუვე ხაზგასმით აღნიშნავდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობას, მაგ-რამ არაფერს ამბობდა იმ ანტაგონისტურ წინააღმდეგობაზე, რომელიც დამახასიათებელია ბურჟუაზიული წყობილების განვითარებისათვის. ის გვერდს უვლიდა კლასობრივ ბრძო-ლას და არ უნდოდა გაეგო ის, თუ რა მოჰყვებოდა კაპიტა-ლიზმის განვითარებას.

პ. სტრუვე ვერ ხედავდა, რომ, ისევე, როგორც აუცილებ-ლობას წარმოადგენდა ფეოდალიზმზე კაპიტალიზმის გამარჯვე-ბა, ისე კაპიტალიზმის განვითარებას და კლასობრივ წინააღ-მდეგობას პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის უნდა მოჰ-ყოლოდა კაპიტალისტური წყობილების დაცემა, პროლეტარია-ტის გაბატონებულ კლასად გადაქცევა, პროლეტარიატის დიქ-ტატურის გამარჯვება. ამასთან, პროლეტარიატის გამარჯვება მოხდებოდა, არა თავისთავად, არა მარტო აუცილებლობის ძალით, არამედ პროლეტარული რევოლუციის გზით.

მარქსისტები მარტო აუცილებლობის კანონზომიერებაზე მითითებით როდი კმაყოფილდებიან. ისინი, ეყრდნობიან რა საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, მეცნიერულად სწავლობენ მოცემული საზოგადოების წინააღმდეგობებს, არ-

კვევენ წინააღმდეგობათა კონკრეტულ მიზეზებს შესაძლებლობის აუცილებლობაში გადასელისათვის. მარქსისტები არ ივიწყებენ იმას, რომ ყოველგვარი შესაძლებლობა არ აღწევს თავის სრულყოფას, და არ გადადის აუცილებლობაში, რომ საჭიროა შესაძლებლობის არსის გამორკვევა, იმის დადგენა თუ როგორი მიზეზობრიობით არის იგი დაკავშირებული აუცილებლობასთან.

მართალია რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შესაძლებლობა ისტორიული აუცილებლობით იყო ნაკარნახები, მაგრამ ამ შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა მოითხოვდა არა მეფის თვითმპყრობელობასთან შეგუებას და შემთანხმებლობას, როგორც ამას ლიბერალური ბურჟუაზიული ინტელიგენცია აკეთებდა, არამედ ცარიზმისა და ბატონყმური ნაშთების დამსხვრევას.

„ამრიგად,—წერდა ვ. ი. ლენინი,—მატერიალისტი (მარქსისტი — ვ. ს.)... ობიექტივისტზე უფრო თანმიმდევარია და უფრო ღრმად, უფრო სრულად ატარებს თავის ობიექტივიზმს. ის არ კმაყოფილდება პროცესის აუცილებლობაზე მითითებით, არამედ არკვევს, სახელდობრ რომელი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია აძლევს შინაარსს ამ პროცესს, სახელდობრ რომელი კლასი განსაზღვრავს ამ აუცილებლობას... მატერიალისტი... არ დაკმაყოფილდებოდა „დაუძლეველი ისტორიული ტენდენციების“ აღნიშვნით, არამედ მიგვითითებდა იმ განსაზღვრულ კლასთა არსებობაზე, რომელნიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ წესების შინაარსს“[1].

პ. სტრუვე ცდილობდა გამოეყენებინა მარქსიზმი მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების გამართლებისათვის, იგი მასში ეძებდა ისეთ დებულებებს, რომლებიც კაპიტალისტური წყობილების განვითარებისა და მარადიულობის „დასამტკიცებლად“ გამოდგებოდა. მაგრამ, ვინაიდან პ. სტრუვე მარქსიზმში ასეთ რამეს ვერ პოულობდა (რადგან მასში ასეთი რამ არ იყო), იგი მარქსისტულ მსოფლმხედველობას საერთოდ და, კერძოდ, ფილოსოფიას „დაუსაბუთებლად“ თვლიდა. მისი აზრით, მარ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 481.

ქსისტული ფილოსოფია მოითხოვდა გადასინჯვას, „ანალიზის გაკეთებასა და დასაბუთებას". პ. სტრუვე ერთმანეთში ურევდა მეცნიერების სხვადასხვა დარგის ფაქტიურ მასალას ფილოსოფიურ სისტემაში და მარქსამდელი ფილოსოფოსების მსგავსად ფიქრობდა, რომ ფილოსოფია წარმოადგენდა რაღაც უსაგნო მეცნიერებათა მეცნიერებას.

პ. სტრუვემ ვერ გაიგო მარქსისტული დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ყოვლისმომცველი მეცნიერული არსი და ედ. ბერნშტეინის მსგავსად განიზრახა მისი გადასინჯვა, ისეთნაირად „გადაკეთება", რომ იგი ბურჟუაზიული წყობილების ინტერესების შესაბამისი გამხდარიყო. პ. სტრუვე მიუთითებდა, რომ მარქსის „...მოძღვრების **წმინდა ფილოსოფიური დასაბუთება ჯერ** კიდევ არ არის მოცემული, და რომ მას ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია ის უზარმაზარი კონკრეტული მასალა, რომელსაც მსოფლიო ისტორია წარმოადგენს. აშკარაა, საჭიროა ფაქტების გადასინჯვა ახალი თეორიის თვალსაზრისით; საჭიროა თეორიის (მარქსიზმის — ვ. ს.) კრიტიკა ფაქტების მიხედვით. შეიძლება, ბევრი ცალმხრივობა და მეტად ნაუცბათევი განზოგადება უკუგდებულ იქნას"[1].

პ. სტრუვეს არ უნდოდა გაეგო, რომ წმინდა ფილოსოფია ან „წმინდა ფილოსოფიური დასაბუთება", რომელიც არ ეყრდნობა ბუნებისა და საზოგადოების შესახებ მეცნიერებათა განვითარების ახალ მონაცემებს, არ არსებობს, რომ ფილოსოფია, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, არ შეიძლება დასრულებულად წარმოვიდგინოთ, რომ იგი, როგორც ყველა სხვა მეცნიერების დარგები, უნდა ვითარდებოდეს ახალი მეცნიერული აღმოჩენების შესაბამისად, რომ **ფილოსოფიური მოძღვრების მეცნიერული ღირსება მოწმდება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების ისტორიით, როცა ყველასათვის მოურიდებელი სინამდვილე გაამართლებს ფილოსოფიურად განზოგადებულ დებულებებსა და დასკვნებს.**

---

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 503.

პ. სტრუვემ ვერ გაიგო, რომ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა იდეალისტური და მეტაფიზიკური ფილოსოფიური სისტემებისა და დოგმების დამსხვრევით და პროლეტარიატის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შექმნით რევოლუცია მოახდინეს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, მოხსნეს ფილოსოფია ძველი გაგებით. მათ ყველაფერი და მათ შორის ფილოსოფიაც მოძრაობისა და განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას დაუმორჩილეს.

„ლეგალური მარქსისტების" თვალსაზრისით, მარქსისტული ეკონომიური მოძღვრებაც საჭიროებდა გადასინჯვას და ე. წ. „ახალი თვალსაზრისით შესწორებას". „ლეგალური მარქსისტები", ასაბუთებდნენ რა კაპიტალიზმის განვითარების ე. წ. უსაზღვრობას, უარყოფდნენ ღირებულების თეორიას და განსაკუთრებით კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების ქვაკუთხედს — ზედმეტი ღირებულების თეორიას. ისინი ამტკიცებდნენ რომ ღირებულება და ზედმეტი ღირებულება იქმნება არა მარტო წარმოებაში, არამედ მიმოქცევაშიაც.

„ლეგალური მარქსისტები" ზედმეტი ღირებულების თეორიის უარყოფით ცდილობდნენ მიეჩქმალათ ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი წინააღმდეგობანი და ექსპლოატატორული ბუნება. ისინი გატაცებული იყვნენ კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებით და დიდ ინტერესს იჩენდნენ საქონლის რეალიზაციისადმი. წინაადმდეგ მარქსისტული რეალიზაციის თეორიისა „ლეგალური მარქსისტები" მოითხოვდნენ რუსეთის მრეწველობის საქონლის რეალიზაციისათვის სოფლად ე. წ. „მაგარი გლეხობის" შექმნას, რომელიც „მომწიფებული იქნებოდა ნედლეულის წარმოებისათვის და რომელსაც საკმარისი მოხმარების უნარი" ექნებოდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქალაქად კაპიტალისტური ინდუსტრიისა და სოფლად მზა საქონლის გასაღებისათვის „მაგარი გლეხობის" შექმნით შესაძლებელი გახდებოდა ყოველგვარი წინააღმდეგობის მოსპობა და კაპიტალისტური საზოგადოების „ჰარმონიული განვითარება".

„ლეგალური მარქსისტები" პ. სტრუვესა და ტუგან-ბარანოვსკის მეთაურობით მკვდრეთით აღადგენდნენ სმიტისა და

რიკარდოს ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას და მათ კვალდაკვალ მიუთითებდნენ კაპიტალისტური შემოსავლის განაწილებაზე, რაც თითქოს საზოგადოების ყველა კლასის საკარგებლოდ უნდა მომხდარიყო.

ტუგან-ბარანოვსკი თავის ნაშრომებში „სამრეწველო კრიზისები თანამედროვე ინგლისში" და „ბაზრების თეორია" ბრალს დებდა მარქსსა და მარქსისტებს სმიტისა და რიკარდოს ვითომდა „სწორი შეხედულებების გაუგებრობაში და დამახინჯებაში". „სეი-რიკარდოს მოძღვრება თეორიულად სავსებით სწორია, — წერდა ტუგან-ბარანოვსკი, — მისი მოწინააღმდეგეები (მარქსი და მარქსისტები — ვ. ს.) რომ გარჯილიყვნენ და გამოეანგარიშებინათ ციფრებით, თუ როგორ ხდება კაპიტალისტურ მეურნეობაში საქონლის განაწილება, ისინი ადვილად გაიგებდნენ, რომ ამ მოძღვრების უარყოფა ლოგიკურ წინააღმდეგობას შეიცავს"[1].

კ. მარქსმა ეკონომიური აზროვნების ისტორიაში პირველმა ახსნა მეცნიერულად ზედმეტი ღირებულების წყარო, რაც იქმნება წარმოების პროცესში მუშათა აუნაზღაურებელი შრომის საფუძველზე. **მან პირველმა დაამტკიცა, რომ კაპიტალისტები ყიდულობენ არა შრომას, როგორც ამას ა. სმიტი და დ. რიკარდო ამტკიცებდნენ, არამედ მუშების სამუშაო ძალას,— როგორც ახალ თვისობრივ საქონელს, რომლის წარმოებაში გამოყენებით იქმნება გაცილებით მეტი ღირებულება, ვიდრე მუშას აძლევენ სამუშაო ძალის ფასში. ეს ზედმეტი შრომა, რომელსაც კაპიტალისტი მუქთად ითვისებს, წარმოადგენს, ზედმეტი ღირებულების წყაროს.** კ. მარქსმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ შრომის გაყიდვაზე მსჯელობა უაზრობაა, რადგან შრომა პროცესია და იგი მას შემდეგ იწყება, როცა მუშის სამუშაო ძალა შეუერთდება საწარმოო საშუალებებს და იარაღებს და მოქმედებაში მოიყვანს მათ. **შრომა კაპიტალისტურ საზოგადოებაში ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების წყაროა. ზედმეტი ღირებულება ის ფოკუსია, რომლის გარეშე კაპიტალისტური საზოგადოების არსებობა შეუძლებელია.**

---

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 64.

„ლეგალურ მარქსისტებს“ არ უნდოდათ გაეგოთ, რომ კაპიტალისტური წარმოება არსებითად არის ზედმეტი ღირებულების წარმოება. **საკმარისია შეწყდეს სამუშაო ძალის საქონლად გადაქცევა და მუშის მიერ წარმოებაში ზედმეტი ღირებულების შექმნა, რომ შესწყვიტოს არსებობა თვით კაპიტალისტურმა წყობილებამ.**

კაპიტალისტური საზოგადოების არსებობა განპირობებულია მუშების აუნაზღაურებული შრომით, ზედმეტი ღირებულებით, რომელიც იქმნება მუშების ჯანმრთელობის დასუსტების ხარჯზე. „ამრიგად,—წერდა კ. მარქსი,—კაპიტალისტური წარმოება, რომელიც არსებითად ზედმეტი ღირებულების წარმოებაა, ზედმეტი შრომის შეწოვაა, სამუშაო დღის გაგრძელებით იწვევს არა მარტო დამახინჯებას ადამიანის სამუშაო ძალისას, რომელსაც ერთმევა თავისი განვითარებისა და მოქმედების ნორმალური ზნეობრივი და ფიზიკური პირობები. იგი იწვევს თვით სამუშაო ძალის ნაადრევ გამოფიტვას და მოსპობას“ [1].

აქედან ცხადია, რომ, რაც უფრო ვითარდება კაპიტალიზმი, მით უფრო მწვავდება კლასობრივი წინააღმდეგობა კაპიტალიზმსა და პროლეტარიატს შორის, მით უფრო მკვეთრად ავლენს თავს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი მთავარი წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. ამიტომ რევოლუციონერების მოვალეობაა კი არ შენიღბონ და დაფარონ კაპიტალიზმის წყლულები და წინააღმდეგობანი როგორც ამას ბარანოვსკი, სტრუვე და მათი თანამოაზრეები აკეთებდნენ, არამედ გამოამჟღავნონ ისინი და უჩვენონ მებრძოლ რევოლუციურ კლასებს მათი რევოლუციურად გადაჭრის გზები.

„ლეგალური მარქსისტები“ და მათი მომხრეები გვერდს უვლიდნენ კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობებს, უარყოფდნენ კაპიტალისტური ეკონომიური ფორმაციის ისტორიულობას და ცდილობდნენ „დაესაბუთებინათ“ მისი უსასრულო განვითარება. „ლეგალური მარქსისტების“ დამცველი პ. ნეჟდანოვი ვ. ი. ლენინს ბრალს დებდა პ. სტრუვეს ეკონომიურ შეხე-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 336.

დულებათა დამახინჯებაში, ხოლო კ. მარქსის წინააღმდეგ მიუთითებდა, რომ იგი „თვით იყო შეპყრობილი სერიოზული შინაგანი წინააღმდეგობებით“, რომ „კაპიტალისტური წარმოება არ განიცდის არავითარ წინააღმდეგობას წარმოებასა და მოხმარებას შორისო“.

პ. ნეჟდანოვს არ ესმოდა, რომ მრეწველობის განვითარება მარტო მოხმარებით კი არ არის განპირობებული, არამედ საწარმოო საშუალებათა წარმოების განვითარებითაც. მან ვერ გაიგო, რომ, თუ წარმოება ზუსტად შეესაბამება მოხმარებას და მხოლოდ მოხმარების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაშინ განვითარება თანდათან შეჩერდება; შემდეგ, თუ წარმოებას და მოხმარებას შორის წინააღმდეგობა არ არსებობს, მაშინ გამოდის, რომ კაპიტალისტური წარმოება სახალხო ყოფილა და ხალხის მოთხოვნილებებს ემსახურება; დაბოლოს, თუ წარმოება და მოხმარება ზუსტად შეესაბამებიან ერთმანეთს, მაშინ რით აიხსნება კაპიტალისტურ სამყაროში ორი ურთიერთმოპირისპირე პოლუსი — ერთი მხრივ, ერთი მუჭა მაგნატები, რომლებიც მშრომელი ხალხის უსაზღვრო ექსპლოატაციით მილიონებსა და მილიარდებს ფლობენ და განცხრომით ცხოვრობენ, და, მეორე მხრივ მრავალმილიონიანი მშრომელი და ექსპლოატირებული მასები, რომლებიც საზოგადოებისათვის დოვლათს ქმნიან და თვით კი შიმშილსა და სიღატაკეს ვერ აღწევენ თავს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას გაურბოდნენ „ლეგალური მარქსისტები“ და მათი მომხრეები, ვინაიდან საკითხის მეცნიერული გამოკვლევა ააშკარავებს კაპიტალიზმის მთავარ წინააღმდეგობას.

კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრებიდან „ლეგალური მარქსისტები“, ბერნშტეინის მსგავსად, უარყოფდნენ აგრეთვე ეკონომიური კრიზისების თეორიას. ისინი თვითნებურად ასაბუთებდნენ, რომ ჭარბი წარმოების ეკონომიური კრიზისების საკითხი შორეულ წარსულს ეხება და აღარ შეესაბამება „კაპიტალიზმის რაციონალურ განვითარებას“. XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთში კაპიტალიზმის აღმავლობამ რუს ბერნშტეინელებს, „ლეგალურ მარქსისტებს“ და „ეკონომისტებს“ ფრთები შეასხა. ისინი „ფილოსოფიურად რეზონიორობდნენ“ კაპიტალიზმის „ჰარმონიული განვითარების“ რაღაც ახალი ეპოქის

შესახებ, რომელიც ვითომდა აბათილებდა მარქსისტულ შეხედულებას კაპიტალიზმზე. „ლეგალური მარქსისტები“ ვერ ხედავდნენ, რომ კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების ყოველი ახალი ნაბიჯი ამქღავნებს და ამწვავებს გადაუჭრელ წინააღმდეგობას წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. ამიტომ შეუძლებელია კაპიტალისტურმა საზოგადოებამ თავი დააღწიოს საწარმოო ძალების გამანადგურებელ პერიოდულ ეკონომიურ კრიზისებს.

წინააღმდეგ „ლეგალური მარქსისტებისა“, ვ. ი. ლენინმა იწინასწარმეტყველა ეკონომიური კრიზისის მოახლოება 1897 წელს თავის ცნობილ ბროშურაში „რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები“. ეს წინასწარმეტყველება სავსებით გაამართლა 1900 წელს დაწყებულმა ეკონომიურმა კრიზისმა. „ამჟამად, როგორც სჩანს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — კაპიტალისტური ციკლის იმ პერიოდს განვიცდით, როდესაც მრეწველობა „ჰყვავის“, გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებს, ფაბრიკები მთელი დატვირთვით მუშაობენ და, როგორც წვიმის შემდეგ სოკოები, ისე ჩნდებიან ახალ-ახალი უამრავი ქარხნები, ახალი საწარმოები, სააქციო საზოგადოებანი, სარკინიგზო ნაგებობანი... საჭირო არ არის წინასწარმეტყველი იყო, რომ წინასწარ განჭვრიტო ის აუცილებელი კრახი,.... რომელიც უნდა მოჰყვეს მრეწველობის ამ „აყვავებას“[1].

„ლეგალური მარქსისტები“ უარყოფდნენ მარქსისტულ მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ. პ. სტრუვემ „მკვდრეთით აღადგინა“ ბურჟუაზიული იდეოლოგების მიერ ათასჯერ გადაღეჭილი სახელმწიფოს ე. წ. „წესრიგის თეორია“. პ. სტრუვესა და მისი თანამოაზრეების შეხედულებით, სახელმწიფო არ წარმოადგენდა გაბატონებული კლასის ორგანოს, კლასობრივი ბრძოლისა და კლასთა დათრგუნვის ორგანოს, არამედ იგი ზეკლასობრივი ორგანიზაციაა, რომელიც კლასებს შორის წესრიგისა და საზოგადოების მოწესრიგების ფუნქციებს ასრულებს. . სტრუვეს აზრით, სახელმწიფო წარმოიშვა „გვაროვნული წყობილების დროს წესრიგისათვის, ძალადობის წინააღმდეგ“.

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, 426—427.

სტრუვეს მტკიცებიდან ის უაზრო დასკვნები გამომდინარეობს; რომ ჯერ ერთი, სახელმწიფო კერძო საკუთრებისა და კლასების გაჩენაზე ადრე „წარმოშობილა"; მეორე, სახელმწიფო გაბატონებულ კლასებს კი არ შეუქმნიათ დაჩაგრული კლასების დამორჩილებისა და მათზე ბატონობისათვის, არამედ ის „ხალხს შეუქმნია მოძალადეთა წინააღმდეგ", ე. წ. წესრიგის დამყარებისათვის; მესამე, თუ სახელმწიფო „წესრიგისა და ძალადობის" წინააღმდეგ შექმნილი ორგანიზაციაა, იგი ექსპლოატატორების, როგორც მოძალადეების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული და მშრომელთა დაცვის ფუნქციებს ასრულებდეს; მეოთხე, თუ სახელმწიფო „წესრიგისა და ზნეობრივი მშვიდობის ორგანიზაციაა", მაშინ სახელმწიფოს მმართველობის სათავეში რაღაც ზებუნებრივი ადამიანები უნდა იდგნენ, რომლებიც, როგორც საბერძნეთის „მითოლოგიის ღმერთები", საზოგადოების არცერთ კლასს არ უნდა ეკუთვნოდნენ, რათა ყველა კლასისა და წოდების ინტერესები ერთნაირად გამოხატონ; მეხუთე, თუ სახელმწიფო ებრძვის ძალადობას და უფლებამოსილია ყოველგვარი ძალადობის მოსპობისათვის, მაშინ სოციალისტური წყობილების შექმნისათვის ბრძოლა და ზრუნვაც თვით სახელმწიფოს მოვალეობა ყოფილა.

აქედან გამომდინარეობს სახელმწიფოებრივი სოციალიზმის „თეორია", რაზედაც ახლა ბევრს გაჰყვირიან კაპიტალისტურ სამყაროში „ლეგალური მარქსისტების" მემკვიდრეები, ყველა ქვეყნის მემარჯვენე სოციალისტები.

პ. სტრუვე სახელმწიფოს ზეკლასობრიობის დასაბუთებისათვის გამოსავალს ეძებდა საზოგადოებაში რაღაც ზეკლასობრივი ინტელიგენციისა და მეცნიერების შექმნაში. მისი აზრით, ინტელიგენცია, ისე როგორც სახელმწიფო, ზეკლასობრივია; სწორედ ეს „ზეკლასობრივი ინტელიგენცია", რომელიც რაღაც საკაცობრიო იდეებით უნდა ხელმძღვანელობდეს, ჩაუდგება თურმე სათავეში სახელმწიფო ხელისუფლებას და „წარმართავს მას ყველასათვის სასურველი მიმართულებით".

პ. სტრუვეს ავიწყდებოდა, რომ ასეთივე ზეკლასობრივი გონების ბატონობის იდეალებით და საყოველთაო სამართლიანობის ლოზუნგით გამოდიოდნენ XVIII საუკუნეში ფრანგი

განმანათლებლები ფეოდალიზმის წინააღმდეგ თეორიულ ბრძოლაში. მაგრამ 1789 — 1793 წლების საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ გონების ბატონობა და საყოველთაო სამართლიანობა ბურჟუაზიის ბატონობა გამოდგა. „...გონების ეს სამეფო, — წერდა ფ. ენგელსი, — სხვა არა იყო რა, თუ არა ბურჟუაზიის გაიდეალებული სამეფო; რომ სამარადისო სამართლიანობამ თავისი განხორციელება ბურჟუაზიულ იუსტიციაში ჰპოვა; რომ თანასწორობა გადაიქცა ბურჟუაზიულ თანასწორობად კანონის წინაშე; რომ ბურჟუაზიული საკუთრება ერთ-ერთ ყველაზე არსებით ადამიანურ უფლებად იქნა გამოცხადებული“ [1].

ვ. ი. ლენინმა საქვეყნოდ გააშიშვლა კაპიტალიზმის აპოლოგეტთა ყალბი შეხედულებები და მეცნიერულად ახსნა სახელმწიფოს და ინტელიგენციის კლასობრივი არსი. მან ისტორიის ცოცხალი ფაქტებით ნათელყო, რომ სახელმწიფო წარმოიშვა იმის შემდეგ, როცა კერძო საკუთრების მქონებელ კლასს დასჭირდა საკუთრების დაცვა და მისი შემდგომი გაფართოება, როცა მას დასჭირდა დაჩაგრულ და უქონელ კლასებზე ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის იურიდიული დაკანონება. მან ნათელყო, რომ სახელმწიფო, სამართალი და მათი შესაფერისი პოლიტიკური შეხედულებები გაბატონებულ კლასებს ეკუთვნით და მით სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს.

ლენინმა მეცნიერულად დაამტკიცა, რომ **სახელმწიფოს მრავალრიცხოვანი იერარქია, მისი იურიდიული, მორალური და ზნეობრივი ფორმები ემსახურება იმ კლასის სასიცოცხლო ინტერესებს, რომელმაც შექმნა სახელმწიფო და რომელსაც სჭირდება იგი, როგორც კლასობრივი ბრძოლის იარაღი თავისი ბატონობის განმტკიცებისათვის. ბურჟუაზიული სახელმწიფოს მმართველნი მიდიან და მოდიან არა პირადი სურვილისა და მით უმეტეს ხალხთა სურვილის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი უკეთ გაატარებს ბურჟუაზიის კლასობრივ პოლიტიკას.**

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 22, 1952 წ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფოს სათავეში მდგომ მმართველთა პერიოდული შეცვლა გაპირობებულია იმპერიალისტების მიერ მშრომელთა ექსპლოატაციის, კოლონიების და დამოკიდებული ქვეყნების ძარცვა-გლეჯის, ახალი სისხლისმღვრელი ომების მომზადებისა და მაქსიმალური მოგების ინტერესებით.

მაგრამ ეს ხელს არ უშლის რევიზიონისტების — „ლეგალური მარქსისტების", „ეკონომისტების" და მენშევიკების მემკვიდრეებს, იმპერიალიზმის დამცველებს—მემარჯვენე სოციალისტებს, ეტლებს, ბივენებს, სარაგატებს, ჟიულმოკებსა და მათ თანამოაზრეებს ამტკიცონ ბურჟუაზიული სახელმწიფოს ზეკლასობრიობა და დემოკრატიულობა, რათა დაფარონ იმპერიალიზმის ხალხთმოძულეობის საზიზღარი პოლიტიკა.

„ლეგალური მარქსისტების" მიერ კაპიტალიზმის დაცვას და კაპიტალისტური წყობილების იდეალიზაციას არ შეეძლო დაეფარა სინამდვილე — მშრომელი მასების ბაღატაკების აღმაშფოთებელი ფაქტები. ამიტომ ისინი შეეცადნენ ხალხთა მასების პროლეტარიზაცია, სიღატაკისა და შიმშილის ფაქტები აეხსნათ ჭარბმოსახლეობის მალთუსიანური „თეორიით". პ. სტრუვე XVIII საუკუნის ინგლისელ ხუცეს-ეკონომისტის მალთუსის კვალდაკვალ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის სიღატაკე და გაჭირვება ვითომდა აიხსნებოდა მოსახლეობის საარსებო საშუალებათა რაღაც დისპროპორციით. მალთუსისა და მისი მოწაფეების — ბურჟუაზიული ეკონომისტების — თვალსაზრისით ადამიანთა გამრავლება ხდება გეომეტრიული პროგრესიით, საარსებო საშუალებათა ზრდა კი — მხოლოდ არითმეტიკული პროგრესიით. ისინი ასკვნიან, რომ ეს ე. წ. „შეუსაბამობა" არის თითქოს მიზეზი მშრომელთა მილიონიანი მასების უბედურებისა და გაჭირვებისა.

„ლეგალური მარქსისტები" და ყველა ქვეყნის რევიზიონისტები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ როგორმე დაეფარათ მშრომელთა ბაღატაკებისა და მათი საარსებო პირობების აბსოლუტური და შედარებითი გაუარესების მიზეზები,

რათა პროლეტარიატი და მისი მოკავშირე მშრომელი გლეხობა აეცდინათ რევოლუციური ბრძოლის გზიდან და ჩაეყენებინათ ისინი რეფორმისტულ კალაპოტში.

ვ. ი. ლენინმა გამოააშკარავა „ლეგალური მარქსისტებისა" და მათი საზღვარგარეთელი მასწავლებლების, რევიზიონისტების ნეომალთუსიანური იდეალისტური შეხედულებანი და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ **კაცობრიობის შიმშილიდან და სიღატაკიდან ხსნის ერთადერთი გზა კაპიტალისტური წყობილების დამხობისა და სოციალიზმის გამარჯვების გზაა.** მოსახლეობის ზრდა და მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ კაპიტალიზმის მოსპობით, როცა ხალხი გახდება თავისი თავის ბატონპატრონი.

აქედან ცხადია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის შეუპოვარ თეორიულ ბრძოლას 60-ოდე წლის წინათ „ლეგალური მარქსისტების", „ეკონომისტებისა" და მათი საზღვარგარეთელი მეგობრების — რევიზიონისტების წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინი ყველა ქვეყნის რევიზიონისტებთან იდეური ბრძოლის დროს მიუთითებდა, რომ კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა შემდგომ გამწვავებასთან ერთად გაძლიერდებოდა ბურჟუაზიის აპოლოგეტთა შემოტევა მარქსიზმის წინააღმდეგ.

ყველა კაპიტალისტური ქვეყნის თანამედროვე შემარჯვენე სოციალისტები, ყვითელი პროფკავშირების ხელმძღვანელები მართლაც რომ წარმოადგენენ ახლა იმ საკმაოდ მრავალრიცხოვან რაზმებს, რომლებიც წყალს უშვებენ იმპერიალიზმის წისქვილზე, რათა არ შეჩერდეს მომაკვდავი კაპიტალისტური სამყაროს დაძაბუნებული ბორბლის ტრიალი, რათა როგორმე შეფერხდეს დემოკრატიზმისა და სოციალიზმის ძლევამოსილი მოძრაობა, რომელიც წალეკვით ემუქრება საერთაშორისო იმპერიალიზმს.

* *
*

მარქსიზმისათვის განსაკუთრებით საშიში იყო „ეკონომიზმი", რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახე-

ვარში ჩამოყალიბდა რუსეთის მუშათა მოძრაობის შიგნით. ეს იყო შემთანხმებლური ოპორტუნისტული მიმდინარეობა მუშათა მოძრაობაში, რომლის გამარჯვებაც გამოიწვევდა პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობისათვის ძირის გამოთხრას, მარქსიზმის დამარცხებას.

ვ. ი. ლენინმა ჩანასახის ფორმაშივე გამოამზეურა ცალკეული „ეკონომისტების“ ოპორტუნისტული ბუნება.

ვ. ი. ლენინისა და მისი მოწაფეების შორეულ ციმბირში გადასახლების წინ, 1897 წლის 14 — 17 თებერვალს (ძველი სტილით), პეტერბურგში ჩატარდა „ბრძოლის კავშირის“ წარმომადგენელთა კრებები. კრებებზე აშკარად იჩინა თავი „ეკონომისტების“ ანტიმარქსისტულმა შეხედულებებმა. ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა „ეკონომისტების“ ოპორტუნისტული თვალსაზრისი და გადაჭრით მოითხოვა „ბრძოლის კავშირის“ განმტკიცება რევოლუციური მარქსიზმის საფუძველზე.

„ეკონომისტებმა“ ოპორტუნისტულ დეზორგანიზატორულ მუშაობაში განსაკუთრებით წარმატებას მიაღწიეს მას შემდეგ, როცა მათ მოახერხეს თავიანთი ბეჭდვითი ორგანოების — გაზეთ „რაბოჩაია მისლის“ რუსეთში და ჟურნალ „რაბოჩეე დელოს“ საზღვარგარეთ—დაარსება. „ეკონომისტების“ ერთმა ჯგუფმა ტახტაროვისა და ლოხოვის მეთაურობით 1897 წლის ოქტომბერში რუსეთში დააარსა გაზეთი „რაბოჩაია მისლი“. გაზეთის პირველ ნომრის მოწინავეში გადმოცემული იყო სამოქმედო პროგრამა ოპორტუნისტული მუშაობისათვის.

„ეკონომისტები“ გადაჭრით უარყოფდნენ კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკურ და თეორიულ ფორმებს და მთელი სიმძიმის ცენტრი გადაჰქონდათ ეკონომიური ბრძოლის ფორმაზე. ისინი მექანიკურად თიშავდნენ ერთმანეთისაგან კლასობრივი ბრძოლის ფორმებს და ასაბუთებდნენ, რომ თეორიული და პოლიტიკური ბრძოლის წარმოება ლიბერალური ბურჟუაზიის საქმეა, ეკონომიური ბრძოლისა კი — მუშებისო. ეს იყო მარქსიზმის „გაყალბება“, მისი სრული უარყოფა, მუშათა კლასის უპარტიოდ დატოვება, მისი ბედის ბურჟუაზიისათვის მინდობა. ამიტომ არ არის მართალი, როდესაც ზოგიერთი მკვლევარი

„ეკონომიზმს“ რაღაც „თავისთავად“ ეკონომიურ მიმდინარეობად აცხადებს. „ეკონომიზმი“ რუსეთის მუშათა მოძრაობაში წარმოადგენდა ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესების დამცველ, მუშათა მოძრაობის ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი დამორჩილებისათვის მებრძოლ პოლიტიკურ მიმდინარეობას.

„ეკონომისტების“ მოთხოვნას არ შეეძლო მუშების ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, რადგან მწარმოებლების მიერ ხელფასის მომატებასა და სამუშაო დღის შემცირებაზე უარისთქმის შემთხვევაში მუშათა კლასს ე. წ. განყენებული „ეკონომიური ბრძოლის თეორიის“ თანახმად შემდგომი მოქმედების გზა ჩაკეტილი ჰქონდა.

ვ. ი. ლენინი ამ დროისათვის მეფის მთავრობის მიერ ციმბირში იყო გადასახლებული. მაგრამ იგი იქიდანაც ახერხებდა რუსეთის მოწინავე მუშებთან კავშირის დამყარებას, რუსეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელობას. ვ. ი. ლენინს დიდად აწუხებდა რუსეთის მუშათა მოძრაობის ძირის გამომთხრელი და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დაქსაქსვისა და კუსტარულობის ხელის შემწყობი „ეკონომიზმის“ გაძლიერება. ვ. ი. ლენინი სოფ. შუშენსკოედან გადადიოდა მინუსინსკში, მინუსინსკიდან — ტესინსკოეში და ატარებდა საუბრებს გადასახლებულ სოციალ-დემოკრატებს შორის, აცნობდა მათ რუსეთის მუშათა მოძრაობაში შექმნილ ვითარებას და მოუწოდებდა „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

„ეკონომისტების“ ოპორტუნისტულ გავლენისაგან, რუსეთის მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის „ეკონომიზმის“ ყოველ ნაბიჯზე მხილებასთან ერთად, საჭირო იყო მუშებისათვის კონკრეტული დახმარების გაწევა მათი გაერთიანებისა და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის. საჭირო იყო რუსეთის პროლეტარიატში იმ შეგნების დანერგვა, რომ იგი წარმოადგენდა მსოფლიოს პროლეტარული არმიის ნაწილს, რომ მისი ბრძოლა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ასუსტებდა საერთო მტრის ძალებს და ხელს უწყობდა საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის განვითარებას. საჭირო იყო რუსეთის პროლეტარიატს და შექმნის პროცესში მყოფ მის პარტიას გაეგო, რომ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა კი არ

აახლოებდა და აკავშირებდა პროლეტარიატს ბურჟუაზიასთან, არამედ უპირისპირებდა მას და ამეღავნებდა იმ კლასობრივ ანტაგონიზმს, რომელიც სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა და ღრმავდებოდა.

„ეკონომისტები“ გაზეთ „რაბოჩაია მისლის“ ფურცლებზე უარყოფდნენ არა მარტო მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური და თეორიული ბრძოლის ფორმების გამოყენებას, არამედ პოლიტიკური და თეორიული ხასიათის აგიტაციასაც. ისინი ეკონომიური ბრძოლის პოლიტიკური ბრძოლისაგან მექანიკური გათიშვით და მარტო ეკონომიური ხასიათის აგიტაცია-პროპაგანდის წარმოების აღიარებით მიდიოდნენ კლასობრივი ბრძოლის თეორიის უარყოფამდე, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობის უარყოფამდე.

„ეკონომისტებს“ არ უნდოდათ გაეგოთ, რომ სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობაში ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის ფორმები განუყრელადაა დაკავშირებული ერთმანეთთან და მათი გამოყენება აუცილებელია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის განვითარებისათვის, კლასთა ბრძოლის უმაღლესი ფორმის — შეიარაღებული აჯანყების — მომზადებისათვის. „როგორც პირველი, ისე მეორე აგიტაცია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — აღვიძებს მუშათა შეგნებას, რაზმავს, წვრთნის, ზრდის მათ სოლიდარულად სამოქმედო და სოციალ-დემოკრატიული იდეალებისათვის საბრძოლველად და საშუალებას მისცემს მუშებს თავიანთი ძალღონე გამოსცადონ“ [1].

„ეკონომისტები“ სიტყვიერად არ უარყოფდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ე. წ. პროგრესული ძალების აზრის მომზადებას, რომლისთვისაც მხარი უნდა დაეჭირა მუშათა კლასსაც. მაგრამ ისინი რუსეთში ერთადერთ პროგრესულ ძალად აღიარებდნენ ბურჟუაზიას, რომლის ხელმძღვანელობითაც უნდა წარმართულიყო „რუსეთის მომავალი ისტორია“. „ეკონომისტები“ გადაჭრით უარყოფდნენ პროლეტარიატის დამოუკიდებლად გამოსვლას. ისინი უარყოფდნენ პროლეტარიატის ჰეგემონიას და

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 408.

აიგივებდნენ მათ წვრილ მწარმოებლებთან, ყველას ერთ დაფაზე ხატავდნენ როგორც მშრომელ ხალხს.

„ეკონომისტებს“ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა ესმოდათ არა როგორც პოლიტიკური ბატონობისათვის ბრძოლა, არამედ როგორც საზოგადოების ყველა უკმაყოფილო ელემენტის ბრძოლა რეფორმისათვის. მათ სურდათ პროლეტარიატის ბრძოლა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ისეთივე გაუბედავ და ბურჟუაზიისათვის მისაღებ ფორმებში წარმოებულიყო, როგორც ამას აკეთებდნენ რუსეთის ლიბერალები ცარიზმთან ე. წ. ბრძოლაში. ლიბერალური ოპოზიციის შუამდგომლობა ცარიზმის წინაშე მთავრობაში მოხელეების დანიშვნის მოთხოვნას არ სცილდებოდა. ამ წასუფრალზეც ლიბერალები ხშირად უარყოფით პასუხს ღებულობდნენ, მაგრამ ისინი ლაჩრულად იტანდნენ არა მარტო ამას, არამედ პოლიციის მიერ „დევნას და რეპრესიებსაც“.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ვიდრე რუსეთში ცარიზმი არსებობდა, რომელიც მფარველობდა მემამულეებსა და ბურჟუაზიას, სოციალიზმისაკენ გზის გასაკაფავად პროლეტარიატის უახლოესი ამოცანა იყო მეფის ხელისუფლების დამხობა და ქვეყნის დემოკრატიზაცია. პროლეტარიატი ამ ბრძოლაში უნდა გამოსულიყო (და გამოვიდა კიდეც) როგორც დამოუკიდებელი რევოლუციური კლასი, როგორც ჰეგემონი, ყველა მშრომელი და ჩაგრული მასების დამრაზმველი.

„მარტო პროლეტარიატს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეუძლია იყოს... ბოლომდე თანამიმდევარი დემოკრატი, აბსოლუტიზმის მედგარი მტერი, რომელმაც არ იცის არავითარი დათმობა, არავითარი კომპრომისი. მარტო პროლეტარიატს შეუძლია იყოს **მოწინავე მებრძოლი** პოლიტიკური თავისუფლებისათვის და დემოკრატიულ დაწესებულებათათვის, ვინაიდან, ჯერერთი, პროლეტარიატი ყველაზე უფრო ძლიერ განიცდის პოლიტიკურ ჩაგვრას,... მეორე, მხოლოდ პროლეტარიატს აქვს უნარი **ბოლომდე** მიიყვანოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილების დემოკრატიზაცია, ვინაიდან ასეთი დემოკრატიზაცია ამ წყობილებას მუშებს ჩაუგდებდა ხელში. ამიტომაც მუშათა კლასის დემოკრატიული მოღვაწეობის **შეერთება** და-

ნარჩენი კლასებისა და ჯგუფების დემოკრატიზმთან... შეასუსტებდა პოლიტიკურ ბრძოლას“ [1].

ვ. ი. ლენინი, ააშკარავებდა რა „ეკონომისტების“ ოპორტუნისტულ ბუნებას, გადაჭრით მოითხოვდა რუსეთში შექმნილი ვითარების ობიექტურ შეფასებას და მეცნიერულად განსაზღვრავდა, რომ მხოლოდ მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთებით შეიძლებოდა გადაქცეულიყო მუშათა ტრედ-უნიონისტური მოძრაობა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობად. მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთება შეეძლო ცენტრალიზებულ მარქსისტულ პარტიას, რომელიც, როგორც პროლეტარიატის მოწინავე რაზმი, გამოვიდოდა თავისი დამოუკიდებელი სამოქმედო პროგრამით და პროლეტარული პარტიის ორგანიზაციული წყობის წესდებით.

„მაშ, ხელი მივყოთ მუშაობას, ამხანაგებო! ნუ დავკარგავთ ძვირფას დროს! — წერდა ვ. ი. ლენინი, — რუს სოციალ-დემოკრატებს ბევრი საქმე აქვთ შესასრულებელი ახლად გამოღვიძებული პროლეტარიატის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მუშათა მოძრაობის მოსაწყობად, რევოლუციური ჯგუფებისა და მათი ურთიერთკავშირის განსამტკიცებლად, პროპაგანდისტული და სააგიტაციო ლიტერატურით მუშების მოსამარაგებლად, მთელ რუსეთში გაფანტული მუშათა წრეების და სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების გასაერთიანებლად ერთიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად“ [2].

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ ნაროდნიკებისა და „ლეგალური მარქსისტების“ წინააღმდეგ თეორიული ბრძოლის დროს უდიდეს პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ჯგუფების გასაერთიანებლად. ამ მიზანს ისახავდა, როგორც აღვნიშნეთ, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით დაარსებული „ბრძოლის კავშირი“, რომელმაც სერიოზული როლი შეასრულა მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის ისტორიაში.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 413.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 427.

ვ. ი. ლენინის მითითებით, სერიოზული მუშაობა ჩაატარა ნ. კ. კრუპსკაიამ 1896 — 1897 წლებში. 1896 წლის ივლისში პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის“ დავალებით ნ. კ. კრუპსკაია გაიგზავნა პოლტავაში პირველი ყრილობის მოწვევის საკითხზე გამართულ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების თათბირზე. თათბირმა ნ. კ. კრუპსკაიას წინადადებით მიიღო გადაწყვეტილება რსდმპ პირველი ყრილობის მოწვევისა და არალეგალური პოლიტიკური ორგანოს დაარსების შესახებ.

პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის“ შემდეგ რსდმპ პირველი ყრილობის მოწვევისათვის მუშაობა დაიწყო მოსკოვის „ბრძოლის კავშირმა“, მაგრამ იგი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან არ იყო პრაქტიკულად დაკავშირებული. ამას დაემატა 1896 წლის ზაფხულში მისი დარბევა მეფის ოხრანკის მიერ, რის გამოც მის მუშაობას რსდმპ I ყრილობის მოწვევისათვის დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

1897 წლის დასაწყისში საზღვარგარეთ, შვეიცარიის ქალაქ ციურიხში, რსდმპ I ყრილობის მოწვევის საკითხი განიხილა პეტერბურგის, ვილნიუსისა და კიევის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირმა. თათბირმა გამოთქვა აზრი უახლოეს დროში პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ, მაგრამ მას პრაქტიკული ნაბიჯი არ მოყოლია.

ბოლოს, ყრილობის მოწვევის ინიციატივა იკისრა კიევის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ, რომელმაც სერიოზული მუშაობა ჩაატარა რუსეთის ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან და კავშირებთან და 1897 წლის მარტის შუა რიცხვებისათვის დანიშნა ქ. კიევში რსდმპ I ყრილობის შეკრება. მაგრამ ადგილზე 17 (29) მარტს გამოცხადდნენ მხოლოდ პოლონეთის, პეტერბურგისა და კიევის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები (სულ 3 დელეგატი), რომელთაც თავი კონფერენციად გამოაცხადეს. კონფერენციამ შეიმუშავა ყრილობის მოწვევის პრაქტიკული გეგმა და მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პოლიტიკური ორგანოს „რაბოჩაია გაზეტას“ დაარსების შესახებ. კონფერენციის მიერ გამოყოფილი პირების—ეიდელმანისა და ტუჩაპსკის—მეთაურო-

ბით გამოვიდა „რაბოჩაია გაზეტას“ ორი ნომერი — 1897 წლის აგვისტოსა და დეკემბერში.

რსდმ პარტიის I ყრილობა შეიკრიბა 1898 წლის I (14) მარტს ბელორუსიაში, ქ. მინსკში, პარტიული მუშაობის უაღრესად დაძაბულ პირობებში, როცა ვ. ი. ლენინი და მისი უახლოესი თანამებრძოლნი გადასახლებაში იყვნენ, როცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს ღრღნიდა „ეკონომისტების“ ვიწრო პრაქტიციზმი და კუსტარულობა. რსდმ პარტიის I ყრილობას არ ჰქონდა პარტიის სამოქმედო პროგრამა და წესდება. ამიტომ ნამდვილი პარტიის შექმნისათვის იგი მოუმზადებელი აღმოჩნდა. ყრილობას დაესწრო 9 დელეგატი— პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის ორგანიზაციებისა და ბუნდის წარმომადგენლები. ყრილობამ თავის მანიფესტში თუმცა აღიარა პარტიის შექმნა, მაგრამ იგი ფაქტიურად არ შექმნილა და არც შეიძლებოდა შექმნილიყო იმ პირობებში. ყრილობამ დაამტკიცა „რაბოჩაია გაზეტა“ პარტიის ცენტრალურ ორგანოდ და მის რედაქტორად გადასახლებაში მყოფი ვ. ი. ლენინი აირჩია.

ყრილობის მიერ არჩეული პარტიის ცენტრალური კომიტეტი მეორე დღესვე დააპატიმრეს.

რსდმპ I ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მანიფესტში პარტიის შექმნის აღიარებას მხოლოდ ფორმალური აქტის მნიშვნელობა ჰქონდა. მან თვალსაჩინო პროპაგანდისტული, რევოლუციური როლი ითამაშა მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის ისტორიაში.

რსდმპ I ყრილობაზე არჩეულმა „რაბოჩაია გაზეტას“ სარედაქციო კოლეგიამ 1899 წლის დამდეგს სცადა გაზეთის აღდგენა და დაიწყო მიმოწერა გადასახლებაში მყოფ ვ. ი. ლენინთან, რათა მას ეკისრა რედაქტორობა, ან უახლოესი თანამშრომლობა. ლენინმა მოსწერა, რომ იგი გაზეთში ითანამშრომლებდა პირობებისა და გაზეთის პოლიტიკური მიწამსის გაგების შემდეგ. ვ. ი. ლენინმა „რაბოჩაია გაზეტასათვის“ მართლაც დაწერა სამი სტატია — „ჩვენი პროგრამა“, „ჩვენი უახლოესი ამოცანა“ და „საარსებო საკითხი“ — და გაუგზავნა რედაქციას,

მაგრამ გაზეთის აღდგენა არ მოხერხდა და სტატიები დაუბეჭ-დავი დარჩა.

ვ. ი. ლენინმა აღნიშნულ სტატიებში მოგვცა „ლეგალური მარქსისტებისა“ და „ეკონომისტების“ გამანადგურებელი კრიტიკა და ნათლად დახატა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში I ყრილობის შემდეგ შექმნილი მდგომარეობის სურათი. ამასთანავე მან გენიალურად მიუთითა პარტიული კრიზისიდან გამოსავალზე და იმ ძირითად რგოლზე, რომელსაც უნდა ამოეწია მთელი ჯაჭვი ახალი ტიპის პარტიის შექმნის გზაზე.

პარტიული კრიზისის დაძლევისათვის რთული ბრძოლის ჯაჭვში ვ. ი. ლენინს ძირითად რგოლად მიაჩნდა რუსეთის ერთიანი პოლიტიკური გაზეთის დაარსება.

მაგრამ ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების გადასახლებაში ყოფნის გამო „ეკონომისტები“ თანდათან იკავებდნენ გაბატონებულ მდგომარეობას რუსეთის მუშათა მოძრაობაში. „რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირიც“, რომელიც 1894 წელს „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის ინიციატივით. დაარსდა ქ. ჟენევაში, ოპორტუნისტული გახდა და მთლიანად „ეკონომიზმის“ პოზიციებზე დადგა. 1898 წლის ნოემბერში „კავშირის“ ყრილობაზე იმდენად აშკარა გახდა „კავშირის“ წევრთა უმრავლესობის ოპორტუნისტული შეხედულებები, რომ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა უარი განაცხადა „კავშირთან“ შემდგომ ურთიერთობაზე. „რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთულმა კავშირმა“ 1899 წლის აპრილში დააარსა ჟურნალი „რაბოჩეე დელო“. იგი მარტინოვის, კრიჩევსკის, ივანშჩინისა და აკიმოვის მეთაურობით ავრცელებდა „ეკონომიზმის“ მსოფლმხედველობას შელამაზებულ ფორმებში.

„რაბოჩეედელოელები“ მართალია სიტყვით არ უარყოფდნენ პოლიტიკურ ბრძოლას, მაგრამ საქმით ასეთ ბრძოლას შორეული მომავლის საქმედ მიიჩნევდნენ და ამით მუშათა მოძრაობას მხოლოდ ეკონომიურ ხასიათს აძლევდნენ. „რაბოჩეე დელოს“ რედაქტორები თვალთმაქცურად ამტკიცებდნენ, რომ პოლიტიკური ბრძოლა შეიძლება დაგვჭირდეს მუშათა მოძრაო-

ბის შემდეგ პერიოდშიო. „ეკონომისტებმა“ „რაბოჩეე დელოს“ პირველი ნომრის მოწინავეში წამოაყენეს ე. წ. „სტადიების თეორია“, რომლის მიხედვითაც კლასობრივი ბრძოლის ფორმები რაღაც სტადიებად იყოფოდა — ჯერ ეკონომიური, შემდეგ პოლიტიკური და სხვ., რომ ამ სტადიებისათვის „მუშების თვითმომზადებას“ თითქოს სჭირდებოდა ათეული წლები. ეს იყო „ეკონომისტების“ პოლიტიკური მანევრი მუშათა კლასის მოსატყუებლად.

„რაბოჩეე დელოს“ ჯგუფს პოლიტიკური ბრძოლა ესმოდა არა როგორც პროლეტარიატის ძალაუფლებისათვის ბრძოლა, არამედ როგორც რეფორმისტული, ტრედ-უნიონისტური ბრძოლა, რომელიც არსებული წყობილების ფარგლებს არ გასცდებოდა.

„რაბოჩეე დელოს“ რედაქციის წევრები თავიანთ თავს „ეკონომისტებად“ არ თვლიდნენ და გაზეთ „რაბოჩაია მისლის“ რედაქტორებს ზოგიერთ წვრილმანში კიდეც „აკრიტიკებდნენ“. „რაბოჩეედელოელების“ მიერ „რაბოჩაია მისლის“ რედაქტორთა ე. წ. კრიტიკა მიზნად ისახავდა დაეფარათ თავიანთი კავშირი რევიზიონისტებთან და მოეპოვებინათ ნდობა მუშათა ფართო მასებში.

ვ. ი. ლენინს „ეკონომისტების“ ყველა მიმდინარეობათა შორის „რაბოჩეე დელოს“ ჯგუფი ყველაზე საშიშ მიმდინარეობად მიაჩნდა და დაუნდობლად ხდიდა ნიღაბს, საქვეყნოდ ამხელდა მის ოპორტუნისტულ შეხედულებებს. მან საყოველთაოდ ცხადყო „რაბოჩეე დელოს“ ოპორტუნისტული ჯგუფის შეხედულებათა ერთიანობა „რაბოჩაია მისლის“ ჯგუფის შეხედულებებთან. ამ ერთიანობის დასამტკიცებლად ისიც კმარადა, რომ ორივე ჯგუფი - წინააღმდეგი იყო პროლეტარიატის ერთიანი რევოლუციური პარტიის შექმნისა, ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლისა, მომხრე იყო ლიბერალურ ბურჟუაზიასთან პოლიტიკური კავშირისა. „რაბოჩაია მისლის“ და „რაბოჩეე დელოს“ პროგრამა მიზნად ისახავდა მუშათა კლასის „განუვითარებლობასა და დაქსაქსულობას“ და მის გადაქცევას ლიბერალიზმის მაჩანჩალად.

1899 წელს „ეკონომისტების“ ერთმა ჯგუფმა პროკოპოვიჩისა და კურსკოვას მეთაურობით შეადგინა „ეკონომიზმის“ საპროგრამო წერილი, რომელიც ისტორიაში „კრედოს“ სახელით არის ცნობილი. „კრედო“ წარმოადგენდა „ეკონომისტების“ რეაქციულ შეხედულებათა გადმოცემას მანიფესტის სახით.

„კრედოს“ ავტორები ამტკიცებდნენ, რომ დასავლეთ ევროპაში გავრცელებული მარქსიზმი რუსეთში არ შეიძლება გადმონერგილ იქნას „მისი პრიმიტიული შეურიგებელი ხასიათითო“; მარქსიზმმა ადგილი უნდა დაუთმოს რუსეთში „პროგრესულ ლიბერალურ შეხედულებებსო“. „შეურიგებელი... პრიმიტიული მარქსიზმი, — ნათქვამი იყო „კრედოში“, — ...ადგილს დაუთმობს დემოკრატიულ მარქსიზმს, და პარტიის... ამოცანები გაფართოვდება საზოგადოებრივ ამოცანებამდე და მისი მისწრაფება ხელისუფლების დაპყრობისადმი გარდაიქმნება მისწრაფებად... მოახდინოს მისი რეფორმირება დემოკრატიული მიმართულებით“ [1].

„ეკონომისტების“ მოთხოვნით, რუსეთის პროლეტარიატს ხელი უნდა აეღო მარქსიზმზე და მიეღო ბრძოლის ის ფორმები, რომლებსაც ლიბერალური ბურჟუაზია უკარნახებდა. ისინი თავიანთ საპროგრამო წერილის დასკვნითს ნაწილში ერთგვარი მუქარითაც კი გამოდიოდნენ რუსეთის მარქსისტების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ, რომ ხელი აეღოთ პროლეტარიატის იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობაზე. „რუს მარქსისტს, — მიუთითებდნენ „კრედოს“ ავტორები, — ერთი გამოსავალი აქვს: მონაწილეობა მიიღოს პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლაში, ე. ი. დაეხმაროს მას ამ ბრძოლაში და მონაწილეობა მიიღოს ლიბერალურ-ოპოზიციურ მოღვაწეობაში... რუსი მარქსისტ-ინტელიგენტის პოლიტიკურ გულუბრყვილობას, რომელიც ეფარება პოლიტიკურ თემებზე განყენებულ მსჯელობებს, შეუძლია მას ცუდი საქმე დამართოს“ [2].

---

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 203.

[2] იქვე, გვ. 205 — 206.

1899 წლის აგვისტოში ვ. ი. ლენინმა მიიღო პეტერბურგიდან „ეკონომისტების“ საპროგრამო წერილი — „კრედო“. მან სასწრაფოდ მოიწვია გადასახლებულ სოციალ-დემოკრატების კრება სოფ. ერმაკოვსკოეში. კრებას ესწრებოდა 17 ამხანაგი, რომელთაც ვ. ი. ლენინმა გააცნო „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ მის მიერ შედგენილი მამხილებელი საბრალმდებლო განაჩენი. აქედან მიიღო ამ ისტორიულმა დოკუმენტმა „17-ის პროტესტის“ სახელწოდება. ვ. ი. ლენინმა „17-ის პროტესტში“ საკვეყნოდ ახადა ნიღაბი „ეკონომისტებს“, გამოამჟღავნა „კრედოში“ მოცემულ ბურჟუაზიულ შეხედულებათა პოლიტიკური არსი.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის ფორმების ერთმანეთისაგან მექანიკური გათიშვის საშიშროება. მან დაამტკიცა, რომ პოლიტიკის გაზვიადება იყო შეთქმულება, ბლანკიზმი, ხალხთა მასების რევოლუციური შემოქმედებითი ინიციატივის უარყოფა, ხოლო ეკონომიური ბრძოლის ფორმების გაზვიადება და პოლიტიკის შეზღუდვა წარმოადგენდა ანარქიულ, წვრილბურჟუაზიულ რეფორმისტულ „სოციალიზმს“ და რევოლუციური მარქსიზმის უარყოფას, თეორიის, ბელადების, პარტიების ხელმძღვანელი როლის დავიწყებას.

„რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი“ დაეგზავნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის თითქმის ყველა ორგანიზაციას და კომიტეტს. მან უდიდესი როლი შეასრულა მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის ისტორიაში.

„ეკონომიზმთან“ შემარიგებელი პოზიცია ეკავა კიევის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტს, რომელმაც 1899 წლის სექტემბერში შეადგინა საპროგრამო წერილი „Profession de foi“. ეს წერილი ხელნაწერის სახით გავრცელდა რუსეთის ზოგიერთ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, ერთმა ეგზემპლარმა გადასახლებაში მყოფ ვ. ი. ლენინამდე მიაღწია. ამ დოკუმენტის საწინააღმდეგოდ ლენინმა დაწერა კრიტიკული წერილი „Profession de foi“-ს გამო“, სადაც მან ამხილა კიევის კომიტეტის ოპორტუნიზმთან შემთანხმებლური პოლიტიკა.

კიევის კომიტეტი თავის პროგრამულ წერილში, „რაბოჩეე დელოს“ ავტორთა მსგავსად, სიტყვით არ უარყოფდა პოლიტიკურ აგიტაციას, მაგრამ მას უკეთებდა ოპორტუნისტულ შენიშვნას, რომ იგი გადადებულიყო მუშათა მოძრაობის შორეული მომავლისათვის რუსეთის პროლეტარიატის ვითომდა „მოუმზადებლობის გამო“. ჩვენ ჯერჯერობით მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, — ნათქვამია კიევის კომიტეტის წერილში, — მოვუწოდოთ „მუშათა მასას პოლიტიკური მოქმედებისაკენ“, რადგან რუსეთის მუშათა კლასი „ჯერ კიდევ არ მომწიფებულა პოლიტიკური ბრძოლისათვის“.

კიევის კომიტეტს არ უნდოდა გაეგო, რომ პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლისათვის მომზადება ხდება არა სტიქიურად, არამედ სოციალიზმის პრაქტიკულად დაკავშირებით მუშათა მოძრაობასთან, მუშათა მოძრაობაში სოციალ-დემოკრატიის მიერ გარედან სოციალისტური შეგნების შეტანით. მან ვერ გაიგო, რომ „სოციალ-დემოკრატია პოლიტიკური ბრძოლის გარეშე — ესაა უწყლო მდინარე, ესაა რაღაც ალმაშფოთებელი წინააღმდეგობა, ესაა რაღაც დაბრუნება ან „პოლიტიკის“ უგულებელმყოფელი ჩვენი შორეული წინაპრების უტოპიური სოციალიზმისაკენ, ან ანარქიზმისაკენ, ან ტრედ-უნიონიზმისაკენ“ [1].

„ეკონომისტები“ და მათი თანამოაზრენი განზრახ თვალს ხუჭავდნენ სინამდვილის წინაშე და არ სურდათ გაეგოთ, რომ მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლისაგან მოწყვეტა, მისი რაღაც თვითკმარი ეკონომიური მოძრაობით დაკმაყოფილება წარმოადგენს არა სოციალისტურ, არამედ ტრედ-უნიონისტურ მოძრაობას, რომელიც სასარგებლოა ბურჟუაზიისათვის. ამიტომ ცდილობდნენ (და ცდილობენ დღესაც კაპიტალისტურ სამყაროში) ბურჟუაზია და მისი აპოლოგეტები პროლეტარიატის აცდენას პოლიტიკური ბრძოლის გზიდან და მის გადაყვანას ტრედ-უნიონისტური ეკონომიური მოძრაობის გზაზე.

„ლეგალური მარქსიზმისა“ და „ეკონომიზმის“ ნაირსახეობას წარმოადგენდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 348.

ორგანიზაციის წვრილბურჟუაზიული ზედაფენა, რომელსაც ოპორტუნისტი ნ. ჟორდანია ედგა სათავეში. მარქსიზმის ყოვლისმომცველმა განმათავისუფლებელმა იდეებმა კავკასიის მაღალი მთების მწვერვალებიც გადმოლახა და საქართველოშიც შემოიჭრა. რუსეთიდან გადმოსახლებული სოციალ-დემოკრატების უშუალო გავლენით და საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის მონაწილეობით 1893—1894 წლებში ჩამოყალიბდა მარქსისტული წრეები საქართველოში. 1893 წელს ე. ნინოშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა ინტელიგენტთა პირველი მარქსისტული წრე, რომელიც შემდგომ „მესამე დასის“ სახელით შევიდა ისტორიაში. მისი მემარჯვენე ფრთა ჟორდანიას ხელმძღვანელობით თავიდანვე ოპორტუნისტულ თვალსაზრისზე იდგა.

„მესამე დასის“ ოპორტუნისტული ნაწილი განიცდიდა ბერნშტეინელობის, რუსეთის „ლეგალური მარქსიზმისა“ და „ეკონომიზმის“ გავლენას. მაგრამ საქართველოს მუშათა მოძრაობაში ოპორტუნისტული მიმდინარეობის ჩამოყალიბება მარტო საზღვარგარეთისა და რუსეთის ოპორტუნიზმის გავლენით არ აიხსნება. საქართველოს მუშათა მოძრაობაში ოპორტუნისტული მიმდინარეობის ჩამოყალიბებას იმდროინდელი საქართველოსათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მიზეზებიც ჰქონდა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველო რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ უაღრესად ჩამორჩენილ მხარეს წარმოადგენდა, სადაც წვრილი გლეხური მოსახლეობა სჭარბობდა. თუმცა 90-იანი წლებიდან რუსეთის კაპიტალიზმის გავლენით საქართველოშიც მოიკიდა ფეხი კაპიტალისტურმა მეურნეობამ, მაგრამ საქართველოს ხალხი იმ დროს „უფრო მეტად იტანჯებოდა კაპიტალიზმის განუვითარებლობით, ვიდრე მისი განვითარებით“. ამიტომ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარება ერთგვარ „ოცნებად“ გადაიქცა არა მარტო ბურჟუაზიული ინტელიგენციისათვის, არამედ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციისათვისაც. ამას ემატებოდა ისიც, რომ საქართველოს ხალხი ორმაგ, სოციალურ და ნაციონალურ, ჩაგვრას განიცდიდა.

შექმნილი მდგომარეობით სარგებლობდა ადგილობრივი ბურჟუაზიული ინტელიგენცია და წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციასთან ერთად ნაციონალისტური დროშით გამოდიოდა.

ამრიგად, საქართველოში ნ. ჟორდანიას ოპორტუნისტული ჯგუფი მუშათა მოძრაობის შიგნითა და ბურჟუაზიის აშკარა იდეოლოგები — გ. წერეთელი და მისი მომხრეები — მუშათა მოძრაობის გარეთ, გამოდიოდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მსოფლმხედველობის დაცვის დროშით.

ნ. ჟორდანიამ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შეხედულებები გამოხატა ჯერ კიდევ 1893 წლის 8 იანვარს ქ. ზესტაფონში გამართულ კრებაზე, სადაც მან წაიკითხა თავისი წერილი — „საქართველოს ნაციონალურ-დემოკრატიული პროგრამა". ამ კრების მონაწილენი — მ. ცხაკაია და ფ. მახარაძე — თავიანთ მოგონებებში მიუთითებდნენ ნ. ჟორდანიას წერილის „წმინდა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ" ხასიათზე.

1893 წლის იანვრის დამლევს ქ. თბილისში მ. ცხაკაიას ბინაზე მოწყობილ კრებაზე ნ. ჟორდანია კვლავ გამოვიდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შინაარსის პროგრამული წერილით „რა ვაკეთოთ?", რომელიც გამოქვეყნდა 1894 წლის გაზაფხულზე ჟურნალ „მოამბეში" შეცვლილი სათაურით — „ეკონომიური წარმატება და ეროვნება".

„მესამე დასის" მემარჯვენე ფრთა ნ. ჟორდანიას მეთაურობით ცდილობდა მარქსიზმის გამოყენებას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტერესებისათვის. იგი 1897 წლამდე ძირითადად თანამშრომლობდა ბურჟუაზიული იდეოლოგის, „მეორე დასის" მეთაურის გ. წერეთელის ლეგალურ ჟურნალ „კვალში". 1897 წელს „კვალი" ნ. ჟორდანიას ჯგუფის ხელში გადავიდა.

„მესამე დასის" ოპორტუნისტული ჯგუფი რუსეთის „ლეგალური მარქსისტებისა" და „ეკონომისტების" მსგავსად უარყოფდა მარქსიზმში მთავარს — მოძღვრებას პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. თუმცა იგი, რუსეთის „ლეგალური მარქსისტებისაგან" განსხვავებით, „ეკონომისტების" კვალდაკვალ აღიარებდა კლასობრივ ბრძოლას, მაგრამ უარყოფდა მუშათა კლასის მიერ პოლიტიკუ-

რი და თეორიული ბრძოლის ფორმების გამოყენებას. მისი ოპორტუნისტული თვალსაზრისი ეკონომიური ბრძოლის ჩარჩოებს არ სცილდებოდა. ამიტომ ამ ჯგუფის მსოფლმხედველობა კლასობრივი ბრძოლის გაგების საკითხში, რუსეთის „ეკონომისტების" მსგავსად, არასოდეს არ მისულა პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის არსის გაგებამდე.

რუსეთის „ლეგალური მარქსისტები", „ეკონომისტები", სოციალისტ-რევოლუციონერები", ბუნდელები, „მესამე დასის" ოპორტუნისტული ნაწილი და მათი თანამოაზრეები წარმოადგენდნენ ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესების დამცველთა ერთი ბანაკის სხვადასხვა რგოლებს, რომლებიც რევოლუციის გარეშე ოცნებობდნენ ბურჟუაზიულ წყობილებაზე. ამის გამო ისინი არ წარმოადგენდნენ მეფის თვითმპყრობელობისათვის საშიშროებას.

ამიტომ შეცდომაა ის, როცა ზოგიერთი მკვლევარი „ლეგალურ მარქსისტებს", „ეკონომისტებს" და შემდეგ მენშევიკებს მეფის თვითმპყრობელობის დამხობის მომხრეებად გვიხატავს. რუსეთში მეფის თვითმპყრობელობის დამხობა მხოლოდ პროლეტარიატის ჰეგემონიით შეიძლებოდა, რომელსაც შეეძლო გაეყოლებინა (და გაიყოლა კიდეც) მრავალტანჯული გლეხობა **ცარიზმის დასამხობად და დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად.** „ლეგალური მარქსისტები", „ეკონომისტები", ბუნდელები „სოციალისტ-რევოლუციონერები" და შემდეგ მენშევიკები **არა მარტო უარყოფდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიას, არამედ ობიექტურად მეფის თვითმპყრობელობის რევოლუციური დამხობის მოწინააღმდეგენიც იყვნენ.**

ვ. ი. ლენინი, აწარმოებდა რა პრინციპულ იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლას „ლეგალური მარქსიზმის", „ეკონომიზმისა" და მათ თანამოაზრეთა წინააღმდეგ, წინასწარ მიუთითებდა მათი ერთიანობის არსზე, მათ გადაგვარებაზე და კონტრრევოლუციის ბანაკში მათი გადასვლის შესაძლებლობაზე.

ლენინის ეს განსაზღვრა ისტორიამ გაამართლა. რუსეთის „ლეგალური მარქსისტების" ლიდერებმა 1905 წელს შექმნეს

ბურჟუაზიული კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია. ისინი ცდილობდნენ 1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შეჩერებას. ხოლო „ეკონომისტებმა“ და მათმა მეგობარმა ქართველმა ოპორტუნისტებმა (შემდგომში მენშევიკებმა) რევოლუციის საწინააღმდეგოდ მოითხოვეს კადეტურ ბურჟუაზიასთან საქმიანი ბლოკის შექმნა. 1917 წელს პროლეტარული რევოლუციის მომზადების დროს ყველა ისინი კონტრრევოლუციის მედროშენი გახდნენ; უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში ყოფილი „ლეგალური მარქსისტები“ პირწავარდნილ თეთრგვარდიელებად გადაიქცნენ, ნ. ჟორდანიას ოპორტუნისტული ჯგუფის წევრები და რუსეთის „ეკონომისტები“ (შემდგომში მენშევიკები) კი თეთრგვარდიელთა სამსახურში ჩადგნენ და გააფთრებით იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, თუ რა მოჰყვებოდა საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული სახესხვაობის „ლეგალური მარქსისტების“, „ეკონომისტების“, ბუნდელების, „სოციალისტ-რევოლუციონერებისა“ და მათი თანამოაზრეების გამარჯვებას მუშათა მოძრაობაში, **რომ გენიალურ ლენინს თავის თავზე არ აეღო მათი იდეური განადგურება და რუსეთის პროლეტარიატი არ გამოეყვანა საბრძოლო მოქმედების ნათელ გზაზე.**

გადასახლებაში ყოფნის დროს ვ. ი. ლენინი „ლეგალური მარქსისტებისა“ და „ეკონომისტების“ წინააღმდეგ პრინციპული თეორიული ბრძოლის პარალელურად აწარმოებდა მიმოწერას რუსეთისა და საზღვარგარეთის მარქსისტული ორგანიზაციების, ჯგუფებისა და წრეების ხელმძღვანელებთან იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდი იყო მსოფლიო ოპორტუნიზმისა და რუსეთში მის სახესხვაობათა განვითარებისა და გამარჯვების საშიშროება მუშათა მოძრაობისათვის.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად განსაზღვრა, რომ რუსეთში ოპორტუნისტების საბოლოო იდეური განადგურება, მათი საზღვარგარეთელ მასწავლებელთა იდეური გაშიშვლება, რუსეთის მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთება, ახალი ტიპის

პარტიის შექმნისათვის პირობების მომწადება შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსებით.

„მხოლოდ პარტიის საერთო ორგანოს შექმნას, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეუძლია მისცეს რევოლუციური საქმის ყოველ „ცალკეულ მუშაკს“ იმის შეგნება, რომ ის მიდის „რიგსა და მწკრივში“, რომ მისი მუშაობა უშუალოდ საჭიროა პარტიისათვის, რომ ის არის იმ ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი, რომელიც ბოლოს მოუღებს რუსეთის პროლეტარიატის და მთელი რუსი ხალხის უბოროტეს მტერს — რუსეთის თვითმპყრობელურ მთავრობას“ [1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 268.

თავი მეოთხე

ლენინური გაზეთ „ისკრას“ გამოსვლა. მარქსისტული პარტიის აგების ლენინური გეგმა

მარქსიზმის კლასიკოსებმა თეორიულად დაასაბუთეს, ხოლო კაცობრიობის ისტორიამ პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ ყოველი დიდი საზოგადოებრივი საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამისათვის სათანადო პირობებია მომზადებული. მარქსიზმის წარმოშობა გაპირობებული იყო ახალი საზოგადოებრივი კლასის — პროლეტარიატის წარმოშობით. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გენიალურად შეიმუშავეს ამ კლასის მსოფლმხედველობა და ისტორიის შემოქმედ მშრომელ ხალხს პირველად მისცეს ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან განთავისუფლების იდეური იარაღი. მაგრამ მათი მოღვაწეობის პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული პირობები პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პრაქტიკული გამარჯვებისათვის. ამიტომ იმ დროს არც ახალი ტიპის პარტიის შექმნის ამოცანა იდგა დღის წესრიგში.

ახალი ტიპის პარტიის შექმნის საკითხი დღის წესრიგში დადგა მხოლოდ იმპერიალიზმის ეპოქაში და სწორედ რუსეთში, რომელიც ფეხმძიმედ იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით და წარმოადგენდა იმპერიალიზმის ფრონტის სუსტ ადგილს. ამავე დროს მეფის რუსეთში არსებობდა რეალური ძალა—რუსეთის პროლეტარიატი—რომელსაც შეეძლო იერიშზე წაეყვანა მშრომელი ხალხი იმპერიალიზმის ფრონტის გასარღვევად.

ამ უდიდესი ისტორიული ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო იყო II ინტერნაციონალის სოციალური რეფორმისტული

პარტიების საწინააღმდეგო — სოციალური რევოლუციის პარტია, რომელსაც უნარი ექნებოდა სწორად წარემართა პროლეტარიატისა და მისი მოკავშირე გლეხობის ბრძოლა და მიეყვანა იგი გამარჯვებამდე.

რუსეთში პროლეტარული პარტია იქმნებოდა ახალ ისტორიულ ვითარებაში, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდებოდა II ინტერნაციონალის პარტიების ჩამოყალიბების ისტორიული პირობებისაგან.

II ინტერნაციონალის პარტიები ჩამოყალიბდნენ უმთავრესად სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდში, კაპიტალიზმის ცოტად თუ ბევრად მშვიდობიანი განვითარების პერიოდში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების შემდგომ პერიოდში. ამიტომ მათ არ შეეძლოთ განეცადათ რევოლუციის ქარცეცხლის მძაფრი გავლენა. II ინტერნაციონალის პარტიების ჩამოყალიბება უმთავრესად მოხდა იმ პერიოდში, როდესაც ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების ეპოქა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მთავრდებოდა ან ძირითადად უკვე დამთავრებული იყო, ხოლო სოციალისტური რევოლუციების ეპოქა ჯერ კიდევ არ დამდგარიყო. II ინტერნაციონალის პარტიები უმთავრესად გამოვიდნენ პროფესიული კავშირებიდან და თან დაჰყვათ პროფკავშირულ-რეფორმისტული ხასიათი, ხოლო პროფკავშირთა რეფორმისტი ბელადები ერთბაშად გახდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიების ბელადები. ამიტომ II ინტერნაციონალის პარტიები არ წარმოადგენდნენ მუშათა მოძრაობაზე დაყრდნობილ ხელმძღვანელ პარტიებს.

რუსეთში პროლეტარული პარტია იქმნებოდა სულ სხვა პირობებში — იმპერიალიზმის ეპოქაში, მოახლოებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინა პერიოდში, როდესაც ისტორიამ რუსეთის პროლეტარიატს, რუსეთის ბურჟუაზიის კონტრრევოლუციონერობის გამო, წილად არგუნა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხური რევოლუციის ჰეგემონის როლის შესრულება.

რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატი, რომელსაც ევროპისთვის უნდა

ტიული რევოლუციის ხელმძღვანელობა, რომელსაც უნდა ჩამოეცილებინა გლეხობა ბურჟუაზიისაგან და გაეხადა იგი თავის რეზერვად, ვერ დაკმაყოფილდებოდა II ინტერნაციონალის პარტიების მსგავსი რეფორმისტული პარტიის დაარსებით.

ამ პერიოდში, პროფესიული კავშირები რუსეთში ჯერ კიდევ არ არსებობდნენ. მათ დაარსებაზე უნდა ეზრუნა ახლადშექმნილ პროლეტარულ პარტიას, რომელსაც მუშათა კლასის სხვა რაზმებთან ერთად პროფკავშირიც თავისი ხელმძღვანელობისათვის უნდა დაემორჩილებინა, რათა პროლეტარიატი, როგორც ორგანიზაციული მთელი, თავისი ყველა რაზმით დაეპირისპირებინა ცარიზმისა და ბურჟუაზიისათვის.

რუსეთში პროლეტარული პარტია ყალიბდებოდა გენიალური ლენინის ხელმძღვანელობით, მარქსიზმის თეორიული საგანძურის დაცვისა და განვითარების საფუძველზე.

ახალი პერიოდი აყენებდა პროლეტარიატის წინაშე ახალ ამოცანებს, მთელი პარტიული მუშაობის რევოლუციურად გარდაქმნის, ძალაუფლების დაპყრობისათვის პროლეტარიატის რევოლუციურ-ინტერნაციონალური აღზრდის ამოცანებს. ახალმა ისტორიულმა პირობებმა, — წერდა ი. ბ. სტალინი, მოითხოვა „...აუცილებლობა ახალი პარტიისა, მებრძოლი პარტიისა, რევოლუციური პარტიისა, რომელიც საკმაოდ გამზედავია იმისათვის, რომ წაიყვანოს პროლეტარები ძალაუფლებისათვის საბრძოლველად, საკმაოდ გამოცდილია იმისათვის, რომ გაერკვეს რევოლუციური ვითარების რთულ პირობებში, და საკმაოდ მოქნილია იმისათვის, რომ გვერდი აუაროს ყველა და ყოველგვარ წუალქვეშა ქვებს მიზნისაკენ სავალ გზაზე“ [1].

თუმცა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „კომუნისტური კავშირის წესდებაში“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, „გოთას პროგრამის კრიტიკაში“, „ერფურტის პროგრამის კრიტიკაში“ და მთელ რიგ სხვა ნაშრომებში მოგვცეს გენიალური მონახაზები კომუნისტური პარტიის აგებისა, მაგრამ, ჯერ ერთი, სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდში არ არსებობდა ობიექტური პირობები ახალი ტიპის

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 196, 1949 წ.

პარტიის შექმნისათვის, მეორეც, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ კომუნისტური პარტიის შესახებ შემუშავებული ძირითადი მონახაზები „დაასამარეს“ II ინტერნაციონალის ოპორტუნისტმა ბელადებმა. ამიტომ ლენინს უდიდესი მუშაობის ჩატარება დასჭირდა იმისათვის, რომ არა მარტო აღედგინა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებანი კომუნისტური პარტიის შესახებ, არამედ განევითარებინა, გაელრმავებინა იგი და შეექმნა მწყობრი მეცნიერული მოძღვრება ახალი ტიპის პარტიაზე, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაციაზე, პროლეტარული ორგანიზაციის უმაღლეს ფორმაზე.

მუშათა კლასის პარტიის შექმნის საკითხზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში სხვადასხვა შეხედულება არსებობდა.

„კრედოს“ ავტორთა და „რაბოჩაია მისლის“ ჯგუფები კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ მუშათა კლასის ცენტრალიზებული პოლიტიკური პარტიის შექმნისა. ისინი ცდილობდნენ თეორიულად დაესაბუთებინათ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში არსებული დეცენტრალიზაციის უპირატესობა ცენტრალიზირებულ პარტიასთან შედარებით. უფრო მეტიც, „კრედოს“ ავტორები უარყოფდნენ „დამოუკიდებელი“ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების არსებობის საჭიროებასაც და მოითხოვდნენ მათ შეერთებას ლიბერალურ-რადიკალურ ბურჟუაზიულ ჯგუფებთან.

ცენტრალიზებული პროლეტარული პარტიის დაარსების საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა „ურალის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფიც“. ამ ჯგუფის თვალსაზრისით რევოლუცია პარტიის გარეშეც „მომზადდებოდა და გატარდებოდა“ მუშათა კლასის რაღაც „სტიქიურ აფეთქებათა საფუძველზე“.

ჟურნალ „რაბოჩეე დელოს“ ჯგუფი, კიევის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი, ებრაელთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი, „იუჟნი რაბოჩის“ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი და სხვები მოითხოვდნენ რსდმპ II' ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევას და II ინტერნაციონალის სოციალური რეფორმების პარტიების მსგავსი პარტიის შექმნას.

რსდმპ II ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის საკითხს ვ. ი. ლენინი უარყოფითად უყურებდა. ლენინის აზრით, ყრილობის მოწვევამდე ჯერ უნდა გამორკვეულიყო პარტიის მიზნები და ამოცანები, გარკვეულიყო საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი პარტია ესაჭიროებოდა რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატს ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან მეცნიერულად განსაზღვრა, რომ ფორმალური ყრილობებითა და გადაწყვეტილებებით პროლეტარული პარტია ვერ შეიქმნებოდა. ნამდვილი პარტიის შექმნისათვის ჯერ კიდევ დიდი და სერიოზული მუშაობა უნდა ჩატარებულიყო, რათა რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატი საბოლოოდ გარკვეულიყო იმ დიად ამოცანებში, რომლებიც ისტორიამ მის წინაშე დააყენა.

აუცილებელი იყო რუსეთის პროლეტარიატის გარკვევა იმაში, რომ მას ესაჭიროებოდა არა მოვლენების აღმრიცხველი სოციალური რეფორმების პარტია, არამედ კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელი სოციალური რევოლუციის პარტია. საჭირო იყო, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, აშკარად და პატიოსნად განეცხადებინათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის იმის შესახებ, რომ პარტიის შექმნის საკითხზე არსებობდა ორი, ერთიმეორის საწინააღმდეგო, შეხედულება, მარქსისტებისა და „ეკონომისტების“ შეხედულებანი. საჭირო იყო მარქსისტებს ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით გაეჩაღებინათ ფართო პროპაგანდა მარქსისტული მსოფლმხედველობის პოპულარიზაციისათვის, დაეპირისპირებინათ იგი „ეკონომისტების“ ოპორტუნისტული შეხედულებებისათვის, რათა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები საბოლოოდ გარკვეულიყვნენ ამ ორი მსოფლმხედველობის არსში.

მხოლოდ ასეთი წინასწარი სერიოზული მუშაობის ჩატარების შემდეგ შეიძლებოდა მოჰყოლოდა რსდმპ II ყრილობას რეალური შედეგი პროლეტარული პარტიის შექმნის საქმეში.

ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის ბრძოლის მთლიან ჯაჭვში ძირითად რგოლად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსება, რომელსაც უნდა

დაეწყო შეუპოვარი იდეური ბრძოლა ოპორტუნიზმის გაშიშვლებისათვის, გაეშალა შემოქმედებითი მოღვაწეობა მუშათა მოძრაობის გადაქცევისათვის შეგნებულ და ორგანიზებულ მოძრაობად, მუშათა მოძრაობის შეერთებისათვის სოციალიზმთან.

ასეთ ამოცანებს აკისრებდა ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ „ბრძოლის კავშირის" ორგანოს გაზეთ „რაბოჩეე დელოს", რომელიც არ გამოსულა ლენინისა და მის თანამებრძოლთა დაპატიმრების გამო. ვ. ი. ლენინის პატიმრობასა და გადასასლებაში ყოფნის პერიოდში (5 წლის მანძილზე) არავინ იყო, რომ აღედგინა „ბრძოლის კავშირის" იდეური ორგანო — გაზ. „რაბოჩეე დელო". „ეკონომისტებს" საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსება უსარგებლოდ მიაჩნდათ პარტიისათვის. ისინი მოითხოვდნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების დამოუკიდებელ მოქმედებას. ამან გამოიწვია ლენინის გადასახლებაში ყოფნის დროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დაქსაქსულობა და სხვადასხვა ბეჭდვითი ორგანოების დაარსება, რაც სერიოზულ დაბრკოლებად გადაიქცა ნამდვილი პარტიის შექმნის გზაზე.

1897 წელს დაარსებული „რაბოჩაია გაზეტას" მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. მართალია, რსდმპ I ყრილობამ 1898 წლის მარტში იგი პარტიის ორგანოდ აღიარა, მაგრამ მისი აღდგენა არ მოხერხდა.

მხოლოდ ლენინს ესმოდა, თუ რა უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა იყო ჩასატარებელი ამ რთულ პირობებში ისეთი იდეურ-პოლიტიკური ორგანოს შექმნისათვის, რომელიც არა მარტო შეძლებდა „ეკონომისტების" ბეჭდვითი ორგანოების თეორიულ დაძლევას, არამედ გახდებოდა რუსეთის მუშათა კლასის მოწინავე რაზმის შესაკრები პუნქტი, გადაიქცეოდა ახალი ტიპის პარტიის დიადი შენობის ერთგვარ ხარაჩოდ. „....ჩვენ უახლოეს მიზნად უნდა დავისახოთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — **პარტიის ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც რეგულარულად გამოვა და მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ყველა ადგილობრივ ჯგუფთან.** ჩვენ ვფიქრობთ, რომ

სოციალ-დემოკრატების მ თ ე ლ ი მოღვაწეობა მთელ უახლოეს მომავალში წარმართულ უნდა იქნას ამ საქმის ორგანიზაციისაკენ. თუ ასეთი ორგანო არ გვექნება, ადგილობრივი მუშაობა დარჩება ვიწრო „კუსტარულობად". პარტიის შექმნა, — თუ ორგანიზებული არ არის ამ პარტიის სწორი წარმომადგენლობა გარკვეულ გაზეთში, — დარჩება მეტწილად ლიტონ სიტყვად. ეკონომიურ ბრძოლას, რომელსაც არ აერთიანებს ცენტრალური ორგანო, არ შეუძლია გახდეს მთელი რუსეთის პროლეტარიატის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ბრძოლად"[1].

ვ. ი. ლენინი გადასახლების უკანასკნელ წლებში (1898 — 1899) განსაკუთრებით ფიქრობდა პოლიტიკური გაზეთის საკითხზე. იგი სხვადასხვა საბაბით ახერხებდა პოლიტიკურ გადასახლებულთა შეკრებას და პარტიის შექმნის არსებით საკითხებზე თათბირების ჩატარებას. ამ თათბირებზე ვ. ი. ლენინი სვამდა საკითხს — „რა ვაკეთოთ?" და თვითონვე პასუხობდა — საჭიროა „ლიკვიდაცია ვუყოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მესამე პერიოდს", იდეური დაბნეულობისა და ორგანიზაციული უთავბოლობის პერიოდს. ეს საკითხი, ამბობდა ვ. ი. ლენინი, შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსებით.

1899 წლის ზაფხულში ვ. ი. ლენინმა სპეციალური დავალება მისცა ვ. კურნატოვსკის, რომ გადასახლების ვადის გასვლის შემდეგ დაეწყო პარტიული მუშაობა ამიერკავკასიაში. ვ. კურნატოვსკიმ ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. იგი 1900 წლის დასაწყისში ჩამოვიდა თბილისში და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ლენინურ ცენტრალურ ჯგუფს აქტიურად ეხმარებოდა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ვ. კურნატოვსკიმ ი. სტალინთან, ს. წულუკიძესთან და ლ. კეცხოველთან ერთად შეუპოვარი თეორიული ბრძოლა გააჩაღა ნ. ჟორდანიას ოპორტუნისტული ჯგუფის წინააღმდეგ. ვ. კურნატოვსკიმ ამიერკავკასიაში ყოფნის მოკლე პერიოდში სერიოზული როლი შეა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 261 — 262.

სრულა ლენინური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეში.

ვ. ი. ლენინი პარტიული კრიზისის ლიკვიდაციისა და საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსების საკითხზე, როგორც ნ. კრუპსკაია წერდა, „მიმოწერას აწარმოებდა მარტოვთან და პოტრესოვთან, უთანხმდებოდა მათ საზღვარგარეთ წასვლის შესახებ“.

1900 წლის 28 იანვარს ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია გადასახლებიდან დაბრუნდნენ, მაგრამ ლენინს, როგორც პროფესიონალ რევოლუციონერს, არ მისცეს პეტერბურგში ცხოვრების უფლება. მან დროებით საცხოვრებლად აირჩია ფსკოვი, საიდანაც უკეთ შეიძლებოდა რუსეთის ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება. ვ. ი. ლენინმა თებერვალ-მარტში შემოიარა ფსკოვის, უფის, პეტერბურგის, მოსკოვის, რიგისა და სხვა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, აღადგინა მათთან კავშირი, გააცნო მათ საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის საზღვარგარეთ დაარსების გეგმა. მოსკოვში ის შეხვდა ეკატერინოსლავის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წევრს — ი. ს. ლალაიანცს, რომლისაგანაც გაიგო რსდმპ მეორე ყრილობის მოწვევისა და „რაბოჩაია გაზეტას“ აღდგენისათვის მზადების შესახებ. ლალაიანცმა სთხოვა ლენინს მიეღო მონაწილეობა ყრილობის მუშაობაში და ეკისრა გაზეთის რედაქტორობა. თუმცა ლენინმა კარგად იცოდა, რომ ასეთი იოლი გზა პარტიის აღდგენისათვის სასურველ შედეგს არ გამოიღებდა, მაგრამ ლალაიანცს მაინც დაპირდა, რომ, თუ ყრილობა შეიკრიბებოდა, იგი გამოვიდოდა მოხსენებით „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მდგომარეობის შესახებ“. ვ. ი. ლენინს სურდა ყრილობის ტრიბუნა გამოეყენებინა „ეკონომიზმის“ კრიტიკისა და მარქსისტული პარტიის აგების გეგმის პოპულარიზაციისათვის. მან ოსტატურად მოახერხა მუშებთან თათბირების ჩატარება პეტერბურგში სოფიოს ტაძრის ახლოს. ჟანდარმერია ვერ მიხვდა, თუ რატომ მოუხშირეს მუშებმა ეკლესიაში სიარულს. აქვე მოაწყო ლენინმა

ემიგრაციიდან ჩამოსულ ვ. ი. ზასულიჩთან მოლაპარაკება გაზეთ „ისკრას“ და ჟურნალ „ზარიას“ დაარსების საკითხებზე.

მარტის მეორე ნახევარში ვ. ი. ლენინმა მონაწილეობა მიიღო ფსკოვის ადგილობრივ რევოლუციურ და ოპოზიციურ ინტელიგენტთა კრებაზე. კრებაზე იგი გამოვიდა „ლეგალური მარქსიზმისა“ და „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ გამანადგურებელი კრიტიკით.

მარტის დამლევს და აპრილის დამდეგს ვ. ი. ლენინმა დაწერა გაზეთ „ისკრას“ და ჟურნალ „ზარიას“ განცხადების პროექტი, რომელშიც მოხაზა მარქსისტული პარტიის აგების გეგმა.

1900 წლის აპრილის დასაწყისში შეიკრიბა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ფსკოვის ისტორიული თათბირი საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსების ლენინური გეგმის განსახილველად. თათბირს ესწრებოდნენ აგრეთვე „ლეგალური მარქსისტებისა“ და „ეკონომისტების“ — „რაბოჩეე დელოს“ ჯგუფის წარმომადგენლები.

ვ. ი. ლენინმა თათბირს გააცნო საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის „ისკრას“ და ჟურნალ „ზარიას“ საზღვარგარეთ დაარსების გეგმა.

„ეკონომისტებმა“ ტეპლონმა და კოპელზონმა გაილაშქრეს გაზეთის დაარსების ლენინური გეგმის წინააღმდეგ და მოითხოვეს პარტიის II ყრილობის მოწვევა. ისინი ჩამოსული იყვნენ საზღვარგარეთიდან „რაბოჩეე დელოს“ ჯგუფის სპეციალური დავალებით — პარტიის II ყრილობის მოწვევისათვის მუშაობის ჩასატარებლად ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში. მათ შემოიარეს რუსეთის მთელი რიგი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და 1900 წლის 6 მაისისათვის დანიშნეს რსდმპ II ყრილობის შეკრება ქ. სმოლენსკში. ვ. ი. ლენინმა თათბირზე სასტიკად გაილაშქრა „ეკონომისტების“ წინააღმდეგ და მისთვის ჩვეული პრინციპულობით განაცხადა, რომ ვისაც არ სურს გაიგოს ახლანდელ ვითარებაში პარტიის შექმნისათვის საერთო რუსული პოლიტიკური

გაზეთის დაარსების ისტორიული მნიშვნელობა, ის ნებით თუ უნებლიეთ ღალატობს პროლეტარიატსო.

რუსეთის მუშათა მოძრაობაში შექმნილმა რთულმა ვითარებამ პრაქტიკულად დააყენა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი სამოქმედო გეგმა უნდა აერჩია სოციალ-დემოკრატიას პარტიული კრიზისის ლიკვიდაციისა და პროლეტარული პარტ- ს შექმნისათვის. ამ კითხვაზე „ეკონომისტების“ პასუხი იყო რსდმპ II ყრილობის მოწვევა, „ცენტრალური კომიტეტის გაანახლება“ და „პარტიის აღდგენა“.

მაგრამ პროლეტარული პარტიის შექმნის ასეთი ბოლი გზა ნიშნავდა პარტიული კრიზისის ნამდვილი არსის გაუგებრობას, რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის ფაქტიურად უპარტიოდ დატოვებას. „ასეთი გეგმა (დაუყოვნებლივ პარტიის II ყრილობის მოწვევის მოთხოვნის გეგმა — ვ. ს.),— ამბობდა ვ. ი. ლენინი,— ჩვენ მიგვაჩნია შემცდარად... პარტიის შექმნა და განმტკიცება ნიშნავს ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის გაერთიანების შექმნასა და განმტკიცებას, ხოლო ასეთ გაერთიანებას უბრალო დეკრეტირებით ვერ შექმნი, მას ვერ შემოიღებ მარტოოდენ რომელიმე, ვთქვათ, წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილებით, ის აუცილებლად უნდა გამომუშავდეს“[1].

პროლეტარული პარტიის შექმნისათვის სათანადო პირობების მოსამზადებლად საჭირო იყო საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსება, რომელიც განიხილავდა მუშათა მოძრაობის ყველა არსებით საკითხს. გაზეთის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ადგილობრივი ორგანიზაციების კავშირი. გაზეთს უნდა დაეკავშირებინა მუშათა მოძრაობის პრაქტიკული საკითხები თეორიული საკითხებისათვის და მიეცა პროლეტარული მოძრაობისათვის სოციალ-დემოკრატიული ხასიათი. მხოლოდ იმის შემდეგ, როცა შეიქმნებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ფოსტა და მტკიცე კავშირურთიერთობა დამყარდებოდა ორგანიზაციებს შორის, როგორც ლენინი ამბობდა, პარტიის შექმნა რეალური ფაქტი გახდებოდა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 395.

ფსკოვის თათბირზე „ეკონომისტების“ მონაწილეობა მიზნად ისახავდა ლენინური გეგმის უარყოფას. მაგრამ ლენინმა შეუპოვრად, პრინციპულად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და აიძულა „ეკონომისტები“ თავი დამარცხებულად ეცნოთ.

ლენინმა თათბირს გააცნო გაზეთ „ისკრას“ დაარსების ორგანიზაციული გეგმა. ლენინურ გეგმაში ზუსტად იყო ნაჩვენები არა მარტო ის, თუ ვისი მონაწილეობით უნდა შექმნილიყო „ისკრა“ და სად შეიძლებოდა მისი გამომცემლობის მოწყობა, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა ყოფილიყო დამყარებული მისი კავშირურთიერთობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

თათბირმა განიხილა აგრეთვე გაზეთ „ისკრას“ „ლეგალურ მარქსისტებთან“ და „ეკონომისტებთან“ დამოკიდებულების საკითხი. ვ. ი. ლენინმა მოითხოვა „ლეგალური მარქსისტებისა“ და „ეკონომისტების“ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ შეხედულებათა სისტემატური მხილება და მათგან გამიჯვნა.

პოტრესოვმა გადაჭარბებულად ჩათვალა „ლეგალური მარქსისტებისა“ და „ეკონომისტების“ ლენინური კრიტიკა და მოითხოვა მათი თანამშრომლობა „ისკრაში“. ვ. ი. ლენინმა პოტრესოვისადმი საპასუხო სიტყვაში სარკასტულად განაცხადა: ლიბერალებთან და მათ თანამოაზრეებთან თანამშრომლობა იმას ნიშნავს, რომ ორივე მათგანს უბეში ქვა ჰქონდეს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ დამალულიო. ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ, ამბობდა ვ. ი. ლენინი, „ოპორტუნისტულ შესწორებებს, რომლებიც ახლა ასე მოდად არის შემოსული ბერნშტეინის ლოცვა-კურთხევით“.

ფსკოვის თათბირზე, სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, ლენინმა მაინც შეძლო „ისკრას“ დაარსების საკითხის დადებითად გადაწყვეტა. თათბირზე, ლენინის წინადადებით, გადაწყდა დაეწყოთ მოლაპარაკება „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფთან და მისი სარედაქციო დახმარებით შეექმნათ საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთი — „ისკრა“.

„ეკონომისტებს“ ფსკოვის თათბირზე დამარცხების შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა საერთო რუსული გაზეთის დაარსების წინააღმდეგ. თუ „რაბოჩეე დელოს“ ჯგუფი მარქსი-

სტული პარტიის აგების ლენინურ გეგმას უპირისპირებდა პარტიის II ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევას, გაზეთ „რაბოჩაია მისლის“ კოლექტივი ურჩევდა ვ. ი. ლენინს უარი ეთქვა საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსებაზე და დაეწყო თანამშრომლობა „ეკონომისტების“ პრესაში. ვ. ი. ლენინმა „ეკონომისტების“ რჩევას „ცუდად ნავარაუდევი მანერა“ უწოდა.

ვ. ი. ლენინი გულდასმით ადევნებდა თვალყურს „ეკონომისტების“ მიერ რსდმპ II ყრილობის მოწვევისათვის ჩატარებული მუშაობის მსვლელობას. იგი წინასწარ ითვალისწინებდა, რომ 1900 წლის 6 მაისს ქ. სმოლენსკში დანიშნული ყრილობა ვერ შეიკრიბებოდა.

ლენინის ვარაუდი გამართლდა. 1900 წლის აპრილის მეორე ნახევრიდან დაიწყო პეტერბურგში, მოსკოვში და სხვა ქალაქებში სოციალ-დემოკრატების მასობრივი დაპატიმრება. ყრილობის ადგილზე არც ის დელეგატები ჩამოვიდნენ, რომლებიც დაპატიმრებას გადაურჩნენ. ასე ჩაიშალა „ეკონომისტების“ პირველი ცდა მოეწვიათ რსდმპ II ყრილობა და შეექმნათ რეფორმისტული პარტია.

ვ. ი. ლენინი საზღვარგარეთ გამგზავრების წინ 1900 წლის 21 მაისს ჩამოვიდა პეტერბურგში. მაგრამ იგი პოლიციამ დააპატიმრა. 10 დღის შემდეგ პოლიციამ ლენინი გაანთავისუფლა, რადგან ვერ გაიგო მისი ნამდვილი ვინაობა.

ლენინმა მხოლოდ 1900 წლის ივლისში მოახერხა საზღვარგარეთ გამგზავრება. აგვისტოს პირველ ნახევარში იგი ჩავიდა ქ. ციურიხში, ხოლო იქიდან 24 აგვისტოს გადავიდა სოფელ კორისიეში, სადაც დაიწყო მოლაპარაკება „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფთან გაზეთ „ისკრასა“ და ჟურნ. „ზარიას“ დაარსების საკითხზე. მოლაპარაკება 4 დღეს გაგრძელდა; იგი ხშირად მწვავე პოლემიკის ხასიათს იღებდა, რადგან პოლიტიკური გაზეთის ისტორიული როლი და მისი მნიშვნელობა თათბირის ყველა მონაწილეს ერთნაირად არ ესმოდა. ზოგიერთის შეხედულებით, გაზეთი უნდა გამხდარიყო რუსეთის ლიბერალური და დემოკრატიული ინტელიგენციის ორგანო. ლენინმა

სასტიკად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და ზუსტად განსაზღვრა ის როლი, რომელიც „ისკრას“ უნდა შეესრულებინა.

მწვავე წინააღმდეგობა გამოიწვია გაზეთის რედაქტორობის საკითხმაც. გაზეთ „ისკრას“ რედაქტორობის შესახებ ვ. ი. ლენინს ჰქონდა შემუშავებული სამი ვარიანტი: „ჩვენ ვიქნებით რედაქტორები“ (ლენინი, მარტოვი, პოტრესოვი); „ისინი იქნებიან რედაქტორები“ (პლეხანოვი, აქსელროდი, ზასულიჩი); „ის იქნება რედაქტორი“ (პლეხანოვი). ვ. ი. ლენინი პირველი ვარიანტის მომხრე იყო, რადგან, ჯერ ერთი, „მოხუცები“ („შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრები) ძნელი შესაგუებელი იქნებოდნენ, მეორეც — ისინი „ვერ შესძლებდნენ შეესრულებინათ შავი და მძიმე სარედაქციო მუშაობა“ (იხ. ლენინის კრებული, ტ. I. გვ. 38 — 39).

გ. ვ. პლეხანოვი ცდილობდა, რომ ხელში ჩაეგდო გაზეთ „ისკრას“ და ჟურნალ „ზარიას“ რედაქტორობა და გამოცემის საქმე. მან თავისი სარკასტული გამოსვლებით კინაღამ ჩაშალა თათბირის მუშაობა.

ვ. ი. ლენინი თათბირის მუშაობის შესახებ თავის ჩანაწერში — „როგორ კინაღამ არ ჩაქრა „ისკრა?“ — გადმოგვცემს, რომ პლეხანოვი უცნაურად იქცეოდა, მიმართავდა ათასგვარ მანევრს და „საჭადრაკო ხერხებს“ გაზეთ „ისკრას“ და ჟურნალ „ზარიას“ გამომცემლობისა და რედაქციის ხელში ჩაგდებისათვის.

26 აგვისტოს გ. ვ. პლეხანოვის სარკაზმმა ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. ვ. ი. ლენინმა პრინციპული წინააღმდეგობა გაუწია მას. თათბირმა მუშაობა შეწყვიტა და საფრთხის წინაშე დადგა გაზეთ „ისკრას“ და ჟურნალ „ზარიას“ დაარსების საქმე. „...თითქოს ყველაფერი კარგად გვარდებოდა, — გადმოგვცემს ვ. ი. ლენინი, — ...და უეცრად გვეკვეთა ქარიშხალი — და გათავდა, ყველაფერი კვლავ იფუშება. თავსაც არ ვუჯეროდი (სწორედ ისე, როგორც არ უჯერი თავს, როცა ახლობელი ადამიანის სიკვდილის პირველ შთაბეჭდილებას განიცდი) — ნუთუ ეს მე, პლეხანოვის მხურვალე თაყვანისმცემელი, ახლა ასეთი გაბოროტებით ვლაპარაკობ მასზე და მივდივარ, პირმოკუმული და საშინლად გულცივი, რომ ვუთხრა ცივი და მკვახე სიტყვე-

ბი, გამოვუცხადო თითქმის „ურთიერთობის გაწყვეტა“? ნუთუ ეს სინამდვილეა და არა ცუდი სიზმარი?“ [1].

შორსმჭვრეტელი ვ. ი. ლენინი კარგად ხედავდა იმას, თუ რა მოჰყვებოდა გ. ვ. პლეხანოვის პრეტენზიების დაკმაყოფილებას რუსეთის მუშათა მოძრაობისათვის, რომ მუშათა მოძრაობას მოწყვეტილი პლეხანოვი გაზეთ „ისკრას“ და ჟურნალ „ზარიას“ გადააქცევდა წმინდა აკადემიურ-ფილოსოფიური სკოლის ორგანოებად.

ამის გამო თათბირზე ერთ-ერთი პრინციპული საკითხი იყო გაზეთ „ისკრას“ და ჟურნალ „ზარიას“ მთავარი რედაქტორობის საკითხი, ე. ი. საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო პარტიის შექმნის მიჯნაზე იდეურ-პოლიტიკური ორგანოების „ისკრას“ და „ზარიას“ ნამდვილი ხელმძღვანელი — რუსეთის მუშათა მოძრაობასთან ორგანულად დაკავშირებული და მისი ბელადი — ვ. ი. ლენინი, თუ მუშათა პრაქტიკულ მოძრაობას მოწყვეტილი — გ. ვ. პლეხანოვი.

ლენინმა თათბირზე ამხილა გ. ვ. პლეხანოვის მანევრული გამოსვლების ნამდვილი შინაარსი და გადაჭრით მოითხოვა სარედაქციო კოლეგიის პირველი ვარიანტის მიღება. წინააღმდეგ პლეხანოვისა, ვ. ი. ლენინის აზრით, გაზეთის ხელმძღვანელობისათვის საჭირო იყო არა ინდივიდუალიზმით გატაცებული, მუშათა მოძრაობას მოწყვეტილი, ე. წ. შეუცვლელი პიროვნება, არამედ მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებული პროფესიონალ-რევოლუციონერთა ჯგუფი — კოლექტივი.

თათბირზე წარმოებულმა მწვავე პოლემიკამ და გ. ვ. პლეხანოვის უარმა „ისკრას“ და „ზარიას“ თანარედაქტორობაზე ოდნავადაც ვერ შეაჩერა ვ. ი. ლენინი. იგი გაბედულად ძლევდა ყოველგვარ წინააღმდეგობას, დარწმუნებული იმაში, რომ რევოლუციურად გადაჭრიდა მის წინაშე მდგარ ამოცანებს. ლენინმა მართლაც მოახერხა წინააღმდეგობის დაძლევა და მიაღწია გამარჯვებას.

დაბოლოს, სადავო გახდა გაზეთ „ისკრას“ და ჟურნალ „ზარიას“ რედაქციისა და გამომცემლობის ადგილის ამორჩევაც.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 420.

გ. ვ. პლეხანოვმა მოითხოვა რედაქცია და გამომცემლობა ქ. ჟენევაში მოწყობილიყო და ამით იგი „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფისათვის დაექვემდებარებინა. ვ. ი. ლენინმა კატეგორიულად მოითხოვა რედაქცია და გამომცემლობა გერმანიაში ყოფილიყო, საიდანაც უკეთ შეიძლებოდა გაზეთის გავრცელება რუსეთში. გადაწყდა რედაქციისა და გამომცემლობის მოწყობა გერმანიაში. გ. ვ. პლეხანოვი ამ საკითხშიც დამარცხდა.

ამრიგად, ვ. ი. ლენინის დაუღალავი მუშაობისა და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად მოხერხდა შეთანხმება „ბრძოლის კავშირის“ წარმომადგენლებსა და „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრებს შორის იმის შესახებ, რომ რუსი სოციალ-დემოკრატების ჯგუფის რედაქციით და „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ სარედაქციო დახმარებით გამოსცემდნენ ჟურნალ „ზარიას“ და საერთო რუსულ პოლიტიკურ ორგანოს — გაზეთ „ისკრას“. „გარეგნულად — თითქოს არაფერი მომხდარა, — წერდა ვ. ი. ლენინი თათბირის შედეგებზე, — მთელ მანქანას ისე უნდა ემუშავნა, როგორც მუშაობდა, — მხოლოდ შიგნით გაწყდა რომელიღაც სიმი, და ნაცვლად საუცხოო პირადი ურთიერთობისა დამყარდა საქმიანი, მშრალი ურთიერთობა, მუდმივ ანგარიშზე აგებული: ფორმულით Si vis pasem, nara bellum“ [1] (თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისათვის).

ვ. ი. ლენინმა 1900 წლის 4—5 სექტემბერს შეადგინა ჟურნალ „ზარიას“ და გაზეთ „ისკრას“ რედაქტორობისა და თანარედაქტორობის ხელშეკრულების პროექტი.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფსა და რუსი სოციალ-დემოკრატების ჯგუფს შორის შეთანხმების ხელშეკრულებაში ნათქვამია: „ზარიას“ და „ისკრას“ სცემს და რედაქციას უკეთებს რუსი სოციალ-დემოკრატების ჯგუფი, „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის მონაწილეობით; ყველა პრინციპული მნიშვნელობის სტატიას რედაქცია აცნობს „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრებს; „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრები ხმას აძლევენ ყველა სარედაქციო ხასიათის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 426.

საკითხზე; „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფთან უთანხმოების შემთხვევაში რედაქცია ვალდებულია დაბეჭდოს ჯგუფის ან მისი ცალკე წევრის განსაკუთრებული აზრი.

1900 წლის ოქტომბერში ცალკე ფურცლად გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის ცნობილი დოკუმენტი „ისკრას“ რედაქციის განცხადება“, რომელშიც მოხაზული იყო ის ამოცანები, რაც „ისკრას“ უნდა შეესრულებინა პარტიული კრიზისის ლიკვიდაციისა და ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში.

1900 წლის 24 დეკემბერს გერმანიაში, ქ. ლაიპციგში, გამოვიდა „ისკრას“ პირველი ნომერი, რომლითაც დაიწყო ახალი პერიოდი რუსეთის მუშათა მოძრაობაში. „ისკრას“ სათაურქვეშ იყო გამოთქმა — „ნაპერწკლიდან ალი აინთება“, და მართლაც, გენიალური ლენინის მიერ ანთებული „ნაპერწკლიდან“ — გაზეთ „ისკრადან“ — შემდგომ აინთო მძლავრი რევოლუციური ხანძრის ალი, რომელმაც მთლიანად გადაბუგა მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის ბატონობა.

ვ. ი. ლენინმა „ისკრას“ რედაქციის სამოქმედო განცხადებაში განსაზღვრა საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის ისტორიული როლი რუსეთის მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთებისა და ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში.

გაზეთი „ისკრა“, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის იდეურ-პოლიტიკური ორგანო, გადაჭრით უნდა გამიჯნოდა რევიზიონისტ ბერნშტეინის რუს მეგობრებს — „ლეგალურ მარქსისტებსა“ და „ეკონომისტებს“. „...ჩვენ განზრახვა არა გვაქვს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენი ორგანო სხვადასხვაგვარ შეხედულებათა უბრალო საწყობად გადავაქციოთ.. პირიქით, ჩვენ გავუძღვებით მას სასტიკად გარკვეული მიმართულებით... ჩვენ მარქსისა და ენგელსის იდეების თანამიმდევარი განვითარების მომხრე ვართ და გადაჭრით უარვყოფთ იმ ნახევრადს, ბუნდოვან და ოპორტუნისტულ შესწორებებს, რომლებიც ახლა მოდად არის შემოსული ედ. ბერნშტეინის, პ. სტრუვეს და ბევრ სხვათა ლოცვა-კურთხევით“ [1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 434 — 435.

გაზეთ „ისკრას“ უნდა გამოემუშავებინა მარქსისტული ორგანიზაციების, წრეების და ჯგუფების გაერთიანების კონკრეტული გეგმა, მოეხდინა იდეურ-პოლიტიკური, ტაქტიკური და ორგანიზაციული საკითხების ყოველმხრივი განხილვა. მაგრამ რუსეთის სოციალ-დემოკრატების იდეური გაერთიანებისათვის საჭირო იყო მარქსიზმის საფუძველზე პრინციპული პოლიტიკის შემუშავება და არა ფორმალური გაერთიანება. „სანამ გავერთიანდებოდეთ, და იმისათვის, რომ გავერთიანდეთ, ჩვენ ჯერ გადაჭრით და გარკვევით უნდა გავიმიჯნოთ. წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენი გაერთიანება მხოლოდ ფიქცია იქნებოდა, არსებული დაბნეულობის მიმჩქმალავი და მისი რადიკალურად აღმოფხვრის ხელისშემშლელი“ [1].

რუსეთის მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების იდეური და ორგანიზაციული გაერთიანებისათვის საჭირო იყო „ეკონომისტების“ ოპორტუნისტული შეხედულებების პრინციპული პოლემიკის გზით დაძლევა და მარქსისტული პარტიის აგების ლენინური გეგმის გამარჯვება.

ვ. ი. ლენინმა მარქსისტულ პარტიის აგების გეგმა შეიმუშავა თავის ცნობილ სტატიებში: „ჩვენი უახლოესი ამოცანა“, „საარსებო საკითხი“, „ზარიას“ და „ისკრას“ რედაქციის განცხადების პროექტი“, „ისკრას“ რედაქციის განცხადება“, „ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანები“, „რით დავიწყოთ“? და, ბოლოს, კლასიკურ ნაშრომში „რა ვაკეთოთ?“.

ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, პირველი პოლიტიკური ნაბიჯი სასურველი პროლეტარული პარტიული ორგანიზაციის შესაქმნელად და მთავარი ძაფი პარტიის შექმნისათვის თეორიული და პრაქტიკული ბრძოლის გზაზე უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთი „ისკრა“. იგი წარმოადგენდა საერთო ჯაჭვის მწკრივში იმ ძირითად რგოლს, რომლის ხელის ჩაჭიდებით შეიძლებოდა პარტიული კრიზისის ლიკვიდაცია და ახალი ტიპის პარტიის შექმნა.

თუმცა „ისკრამ“ 1900 წლის დეკემბრიდან დაიწყო გამოსვლა, ვ. ი. ლენინი თავის ცნობილ სტატიებში „ჩვენი მოძრაო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4. გვ. 434.

ბის საარსებო ამოცანები“ (დაიბეჭდა „ისკრას“ პირველ ნომერში), „რით დავიწყოთ?“ (გამოქვეყნდა 1901 წელს) და „რა ვაკეთოთ?“ (გამოქვეყნდა 1902 წლის მარტში) კვლავ მიუთითებდა საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსებაზე როგორც პროლეტარული პარტიის შექმნის აუცილებელ პირობაზე.

რით აიხსნება, რომ „ისკრას“ გამოსვლის შემდეგ ვ. ი. ლენინი კვლავ მოითხოვდა საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსებას?

ეს მოთხოვნა აიხსნება ჯერ ერთი იმით, რომ „ისკრას“ გამოსვლის შემდეგ უფრო გააფთრებით შეუტიეს მარქსიზმს „ლეგალურმა მარქსისტებმა“, „ეკონომისტებმა“ და მათმა თანამგზავრებმა, რომლებიც ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ „ისკრასათვის“, გამოეცხადებინათ იგი „პოლიტიკური ბრძოლით გატაცებული კარიერისტების“ ერთ-ერთი ჯგუფის „კარჩაკეტილ ორგანოდ“, რომელსაც ვითომ არავითარი დახმარება არ შეეძლო გაეწია რუსეთის მუშათა მოძრაობისათვის. „ეკონომისტებისა“ და მათ თანამოაზრეთა გავლენით რუსეთის ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ერთი ნაწილი ერთხანს ფიქრობდა, რომ „ისკრა“ სოციალ-დემოკრატების ისეთივე ცალკეული ჯგუფის ორგანოა, როგორიც იყო „რაბოჩაია მისლი“, „რაბოჩეე დელო“ და სხვ., რომ მას თითქოს არ შეეძლო რაიმე ახალი ეთქვა პარტიული კრიზისის ლიკვიდაციის სასარგებლოდ.

მეორეც, „ისკრას“ და „ზარიას“ რედაქციაში ყველას არ ესმოდა საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის ისტორიული მნიშვნელობა პროლეტარული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის საქმეში. „ისკრას“ რედაქტორები, გარდა ვ. ი. ლენინისა, არა მარტო თანაუგრძნობდნენ „ლეგალური მარქსისტების“ და „ეკონომისტების“ შეხედულებებს, არამედ ზოგ შემთხვევაში მოითხოვდნენ მათს მონაწილეობას გაზეთში.

დაბოლოს, ვ. ი. ლენინის კატეგორიული მოთხოვნა საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის შექმნის შესახებ იმის შემდეგაც, როდესაც „ისკრა“ უკვე გამოვიდა, აიხსნებოდა იმით, რომ ახალი ტიპის პარტიის შექმნის გზაზე გაზეთი უნდა გადაქცეუ-

ლიყო ერთადერთ იდეურ-პოლიტიკურ ხელმძღვანელ ორგანოდ მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური კლასის — რუსეთის პროლეტარიატისათვის, რათა გაეღვიძებინა და განევითარებინა მუშათა ფართო მასებში ლტოლვა პოლიტიკური ბრძოლისადმი, სოციალიზმისადმი, კლასობრივი ბრძოლის ავანგარდის — პოლიტიკური პარტიისადმი.

ვ. ი. ლენინი, პროლეტარული პარტიის შექმნის გზაზე, გაზეთ „ისკრას" აღიარებდა ისეთ მებრძოლ იდეურ იარაღად, რომლის მეშვეობითაც შეიძლებოდა მუშების განთავისუფლება ოპორტუნისტული გავლენისაგან, მოწინავე მუშებისაგან პარტიული კადრების გამრავლება, მათი დარაზმვა პროფესიონალ რევოლუციონერთა ბირთვის, მებრძოლი კოლექტივის გარშემო, და ახალი ტიპის პარტიისათვის ისეთი პროგრამული და ორგანიზაციული პრინციპების შემუშავება, რომლებიც შეესაბამებოდა მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური კლასის — რუსეთის პროლეტარიატის უახლოეს და საბოლოო ამოცანებს.

მუშათა და გლეხთა მზარდი მოძრაობა, მილიონიან ხალხთა მასების უკმაყოფილების განუხრელი ზრდა ცარიზმისა და მის მფარველობაში მყოფი ექსპლოატატორი კლასების წინააღმდეგ მოასწავებდა რუსეთში რევოლუციური ქარიშხლის მოახლოებას, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მოახლოებას, მაგრამ რევოლუციის გამარჯვებისათვის მშრომელთა ცალკეულ ფენებში უკმაყოფილების ზრდა და „დაქსაქსული მოძრაობა არ იყო საკმარისი. ცარიზმის ციხე-სიმაგრეზე გენერალური იერიშისათვის საჭირო იყო მთელ რუსეთში უკმაყოფილების ცალკეული ნაკადულების ერთ უდიდეს რევოლუციურ წყალვარდნილად გადაქცევა, რომელიც სულ ერთნაირად წალეკავდა მეფის თვითმპყრობელობის სახელმწიფოებრივ წყობილებას და გაწმენდდა გზას სოციალისტური რევოლუციისათვის.

პროლეტარული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის გზაზე „ისკრა" უნდა გამხდარიყო მგზნებარე ტრიბუნი მეფის მთავრობის საზიზღარი პოლიტიკის სახალხოდ მხილებისათვის. იგი უნდა შეჭრილიყო ქალაქის მდაბიო მოსახლეობაში, შინამრეწ-

ველებში და გლეხობაში, რათა მისი რევოლუციური ნაპერწკლებიდან დანთებულიყო დიადი რევოლუციის ხანძარი ცარიზმისა და ბურჟუაზიის გადასაწვავად.

მაგრამ იდეურ-პოლიტიკური გაზეთის როლი მარტო რევოლუციური იდეების გავრცელებით, მასების პოლიტიკური აღზრდით არ ამოიწურებოდა. „ისკრა", როგორც ვ. ი. ლენინი განსაზღვრავდა, იყო „...არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც. ამ უკანასკნელის მხრივ ის შეიძლება შევადაროთ ხარაჩოს, რასაც აგებენ ასაშენებელი შენობის გარშემო; ხარაჩო სახავს შენობის კონტურებს, აადვილებს კავშირს ცალკეულ მშენებელთა შორის, ეხმარება მათ სამუშაოს განაწილებასა და ორგანიზებული შრომით მიღწეული საერთო შედეგების დათვალიერებაში. გაზეთის შემწეობით და მასთან დაკავშირებით თავისთავად მოეწყობა მუდმივი ორგანიზაცია, რომელიც გასწევს არა მარტო ადგილობრივს, არამედ რეგულარულ საერთო მუშაობასაც" [1].

„ისკრა" მჭიდროდ უნდა დაკავშირებოდა რუსეთის მუშათა მოძრაობას. მას უნდა სცოდნოდა არა მარტო მუშათა კლასის მდგომარეობა საერთოდ, არამედ ცალკეულ საწარმოთა მუშების პირობების თვითეული წვრილმანიც. იგი დროულად უნდა გამოხმაურებოდა მუშების აღშფოთებას, პროტესტებს, მღელვარებას, გაფიცვებს, გამოსვლებსა და დემონსტრაციებს, დაუყოვნებლივ უნდა მიეცა მათთვის თეორიული და პრაქტიკული ხასიათის რჩევა-დარიგებანი და მითითებანი კლასობრივი ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების გამოყენების შესახებ ადგილის, დროისა და პირობების შესაბამისად.

რუსეთის მუშათა დაქსაქსული, სტიქიური მოძრაობის საერთო რუსეთის ორგანიზებულ მოძრაობად გადაქცევისათვის საჭირო იყო მუშათა მოძრაობაში გარედან სოციალისტური შეგნების შეტანა. პროლეტარიატის რევოლუციური არმიის ბრძოლას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოჰყვებოდა მშრომელი ხალხისათვის სასურველი შედეგი, თუ მას ეყოლებოდა თავისი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 13.

ავანგარდი, მებრძოლი შტაბი — პარტია, რომელსაც შეეძლო კოლექტიური სიბრძნე გამოეჩინა გამარჯვებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობაში.

„ისკრას“ მგზნებარე აგიტაცია უნდა გაეჩაღებინა მუშებისა და გლეხების რევოლუციურად დარაზმვისათვის, უნდა გაეშალა თეორიული პროპაგანდა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებსა და მოწინავე მუშებში მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და ინტერნაციონალური აღზრდისათვის, ორგანიზაციული მუშაობა უნდა ეწარმოებინა პროლეტარიატის ავანგარდის — ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის.

გაზეთი მხოლოდ მაშინ აღმოჩნდებოდა მოწოდების სიმაღლეზე, თუ მას ეყოლებოდა არა მარტო თეორიულად მომზადებული და პრაქტიკულ-რევოლუციურ მუშაობასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხელმძღვანელი ბირთვი, არამედ პროფესიონალ-რევოლუციონერთა აგენტების ქსელისაგან შემდგარი პარტიული მუშაკებიც. „აგენტების ეს ქსელი სწორედ ისეთი ორგანიზაციის ჩონჩხი იქნება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — როგორიც ჩვენ გვესაჭიროება: საკმაოდ დიდისა, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვას; საკმაოდ ფართო და მრავალმხრივისა, რომ ზუსტად და დეტალურად გაანაწილოს შრომა; საკმაოდ გამძლისა, რომ ყოველ გარემოებაში, ყოველ „მოსახვევში“ და მოულოდნელ შემთხვევებში შესძლოს მტკიცედ წარმართოს თავისი საქმე; საკმაოდ მოქნილისა, რომ შესძლოს, ერთი მხრივ, გაშლილ ველზე თავი აარიდოს შეტაკებას ბევრად უფრო ძლიერ მტერთან, როცა ამ უკანასკნელს ერთ ადგილას დაუგროვებია მთელი ძალები, ხოლო მეორე მხრივ, რომ შესძლოს ისარგებლოს ამ მტრის მოუქნელობით და თავს დაესხას მას მაშინ და იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად მოელიან თავდასხმას“ [1].

ვ. ი. ლენინი გაზეთის მუშაობას უკავშირებდა პარტიული მუშაკების ხელმძღვანელი კადრის აღზრდისა და გამრავლების, პარტიული ინტელიგენციის შექმნისა და განვითარების საკითხ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 13 — 14.

საც. გაზეთის ნორმალურ, ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ მუშაობას, ამბობდა ვ. ი. ლენინი, შეუძლია მოამზადოს არა მარტო ნიჭიერი აგიტატორები და პროპაგანდისტები, არამედ თეორიულ და პრაქტიკულ ბრძოლებში გამოწრთობილი ორგანიზატორებიც, პარტიული მუშაობის ნამდვილი ხელმძღვანელები, პოლიტიკური ბელადები.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა აგრეთვე ახალი ტიპის პარტიის მშენებლობისა და შემადგენლობის ორგანიზაციული გეგმა. მისი განსაზღვრით, პროლეტარული პარტია უნდა შემდგარიყო ორი ნაწილისაგან.

პარტიის პირველი ნაწილის შემადგენლობაში უნდა გაერთიანებულიყვნენ მარქსისტულ თეორიას დაუფლებული და პრაქტიკულ-რევოლუციონურ ბრძოლებში გამობრძმედილი პროფესიონალი რევოლუციონერები. ეს უნდა ყოფილიყო ვიწრო წრე პარტიული მუშაკებისა, კოლექტივი რეგულარული ხელმძღვანელებისა, რომლებსაც თეორიული მოღვაწეობით და პრაქტიკული საქმიანობით სამსახური უნდა გაეწიათ მხოლოდ პარტიისათვის, თავისუფალი იქნებოდნენ რა სხვა ყოველგვარი საქმიანობისაგან. ადამიანების ამ ხელმძღვანელ ბირთვს, თეორიული მომზადების გარდა უნდა ჰქონოდა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის სათანადო გამოცდილებაც. მათთვის საჭირო იყო აგრეთვე კონსპირაციული მუშაობის სათანადო ცოდნა, პოლიციისა და ჯაშუშების წინააღმდეგ ბრძოლისა და მათგან დასხლტომის სათანადო ხერხების ცოდნა. პარტიულ მუშაკთა კადრის ვიწრო წრისაგან შეკავშირებულ ხელმძღვანელ კოლექტივს უნარი უნდა ჰქონოდა ცარიზმის უსასტიკესი რეპრესიის პირობებში ნამდვილი ხელმძღვანელობა გაეწია პარტიისათვის, პროლეტარიატისათვის, ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული მასებისათვის.

მხოლოდ პროფესიონალ-რევოლუციონერთა კოლექტივის ხელმძღვანელობით, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — „შეიძლება განვამტკიცოთ და განვავითაროთ წინააღმდეგ ყველა ჟანდარმისა, სოციალ-დემოკრატიული პროფესიული მოძრაობა“.

პროლეტარული პარტიის მეორე ნაწილი, ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, უნდა შევსებულიყო პერიფერიული, ადგილობრივ

პარტიული ორგანიზაციების ფართო ქსელისაგან, ადგილობრივი პარტიული მასებისაგან, რომლებსაც ექნებოდათ მუშათა კლასში თანაგრძნობა და მხარდაჭერა.

მარქსისტული პარტიის აგების ლენინური გეგმის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ „ეკონომისტები". ისინი აიგივებდნენ მუშების ადგილობრივ საგაფიცვო ორგანიზაციებს პროლეტარული პარტიის ორგანიზაციებთან, უარყოფდნენ როგორც საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის როლს, ისე პარტიის ლენინურ ორგანიზაციულ წყობას. „ეკონომისტები" უპირატესობას აძლევდნენ ადგილობრივ ორგანიზაციებს და ადგილობრივ გაზეთებს საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთისა და პროფესიონალ-რევოლუციონერთა ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანიზაციასთან შედარებით.

პროფესიონალ-რევოლუციონერთა მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სწორი ხელმძღვანელობა ადგილობრივ პერიფერიულ პარტიულ ორგანიზაციებზე და მთელ მებრძოლ პროლეტარიატზე, მათ შორის ნორმალური კავშირურთიერთობა ხელს უწყობდა და ამდიდრებდა არა მარტო ადგილებზე პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, არამედ პროლეტარიატის ყველა ორგანიზაციისა და მთლიანად პროლეტარიატის მოქმედებას და მოძრაობას.

მარქსისტული პარტიის აგების გეგმაში ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა პარტიის კლასობრივ ხასიათს, მის ისტორიულ როლს, მისი მიზნებისა და ამოცანების პრინციპულ საკითხებს. ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, პროლეტარული პარტია უნდა ყოფილიყო პროლეტარიატის მოწინავე რაზმი, ხელმძღვანელი შტაბი, რომელიც ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლებში სტრატეგიულ და ტაქტიკურ ხელმძღვანელობას გაუწევდა არა მარტო პროლეტარიატის მილიონიან არმიას, არამედ პროლეტარიატის მოკავშირე მშრომელი გლეხობის მრავალმილიონიან არმიასაც, შეაერთებდა და შეამჭიდროებდა მათს რევოლუციურ ძალებს გადამწყვეტ მომენტში, გადამწყვეტ ადგილზე და უზრუნველყოფდა გამარჯვებას.

პარტიას უნდა აეხსნა პროლეტარიატისათვის, რომ ცარიზმთან და მის მთავრობასთან ბრძოლა ცალკეული მოთხოვნებისათვის, წარმოადგენდა მტერთან წვრილმან შეტაკებებს, რომ ეს იყო შეჯახებები ფორფოსტებზე, რომ საჭირო იყო გადამწყვეტი შეჯახება ცარიზმის ციხე-სიმაგრის დასანგრევად. „ჩვენს წინაშე მთელი თავისი ძლიერებით აღმართულია მტრის ციხე-სიმაგრე, საიდანაც ყუმბარებსა და ტყვიებს სეტყვასავით გვაყრიან, რაც ხელიდან გვაცლის საუკეთესო მებრძოლთ. ეს ციხე-სიმაგრე უნდა ავიღოთ, და ავიღებთ კიდევაც, თუ გამოღვიძებული პროლეტარიატის მთელ ძალებს შევაერთებთ რუს რევოლუციონერთა მთელ ძალებთან ერთ პარტიად, რომლისაკენაც გაეშურება ყოველივე, რაც კი ცოცხალი და პატიოსანია რუსეთში. და მხოლოდ მაშინ ასრულდება რუსი მუშა-რევოლუციონერის პეტრე ალექსეევის დიადი წინასწარმეტყველება: „აღიმართება მილიონობით მუშა ხალხის ძარღვმაგარი ხელი, და ჯარისკაცთა ხიშტებით დაცული დესპოტიზმის უღელი გაცამტვერდება!“ [1].

ადგილობრივ სოციალ-დემოკრატულ ორგანიზაციებთან, პროლეტარიატთან, გლეხობასთან, რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციასთან, ჯარისკაცებთან და მშრომელთა ფართო მასებთან „ისკრას“ კავშირურთიერთობის უზრუნველსაყოფად ვ. ი. ლენინმა გაზეთში შემოიღო განყოფილებები: „ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება“, „მუშათა მოძრაობის ქრონიკა“, „პარტიული ცხოვრება“, „აგიტაცია-პროპაგანდა“, „საწარმოებთან კავშირი“, „გაფიცვებისა და რევოლუციური ბრძოლის ქრონიკა“, „მდგომარეობა სოფლად და გლეხობა“, „საზღვარგარეთის ამბები“, „რედაქციის პასუხი“, „საფოსტო ყუთი“, „განცხადებები“ და სხვ. თვითეულ განყოფილებაში იბეჭდებოდა ისეთი წერილები და კორესპონდენციები, რომლებსაც შეეძლოთ აემხედრებინათ ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული მასები და ცალკეული უკმაყოფილო ელემენტები და გაეერთიანებინათ ისინი რუსეთის საერთო მძლავრ მოძრაობაში.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 456.

მიუხედავად გაზეთში მუშაობის სირთულისა, რაც მისი გამოცემის პირველ ხანებში შეიქმნა („შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის არასისტემატური დახმარების გამო), ვ. ი. ლენინი მაინც ახერხებდა „ისკრას“ ყოველთვიურ გამოცემას და ზოგჯერ თვეში ორი ნომრის გამოშვებასაც კი. მან გაზეთი „ისკრა“ არა მარტო პრინციპულ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე აიყვანა, არამედ იგი გახდა მრავალფეროვანი, მაღალმხატვრული, მიმზიდველი და საინტერესო. მიუხედავად იმისა, რომ ლენინს უმთავრესად მარტო უხდებოდა „ისკრას“ რედაქციაზე და გამოცემაზე მუშაობა, იგი მაინც ახერხებდა ყველა წამოყენებულ საკითხზე ჯეროვანი და დროული პასუხის გაცემას.

ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით პროფესიონალური რევოლუციონერებისაგან შეიქმნა „ისკრას“ აგენტების ქსელი რუსეთის დიდ ქალაქებში, სამრეწველო ცენტრებში, იმპერიის განაპირა მხარეებში და დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ქალაქებში: ბერლინში, პარიზში, ლონდონში, ჟენევაში და სხვ. დასავლეთ ევროპის ქალაქებში „ისკრას“ აგენტები არა მარტო კორესპონდენციებს აგროვებდნენ და უზრუნველყოფდნენ კავშირურთიერთობის დამყარებას ცალკეულ რუს სოციალ-დემოკრატებთან და სოციალ-დემოკრატიულ წრეებთან, არამედ დიდ მუშაობას ატარებდნენ რუსეთში გაზეთის („ისკრათი“ სავსე ჩემოდნების) წამომღებ პირთა გამონახვისათვის, მათი ვინაობისა და მისამართების კონსპირაციისათვის. განსაკუთრებით ძნელი იყო „ისკრას“ აგენტების მუშაობა მეფის რუსეთში. მათ სჭირდებოდათ დიდი კონსპირაციული დახელოვნება, რათა არ ჩავარდნოდნენ პოლიციას ხელში და არ გაწყვეტილიყო რედაქციასთან კავშირი.

ძნელი და რთული იყო ცარიზმის პოლიციური რეჟიმის პირობებში საზღვარგარეთიდან რუსეთში გაზეთის შემოზიდვა. ვ. ი. ლენინი დაუღალავად ეძებდა გზებსა და საშუალებებს ამ საკითხის მოგვარებისათვის. იგი 1901 წლის ივნისში „ისკრას“ აგენტებისადმი მიწერილ წერილში წერდა: „ჩვენთვის ამჟამად თავი და თავი საქმეა გადაზიდვა, გადაზიდვა და გადაზიდვა. ვი-

საც სურს დაგვეხმაროს, მან მთელი ძალღონე ამ საქმეს უნდა მოახმაროს".

„ისკრა" იბეჭდებოდა თხელ გამძლე ქაღალდზე და არალეგალურად შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან რუსეთში უმთავრესად ორფსკერიანი ჩემოდნებით, ე. წ. „მგზავრების" საშუალებით. თავდაპირველად საზღვარგარეთიდან „ისკრას" და სხვა არალეგალური ლიტერატურის მიღება ხდებოდა ორ ადგილას: ქ. ფსკოვში პ. ნ. ლეპეშინსკის ბინაზე და ქ. კიევში ვინმე „მეგობრის" ბინაზე. მაგრამ 1901 წლის შემოდგომიდან მოხერხდა „ისკრას" მატრიცების შემოზიდვა ბაქოში ბათუმის გზით, საფრანგეთის სანაოსნო საზოგადოების „პაკეს" საშუალებით.

ბაქოში „ისკრას" მატრიცების მიღების ორგანიზაცია ვ. ი. ლენინის დავალებით ლ. კეცხოველმა მოაწყო. „ისკრას" შემოზიდვის ამ ახალმა გზამ გაუმჯობესა გაზეთის გავრცელების საქმე არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელ რუსეთშიც.

საზღვარგარეთიდან რუსეთში „ისკრას" გადმოზიდვის სატრანსპორტო ქსელი დაახლოებით ასეთი იყო: მიუნხენი — ლონდონი — მარსელი — ბათუმი — ბაქო; მიუნხენი — ვარნა — ოდესა; მიუნხენი — კენიგსბერგი — ვილნიუსი; ჟენევა — ტილზიტი—კოვნო — ვილნიუსი—რიგა; ლონდონი—ლვოვი — კამენეც-პოდოლსკი — კიევი; ლონდონი — ვარნა — არხანგელსკი; ჟენევა — სტოკჰოლმი — პეტერბურგი; ჟენევა—ალექსანდრია — ხერსონი; მიუნხენი — ვენა — თავრიზი — ბაქო.

მეფის რუსეთში პოლიციისა და ჯაშუშთა თარეშის მიუხედავად, „ისკრას" ცნობილი აგენტები, როგორიც იყვნენ ნ. ე. ბაუმანი, ი. ბ. ბაბუშკინი, მ. ი. ულიანოვა, პ. ნ. ლეპეშინსკი, გ. მ. კრჟიჟანოვსკი, მ. მ. ლიტვინოვი, რ. ს. ზემლიაჩკა, პ. გ. სმიდოვიჩი, ღ. მ. კნიპოვიჩი, ს. ი. გუსევი, მ. ი. კალინინი, ლ. ბ. კრასინი და სხვ., შესანიშნავად ახერხებდნენ ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან და კომიტეტებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას. „ისკრას" აგენტების მეშვეობით წარმოებდა გაზეთის დროულად გავრცელება მუშებში, გლეხობაში, ჯარის ნაწილებში და სტუდენტობაში. მათი დახმარებით რუსეთის რიგ ქალაქებში ეწყობოდა არალეგალური

სტამბები, სადაც ხდებოდა „ისკრასა“ და სხვა არალეგალური ლიტერატურის გადაბეჭდვა.

„ისკრას“ აგენტები არა მარტო თვითონ იყვნენ აქტიური კორესპონდენტები, არამედ ისინი აგროვებდნენ „ისკრასთვის“ კორესპონდენციებს, წერილებს და აგზავნიდნენ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში, ხოლო შემდეგ კორესპონდენცია და წერილები იგზავნებოდა ექიმ ლეიმანის სახელზე, რომელიც საბოლოოდ აგზავნიდა მათ გაზეთის რედაქციაში. კორესპონდენციის შეგროვებისა და გაზეთის გავრცელებისათვის „ისკრას“ აგენტებს ჰყავდათ ადგილებზე თანაშემწეები, მათთან დაკავშირებული ინფორმატორები.

„ისკრას“ აგენტებმა სერიოზული როლი შეასრულეს რუსეთის მუშათა მოძრაობაში და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში ლენინური ისკრული იდეების გავრცელებისა და მარქსისტული პარტიის აგების ლენინური გეგმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

„ისკრა“ ვ. ი. ლენინის იდეური ხელმძღვანელობით გახდა გამარეევოლუციონერებელი იდეების ნამდვილი ტრიბუნი, რომელმაც შეძლო მაღლა აეწია დემოკრატიზმის დროშა და ამ დროშის ქვეშ დაერაზმა ყველა პროგრესული ძალები მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

„ისკრა“ გადაიქცა ყველა მუშის, ყველა მშრომელის საყვარელ გაზეთად. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა სანამ იგი მთლიანად არ დაიძენძებოდა და ვიდრე კი შეიძლებოდა მისი წაკითხვა. ერთ-ერთი ფეიქარი მუშის კორესპონდენციაში ნათქვამია: „...მე ბევრ ამხანაგს ვუჩვენებდი „ისკრას“,... ნომერი დაიძენძა“... მუშა ხალხი ახლა ადვილად აღინთება, უკვე ყველაფერი ღვივდება... საჭიროა მხოლოდ ნაპერწკალი, რომ ხანძარი გაჩნდეს. ოჰ, რა სწორად არის ნათქვამი, ნაპერწკლიდან ალი გაჩაღდებაო!.. წინათ ყოველი გაფიცვა დიდი ამბავი იყო. ახლა კი ყველა ხედავს, რომ მარტო გაფიცვა არაფერს წარმოადგენს. ახლა საჭიროა თავისუფლება მოვიპოვოთ, მკერდით დავიპყროთ იგი“ [1].

---

[1] გაზ. „ისკრა“, № 7, 1901.

წინააღმდეგ „ეკონომისტებისა“, რომლებიც ამოცანად ისახავდნენ ყოველი სოციალ-დემოკრატის თეორიული დონე და პოლიტიკური შეგნებულობა დაექვეითებინათ ჩამორჩენილი მუშის დონემდე, ლენინურმა „ისკრამ“ თავისი გამარევოლუციონერებელი იდეებით რუსეთის ჩვეულებრივი მუშის იდეური ჰორიზონტი და პოლიტიკური შეგნება იმ დონემდე აამაღლა, რომ მან უშიშრად განაცხადა: „მარტო გაფიცვა არაფერს წარმოადგენს, ახლა საჭიროა თავისუფლება მოვიპოვოთ, მკერდით დავიპყროთ იგიო“.

„ისკრა“ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით თანდათან ძლევდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების იდეურ დაბნეულობას და ორგანიზაციულ დაქსაქსულობას, ანთავისუფლებდა რუსეთის მუშათა კლასს „ლეგალური მარქსისტებისა“ და „ეკონომისტების“ გავლენისაგან და გადაყავდა იგი ეკონომიური ბრძოლის ფორმებიდან პოლიტიკური ბრძოლის გზაზე.

* *
*

ლენინურ-ისკრულ პოზიციას გადაჭრით დაადგა თბილისის მარქსისტული ჯგუფი, რომელსაც ი. ბ. სტალინი, ლ. კეცხოველი და ა. წულუკიძე ედგნენ სათავეში. ვ. ი. ლენინის იმდროინდელ კლასიკურ ნაშრომებზე დაყრდნობით, „ბრძოლის კავშირის“ გავლენით და რუსეთიდან გადმოსახლებულ რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატების დახმარებით 1898 წელს „მესამე დასში“ ჩამოყალიბდა მარქსისტულ-ლენინური ჯგუფი, რომელმაც შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღა ნ. ჟორდანიას ოპორტუნისტული ჯგუფის წინააღმდეგ.

„მესამე დასის“ მემარჯვენე ფრთის წინააღმდეგ გაერთიანდა მემარცხენე ფრთა, რომელშიაც შედიოდნენ ძველი თაობიდან მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე და სხვ.; მოწინავე მუშებიდან — ზ. ჩოდრიშვილი, მ. ბოჭორიძე და სხვ.; მარქსისტთა ახალი თაობიდან — ა. წულუკიძე, ლ. კეცხოველი, ი. სტალინი.

მათ შექმნეს ლენინური იდეების დამცველი მებრძოლი რევოლუციური ჯგუფი. ამ ჯგუფის შექმნა, როგორც ლ. გორგილა-

ძე შენიშნავს, „...მოასწავებდა საქართველოს მუშათა მოძრაობაში ახალ ეტაპს“ [1], რადგან მან პირველმა დაიწყო „ბრძოლის კავშირის“ კვალდაკვალ მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთებისათვის ბრძოლა. ამ ჯგუფმა სწორად განსაზღვრა, რომ ნ. ჟორდანიას ანტიმარქსისტული ჯგუფისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტური ჯგუფების იდეური განადგურება და მარქსიზმის გამარჯვება ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობაში შეიძლებოდა მხოლოდ არალეგალური პოლიტიკური ორგანოს დაარსებით.

თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა ლენინურმა ჯგუფმა 1898 წელს წამოაყენა არალეგალური პოლიტიკური გაზეთის დაარსების საკითხი, რომლის წინააღმდეგ გაილაშქრა ნ. ჟორდანიას ოპორტუნისტულმა ჯგუფმა. ეს ჯგუფი ნ. ჟორდანიას მეთაურობით რუსეთის „ლეგალური მარქსისტებისა“ და „ეკონომისტების“ კვალდაკვალ უარყოფდა არალეგალური პოლიტიკური გაზეთის შექმნას და კმაყოფილდებოდა ლეგალურ პრესაში მონაწილეობით. „მარქსიზმის მიღება, — წერდა ფ. მახარაძე, — ...მაშინ საკმარისად დიდ მსხვერპლს თხოულობდა, მაგრამ ეს გარემოება არაოდეს არ აჩერებდა იმათ, ვისაც ხალხის ბედნიერება და მისი სამსახური ჰქონდა მიზნად დასახული; ყველა ისინი, ვინც ჯანსაღ ელემენტს წარმოადგენდენ და ვინც მომავლისაკენ იცქირებოდენ, ხდებოდენ მარქსის იდეების მომხრეებად... მარქსისტების პირველმა გამოსვლამ მწერლობაში იმ თავითვე მაშინდელი ქართული საზოგადოება ორ ნაწილად, ორ ბანაკად გაყო: ერთ ბანაკში თავი უნდა მოეყარათ იმათ, ვინც რევოლუციის და სოციალიზმის მომხრე იყო, მეორეში კი — იმათ, ვინც მომხრე იყო ძველი წყობილების, ე. ი. ადამიანთა ჩაგვრის და ექსპლოატაციის“ [2].

ამიერკავკასიაში მარქსიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდში ბურჟუაზიული ნაციონალისტურ-ფედერალისტური, დაშნაკური და ლიბერალურ-ნაროდნიკული ჯგუფები (მიუ-

---

[1] ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში, 1956, გვ. 235.

[2] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზ., ფ. მახარაძის წინასიტყვაობიდან, გვ. 14, 1927.

ხედავად მათი გარეგნული განსხვავებისა) წარმოადგენდნენ ექსპლოატატორული კლასების სასიცოცხლო ინტერესების დამცველთა ერთი ბანაკის შემადგენელ რგოლებს, რომლებიც გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ მარქსისტულ-ლენინური იდეების წინააღმდეგ ლეგალური პრესის ფურცლებზე.

თბილისის ცენტრალურ რევოლუციურ ჯგუფს რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა. ეს ჯგუფი ი. სტალინის, ლ. კეცხოველის და ა. წულუკიძის მეთაურობით შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებდა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დაცვისათვის არა მარტო მუშათა მოძრაობის შიგნით — ნ. ჟორდანიას ოპორტუნისტული ჯგუფის წინააღმდეგ, არამედ მუშათა მოძრაობის გარეთ — ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგაც; ააშკარავებდა მათი ინტერესების ერთიანობას, ავრცელებდა მარქსისტულ-ლენინურ იდეებს ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობაში, ამზადებდა პირობებს მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთებისათვის.

მესამე დასის მემარჯვენე ფრთა ნ. ჟორდანიას მეთაურობით გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა თბილისის ცენტრალურ ჯგუფს არალეგალური პოლიტიკური გაზეთის დაარსების საქმეში. ეს ჯგუფი, ლეგალური ორგანოების — გაზეთ „კვალისა“ და ჟურნალ „მოამბის“ ფურცლებზე — რუსეთის „ლეგალური მარქსისტებისა“ და „ეკონომისტების“ მსგავსად, გადაჭრით მოითხოვდა ბურჟუაზიასთან მარქსისტების ერთიანობის პოლიტიკას, ბურჟუაზიის ინტერესებისადმი მარქსიზმის შეგუების პოლიტიკას. თბილისის ცენტრალური რევოლუციური ჯგუფი ი. სტალინისა და მის თანამებრძოლთა მეთაურობით კატეგორიულად უარყოფდა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან კავშირს, გადაჭრით მოითხოვდა ბურჟუაზიული ჯგუფებისაგან, მათი დამხმარე ნ. ჟორდანიას ოპორტუნისტული ჯგუფისაგან გამიჯვნას და არალეგალური პოლიტიკური გაზეთის დაარსების დაჩქარებას.

თბილისში, როგორც ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრში, პოლიციისა და ჯაშუშთა ორგანიზაციების გარემოცვაში ხელსაყრელი არ იყო არალეგალური ორგანოს რედაქ-

ციისა და გამომცემლობის მოწყობა, ამიტომ ლენინურმა ჯგუფმა გადაწყვიტა არალეგალური გაზეთის გამომცემლობისა და რედაქციის მოწყობა ქ. ბაქოში.

1900 წლის იანვარში თბილისის ცენტრალური ლენინური ჯგუფის დავალებით ლ. კეცხოველი გაიგზავნა ქ. ბაქოში პარტიული მუშაობისათვის. მას დაევალა ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მარქსისტულ-ლენინური იდეების გავრცელება, ორგანიზაციის ლენინურ პოზიციაზე დაყენება და არალეგალური სტამბის მოწყობა.

მძიმე პირობებში უხდებოდა ლ. კეცხოველს ბაქოში არალეგალური სტამბის მოწყობა. სიძნელე მდგომარეობდა ცარიზმის უსასტიკეს პოლიციურ რეჟიმსა და ნ. ჟორდანიას ოპორტუნისტული ჯგუფის დეზორგანიზატორულ საქმიანობის პირობებში სტამბისათვის საფანადო მოწყობილობის შეძენაში, მის კონსპირაციასა და სათანადო ასოთამწყობების გამონახვაში.

ბაქოში სტამბის მოწყობის საქმის ჩაფუშვის მიზნით ნ. ჟორდანიას მითითებით 1901 წლის გაზაფხულზე თბილისიდან გაიგზავნა მუშების ე. წ. დელეგაცია, რომელსაც დაევალა კეცხოველთან მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ მას ხელი აეღო არალეგალური სტამბისა და პოლიტიკური გაზეთის რედაქციის შექმნაზე. მაგრამ პირიქით მოხდა: ლ. კეცხოველმა მუშათა დელეგაციასთან ახსნა-განმარტებით მოახერხა მათი გამოყენება არალეგალური სტამბის მოწყობისათვის.

სტამბის მოწყობისათვის, საბეჭდი მანქანისა და სხვა მასალების შესაძენად საჭირო გახდა ყალბი დოკუმენტების დამზადება, რაც სერიოზულ სიძნელეს წარმოადგენდა. მაგრამ ლ. კეცხოველმა ეს საკითხიც მოაგვარა. მან იშოვა სპეციალური ბლანკი, შეავსო ის თავის სახელზე და განჯის გუბერნატორის მაგივრად მოაწერა ხელი. შემდეგ ამ ყალბი დოკუმენტიდან, როგორც ლ. ბ. კრასინი გადმოგვცემს, ლ. კეცხოველმა გადაიღო ასლი, შეამოწმებინა ის ბაქოს ნოტარიუსს და მიიღო დოკუმენტი, რომელიც უფლებას იძლეოდა სტამბისათვის ყველა საჭირო მოწყობილობის შესაძენად. ლ. კეცხოველმა მოწინავე მუშების დახმარებით მოახერხა ყველა სიძნელის გადალახვა

და 1901 წლის ზაფხულში მოაწყო ქ. ბაქოში დიდი არალეგალური სტამბა.

ბაქოში არალეგალური სტამბის მოწყობამ და გაზეთ „ბრძოლას“ პირველი ნომრის გამოსაცემად მომზადებამ აღაშფოთა ნ. ჟორდანია და მისი თანამოაზრეები. მათ გადაჭრით მოითხოვეს რედაქციის თბილისში მოწყობა, რათა მოეხდინათ მასზე ზეგავლენა, მაგრამ ლენინურმა ჯგუფმა მტკიცედ დაიცვა ოპორტუნისტებისაგან „გამიჯვნის ხაზის გატარება“. ნ. ჟორდანიას ჯგუფმა აქაც მარცხი განიცადა, გაზეთ „ბრძოლას“ რედაქცია გამომცემლობასთან ერთად ბაქოში დარჩა.

ამრიგად, თბილისის ლენინურმა ჯგუფმა ი. სტალინისა და ლ. კეცხოველის ხელმძღვანელობით ლენინური გაზეთ „ისკრას“ გამოსვლიდან 9 თვის შემდეგ, 1901 წლის სექტემბრისათვის, საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის შექმნა პირველი არალეგალური პოლიტიკური ორგანო, ისკრული მიმართულების გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც სერიოზული მოვლენა იყო ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის იდეურ ცხოვრებაში.

გაზეთ „ბრძოლას“ პირველი ნომერი გამოვიდა ბაქოში ლ. კეცხოველის რედაქტორობით 1901 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში. იგი მიეძღვნა მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის თავდადებულ, გმირულად მებრძოლ ადამიანებს, რომლებიც ამაყად და უშიშრად გამოდიოდნენ ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომლებიც არ ზოგავდნენ ცოდნას, ენერგიას, საკუთარ სიცოცხლეს მუშათა კლასისა და მისი საიმედო მოკავშირის მშრომელი გლეხობის გამარჯვებისათვის. „მ ი ი ღ ე თ დ ა შ ე ი ტ კ ბ ე თ! ვუძღვნი ჩემს უძვირფასეს ამხანაგებს, ჩემთან ჭირში და ლხინში შეზრდილთ, რკინის გრდემლივით ცეცხლში გამოწრთობილთ, ცხოვრების წაღმა-უკუღმა ტრიალში მებრძოლთ, უშიშარ გმირთ, სამართლისათვის თავდადებულთ, ადამიანის ზნეობრივად ამამაღლებელთ, დავრდომილთა და ჩაგრულთა გამამხნევებელთ, უსამართლობის ბორკილთა დამლეწთ, ადამიანის შემბორკავ ჯაჭვთა დამამსხვრეველთ, მეცნიერების გამანთავისუფლებელთ, შემზარავ

საპყრობილეთა დამანგრეველთ, მანდილოსანთა პატიოსნების აღმდგენელთ, ბნელში მანათობელთ და გასალკლდეებულ ვაჟკაცთ, თავისუფლების, სიყვარულის და ერთობის დროშის მატარებელთ, ერთგულ და სიმართლისათვის ტანჯულ-წამებულ ამხანაგებს"[1].

გაზეთ „ბრძოლას" პირველ ნომერში გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის სტატია „რედაქციისაგან", სადაც ზუსტად იყო განსაზღვრული ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური ორგანოს გაზეთის მებრძოლი როლი, რომელიც მას უნდა შეესრულებინა მარქსისტულ პარტიის აგების ლენინური გეგმის გამარჯვებისათვის, მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთებისათვის ბრძოლაში.

გაზეთმა „ბრძოლამ", მარქსისტული პარტიის აგების ლენინურ გეგმაზე დაყრდნობით, „ისკრას" თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის საფუძველზე, ამომწურავად დაამუშავა სამოქმედო პროგრამა. „ბრძოლა" გახდა მარქსისტული პარტიის აგების ლენინური გეგმის დამცველი და მისი გამარჯვებისათვის შეურიგებელი მებრძოლი. იგი გამოდიოდა მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე აგიტატორად მუშათა მოძრაობაში, პრინციპულ თეორიულ პროპაგანდისტად სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში და დაქსაქსული ადგილობრივი ორგანიზაციების შემაკავშირებელ ორგანიზატორად ერთიანი ცენტრალიზებული პარტიისათვის.

გაზეთი „ბრძოლა" გადაჭრით იბრძოდა მუშათა მოძრაობის დაქსაქსვისა და მისი ნაციონალურ ჩარჩოებში ჩაკეტვის წინააღმდეგ. მან წამოაყენა პროლეტარული ინტერნაციონალის პრინციპი, საქართველოს პროლეტარული მოძრაობის დიდი რუსი ხალხის პროლეტარულ მოძრაობასთან გაერთიანების პრინციპი.

გაზეთი „ბრძოლა", ეყრდნობოდა რა მარქსისტულ-ლენინური პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპს, თავის

---

[1] გაზ. „ბრძოლა", № 1, 1901.

სტატიებში მიუთითებდა, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობა განხილულიყო არა როგორც დამოუკიდებელი მოძრაობა, არამედ როგორც რუსეთის მუშათა კლასის მოძრაობის შემადგენელი ნაწილი, რომელიც უნდა გამოსულიყო მასთან ერთად საერთო მტრის — ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. იმ დროს, როდესაც საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობა ფეხს იდგამდა და სამოქმედო გზას ეძებდა, „ბრძოლამ" ი. სტალინისა და მის თანამებრძოლთა ხელმძღვანელობით სწორად განსაზღვრა ამიერკავკასიის პროლეტარიატის რუსეთის პროლეტარიატთან შინაგანი კავშირი, მათი ინტერესების ერთიანობა და ბრძოლის ველზე შეერთებული ძალით გამოსვლის აუცილებლობა.

გაზეთი „ბრძოლა" განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობას და „ისკრის" მუშაობის გამოცდილების საფუძველზე აშუქებდა პოლიტიკური ბრძოლის საკითხებს. ის ამოცანად ისახავდა მუშების, გლეხებისა და ყველა პროგრესული ელემენტის მოძრაობა გაერთიანებინა და გადაეყვანა პოლიტიკური ბრძოლის გზაზე.

„ბრძოლა" გახდა რევოლუციური პარტიის შექმნის ლენინური იდეის მხურვალე დამცველი, მისი მგზნებარე აგიტატორი, პროპაგანდისტი და საუკეთესო პოპულარიზატორი. მან შეუპოვარი იდეური ბრძოლა გააჩაღა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ლენინური პარტიის შექმნისათვის, ცარიზმის დასამხობად და სოციალიზმისაკენ გზის გაკაფვისათვის. რუსეთის პროლეტარიატს „...სჭირდება,—წერდა ი. ბ. სტალინი,—ძლიერი და მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაცია, სახელდობრ, სჭირდება ორგანიზაცია პარტიისა, რომელიც შეკავშირებული იქნება მარტო სახელით კი არა, თვით ძირითადი პრინციპებით და ტაქტიკური შეხედულებებით. ჩვენი ამოცანაა ვიმუშაოთ იმ ძლიერი პარტიის შესაქმნელად, რომელიც იქნება აღჭურვილი მტკიცე პრინციპებით და გაუპესელი კონსპირაციით"[1].

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 28, 1947 წ.

გაზეთი „ბრძოლა“, ლენინური „ისკრას“ კვალდაკვალ, მოითხოვდა ეკონომიური, პოლიტიკური და თეორიული ბრძოლის ფორმების ორგანულ კავშირში განხილვისა და პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლებში მათი გამოყენების აუცილებლობას. წინააღმდეგ „ეკონომისტებისა“ და მათი მეგობრებისა, „ბრძოლა“ პროლეტარულ მოძრაობას ორგანულად უკავშირებდა მეფის თვითმპყრობელობის დამხობისა და პროლეტარული რევოლუციისათვის ნიადაგის მომზადების საკითხს, პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის ბრძოლის საკითხს.

გაზეთ „ბრძოლას“ სერიოზულ დახმარებას უწევდა გაზეთი „პროლეტარიატი“, რომელმაც 1902 წლის ოქტომბრიდან დაიწყო სომხურ ენაზე გამოსვლა. გაზეთი „პროლეტარიატი“ წარმოადგენდა გაზეთ „ბრძოლას“ თანაშემწეს ლენინურ-ისკრული იდეების აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში.

ვ. ი. ლენინი აღფრთოვანებაში მოიყვანა თბილისის ცენტრალური მარქსისტული ჯგუფის ნაყოფიერმა რევოლუციურმა მუშაობამ, ისკრული მიმართულების გაზეთ „ბრძოლას“ მოღვაწეობამ. მან მოახერხა საზღვარგარეთიდან „ბრძოლას“ რედაქტორთან ლ. კეცხოველთან კავშირის დამყარება და მისთვის საქმიანი მითითებების მიცემა. იგი ლ. კეცხოველთან მიმოწერაში, კონსპირაციული მოსაზრებით, ბაქოს არალეგალურ სტამბას უწოდებდა „ნინას“, გაზეთ „ბრძოლას“ რედაქტორს ლ. კეცხოველს კი — „ნინას მამას“.

1900 წლის იანვარში „იუჟნი რაბოჩის“ ჯგუფმა დააარსა გაზეთი „იუჟნი რაბოჩი“. ეს ჯგუფი თავის გაზეთში „მემარცხენე“ რევოლუციური ფრაზებით გამოდიოდა და ხშირად მუშებს „შეერთებისა“ და „ბრძოლისაკენაც“ კი მოუწოდებდა. მაგრამ მისი მოწოდება დამზღვევ სალაროებში. გაერთიანებისა და ეკონომიური ბრძოლის ჩარჩოებს არ სცილდებოდა.

„იუჟნი რაბოჩის“ ჯგუფმა განიზრახა ბაქოს არალეგალური სტამბის გამოყენება თავისი გაზეთის გამრავლებისათვის და გამართა რედაქციასთან მიმოწერა. ამ ამბავმა საზღვარგარეთ ლენინამდეც მიაღწია. ვ. ი. ლენინი ლ. კეცხოველისადმი

მიწერილ წერილში მოითხოვდა, რომ „ნინას მამა“ გამიჯნოდა „ეენიას“ („იუენი რაბოჩის“) და გაეძლიერებინა დახმარება „კატიასათვის“ („ისკრასათვის“). ლ. კეცხოველმა ბრწყინვალედ შეასრულა ვ. ი. ლენინის მითითება.

ვ. ი. ლენინი დიდად იყო დაინტერესებული ბაქოს არალეგალური სტამბის მუშაობის შესაძლებლობით. იგი ლ. კეცხოველთან მიმოწერაში კითხულობდა—„შეიძლებოდა თუ არა ბაქოში „ისკრას“ გადაბეჭდვა“ და „მოხერხდებოდა თუ არა „ცოტად თუ ბევრად“ უმტკივნეულოდ მისი რუსეთში და ამიერკავკასიაში გავრცელება“. ამ კითხვებზე ლ. კეცხოველისაგან ვ. ი. ლენინმა დადებითი პასუხი მიიღო. ბაქოს არალეგალურ სტამბაში დაიწყო „ისკრას“ გადაბეჭდვა.

საზღვარგარეთიდან ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებებისა და ლ. კეცხოველის ორგანიზატორული მუშაობის შედეგად ბაქოს არალეგალური სტამბა გადაიქცა ამიერკავკასიისა და რუსეთის არალეგალური გამომცემლობის ერთ-ერთ მძლავრ ბაზად. ბაქოს სტამბას „ისკრას“ აგენტები არალეგალური ლიტერატურის გამოცემის „სრულიად რუსეთის ღუმელს“ უწოდებდნენ. ბაქოს სტამბა „თითქმის მთელ რუსეთს აკმაყოფილებდა „ისკრით“ (კრუპსკაია).

ლენინურ-ისკრული იდეებისათვის მებრძოლმა გაზეთმა „ბრძოლამ“ თბილისის რევოლუციური ჯგუფის მეთაურობით იდეურად დასძლია ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ნაწილის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შეხედულებანი და მოამზადა პირობები რევოლუციურ-მარქსისტული ორგანიზაციების შექმნისათვის ამიერკავკასიაში. 1901 წლის 11(24) ნოემბერს ავლაბარში შეიკრიბა თბილისის მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პირველი პარტიული კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 25 კაცი. მისი მუშაობა დაგვირგვინდა ლენინური მიმართულების რსდმპ თბილისის კომიტეტის შექმნით. კომიტეტში არჩეულ იქნენ: ი. სტალინი, ზ. ჩოდრიშვილი, ს. ჯუღელი, ვ. ცაბაძე, გ. ჩხეიძე და სხვ.

თბილისის კომიტეტი ერთხანს ასრულებდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ჯგუფების

ხელმძღვანელი ცენტრის როლს. მან გადაწყვიტა შეექმნა ლენინურ-ისკრული კომიტეტები ბაქოში და ბათუმში.

1901 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში თბილისის კომიტეტის დავალებით ბათუმში გაიგზავნა ი. ბ. სტალინი. მას რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა ბათუმში ლენინურ-ისკრული ხელმძღვანელი ჯგუფის შექმნისათვის. საქმეს ართულებდა არამარტო პოლიციისა და ჯაშუშების მხრივ გაძლიერებული დევნა, არამედ ბათუმში მყოფი კ. ჩხეიძისა და ის. რამიშვილის დეზორგანიზატორული მოქმედება, რომლებიც კმაყოფილდებოდნენ საკვირაო სკოლებში საბუნებისმეტყველო თემებზე საუბრების ჩატარებით და გადაჭრით ილაშქრებდნენ არალეგალური მარქსისტული ორგანიზაციის შექმნის წინააღმდეგ. ი. ბ. სტალინმა სწრაფად მოახდინა ბათუმის მოწინავე მუშებთან — კ. კალანტაროვთან, ი. დარახველიძესთან, პ. ქურიქესთან, ს. ლომჯარიასთან, ლ. ლომჯარიასთან, მ. გაბუნიასთან და სხვებთან დაკავშირება, და მათი დახმარებით მოკლე ხანში მოამზადა პირობები ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ისკრული ხელმძღვანელი ჯგუფის შესაქმნელად.

1901 წლის 31 დეკემბერს ორთაბათუმში ს. ლომჯარიას ბინაზე ახალ წელთან შეხვედრის საბაბით შეიკრიბა ბათუმის მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა 30 კაცი, კონფერენციამ ი. სტალინის მეთაურობით შექმნა ლენინურ-ისკრული ხელმძღვანელი ჯგუფი, რომელიც ფაქტიურად რსდმპ ბათუმის კომიტეტის როლს ასრულებდა.

თბილისის კომიტეტის დავალებით, ლ. კეცხოველმა 1902 წლის დამდეგს მოწინავე რევოლუციონერი მუშების დახმარებით მოახერხა ლენინურ-ისკრული რსდმპ ბაქოს კომიტეტის დაარსება.

ამგვარად, თბილისის ცენტრალურმა რევოლუციურმა ლენინურმა ჯგუფმა, რომელსაც ი. სტალინი, ლ. კეცხოველი და ა. წულუკიძე მეთაურობდნენ, 1901 წლის დამლევსა და 1902 წლის დასაწყისში შექმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების რსდმპ თბილისის, ბათუმისა და ბაქოს რევოლუციური კომიტეტები.

რსდმპ ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული კომიტეტები წარმოადგენდნენ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დამცველ მებრძოლ ორგანიზაციებს, რომელთაც აღმართეს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობაში.

* *
*

ვ. ი. ლენინს შეუპოვარი თეორიული ბრძოლა უხდებოდა არა მარტო „ლეგალური მარქსისტების", „ეკონომისტების", ბუნდელების, „სოციალისტ-რევოლუციონერებისა" და მათი საზღვარგარეთელი მასწავლებლების წინააღმდეგ, არამედ მათ-დამი შემარიგებლობის წინააღმდეგ საერთოდ და კერძოდ „ისკრის" რედაქციაში.

იყო შემთხვევები, როცა „ისკრას" და „ზარიას" რედაქციის ზოგიერთი წევრი თვეობით აბრკოლებდა ვ. ი. ლენინის წერილების გამოქვეყნებას, რომლებიც მიმართული იყო „ლეგალური მარქსისტებისა" და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინის ცნობილი ნაშრომი „ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები" „ისკრას" რედაქციაში ხელიდან ხელში გადადიოდა, სანამ იგი „ეღირსებოდა" „ზარიაში" გამოქვეყნებას. ვ. ი. ლენინის ნაშრომი მიეძღვნა მეფის მინისტრის ს. ი. ვიტეს საიდუმლო ბარათს „თვითმპყრობელობა და ერობა" და „ლეგალური მარქსისტის" პ. ბ. სტრუვეს კრიტიკას. მეფის მინისტრი ს. ი. ვიტე ილაშქრებდა რუსეთში ერობების შემოღების წინააღმდეგ და არწმუნებდა მეფეს, რომ ერობები არ შეეფერებოდა აბსოლუტურ მონარქიას. პ. ბ. სტრუვემ ვიტეს ბარათი გამოიყენა მარქსისტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. პ. სტრუვე აფეტიშებდა ერობების მნიშვნელობას და სარკასტულად მიუთითებდა მარქსისტების წინააღმდეგ, რომ ვითომ ისინი „ჩამორჩნენ რუსეთის დემოკრატიულად გარდაქმნის გაგების საკითხში მეფის მთავრობის მინისტრებსაც". ვ. ი. ლენინმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა როგორც აბსოლუტური მონარქიის დამცველი ს. ი. ვიტეს რეაქ-

ციული შეხედულება, ისე ერობებით გატაცებული პ. ბ. სტრუ-ვეს ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა.

გ. ვ. პლეხანოვს არ მოეწონა ლიბერალების წინააღმდეგ ვ. ი. ლენინის პოლემიკის მკაცრი ტონი. იგი თავის წერილში ურჩევდა ლენინს შეერბილებინა წერილი და არ გაემწვავებინა დამოკიდებულება ლიბერალებთან. „ჩემი აზრით,— წერდა პლეხანოვი ლენინს,— საჭიროა შეიცვალოს ზოგიერთი გამოთქმები. არ არის საჭირო ლიბერალების ლანძღვა საერთოდ. საჭიროა თავი დავანებოთ ცუდ ლიბერალებს და მივმართოთ კარგს. უნდა ვთქვათ, რომ ვიმედოვნებთ ახლა უკვე აღარ განმეორდება ისეთი შეცდომები. უნდა რამდენჯერმე შევნიშნოთ, რომ ისინი, ვისაც თქვენ სიძულვილით უკეთებთ ატესტაციას, ღირსნი არ არიან იწოდებოდნენ ლიბერალებად. ლიბერალები კი თავისთავად ღირსნი არიან მეტი პატივისცემისა“[1].

გ. ვ. პლეხანოვმა ვერ გაიგო, რომ მეფის მთავრობის მიერ ერობების დაშვება და ლიბერალურ ბურჟუაზიასთან კავშირი ნაკარნახევი იყო მათი საერთო ინტერესებით მზარდი მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. ისტორიაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ექსპლოატატორული კლასები მიდიან პატარა დათმობაზე, რათა გათიშონ, შეაჩერონ, ან სწორი გზიდან გადააცდინონ მუშათა მოძრაობა და განამტკიცონ თავიანთი პოზიციები.

საჭირო იყო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას კარგად გაეგო, რომ მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო შეცდომების თავიდან აცილება და მტრის ყველა ოინის გამოცნობა, თუ იგი არ დაივიწყებდა საბოლოო მიზანს და თავისი მოძრაობის თვითეულ ნაბიჯს შეაფასებდა რევოლუციური ბრძოლის თვალსაზრისით.

გ. ვ. პლეხანოვი ვ. ი. ლენინის სტატიის გამო აქსელროდს სწერდა: „შენ ჩვენს შორის ყველაზე შორსმჭვრეტელი, ტაქტიკოსი ხარ და შენ უნდა გადასწყვიტო მართალია თუ არა ავტორი?“ აქსელროდიც თავის მხრივ ურჩევდა ლენინს სტატიის ტონის შერბილებას.

---

[1] იხ. ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული, ტ. III, გვ. 203.

მაგრამ ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა ლიბერალიზმისაგან გამიჯვნისა და მისი მკაცრად გაკრიტიკების აუცილებლობა, ბრძოლით მიაღწია თავისი სტატიის „ერობის მდევნელნი და ლიბერალების ჰანიბალების“ ჟურნალ „ზარიაში“ გამოქვეყნებას 1901 წლის დეკემბერში. ამ სტატიამ სერიოზული როლი შეასრულა ლიბერალური ბურჟუაზიის რეაქციული პოლიტიკის მხილებისა და მარქსიზმის დაცვის საქმეში.

გ. ვ. პლეხანოვის ლიბერალური ოპოზიციისადმი თანაგრძნობა უფრო აშკარა გახდა მას შემდეგ, როცა „ლეგალური მარქსისტების“ ცნობილმა ლიდერებმა პ. სტრუვემ და ტუგან-ბარანოვსკიმ 1901 წლის შემოდგომაზე განცხადება შეიტანეს „ისკრასა“ და „ზარიას“ რედაქციაში თავიანთი ორგანოს „სოვრემენნოე ობოზრენიეს“ გამოცემისა და რედაქციაში თანასწორი უფლებით შესვლის შესახებ. მათი განცხადება განიხილა ისკრელთა თათბირმა 1901 წლის ნოემბრის დამლევს ქ. მიუნხენში. თათბირს ესწრებოდნენ სტრუვე თავისი ცოლით, პოტრესოვი, აქსელროდი, ზასულიჩი და ლენინი.

თათბირზე განცხადებას მხარი დაუჭირეს პოტრესოვმა, აქსელროდმა და ზასულიჩმა.

ვ. ი. ლენინმა გადაჭრით გაილაშქრა „ლეგალურ მარქსისტებთან“ შეთანხმების წინააღმდეგ, მაგრამ იგი უმცირესობაში აღმოჩნდა. მან სასწრაფოდ აცნობა წერილობით ლონდონში მყოფ გ. ვ. პლეხანოვს, რათა მას მხარი არ დაეჭირა „ლეგალურ მარქსისტებთან“ შეთანხმებისათვის. მაგრამ პლეხანოვი ერთგვარ „დანაშაულადაც“ კი თვლიდა ლიბერალებისადმი უნდობლობის გამოცხადებას. მან შეადგინა ლიბერალური ოპოზიციისადმი თანაგრძნობის განცხადება და გაგზავნა „ისკრაში“ გამოსაქვეყნებლად. განცხადებაში გ. ვ. პლეხანოვი წერდა; რომ „რედაქცია მიესალმება ლიბერალური ოპოზიციის თანამშრომლობას“. ლენინმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია პლეხანოვს და მისი განცხადება არ იქნა გამოქვეყნებული. ლენინმა ბრძოლით მიაღწია იმას, რომ „ლეგალური მარქსისტები“ იძულებული გახდნენ უკანვე წაეღოთ თავიანთი განცხადება და „სოვრემენნოე ობოზრენიეს“ გამოცემის საქმე ჩაიშალა.

გ. ვ. პლეხანოვი და მისი თანამოაზრეები ხშირად გამოხატავდნენ „ეკონომისტებთან“ გაერთიანების სურვილსაც. 1901 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში ციურიხში მიმდინარეობდა ისკრელების თათბირი „რაბოჩეე დელოელებთან“, ბუნდელებთან და „ბორბას“ ჯგუფთან დამოკიდებულების საკითხზე. ვ. ი. ლენინმა მოითხოვა ისკრელების გამოსვლა რსდმ პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციების „გამაერთიანებელ“ ყრილობაზე დამოუკიდებელი პრინციპული პოზიციით, რათა ბოლომდე გამომჟღავნებულიყო ის ძირითადი წინააღმდეგობანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მარქსისტებსა და რევიზიონისტებს შორის. ასეთი ხაზის გასატარებლად თათბირმა „გამაერთიანებელი“ ყრილობისათვის მომხსენებლად გ. ვ. პლეხანოვი დაასახელა. მაგრამ პლეხანოვმა, არ იზიარებდა რა „ეკონომისტებისაგან“ გამიჯვნისა და მათთან წინააღმდეგობის შემდგომი გამწვავების თვალსაზრისს, უარი განაცხადა, გამოსულიყო მომხსენებლად. „გაცილებით უკეთესი იქნება,— განაცხადა მან.—„ეკონომიზმის“ წინააღმდეგ გამოვიდეს სხვა ვინმე, რადგან ჩემი დამოკიდებულება მათდამი საკმაოდ ცნობილიაო“. პლეხანოვმა მომხსენებლად ვ. ი. ლენინი დაასახელა.

რსდმ პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციების „გამაერთიანებელი“ ყრილობა შეიკრიბა ციურიხში 1901 წლის 4 ოქტომბერს. ყრილობას უნდა განეხილა პრინციპული შეთანხმების, ორგანიზაციული შეთანხმების, წესდების, რედაქციების გამოყოფის, პარტიული კომიტეტისა და საბჭოს არჩევის, ბუნდთან დამოკიდებულებისა და სხვა საკითხები.

პირველ საკითხზე ვ. ი. ლენინის მოხსენებამ საბოლოოდ გამოარკვია „ეკონომისტებთან“ და მის მომხრეებთან გაერთიანების შეუძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ პლეხანოვმა და მარტოვმა გამოთქვეს აზრი „ეკონომისტებთან“ გაერთიანების სასარგებლოდ, ვ. ი. ლენინის მეცნიერული კრიტიკული მოხსენების შემდეგ გაერთიანების ტენდენციები მაინც საფუძვლიანად შეირყა, მეოთხე სხდომის შემდეგ კი მას სრულიად გამოეცალა ნიადაგი.

ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ლენინის მეცნიერულმა კრიტიკამ აიძულა პლეხანოვი და მისი მომხრეები უარი ეთქვათ

„ეკონომისტებთან“ გაერთიანებაზე. ვ. ი. ლენინის მოთხოვნით, „ზარიას“ და „ისკრას“ საზღვარგარეთის განყოფილებებმა და რევოლუციურმა ორგანიზაციამ „სოციალ-დემოკრატმა“ ყრილობის მეოთხე სხდომაზე გააკეთეს განცხადება „ეკონომისტებთან“ გაერთიანების წინააღმდეგ და ყრილობა დასტოვეს.

ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ „რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის“ საქმიანობა... ამზადებდა ნიადაგს მუშათა მოძრაობის გადაქცევისათვის ბურჟუაზიული დემოკრატიის იარაღად, ...რომ „რაბოჩეე დელოს“ მე-10 ნომრის სტატიები, ყრილობაზე გამართული კამათი,... „კავშირის“ მიერ წამოყენებულ შესწორებათა აზრი და „კავშირის“ სახელით მათი მოტივების დასაბუთება რედაქტორ კრიჩევსკის სიტყვაში ძირფესვიანად შორდება შეთანხმების პრინციპულ პუნქტებს“[1].

რსდმ პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციების „გამაერთიანებელ“ ყრილობაზე „ეკონომისტების“ და მათ თანამგრძნობთა დამარცხება წარმოადგენდა წინ გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯს მარქსისტული პარტიის ლენინური გეგმის გამარჯვებისათვის პროლეტარული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის გზაზე.

„ლეგალურ მარქსიზმთან“, „ეკონომიზმთან“ და ბუნდელებთან ერთად სერიოზულ დაბრკოლებას ქმნიდა „სოციალისტ-რევოლუციონერთა“ ჯგუფი, რომელიც ჩამოყალიბდა 1901 წლის დამლევისათვის. ეს ჯგუფი იბრძოდა მარქსიზმის წინააღმდეგ თეორიულ, პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებში. იგი უარყოფდა პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის თეორიას, უარყოფდა პროლეტარიატის ისტორიულ როლს და გამოხატავდა კულაკური გლეხობის ინტერესებს.

ტაქტიკის საკითხში „სოციალისტ-რევოლუციონერები“, როგორც ნაროდნიკების მემკვიდრენი, მთავარ მნიშვნელობას

---

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების, რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, გვ. 28 — 29.

ანიჭებდნენ ინდივიდუალურ ტერორს. 1901 წლის დამდეგიდან „სოციალისტ-რევოლუციონერები“ პრაქტიკულად გადავიდნენ ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკაზე. ტერორისტმა კარპოვიჩმა რევოლვერის ტყვიით დასჭრა განათლების მინისტრი ბოგოლეპოვი. ამავე დროს მოხდა ტერორისტ ლაგოვსკის თავდასხმა სინოდის ობერპროკურორ პობედონოსცევზე. ამ მოვლენამ ტერორისტული განწყობილება გამოაცოცხლა არა მარტო „სოციალისტ-რევოლუციონერთა“ ორგანიზაციის წრეებში, არამედ „ეკონომისტებშიაც“.

სტატიაში „ისტორიული შემობრუნება“ ჟურნალი „რაბოჩეე დელო“ წერდა: კარპოვიჩისა და ლაგოვსკის ტყვია და ის მხურვალე თანაგრძნობა, რაც მან ახალგაზრდობაში გამოიწვია, ნათლად გვიჩვენებს, რომ „მეფის მთავრობის თეთრი ტერორი გარდუვალი ძალით ქმნის ნიადაგს რევოლუციური წითელი ტერორისათვის“. ეს იყო „ეკონომისტების“ თავბრუდახვევა და ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნა, რაც ხშირად ემართებათ როგორც ხალხთა როლის უგულებელმყოფელთ, ისე ხალხში სოციალისტური შეგნების შეტანისა და მისი მაორგანიზებელი როლის უარმყოფელთ.

ნაროდნიკული ტერორისტული მისწრაფებების აღორძინება დაბრკოლებას ქმნიდა პროლეტარიატის იდეურ-პოლიტიკური გაერთიანებისათვის, ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის. ამიტომ ვ. ი. ლენინმა „ლეგალური მარქსისტების“, „ეკონომისტების“, ბუნდელებისა და მათი სახესხვაობის — ქართველი ლეგალური მარქსისტებისა და სომეხი დაშნაკების წინააღმდეგ თეორიული ბრძოლის პარალელურად გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღა „სოციალისტ-რევოლუციონერების“ წინააღმდეგაც. მან მზის სინათლეზე გამოიტანა „სოციალისტ-რევოლუციონერთა“ ჯგუფის წვრილბურჟუაზიული პოლიტიკა და მოუწოდა მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს ულმობელი ომი გამოეცხადებინათ მათთვის.

ვ. ი. ლენინმა „სოციალისტ-რევოლუციონერების“ გამანადგურებელი კრიტიკა მოგვცა თავის ადრინდელ სტატიებში: „რატომ უნდა გამოუცხადოს სოციალ-დემოკრატიამ გადამწყვეტი და ულმობელი ომი „სოციალისტ-რევოლუციონერებს?“,

„რევოლუციური ავანტიურიზმი“, „ვულგარული სოციალიზმი და ნაროდნიკობა, რომლებსაც აცოცხლებენ სოციალისტ-რევოლუციონერები“ და სხვ.

ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, „სოციალისტ-რევოლუციონერთა“ წინააღმდეგ მარქსისტული სოციალ-დემოკრატიის მიერ გადამწყვეტი და ულმობელი ბრძოლის წარმოება აუცილებელი იყო ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მათ ორჭოფული პოზიცია დაიკავეს რევოლუციონერებსა და ოპორტუნისტებს შორის, მარქსიზმში „შერყეულად“ გამოაცხადეს და მოითხოვეს მისი გადასინჯვა; მეორე, „სოციალისტ-რევოლუციონერები“ ცდილობდნენ მკვდრეთით აღედგინათ ნაროდნიკული უტოპიური სოციალიზმი; მესამე, მათ არ ესმოდათ, რომ ერთადერთი რევოლუციური და ჰეშმარიტად სოციალისტური შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ის პარტია, რომელიც ხელმძღვანელობდა მარქსისტული თეორიით და პრაქტიკულად აკავშირებდა სოციალიზმს მუშათა მოძრაობასთან. „სოციალისტ-რევოლუციონერები“ თავიანთი უპრინციპობის გამო, ერთი მხრივ, „ღვარძლიან სიხარულს ეძლეოდნენ“ სოციალ-დემოკრატების შეცდომების გამო, მეორე მხრივ კი დაბრკოლებებს უქმნიდნენ მათ „ეკონომიზმისა“ და ყველა სახის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში; მეოთხე, „სოციალისტ-რევოლუციონერები“ გადაჭრით უარყოფდნენ პროლეტარიატის ჰეგემონიას, თანასწორობის ნიშანს სვამდნენ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის; მათ არ უნდოდათ გაეგოთ და ვერც გაიგეს, რომ „პროლეტარული... იდეოლოგიის მიმართ ორჭოფობა და მელაკუდობა უეჭველად ხელსაყრელია ბურჟუაზიის იდეოლოგიისათვის“ (ლენინი); მეხუთე, „სოციალისტ-რევოლუციონერთა“ პროგრამა მიწების სოციალიზაციისა და ქალაქად მუშათა კოოპერატივების ჩამოყალიბების შესახებ (არსებული წყობილების პირობებში) წარმოადგენდა ილუზიას, მუშათა კლასისა და გლეხობის ცინიკურ მოტყუებას, მარქსისტულ რევოლუციური პრინციპების უარყოფას, მშრომელ მასებში არევ-დარევის შეტანას; მეექვსე, „სოციალისტ-რევოლუციონერებმა“ ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკის მკვდრეთით აღდგენის მოთხოვნით გადაჭრით უარყვეს ხალხთა მასების გადამწყ-

ვეტი როლი ისტორიაში, რითაც ისინი ხელს უშლიდნენ მებრძოლ პროლეტარიატსა და მის მოკავშირე რევოლუციურ გლეხობას გამოეყენებინათ პირადი თაოსნობა და ინიციატივა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ახალი ტიპის პარტიის დაარსების მიჯნაზე გაზეთმა „ისკრამ“ ვ. ი. ლენინის იდეური ხელმძღვანელობით უდიდესი როლი შეასრულა მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა ჯურის მტრებთან შეუპოვარ თეორიულ ბრძოლაში. მან მოამზადა პროლეტარული პარტიის იდეური და ორგანიზაციული დარაზმვისათვის საჭირო პირობები. იგი გახდა რუსეთის ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების არა მარტო იდეურად დარაზმვის, არამედ ორგანიზაციულად შეკავშირებისა და შემჭიდროების მძლავრი იარაღი.

„ისკრას“ უდიდესი დამსახურება პროლეტარული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის ისტორიაში ისაა, რომ მან, როგორც კოლექტიურმა აგიტატორმა, პროპაგანდისტმა და ორგანიზატორმა, თეორიულად დაძლია ყველა სახის ანტიმარქსისტული ოპორტუნისტული მიმდინარეობანი, დაიწყო პრაქტიკულად რუსეთის ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების იდეური დაბნეულობისა და ორგანიზაციული დაქსაქსულობის ლიკვიდაცია, და მათი გაერთიანება ერთიან ცენტრალიზებულ პროლეტარულ პარტიაში.

„ისკრამ“ მაღლა აღმართა მარქსიზმის დროშა, განაგრძო და გააფართოვა „ბრძოლის კავშირის“ მიერ დაწყებული მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთების საქმე, საფუძვლიანად შეარყია მუშათა მოძრაობის შიგნით „ეკონომიზმი“ და შექმნა რეალური პირობები ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის.

მაგრამ „ეკონომიზმი“ ჯერ კიდევ არ იყო იდეურად საბოლოოდ განადგურებული. მარქსისტების გადაუდებელი ამოცანა იყო „ეკონომიზმის“ საბოლოო იდეური განადგურება და ახალი ტიპის პარტიისათვის იდეოლოგიური საფუძვლების შემდგომი მეცნიერული დამუშავება.

თავი მესამე

3. ი. ლენინი სოციალისტური იდეოლოგიის გამომუშავებისა და რევოლუციური თეორიის მნიშვნელობის შესახებ მუშათა მოძრაობაში

იდეოლოგია წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების ერთობლიობას, წარმოდგენების, ცნებების, იდეების, თეორიების ერთობლიობას, განსაზღვრულ სისტემას, მსოფლმხედველობას, რომელიც ემსახურება ამა თუ იმ კლასის სასიცოცხლო ინტერესებს.

კაცობრიობის განვითარების ისტორიაში სხვადასხვა ეკონომიური ფორმაციების დროს სხვადასხვა იდეოლოგიასთან გვაქვს საქმე. მონათმფლობელური წყობილების დროს ერთი იდეოლოგია იყო გაბატონებული, ფეოდალიზმის დროს—მეორე, კაპიტალიზმის დროს—მესამე, რაც ცხადყოფს იდეოლოგიის კლასობრივ შინაარსს. რამდენადაც სხვადასხვანაირია სხვადასხვა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები, იმდენადვე სხვადასხვანაირია მათი შესაბამისი იდეოლოგიაც.

მოწინავე იდეებისა და თეორიების ჩამოყალიბება გაპირობებულია საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებით, როდესაც საჭირო ხდება ძველი გაბატონებული, მაგრამ დრომოჭმული იდეოლოგიის გვერდით ახალი პროგრესული იდეოლოგიის წარმოშობა.

სანამ ამა თუ იმ საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობები შეესაბამება საწარმოო ძალთა ხასიათს, სანამ წარმოებითი ურთიერთობანი ხელს უწყობენ საწარმოო ძალების განვითარებას და საზოგადოება პროგრესულ ხასიათს ატარებს, მანამ მისი მატერიალური ცხოვრების პირობები საშუალებას არ იძლევა გაბატონებული კლასის საწინააღმდეგო, ახალი იდეოლო-

გიის ჩამოყალიბებისათვის. მაგრამ როგორც კი წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალთა განვითარების ბორკილად გადაიქცევა, მაშინვე იწყება გაბატონებული კლასის იდეოლოგიის გვერდით ახალი საზოგადოებრივი კლასის პროგრესული იდეების, თეორიებისა და იდეოლოგიის ჩამოყალიბება.

ახალი იდეოლოგია ძველ იდეოლოგიასთან ბრძოლაში მტკიცდება და სრულყოფილი ხდება. იგი გზას უჩვენებს ახალ საზოგადოებრივ კლასს მის ბრძოლაში დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ.

მონათმფლობელურ წყობილებაზე ფეოდალიზმისა და ფეოდალიზმზე კაპიტალიზმის გამარჯვება არ სპობს ექსპლოატაციას — ექსპლოატაციის ერთი ფორმა იცვლება ექსპლოატაციის მეორე ფორმით; გამარჯვების ნაყოფი — ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა — ექსპლოატატორულ კლასებს რჩებათ, მშრომელი ხალხი კი მონობის ახალ უღელში ებმება. ამიტომ ყველა ექსპლოატატორული კლასის იდეოლოგია არათანამიმდევრული და ანტიხალხურია. ამის გამო ანტაგონისტური საზოგადოების იდეოლოგია წინააღმდეგობრივია.

კლასობრივ საზოგადოებაში ბრძოლა ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულებს შორის ასახავს საზოგადოების განვითარების მთელ შინაარსს. ამიტომ კლასობრივი საზოგადოების განვითარების კანონს კლასობრივი ბრძოლა წარმოადგენს. მონათმფლობელურ წყობილებაზე ფეოდალიზმის და ფეოდალიზმზე ბურჟუაზიული წყობილების გამარჯვება გაპირობებული იყო ახალი წყობილების პროგრესულობით, მისი უპირატესობით ძველი, ლპობადი წყობილების წინაშე. ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის მებრძოლი კლასის იდეოლოგია აგრეთვე პროგრესულია ძველი, დრომოჭმული კლასების იდეოლოგიასთან შედარებით. სწორედ ეს უწყობს ხელს მის გამარჯვებას.

ბურჟუაზიულმა წყობილებამ და მისმა იდეოლოგიამ სერიოზული როლი შეასრულა ისტორიაში კარჩაკეტილი ფეოდალური წყობილებისა და მისი რელიგიური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბურჟუაზიულმა წყობილებამ მონათმფლობელობასთან და ფეოდალიზმთან შედარებით გიგანტური ნაბიჯები

გადადგა წინ საზოგადოების განვითარების ისტორიაში. მან ეგვიპტის პირამიდების, რომის წყალსადენებისა და შადრევნების, გოთური ტაძრების ნაცვლად ახალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი გიგანტური ბაზრები და ბირჟები, სინდიკატები და ტრესტები შექმნა. ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ რაღაც ერთი საუკუნის მანძილზე უფრო მრავალრიცხოვანი და უზარმაზარი საწარმოო ძალები შექმნა, ვიდრე ყველა წარსულმა ფორმაციებმა, ერთად აღებულმა.

მაგრამ ბურჟუაზიული საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობა, რომელიც საწარმოო ძალთა ხასიათისადმი შესაბამისობის გამო ხელს უწყობდა მათ კოლოსალურ განვითარებას, რაღაც ერთი საუკუნის შემდეგ გადაიქცა მის ბორკილად, რომელსაც აღარ შეეძლო მის მიერ შექმნილი საწარმოო ძალების დამორჩილება, და დაიწყო საწარმოო ძალების აჯანყება მისი ხელშემშლელი წარმოებითი ურთიერთობის წინააღმდეგ.

სანამ ბურჟუაზია ფეოდალიზმზე გამარჯვებისათვის იბრძოდა, მისი მსოფლმხედველობა, იდეალიზმისა და თეოსოფიის წინააღმდეგ, ძირითადად მატერიალისტური იყო. ამ ბრძოლაში ჩამოყალიბდა XVII — XVIII საუკუნის ინგლისურ-ფრანგული მატერიალიზმი, რომელიც, თუმცა შეზღუდული იყო ბურჟუაზიული ხასიათისა და მაშინდელი ბუნებათმეცნიერების დაბალი დონის გამო, მაგრამ ძირითადად მაინც მეცნიერულ მონაცემებს ეყრდნობოდა. მაგრამ როცა ბურჟუაზიამ მიაღწია ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობას, მან უარყო მატერიალისტური მსოფლმხედველობა და, თავისი კლასობრივი ბატონობის განმტკიცების მიზნით, მშრომელი ხალხის წინააღმდეგ ისევ ის ანტიმეცნიერული იარაღი — იდეალიზმი და თეოსოფია — მოიმარჯვა, რომელსაც იგი ებრძოდა ფეოდალიზმთან ბრძოლის პერიოდში. ამის შემდეგ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იდეოლოგია, სულიერი ცხოვრების ყველა ფორმა, მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა და სხვა ფასდება იმდენად, რამდენადაც ისინი ემსახურებიან კაპიტალისტური წყობილების სასიცოცხლო ინტერესებს.

ახლა ბურჟუაზიულ მეცნიერებას არა თუ არ ძალუძს საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების გამოყენება,

არამედ იგი საერთოდ უარყოფს მათ არსებობას და თვით „იგონებს“ ბუნების საწინააღმდეგო „ღვთაებრივ კანონებს“, რითაც მეცნიერების უარყოფამდე მიდის.

კაპიტალიზმის განვითარება ხდება პროლეტარიატისა და ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული მასების აბსოლუტური და შედარებითი გაღატაკების, მათი ეკონომიური შევიწროებისა და პოლიტიკური დაქვეითების, მათი სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის გაძლიერების ხარჯზე. ამიტომ პროლეტარიატის ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ კაპიტალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებისთანავე იწყება. მაგრამ ეს ბრძოლა, სანამ პროლეტარიატს არ ესმის თავისი ისტორიული როლი, წარმოადგენს სტიქიურს, არაორგანიზებულს, რაც ყოველივის მებრძოლი კლასის დამარცხებით მთავრდება.

ამ განვითარებულ პროლეტარულ მოძრაობას უტოპიური სოციალიზმის იდეების ჩამოყალიბება მოჰყვა. სენ-სიმონის, შარლ-ფურიეს, რობერტ ოუენისა და სხვების უტოპიური სოციალიზმი ჩნდება პროლეტარიიტის ბრძოლის პირველ პერიოდში. თუმცა ამ „სისტემების გამომგონნი“ ამჩნევდნენ მუშათა კლასის სიღატაკეს, კლასობრივ წინააღმდეგობასა და კლასობრივ ბრძოლას, მაგრამ საზოგადოების განვითარების ისტორიის კანონების უცოდინარობის გამო მათ არ შეეძლოთ პროლეტარიატისათვის ეჩვენებინათ სწორი სამოქმედო გზა. უტოპისტებმა თავი წარმოიდგინეს „კლასობრივ წინააღმდეგობაზე მაღლა მდგომ“ ადამიანებად. მათი აზრით, ყველასათვის სასურველი საზოგადოების დამყარებისათვის საჭირო იყო არა რევოლუცია, არამედ მათ მიერ შედგენილი „გეგმების ცხოვრებაში გატარება“.

მაგრამ კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებასთან და მის კონცენტრაციასთან ერთად ხდება პროლეტარიატის კონცენტრაციაც, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მუშათა კლასის ორგანიზებულობისა და გაერთიანებისათვის. გარდა ამისა, ბურჟუაზია ბრძოლას აწარმოებს ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში იყენებს პროლეტარიატს. პროლეტარიატი მათგან სწავლობს კლასობრივი ბრძოლის ჩვევებს. პროლეტარიატი კლასობრივი ბრძოლის ჩვევებს.

სწავლობს აგრეთვე წვრილ ბურჟუაზიასა და მსხვილ ბურ-ჟუაზიას შორის წარმოებული ბრძოლის მაგალითზეც. და-ბოლოს, სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზიის ურთიერთბრძოლა ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრებისათვის, რო-დესაც ე. წ. „სამშობლოს დაცვის ლოზუნგით“ მშრომელ და ექსპლოატირებულ მასებს საზარბაზნე ხორცად იყენებენ, იწვევს პროლეტარიატის გამოფხიზლებას.

ეს ობიექტური პირობები ქმნის ილუზიას იმის შესახებ, თითქოს პროლეტარიატს თვითონ შეეძლოს თავისი მსოფლ-მხედველობის შემუშავება, რაც შემდეგ მარქსიზმის წინააღმ-დეგ ბრძოლაში გამოიყენეს „ეკონომისტებმა“. პროლეტარია-ტის ლტოლვა და მისწრაფება შეგნებულობისაკენ, მეცნიე-რულ მსოფლმხედველობად ვერ ჩამოყალიბდება. პროლეტა-რიატი თავისი მდგომარეობით და საზოგადოებაში ობიექტური პირობების ზეგავლენით ქმნის მხოლოდ მატერიალურ პირო-ბებს პროლეტარული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა-თვის. პროლეტარიატის მსოფლმხედველობა წარმოიშვა არა მუშათა სტიქიური მოძრაობის შიგნით, არამედ მის გარეთ, მე-ცნიერებიდან.

პროლეტარიატს თავისი მსოფლმხედველობის შემუშავება არ შეუძლია ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხანგრძლივი სამუშაო დღე, დამქანცველი შრომის პირობები არ იძლევა მეცნიერე-ბის დაუფლების საშუალებას; მეორე, ბურჟუაზიულ საზოგა-დოებაში პროლეტარიატისათვის მიუწვდომელია უმაღლესი სასწავლებლები და განათლების მიღება.

იდეოლოგია მეცნიერებიდან უნდა ჩამოყალიბდეს, მეცნიე-რება კი ბურჟუაზიის ხელშია, რომელსაც იგი იყენებს თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის. ბურჟუაზია დაინტერესებუ-ლია იმით, რომ მეცნიერება და საზოგადოებრივი ცნობიერე-ბის სხვა ფორმები მიუწვდომელი გახადოს პროლეტარიატი-სათვის, ყველა მშრომელისათვის, რათა ისინი მუდმივ მონო-ბაში იყოლიოს.

მაშ სად არის გამოსავალი პროლეტარული იდეოლოგიის გამომუშავებისა? ვის შეუძლია კაცობრიობის მეცნიერული ცოდნის კრიტიკულად გადასინჯვა, კაპიტალისტური საზოგა-

ღების ეკონომიური კანონების აღმოჩენა და ახალი საზოგადოებრივი კლასის — პროლეტარიატის—იდეოლოგიის გამომუშავება?

კლასობრივი ბრძოლის არსის გამორკვევა მოითხოვს ბურჟუაზიული საზოგადოების საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის არსებული წინააღმდეგობისა და შეუსაბამობის მიზეზების გამორკვევას. ამისათვის საჭიროა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების ცოდნა, მათი აღმოჩენისა და გამოყენების ცოდნა.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წინააღმღეგობას საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის, წინააღმდეგობას წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის და კლასობრივ ბრძოლას მეცნიერული თვალით აკვირდებიან ბურჟუაზიული ინტელიგენციის მოწინავე ადამიანები. ეს ადამიანები, რომლებიც კრიტიკულად ეუფლებიან კაცობრიობის ცოდნათა ჯამს, რომლებსაც ესმით ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ობიექტური კანონები და უნარი შესწევთ ახალი საზოგადოებრივი კლასის — პროლეტარიატის — ისტორიული მისიის შეფასებისა, გადადიან მუშათა კლასის მხარეზე და ხდებიან მისი იდეოლოგები. „...როდესაც კლასთა ბრძოლა გადამჭრელ მომენტს უახლოვდება, დაშლის პროცესი გაბატონებული კლასის შიგნით, მთელი ძველი საზოგადოების შიგნით, ისეთ მძაფრ, მწვავე ხასიათს ღებულობს, რომ გაბატონებული კლასის მცირე ნაწილი ეთიშება ამ კლასს და უერთდება რევოლუციურ კლასს, იმ კლასს, რომელსაც მერმისი თავის ხელთ უპყრია. ამიტომ, როგორც წინათ თავადაზნაურობის ნაწილი ბურჟუაზიის მხარეზე გადადიოდა, ისევე დღეს ბურჟუაზიის ნაწილი პროლეტარიატის მხარეზე გადადის, განსაკუთრებით კი იმ ბურჟუა-იდეოლოგების ნაწილი, რომელნიც მთელი ისტორიული მოძრაობის თეორიულ გაგებამდე ამაღლდნენ“[1].

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1948, გვ. 58 — 59.

ასეთი ადამიანები, „რომლებიც მთელი ისტორიული მოძრაობის თეორიულ გაგებამდე ამაღლდნენ“, რომლებმაც აღმოაჩინეს პროლეტარიატში ახალი მსოფლმხედველობის მატერიალური საფუძველი და შეიმუშავეს სოციალისტური იდეოლოგია, იყვნენ მეცნიერული კომუნიზმის გენიალური ფუძემდებლები — კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა კრიტიკულად გადასინჯეს და მეცნიერული ანალიზი გაუკეთეს ყოველივეს, რაც კი დაღებითი იყო მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში საერთოდ, კერძოდ კი XIX საუკუნის მეცნიერების უდიდეს მონაპოვრებს არა მარტო ფილოსოფიის, ეკონომიური აზროვნებისა და სოციალიზმის ისტორიის დარგში, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგშიც და ყოველივე ამით გენიალურად შეიმუშავეს ახალი საზოგადოებრივი კლასის — პროლეტარიატის — მსოფლმხედველობა, თეორიულად დასძლიეს ბურჟუაზიული მეცნიერების შეზღუდულობა და ცალმხრივობა, დაამსხვრიეს გაბატონებული იდეალისტური მსოფლმხედველობა, აღმოაჩინეს კაპიტალიზმის დამხობისა და პროლეტარიატის გამარჯვების ობიექტური კანონები.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შექმნეს გენიალური მოძღვრება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერული კომუნიზმის შესახებ, და მისცეს პროლეტარიატს იდეური იარაღი კაპიტალისტური წყობილების დამხობისა და კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

მარქსმა და ენგელსმა დაამსხვრიეს ექსპლოატატორული კლასების იდეოლოგთა მიერ თვითნებურად დადგენილი კერძო საკუთრებისა და ექსპლოატაციის რაღაც მარადიული „პრინციპები“ და საზოგადოების განვითარება ისტორიული მატერიალიზმის ობიექტური კანონებით ახსნეს. მათ გვიჩვენეს, რომ დრომოჭმული, ისტორიული განვითარებით უარყოფილი წყობილების შეცვლა პროგრესულ-რევოლუციური წყობილებით ხდება არა რეფორმების გზით, არამედ რევოლუციურად, ძველი წარმოებითი ურთიერთობის ნგრევისა და ახალი წარმოებითი ურთიერთობის წარმოშობის გზით.

მარქსმა და ენგელსმა თავიანთ გენიალურ ნაშრომებში — „გერმანული იდეოლოგია“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „კაპიტალი“, „ანტი-დიურინგი“ და სხვ.— დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებები გაავრცელეს საზოგადოების განვითარების ისტორიაზე და საქვეყნოდ ცხადყვეს მისი განვითარების შინაგანი წინააღმდეგობის ობიექტური მიზეზი, ამ წინააღმდეგობის გახსნისა და გადაჭრის კანონზომიერება.

მარქსმა და ენგელსმა მეცნიერულად დაამტკიცეს, რომ სოციალიზმი დიდი ადამიანების, მეოცნებეთა, უტოპისტთა გამონაგონი კი არ არის, არამედ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების პირდაპირი შედეგია, შედეგია მისი საწარმოო ძალების აჯანყებისა წარმოებითი ურთიერთობის წინააღმდეგ, რომლის არტახებში ისინი ვეღარ ეტევიან. მათ მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ „...ყოველი საზოგადოებრივი ცვლილებების და პოლიტიკური გადატრიალების საბოლოო მიზეზები უნდა ვეძებოთ არა ადამიანების თავებში, არა მათ მიერ სამართლიანობისა ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის თანდათან უკეთ გაგებაში, არამედ წარმოების და გაცვლის წესის ცვლილებებში; ისინი უნდა ვეძებოთ არა სათანადო ეპოქის ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა შ ი, არამედ მის ე კ ო ნ ო მ ი კ ა შ ი. იმ შეგნების გაღვიძება, რომ არსებული საზოგადოებრივი დაწესებულებანი უგუნურნი და უსამართლონი არიან, რომ „გონიერება უგუნურებად იქცა, ხოლო სიკეთე ტანჯვად“, მხოლოდ იმის ნიშანია, რომ წარმოების მეთოდებსა და გაცვლის ფორმებში შეუმჩნევლად ისეთი ცვლილებები მოხდა, რომელთაც აღარ ეგუება წინანდელი ეკონომიური პირობების თარგზე გამოჭრილი საზოგადოებრივი წესწყობილება. ამით ისიც არის თქმული, რომ საშუალებები გამომჟღავნებული ბოროტების მოსასპობად მეტად თუ ნაკლებად განვითარებული სახით უნდა მოიპოვებოდეს აგრეთვე თვით შეცვლილ წარმოებით ურთიერთობაში. შეუძლებელია ამ საშუალებათა გამოგონება ადამიანის თავიდან, ისინი ადამიანის თავმა წარმოების მოცემულ მატერიალურ ფაქტებში უნდა აღმოაჩინოს“[1].

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, „ანტი-დიურინგი“, გვ. 316 — 317. 1952.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მეცნიერულად დაამტკიცეს კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობით რევოლუციურად გარდ ქმნის კანონზომიერი აუცილებლობა და თეორიულად განსაზღვრეს ახალი საზოგადოებრივი კლასის — პროლეტარიატის — როლი კომუნისტური საზოგადოების გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

მარქსისა და ენგელსის სიკვდილის შემდეგ II ინტერნაციონალის ოპორტუნისტულმა ბელადებმა, ხოლო რუსეთში მათმა მოწაფეებმა — „ეკონომისტებმა" და მათდამი შემთანხმებლებმა — უარყვეს მარქსისტული მოძღვრება და თვით შეუდგნენ „ახალი" მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, რომელიც ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის შელამაზებას წარმოადგენდა. საერთაშორისო ოპორტუნიზმის მიერ მარქსისტული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ წარმოებული კრიტიკა, მათი გარეგნული სხვადასხვაობის მიუხედავად, შინაარსით ერთ მთავარ ამოცანას — მარქსიზმის დამარცხებას და მუშათა მოძრაობის ბურჟუაზიული მსოფლმხედველობისადმი დამორჩილებას ისახავდა. ამიტომ რევიზიონისტ ედ. ბერნშტეინის მიერ მარქსიზმის წინააღმდეგ წამოყენებული „კრიტიკის თავისუფლების" ლოზუნგი სამოქმედო ლოზუნგად გადაიქცა ყველა ანტიმარქსისტული მიმდინარეობისათვის.

„კრიტიკის თავისუფლების" ლოზუნგით საერთაშორისო ოპორტუნისტები და მათი სახესხვაობა რუსეთში — „ეკონომისტები" — მოუწოდებდნენ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს ეპოქის ქვეშ დაეყენებინათ მარქსიზმი, შეეცვალათ მისი შეურიგებელი რევოლუციური ხასიათი შემარიგებლური რეფორმისტული შინაარსით. „კრიტიკის თავისუფლება", — წერდა ვ. ი. ლენინი, — არის თავისუფლება ოპორტუნისტული მიმართულებისა სოციალ-დემოკრატიაში, თავისუფლება სოციალ-დემოკრატიის გადაქცევისა რეფორმათა დემოკრატიულ პარტიად, თავისუფლება ბურჟუაზიული იდეების და ბურჟუაზიული ელემენტების ჩანერგვისა სოციალიზმში" [1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 440 — 441.

„ეკონომისტებმა“ ჟურნალ „რაბოჩეე დელოში“ და გაზეთ „რაბოჩაია მისლში“ მოითხოვეს მარქსისტული მსოფლმხედველობის კრიტიკის თავისუფლება. მათ გაილაშქრეს ლენინური გაზეთის „ისკრას“ რევოლუციური ხაზის წინააღმდეგ და მოითხოვეს რუსეთის მუშათა მოძრაობაში და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში ანტიმარქსისტულ შეხედულებათა სრული თავისუფლება. „რაბოჩეე დელოს“ ერთ-ერთი რედაქტორი კრიჩევსკი ცდილობდა „დაესაბუთებინა“, რომ რუსეთის მუშათა მოძრაობაში ყველა მიმდინარეობა თავისი ნაირსახეობებით, თვით ყველაზე თავგამოდებულ ბერნშტეინელთა ჩათვლით, დგას პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების ნიადაგზე და „ისკრას“ პოზიცია მათ წინააღმდეგ ხელს უშლის სოციალ-დემოკრატიაში და მუშათა მოძრაობაში თავისუფალი აზრების განვითარებასაო.

„თავისუფლება — დიადი სიტყვაა,—წერდა ვ. ი. ლენინი, — მაგრამ მრეწველობის თავისუფლების დროშით ყოვლად ყაჩაღურ ომებს აწარმოებდნენ, შრომის თავისუფლების დროშით — მშრომელებს ძარცვავდნენ. ასეთსავე შინაგან სიყალბეს შეიცავს ამ სიტყვის—„კრიტიკის თავისუფლების“— თანამედროვე ხმარება. ადამიანები, რომლებიც მართლაც დარწმუნებული არიან, რომ მათ წინ წასწიეს მეცნიერება, მოითხოვდნენ არა ახალ შეხედულებათა თავისუფლებას ძველ შეხედულებათა გვერდით, არამედ უკანასკნელთა შეცვლას პირველით. ხოლო თანამედროვე წამოძახილები —„გაუმარჯოს კრიტიკის თავისუფლებას!“ ძალიან მოგვაგონებს იგავ-არაკს ცარიელი კასრის შესახებ“ [1].

„ეკონომისტებს“ არ უნდოდათ გაეგოთ, რომ თავისუფლება შეიძლება მოპოვებულ იქნეს არა რეაქციულ ბურჟუაზიულ შეხედულებებთან სოციალისტური შეხედულებების შეგუებით, მათი ერთმანეთთან ე. წ. „შეუღლებით“, არამედ შეუპოვარი იდეოლოგიური ბრძოლით რეაქციული მსოფლმხედველობის დამსხვრევისათვის, სოციალისტური მსოფლმხედველობის გამარჯვებისათვის. თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა,

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 441.

მაგრამ იგი რეაქციულ და რევოლუციურ შეხედულებათა შერიგებით არ მოიპოვება. აუცილებლობის გამარჯვებისათვის საჭიროა საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერების შეცნობა, მისი მეცნიერულად გამოყენება, რეაქციული მსოფლმხედველობის იდეური დაძლევა და ახალი რევოლუციური მსოფლმხედველობის გამარჯვება.

რუსეთის მუშათა კლასის მზარდი მოძრაობის ამოცანები, მოახლოებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანები განაპირობებდა რუსეთის პროლეტარიატის ახალი ტიპის პარტიის შექმნის აუცილებლობას. ეს მოითხოვდა „ეკონომისტებისა" და მათი საზღვარგარეთელი ოპორტუნისტული მასწავლებლების იდეურ განადგურებას, მარქსისტული იდეოლოგიის განვითარებას ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად და ახალი ტიპის პარტიისათვის იდეოლოგიური საფუძვლების შემუშავებას.

ასეთი ისტორიული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვდა: ჯერ ერთი, იმის ღრმა ცოდნას, რომ მარქსიზმი, როგორც მეცნიერება, ემყარება განვითარების ობიექტურ კანონებს, რომ იგი ძველი ფილოსოფიური სისტემების მსგავსად კი არ წარმოადგენს რაღაც დოგმებისა და პრინციპების კრებულს, არამედ რევოლუციური მოქმედებისათვის მთლიან მსოფლმხედველობას, რომელიც თავის თავში ატარებს განვითარების შესაძლებლობას; მეორე, საჭირო იყო იმის ცოდნა, რომ მარქსიზმი სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების კონკრეტული თავისებურების გამო მოითხოვს პროლეტარიატისა და მისი პარტიის მიერ სხვადასხვანაირად გამოყენებას გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ამიტომ მოითხოვდა ვ. ი. ლენინი მარქსიზმის შემოქმედებითად შესწავლას, მის დამუშავებას ახალი ვითარების შესაბამისად, მის გაღრმავებას და გამდიდრებას. „ჩვენ სრულებით არ ვუყურებთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მარქსის თეორიას როგორც რაღაც დამთავრებულ და ხელუხლებელ რამეს; პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მან მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა უნდა წასწიონ წინ ყველა მიმართულებით, თუ მათ არ სურთ ცხოვ-

ებას ჩამორჩნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსი სოციალისტებისათვის განსაკუთრებით აუცილებელია მარქსის თეორიის დამუკიდებელი დამუშავება, ვინაიდან ეს თეორია იძლევა მხოლოდ ზოგად სახელმძღვანელო დებულებებს, რომლებიც კერძოდ ინგლისის მიმართ სხვანაირად გამოიყენება, ვიდრე საფრანგეთის მიმართ, საფრანგეთის მიმართ სხვანაირად, ვიდრე გერმანიის მიმართ, გერმანიის მიმართ სხვანაირად, ვიდრე რუსეთის მიმართ"[1].

რორგორც წინა თავში განვიხილეთ, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოღვაწეობის პერიოდში კაპიტალიზმის ისტორია ჯერ კიდევ არ აყენებდა დღის წესრიგში პროლეტარიატის ახალი ტიპის პარტიის შექმნის აუცილებლობას, ამიტომ მათ არ შეეძლოთ ასეთი პარტიის შექმნის საკითხების წამოწყება და მათი ყოველმხრივი თეორიული დამუშავება. მებრძოლი კლასი და მისი იდეოლოგები ყოველთვის ისეთ ამოცანებს ისახავენ და ატარებენ ცხოვრებაში, რომელთათვისაც საზოგადოების განვითარების ისტორიის მიერ მომწიფებულია სათანადო პირობები.

მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის გადაქცევამ მონოპოლისტურ კაპიტალიზმად, მისმა გადასლართვამ რუსეთში ბატონყმობის ძლიერ ნაშთებთან, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრის გადმონაცვლებამ მეფის რუსეთში, რუსეთის პროლეტარიატის განვითარების რევოლუციურმა თავისებურებამ და იმპერიალიზმის ეპოქაში მოახლოებულმა პირველმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ განაპირობა მუშათა კლასის ახალი ტიპის პარტიის შექმნისა და მისი იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლების მეცნიერული დამუშავების საკითხის დღის წესრიგში დაყენება.

რუსეთის პროლეტარიატის ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის პირველ რიგში, საჭირო იყო „ეკონომიზმის" სრული იდეური განადგურება და ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად მარქსიზმის განვითარების საფუძველზე სოციალური რევოლუციის პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების მეცნიერული შემუშავება.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 11, გვ. 252—253.

ეს ისტორიული ამოცანა შეასრულა ვ. ი. ლენინმა. მან აუსვებამდე გააბიშვლა „ეკონომისტების“ და მათი შეგობრეების მეტაფიზიკური შეხედულებანი და საქვეყნოდ აცხადა ისინი როგორც პროლეტარიატის რენეგატები და ბურჟუაზიის აპოლოგეტები.

„ეკონომისტების“ მეტაფიზიკური თვალსაზრისით, სოციალისტურ იდეოლოგიას თვით პროლეტარიატი იმუშავებს, იგი მუშათა სტიქიურ მოძრაობას ეკონომიური გაფიცვების პროცესში თვითონვე გარდაქმნის შეგნებულ მოძრაობად. „ეკონომისტები“ მუშათა სტიქიური მოძრაობიდან სოციალისტური იდეოლოგიის ჩამოყალიბების საკითხის ანტიმეცნიერული წამოყენებით ცდილობდნენ „დაესაბუთებინათ“ მარქსისტული მსოფლმხედველობის“ მიუღებლობა პროლეტარიატისათვის. ისინი უარყოფდნენ სოციალისტური იდეოლოგიის მეცნიერულ საფუძველს და მოითხოვდნენ მუშათა სტიქიური მოძრაობის „განთავისუფლებას გარეგანი გავლენისაგან“, „სოციალისტური ინტელიგენციის ხელმძღვანელობისაგან“. „ეკონომისტები“ არა მარტო უარყოფდნენ მეცნიერებიდან სოციალისტური იდეოლოგიის წარმოშობას, არამედ მუშათა მოძრაობის საზიანოდაც კი თვლიდნენ სოციალისტური ინტელიგენციის ხელმძღვანელობას.

„ეკონომისტების“ გაზეთი „რაბოჩაია მისლი“ წერდა, რომ 1896 წელს პეტერბურგის მუშათა სახელოვანი გაფიცვა მუშათა მოძრაობის სოციალისტური ინტელიგენციის „ხელმძღვანელობის პრეტენზიებიდან განთავისუფლების შედეგი იყო“. „რაბოჩაია მისლი“ პირველი ნომრის მოწინავეში სოციალისტური ინტელიგენციის საწინააღმდეგოდ აღნიშნავდა, რომ „მუშა... თვითონ იწყებს თავისი ბედის წარმართვას, ხელიდან აცლის რა მას ხელმძღვანელებსო“. „ეკონომისტებს“ არ სურდათ გაეგოთ, რომ 1896 წლის პეტერბურგის მუშათა სახელოვანი გაფიცვა შედეგი იყო ვ. ი. ლენინის მეთაურობით დაარსებული „ბრძოლის კავშირის“ სწორი ხელმძღვანელობისა, რომელმაც პირველმა დაიწყო მუშათა მოძრაობის შეერთება სოციალიზმთან.

ვ. ი. ლენინმა მსოფლიო მუშათა მოძრაობის ისტორიის უტყუარი ფაქტებით დაასაბუთა, რომ მუშებს შეუძლიათ შეიმუშაონ მხოლოდ ტრედ-უნიონისტური შეგნება, პროფესიულ კავშირებში გაერთიანებისა და წარმოების მეპატრონეებთან ეკონომიური ბრძოლის შეგნება, სამუშაო დღის შემცირებისა და ხელფასის მომატებისათვის ეკონომიური ბრძოლის შეგნება. მაგრამ მუშებს არ შეუძლიათ სწორად გაერკვენ კლასობრივი ბრძოლის მიზეზისა და შედეგის მეცნიერულ არსში და გამოიმუშაონ სოციალ-დემოკრატიული შეგნება.

ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ მუშებს, სანამ ისინი მუშებად რჩებიან და ექსპლოატაციის მძიმე უღელს ეწევიან, არა თუ სოციალისტური იდეოლოგიის შემუშავება, არამედ ცალკეული მეცნიერების რომელიმე დარგის დაუფლებაც არ შეუძლიათ. „ეკონომისტები" მუშათა მოძრაობის გარეთ სოციალისტური იდეოლოგიის წარმოშობის უარყოფით არსებითად უარყოფდნენ პროლეტარიატის მსოფლმხედველობის მეცნიერულ ხასიათს და დაჰყავდათ იგი მუშათა სტიქიური მოძრაობის ე. წ. „შეგნებულობის" დონემდე". „...სოციალიზმის მოძღვრება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — აღმოცენდა იმ ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიური თეორიებიდან, რომელთაც ამუშავებდნენ მდიდართა კლასების განათლებული წარმომადგენლები, ინტელიგენცია. თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელნი, მარქსი და ენგელსი, თვითონაც, თავიანთი სოციალური მდგომარეობით, ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ეკუთვნოდნენ. სწორედ ასევე რუსეთშიც სოციალ-დემოკრატიის თეორიული მოძღვრება წარმოიშვა სრულიად დამოუკიდებლად მუშათა მოძრაობის სტიქიური ზრდისაგან, წარმოიშვა როგორც ბუნებრივი და აუცილებელი შედეგი რევოლუციურ-სოციალისტური ინტელიგენციის აზროვნების განვითარებისა"[1].

მუშათა მოძრაობას დიდი ხნის ტანჯვა-წამება მოუხდა, აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, სანამ მასზე მეცნიერული დაკვირვებით, ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან გამოსული ცალკეული

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 469.

გენიოსის მეშვეობით, მუშათა სტიქიური მოძრაობიდან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდებოდა მოძღვრება მეცნიერული სოციალიზმის შესახებ, რომელიც კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სახელებთან არის დაკავშირებული. ი. ბ. სტალინმა ვ. ი. ლენინის კლასიკურ ნაშრომზე — „რა ვაკეთოთ?" — დაყრდნობით ოპორტუნიზმის წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში გვიჩვენა, რომ ბურჟუაზიული ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა მტრულად ხვდება მუშათა მოძრაობას, ყველა საშუალებას მიმართავს მისი სისხლში ჩახრჩობისათვის, მისი ლიბერალური ნაწილი კი მუშათა მოძრაობას უყურებს როგორც ღატაკთა მოძრაობას მოწყალების მიღებისათვის. მაგრამ მოწინავე ბურჟუაზიული ინტელიგენციის რიგებში აღმოჩნდება ვინმე ათასში ერთი, ისეთი ადამიანი, რომელიც მეცნიერულად განიხილავს პროლეტარულ მოძრაობას, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას და ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური წყობილება არ შეიძლება მუდმივად არსებობდეს, რომ ის ისევე დაეცემა, როგორც დაეცა ფეოდალური წყობილება, რომ კაპიტალიზმის ბატონობა უნდა შეიცვალოს ახალი წყობილებით, რომელსაც დაამყარებს „მხოლოდ პროლეტარიატი სოციალური რევოლუციის შემწეობით. ერთი სიტყვით, მუშავდება მეცნიერული სოციალიზმი" (სტალინი).

მეცნიერული კომუნიზმის გენიალური ფუძემდებლები კ. მარქსი და ფ. ენგელსი თავიანთი სოციალური მდგომარეობით ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ეკუთვნოდნენ. მათთვის მისაწვდომი იყო მეცნიერება. მათ დაიპყრეს მეცნიერების მწვერვალები, აღმოაჩინეს და გამოიყენეს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების ობიექტური კანონები, მეცნიერულად ახსნეს კაპიტალისტური საზოგადოების წარმავალი ხასიათი და დაამტკიცეს სოციალისტური საზოგადოების გამარჯვების აუცილებლობა.

გენიალური ლენინი, რომელმაც შემოქმედებითად განავითარა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის დიადი მოძღვრება, სოციალური მდგომარეობით ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან იყო.

სოციალისტური იდეოლოგიის გამომუშავებაში, მის დაცვასა და განვითარებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მუშა-

ია წრიდან გამოსულ იმ ერთეულებსაც, რომლებიც მოახერხებენ კაპიტალის უშუალო ექსპლოატაციისაგან თავის დაღწევას, შესწევთ უნარი თავისი ეპოქის მოაზროვნეთა სიმაღლეზე ასვლისა, რომლებიც შეძლებენ მეცნიერების ობიექტური კანონების აღმოჩენითა და გამოყენებით რევოლუციური კლასის ხელმძღვანელობას, როგორც კომუნისტი თეორეტიკოსები.

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ საჭიროა მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების გარედან შეტანა, მისი პრაქტიკულად დაკავშირება მუშათა მოძრაობასთან, რათა იგი გადაიქცეს შეგნებულ და ორგანიზებულ მოძრაობად, რათა პროლეტარიატის რიგებიდან მომზადდეს პროფესიონალ-რევოლუციონერთა კადრი პარტიისა და მუშათა კლასის ხელმძღვანელობისათვის.

ვ. ი. ლენინმა თავის კლასიკურ ნაშრომში „რა ვაკეთოთ?" მეცნიერულად დაასაბუთა, რომ პროლეტარიატის იდეოლოგია ჩამოყალიბდა არა მუშათა სტიქიური მოძრაობიდან, არამედ კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობებზე და მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობაზე მეცნიერული დაკვირვების, მათი თეორიული განზოგადებისა და ახსნის საფუძველზე.

მუშათა მოძრაობის გარეთ, მეცნიერებიდან სოციალისტური იდეოლოგიის ჩამოყალიბების უარყოფა ნიშნავდა პროლეტარიატის დატოვებას თეორიული სამოქმედო იარაღის გარეშე და მის გადაქცევას ბურჟუაზიის მაჩანჩალად. ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობა და კლასობრივი ბრძოლა განაპირობებს ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო იდეოლოგიის—მომაკვდავი კაპიტალიზმის რეაქციული იდეოლოგიის და ახალი საზოგადოებრივი რევოლუციური კლასის, პროლეტარიატის პროგრესული იდეოლოგიის — არსებობას. კლასობრივი საზოგადოების განვითარების ისტორიას არ ახსოვს არა მარტო ზეკლასობრივი, არამედ საშუალო ხაზის იდეოლოგიაც კი. ამიტომ სოციალისტური იდეოლოგიის ყოველგვარი დამცირება, ბურჟუაზიულ და პროლეტარულ იდეოლოგიას შორის ყოველგვარი მერყევი და რაღაც საშუალო ხაზის არსებობის აღიარება ობიექტურად ეხმარება

ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას და პროლეტარული იდეოლოგიის დასუსტებას.

„ეკონომისტებისა“ და მათი ევროპელი მასწავლებლების წინააღმდეგ ვ. ი. ლენინი ნაშრომში — „რა ვაკეთოთ?“ — წერდა „...საკითხი მხოლოდ ასე დგას: ბურჟუაზიული თუ სოციალისტური იდეოლოგია. შუათანა რამ აქ არ არის... ამიტომ სოციალისტური იდეოლოგიის ყოველგვარი დაკნინება, მისგან ყოველგვარი ჩამოშორება ნიშნავს იმავე დროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას“ [1].

სოციალისტური იდეოლოგიის გამომუშავების დროს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა იდეალიზმისა და მეტაფიზიკის წინააღმდეგ თეორიულ ბრძოლაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ბაზისის როლს საზოგადოების განვითარების ისტორიაში და ყოველმხრივ მეცნიერულად დაამუშავეს ივი. მათ დაამსხვრიეს იდეალისტური, მეტაფიზიკური ფილოსოფიური პრინციპები და დოგმები და მეცნიერებაში დაამკვიდრეს ისტორიის მატერიალისტური გაგება.

ფ. ენგელსი წერილში ი. ბლოხისადმი 1890 წლის 21—22 სექტემბერს წერდა: „მარქსსა[illegible]ა მე ნაწილობრივ ბრალი მიგვიძღვის იმაში, რომ ახალგაზრდობა ხანდახან ეკონომიურ მხარეს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ეს მას ეკუთვნის. ჩვენ იძულებული ვიყავით მოწინააღმდეგეთა საპირისპიროდ მათ მიერ უარყოფილი მთავარი პრინციპისათვის გაგვეესვა ხაზი, და ამიტომ ყოველთვის არ იყო დრო, ადგილი და საბაბი ურთიერთზემოქმედებაში მონაწილე დანარჩენი მომენტებიც სათანადოდ დაგვეფასებია.... სამწუხაროდ, ძალიან ხშირია, როდესაც ფიქრობდნენ, რომ ახალი თეორია სავსებით შეიგნეს და მისი გამოყენება პირდაპირ შეუძლიათ მაშინვე, როგორც კი ძირითადი დებულებები შეითვისეს და ისიც არა ყოველთვის სწორად. მე ეს შემიძლია ბევრ ახალ „მარქსისტს“ ვუსაყვედურო, ვინაიდან ამის გამო ხომ საკვირველი არევ-დარევაც წარმოშობილა...“ [2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 480—481.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 468.

ენგელსის სიკვდილის შემდეგ ზედნაშენის საკითხში საერთოდ და კერძოდ იდეოლოგიის საკითხში აბნეულობა საკმაოდ გაძლიერდა II ინტერნაციონალის არა მარტო აშკარა ოპორტუნისტ ლიდერებს შორის, არამედ ე. წ. ორტოდოქსებს შორისაც.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შემდეგ ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობის საკითხის, ზედნაშენის ბაზისზე უკუმოქმედების როლის საკითხის ნამდვილ მეცნიერულ დამუშავებას ხელი მოჰკიდა ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ ნაროდნიკობის წინააღმდეგ თეორიული ბრძოლის დროს. მან თავის განთქმულ წიგნში „რანი არიან ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ?“ მეცნიერულად დაამუშავა რევოლუციური იდეებისა და თეორიების უდიდესი მაორგანიზებელი და წარმმართველი როლის საკითხი ძველი რეაქციული ბაზისის დამსხვრევისა და ახალი სოციალისტური ბაზისის შექმნისა და განმტკიცების საქმეში.

ლენინმა ეს საკითხი საბოლოოდ დაამუშავა „ეკონომისტების“ და მენშევიკების წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში, რითაც მან გაამდიდრა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა მარქსიზმი.

ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც ასეული წლების განმავლობაში ბატონობს, ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადამიანებს. სოციალისტურ იდეოლოგიას, როგორც ახალი მებრძოლი კლასის —პროლეტარიატის — იდეოლოგიას, ყოველმხრივ წინააღმდეგობას უწევს და ავიწროებს ბურჟუაზიული კლასი და მისი გაბატონებული სახელმწიფო პოლიტიკური აპარატი. ბურჟუაზიულ იდეოლოგიას გამომუშავებული აქვს კლასთა შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობის დაფარვის, კლასობრივი ბრძოლის შელამაზების, სინამდვილისადმი გვერდის ავლის, ხალხთა ფართო მასებისადმი ათასგვარი დაპირების, თვალთმაქცობისა და მოტყუების მეთოდები და ხერხები. მას ყველა შანსი აქვს თვალი აუხვიოს პოლიტიკურად დაბალ დონეზე მდგომ მშრომელ მასებს და ააცდინოს ისინი კლასობრივი ბრძოლის გზას. ამიტომ, რაც უფრო ნორჩია სოციალისტური მოძრაობა რომელიმე ქვეყანაში, „მით უფრო ენერგიული უნდა იყოს... ბრძოლა

ორასოციალისტური იდეოლოგიის განმტკიცების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ“ (ლენინი).

მეფის რუსეთში მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრების ყოველმხრივ თეორიულ დამუშავებას, მის პოპულარიზაციას განაპირობებდა არა მარტო ის, რომ რუსეთი წარმოადგენდა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტს და ფეხმძიმედ იყო ამ ეპოქის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით, არამედ ისიც, რომ იგი წარმოადგენდა აბსოლუტური მონარქიის ქვეყანას, სადაც სასტიკად იდევნებოდა ყოველი პროგრესული აზრი. მეფის მთავრობა ცდილობდა ჯოჯოხეთური შანთებით ჩაეკლა ყოველი ცოცხალი და ამოეწვა რევოლუციური იდეები ადამიანთა ცნობიერებაში.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებისათვის აუცილებელი იყო მეცნიერული სოციალიზმის ღრმად შესწავლა, მისი ყოველმხრივი დამუშავება და პოპულარიზაცია, რათა დაძლეულიყო ოპორტუნისტული მერყეობა, ბოლო მოღებოდა იდეურ დაბნეულობას, ორგანიზაციულ დაქსაქსულობას და შექმნილიყო მოწინავე მუშათა რიგებიდან რევოლუციონერთა კადრი პროლეტარული პარტიისათვის.

რუსეთის მუშათა კლასის მზარდი მოძრაობის ამოცანები მოითხოვდა მსოფლიო მუშათა მოძრაობის ისტორიის კრიტიკულ, მეცნიერულ შესწავლას. საკმარისი არ იყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მარტოოდენ გამოცდილების გაცნობა ან მათი ყრილობების ოქმებიდან „რეზოლუციების გადმოწერა“. საჭირო იყო გამოცდილების კრიტიკული განზოგადება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების აწონ-დაწონა, მისი შემოწმება პრაქტიკულ ბრძოლაში და გამოყენება რუსეთის მზარდი მუშათა მოძრაობის შესაბამისად.

რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატისა და მისი ხელმძღვანელი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიის უახლოესი ამოცანები პრინციპულად განსხვავდებოდა მსოფლიოში ყველა ქვეყნის პროლეტარიატისა და მისი პარტიების უახლოესი ამოცანებისაგან. რუსეთში მოქმედი საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენები აკისრებდა რუსეთის პროლეტარიატს მეფის თვითმპყრობელობის დამხობას და მრავალეროვანი ტანჯუ-

ლი მშრომელი ხალხის განთავისუფლებას. ეს კი მოითხოვდა რუსეთის მუშათა სტიქიურ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების გარედან შეტანის დაჩქარებას. მუშათა კლასის იდეურად შეიარაღებას, რათა მისი მოძრაობა გადაქცეულიყო შეგნებულ, ორგანიზებულ პოლიტიკურ მოძრაობად, რომელსაც ვერ გაუძლებდა ვერც ცარიზმის ციხე-სიმაგრის სისხლიანი კედლები და ვერც მეფის თვითმპყრობელობის ფრთებ ქვეშ ამოფარებული რეაქციული ბურჟუაზია.

საჭირო იყო იმის ცოდნა, რომ, რაც უფრო იზრდებოდა მუშათა სტიქიური მოძრაობა, მით უფრო მეტად საჭიროებდა იგი სოციალისტური შეგნების გარედან შეტანას, სოციალისტურ შეგნებულობას, რომ იმ დროს მარქსისტული სოციალ-დემოკრატიის თეორიული მუშაობა საკმაოდ ჩამორჩებოდა რუსეთის მუშათა აღმავალ სტიქიურ მოძრაობას, რომ მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთება, რაც ჯერ კიდევ „ბრძოლის კავშირმა“ დაიწყო, უნდა გაგრძელებულიყო და განვითარებულიყო. საჭირო იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ადგილობრივი ორგანიზაციების დარწმუნება იმაში, რომ „ეკონომისტები“ და მათი თანამოლაშქრეები, რომლებიც მუშათა სტიქიურ მოძრაობას უპირატესობას აძლევდნენ შეგნებული მოძრაობის წინაშე და მექანიკურად თიშავდნენ მეცნიერულ სოციალიზმსა და მუშათა მოძრაობას, წყალს უშვებდნენ ბურჟუაზიის წისქვილზე და ხელს უწყობდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენას მუშათა მოძრაობაზე. საჭირო იყო იმის შეგნება, რომ მუშათა სტიქიური მოძრაობა მეცნიერულ სოციალიზმთან შეერთების გარეშე წვრილმანდება, კუსტარული, არაორგანიზებული და ტრედ-უნიონისტური ხდება და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას ემორჩილება. ამიტომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ამოცანას შეადგენდა მუშათა მოძრაობის ჩამოშორება ტრედ-უნიონისტური მოძრაობის გზიდან და მისი გადაყვანა შეგნებული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გზაზე.

იცავდა რა ლენინურ შეხედულებას სოციალიზმის მუშათა მოძრაობასთან შეერთების შესახებ და აწარმოებდა რა „ეკონომისტებისა“ და მენშევიკების წინააღმდეგ იდეურ ბრძოლას,

ი. ბ. სტალინი წერდა: „რა არის მეცნიერული სოციალიზმი? **უმუშათამოძრაობოდ?** — კომპასი, რომელიც შეიძლება უხმარებლად დაეანგდეს და წყალში გადასაგდები გახდეს.

რა არის მუშათა მოძრაობა **უსოციალიზმოდ?** — უკომპასო გემი... შეაერთეთ ორივე, და მიიღებთ შესანიშნავ გემს, რომელიც სისწორით გაექანება მეორე ნაპირისაკენ და უვნებლად მიაღწევს ნავსადგურს.

შეაერთეთ მუშათა მოძრაობა სოციალიზმთან და მიიღებთ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, რომელიც პირდაპირი გზით გასწევს „აღთქმული ქვეყნისაკენ".

და აი, სოციალ-დემოკრატიის (და არა მარტო ინტელიგენტ-სოციალდემოკრატების) ვალია შეუერთოს სოციალიზმი მუშათა მოძრაობას, შეიტანოს მოძრაობაში სოციალისტური შეგნება და, ამგვარად, სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მისცეს მუშათა სტიქიურ მოძრაობას"[1].

ვ. ი. ლენინმა გააშიშვლა და იდეურად გაანადგურა „ეკონომისტების" ხელმძღვანელთა—მარტინოვის, კრიჩევკის, ივანშჩინის, აკიმოვის, ტახტაროვის, ლოხოვის და სხვების ვულგარული, მეტაფიზიკური შეხედულებანი და მეცნიერულად დაამტკიცა მოწინავე რევოლუციური თეორიის უდიდესი მაორგანიზებელი როლი. მან მეცნიერულად ახსნა მოწინავე რევოლუციური თეორიის გარდამქმნელი და წარმმართველი ძალისა და ძლიერების მდიდარი შინაარსი, რომელიც მოწოდებულია გაარკვიოს პროლეტარიატი და მისი პარტია საზოგადოების განვითარების მატერიალური ცხოვრების პირობებში, მისცეს მათ მეცნიერული გაგება კლასობრივი ბრძოლის გარემომცველი მოვლენების შინაგან კავშირზე და სწორად უჩვენოს საზოგადოების განვითარების ციფერბლატზე გამარჯვების ისრების მიმართულება.

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ მხოლოდ ისეთ რევოლუციურ მოძრაობას აქვს გამარჯვების შანსები, რომელიც ეყრდნობა საზოგადოების ობიექტურ კანონებსა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნე-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 98—99.

ბულ რევოლუციურ თეორიას: „რევოლუციური თეორიის გარეშე, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც... **მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს**“ [1].

მუშათა სტიქიური მოძრაობით გატაცებისა და სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის თეორია გადაჭრით ეწინააღმდეგება რევოლუციური პროლეტარიატის ამოცანების შინაარსს. ეს თეორია არ ითვალისწინებს კაპიტალისტური ეკონომიური წყობილების რევოლუციურად დამსხვრევას და კმაყოფილდება ამ წყობილების ფარგლებში ისეთი მოძრაობით, რომელიც არ არყევს ექსპლოატატორული კლასების ბატონობის საფუძვლებს. სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის, მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანის უარყოფის თეორია უარყოფს პროლეტარული პარტიის ხელმძღვანელ როლს მუშათა მოძრაობაში.

„ეკონომისტების“ თვალსაზრისით, მუშათა კლასის პარტია პროლეტარულ მოძრაობას სათავეში კი არ უნდა ედგას და კი არ უნდა ხელმძღვანელობდეს მას კლასობრივ ბრძოლაში, არამედ კუდში უნდა მისჩანჩალებდეს მას, უნდა გამოდიოდეს მოძრაობის უბრალო მეთვალყურისა და რეგისტრატორის როლში.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ მუშათა მოძრაობაში მოწინავე რევოლუციური თეორიის როლის დამცირება, მუშათა სტიქიურ მოძრაობაში გარედან სოციალისტური შეგნების შეტანის უარყოფა და სტიქიური მოძრაობის გაფეტიშება წარმოადგენს კაპიტალიზმის აპოლოგეტთა ყოველგვარი ოპორტუნიზმის ლოგიკურ საფუძველს. სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის თეორია უარყოფს პროლეტარიატის ისეთი პოლიტიკური პარტიის არსებობას, რომელსაც ექნება თავისი დამოუკიდებელი ორგანიზაციულ-თეორიული, პროგრამული, სტრატეგიული და ტაქტიკური სამოქმედო პრინციპები. სტიქიურობის თეორიის მი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 460—462.

ხედვით, პროლეტარიატის პარტია უნდა ეგუებოდეს ბურჟუაზიული პარტიების მსოფლმხედველობას და ატარებდეს მათ პოლიტიკურ შეხედულებებს ცხოვრებაში. თუმცა ლენინური „ისკრას“ გამოსვლის შემდეგ „ეკონომისტები“ აშკარად ვეღარ ბედავდნენ პროლეტარიატის პოლიტიკური პარტიის საჭიროების წინააღმდეგ გალაშქრებას, მაგრამ გადაჭრით უარყოფდნენ პროლეტარული მოძრაობისადმი პარტიის თეორიულ ხელმძღვანელობას. ეს მოთხოვნა კი ნიშნავდა პროლეტარიატის განიარაღებას, მის დატოვებას მოწინავე თეორიის გარეშე და განწირვას კაპიტალის მუდმივი მონობისათვის.

ვ. ი. ლენინმა გააშიშვლა სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის თეორიის ოპორტუნისტული ფესვები, გვიჩვენა, რომ იგი წარმოადგენს II ინტერნაციონალის ოპორტუნისტ ლიდერთა „საწარმოო ძალების“ თეორიის ნაირსახეობას, რომელიც ამართლებს ყველა მოვლენას და კმაყოფილდება ისტორიული ფაქტების მარტოოდენ აღნუსხვით.

ეს „თეორია“ მოიმარჯვა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში რენეგატმა კ. კაუცკიმ, რომელიც „საწარმოო ძალების“ თეორიით ხსნიდა და ამართლებდა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტი ბელადების მიერ იმპერიალისტური ომისადმი მხარდაჭერის პოლიტიკას.

„ეკონომისტები“ აფეტიშებდნენ ე. წ. „ობიექტური“ სტიქიური მოძრაობის როლს, უარყოფდნენ მოწინავე რევოლუციური თეორიის მნიშვნელობას საზოგადოების განვითარების ისტორიაში. მათ მკვდრეთით აღადგინეს ჯერ კიდევ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ დასამარებული ვულგარული მატერიალიზმის დოგმები და გამოიყენეს ისინი ლენინისა და ლენინური „ისკრას“ წინააღმდეგ. ისინი ბრალს დებდნენ ლენინს „სტიქიური მოძრაობის ობიექტური განვითარების როლის დამცირებაში და შეგნებული სუბიექტური გეგმების გაზვიადებაში“.

„ეკონომისტები“, II ინტერნაციონალის ოპორტუნისტი ბელადების მსგავსად, მექანიკურად თიშავდნენ რა თეორიასა და პრაქტიკას, ვერ ერკვეოდნენ ობიექტური და სუბიექტური, მატერიალური და იდეალური ფაქტორების ურთიერთობაში და

ურთიერთზემოქმედებაში. „მსგავსად იმისა, — წერდა „ეკონომისტების“ ერთ-ერთი მეთაური კრიჩევსკი, — როგორც ადამიანები, რა წარმატებაც უნდა ჰქონდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, მაინც მამაპაპური წესით განაგრძობენ გამრავლებას, — ისევე ქვეყნად ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების წარმოშობა, რაგინდ წარმატებაც უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივ მეცნიერებას და რა რიგადაც უნდა გამრავლდნენ შეგნებული მებრძოლნი, მომავალშიც უმეტესად სტიქიურ აფეთქებათა შედეგი იქნება“[1]. „ეკონომისტების“ მტკიცებით გამოდიოდა, რომ ახალი წყობილების გამარჯვებისათვის ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად საზოგადოების ყველა წევრს ეყოფოდა თავისი „საკუთარი თანდაყოლილი შეგნება“.

„ეკონომისტები“ ცდილობდნენ „გამოეგონებინათ“ ისეთი დოგმები, რომლებიც „გამოდგებოდა“ პროლეტარიატის პოლიტიკური დაჩლუნგებისათვის. მათ დაივიწყეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ცნობილი ადგილი, რომ კომუნისტები წარმოადგენენ პროლეტარიატის ხელმძღვანელ ნაწილს, რომ კომუნისტებს პროლეტარიატის დანარჩენ მასებთან ის უპირატესობა აქვთ, რომ ისინი დაუფლებულნი არიან მოწინავე რევოლუციურ თეორიას, რომ მათ უკეთ ესმით პროლეტარიატის აწმყო და მომავალი, მისი ისტორიული როლი საზოგადოების განვითარებაში.

„ეკონომისტები“ (შემდეგში მენშევიკებიც), ვულგარულად ესმოდათ რა ცნობილი მარქსისტული დებულება—საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას — და მედავითნურად იყენებდნენ რა მას, ცდილობდნენ დაემცირებინათ მოწინავე რევოლუციური თეორიის მნიშვნელობა, — ისინი მექანიკურად მიუთითებდნენ, რომ „თეორია საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაა“ და „როგორ შეიძლება მან მაორგანიზებელი როლი შეასრულოს პროლეტარული მოძრაობის განვითარებაშიო“. მათ ვერ გაიგეს, რომ, თუმცა საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების, იდეებისა და თეორიების წარმოშობა საზოგადოების მატერიალური

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 495.

ცხოვრების პირობებით განისაზღვრება, მაგრამ მას შემდეგ, როცა უკვე წარმოიშვებიან, ისინი ეუფლებიან ხალხთა მასებს და ხდებიან საზოგადოების განვითარების უძლეველ ძალად, იდეოლოგიურ ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებაზე, რაზმავენ და აორგანიზებენ რევოლუციურ კლასებს ძველი წყობილების ახალი წყობილებით რევოლუციური გზით შეცვლისათვის. სწორედ ამიტომ წერდა მარქსი, რომ „თეორია ხდება უძლეველ ძალად, როცა იგი მასებს დაეუფლება“.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაამუშავა მოწინავე რევოლუციური თეორიის როლის საკითხი პროლეტარიატისა და მისი პარტიის მოღვაწეობაში. მან დაამტკიცა თეორიისა და პრაქტიკის დიალექტიკური კავშირი და მიუთითა, რომ პროლეტარიატი და მისი პარტია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდება მოწოდების სიმაღლეზე, თუ პრაქტიკულ მოღვაწეობაში იხელმძღვანელებს რევოლუციური თეორიით, თუ შეძლებს ისტორიის შემოქმედის, მშრომელი ხალხის დარაზმვას და მის წარმართვას ექსპლოატაციის უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ეულგარული მატერიალიზმისა და სუბიექტური იდეალიზმის („ეკონომისტები“, „ლეგალური მარქსისტები“, სოციალისტ-რევოლუციონერები) წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა მოწინავე რევოლუციური თეორიის მაორგანიზებელი და გარდამქმნელი როლი, დაამტკიცა, რომ მისი წარმოშობა განპირობებულია საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებით და არა ე. წ. დიდ ადამიანთა კაპრიზებით. რევოლუციური თეორიის ამოცანაა, გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, ემსახურებოდეს რევოლუციურ პრაქტიკას, აორგანიზებდეს და სწორად წარმართავდეს პრაქტიკის მოქმედებას, ხელს უწყობდეს და აჩქარებდეს მის განხორციელებას. .რევოლუციური თეორია აორგანიზებს და წარმართავს პროლეტარიატისა და მისი პარტიის პრაქტიკულ მოღვაწეობას, ნერგავს მათში გამარჯვების რწმენას, აძლევს მათ სწორ ორიენტაციას მომავლის შეცნობისათვის წარსულისა და აწმყოს მეცნიერული განზოგადების საფუძველზე.

იცავდა და ანვითარებდა რა მარქსიზმ-ლენინიზმს, ტროცკიზმის იდეური განადგურებისათვის ბრძოლის პერიოდში ი. ბ. სტალინი თავის ცნობილ ნაშრომში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ წერდა: „...თეორია უსაგნო ხდება, თუ ის არ უკავშირდება რევოლუციურ პრაქტიკას, სწორედ ისევე, როგორც პრაქტიკაც ბრმა ხდება, თუ იგი არ იშუქებს გზას რევოლუციური თეორიით. მაგრამ თეორია შეიძლება გადაიქცეს მუშათა მოძრაობის უდიდეს ძალად, თუ იგი ყალიბდება რევოლუციურ პრაქტიკასთან განუყოფელ კავშირში, ვინაიდან თეორიას, და მხოლოდ თეორიას, შეუძლია მისცეს მოძრაობას რწმენა, ორიენტირების ძალა და გარემო მოვლენათა შინაგანი კავშირის გაგება, ვინაიდან თეორიას, და მხოლოდ თეორიას, შეუძლია დაეხმაროს პრაქტიკას გაიგოს ara მარტო ის, თუ როგორ და საით მიიმართებიან კლასები. აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა გაემართონ ისინი უახლოეს მომავალში“-[1].

მარქსიზმ-ლენინიზმი მეცნიერულად ხსნის საზოგადოების განვითარების ისტორიას, უჩვენებს ისტორიის შემოქმედს, მშრომელ ხალხს, მისი რევოლუციურად გარდაქმნის გზას. იგი მოითხოვს მოწინავე თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის, ადამიანთა საგნობრივი და თეორიული მოღვაწეობის დიალექტიკური ერთიანობის პრინციპის განუხრელ გატარებას. მარქსიზმ-ლენინიზმში არ არის ისეთი დებულებები და დასკვნები, რომლებიც არ უპასუხებდეს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ სინამდვილეს, რომლებიც არ დასტურდებოდეს მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილებით. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, ეყრდნობა რა ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების ობიექტურ კანონებს, მეცნიერულად იყენებს მათ მშრომელი ხალხის პრაქტიკულ მოღვაწეობაში. მეცნიერების ამოცანაა, — მიუთითებენ მარქსიზმის კლასიკოსები, — მოვლენების არა მარტო ახსნა, არამედ მათი რევოლუციურად გარდაქმნა.

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 103 — 104.

აქედან გამომდინარე, თეორია, თუ ის მართლაც საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერების მეცნიერულად შეცნობის საფუძველზეა შემუშავებული, უნდა ვითარდებოდეს, მდიდრდებოდეს და სრულყოფილი ხდებოდეს ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ორგანულ კავშირში. იგი უნდა ამოწმებდეს და აზუსტებდეს თავის თეორიულ დებულებებს და დასკვნებს პრაქტიკული საქმიანობით. ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის წარმატება, თავის მხრივ, განპირობებულია მათ მიერ გამოყენებული თეორიის სისწორით.

ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობა თეორიისაგან მოითხოვს სამოქმედო გზის მეცნიერულად გაშუქებას, არა მარტო იმის განსაზღვრას, თუ რა ხდება აწმყოში, არამედ იმისაც, თუ რა მოხდება უახლოეს მომავალში. აქედან ორი დასკვნა გამომდინარეობს: პირველი, რომ ყოველი თეორია ადამიანთა პრაქტიკული მოქმედების გარეშე, მეცნიერება ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში გამოყენებისა და გამართლების გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის გამოუსადეგარ, ფუჭ, უსაგნო ილუზიად იქცევა; მეორე, რომ პრაქტიკული მოღვაწეობა, თუ იგი გზას არ იშუქებს მოწინავე რევოლუციური თეორიით, თუ პრაქტიკული მოქმედება ასცდება თეორიის მაორგანიზებელ, წარმართველ მიმართულებას, — ადამიანები დაკარგავენ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში ორიენტირების უნარს, გამარჯვების რწმენას, ვერ გაერკვევიან საზოგადოების განვითარების ისტორიაში და სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

ამრიგად, როგორც მხოლოდ პრაქტიკული მოღვაწეობით გატაცებას და მოწინავე რევოლუციური თეორიის მაორგანიზებელი როლის შეუფასებლობას, ისე პრაქტიკული მოქმედებისაგან მოწყვეტას და აბსტრაქტული, თეორიული დოგმებით გატაცებას მივყავართ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრების უარყოფამდე, ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების ობიექტური კანონების საწინააღმდეგო მოქმედებამდე.

მუშათა კლასის „კლასიდან თავისთავად“ „კლასად თავისთვის“ გადაქცევა განხორციელდა თეორიისა და პრაქტიკის გა-

ნუყრელ კავშირში. მოწინავე რევოლუციურმა თეორიამ უჩვენა პროლეტარიატს მისი მოძრაობის მიმართულება და სტიქიური, არაორგანიზებული პროლეტარული მოძრაობა შეგნებულ ორგანიზებულ მოძრაობად გადაიქცა.

პროლეტარიატის „კლასიდან თავისთავად" „კლასად" თავისთვის" გადაქცევის საკითხზე მაო-ძე-დუნი წერდა: „პრაქტიკის დასაწყის პერიოდში — მანქანების მსხვრევისა და სტიქიური ბრძოლის პერიოდში კაპიტალისტური საზოგადოების შეცნობის მხრივ პროლეტარიატი შემეცნების მხოლოდ პირველ საფეხურზე იმყოფება და კაპიტალიზმის მხოლოდ ცალკეულ მხარეებსა და სხვადასხვა მოვლენების გარეგან კავშირებს შეიცნობს. ამ დროს პროლეტარიატი არის ეგრეთწოდებული „კლასი თავისთავად". მაგრამ როდესაც დადგა პროლეტარიატის პრაქტიკის მეორე პერიოდი — შეგნებული და ორგანიზებული ეკონომიური ბრძოლისა და პოლიტიკური ბრძოლის პერიოდი, როდესაც მარქსისა და ენგელსის მეცნიერული მეთოდების მეშვეობით შეჯამებულ იქნა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად მიღებული მრავალმხრივი გამოცდილება, როცა შეიქმნა მარქსისტული თეორია, რომელმაც აღზარდა პროლეტარიატი და, ამრიგად, მიიყვანა პროლეტარიატი კაპიტალისტური საზოგადოების არსის გაგებამდე, საზოგადოებრივი კლასების ექსპლოატატორული ურთიერთობის გაგებამდე, პროლეტარიატის ისტორიული ამოცანების გაგებამდე, მაშინ პროლეტარიატი გახდა „კლასად თავისთვის" [1].

„ეკონომისტებმა", მენშევიკებმა და მათმა მეგობრებმა ვერ გაიგეს, რომ რუსეთის პროლეტარიატს უნდა განეცალა და განვლო კიდეც „კლასიდან თავისთავად" „კლასად თავისთვის" გადაქცევის რთული პროცესი, სანამ იგი შეიარაღდებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმომცველი მოძღვრებით და გახდებოდა შეგნებულ და ორგანიზებულ უძლეველ ძალად.

რუსეთის მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანა პირველ ყოვლისა საჭირო იყო იმისათვის, რომ პროლე-

---

[1] მ ა ო-ძ ე-დ უ ნ ი, პრაქტიკის შესახებ, 1952, გვ 11 — 12.

ტარული მოძრაობა განთავისუფლებულიყო ტრედ-უნიონისტური პოლიტიკის გავლენისაგან და გადასულიყო პოლიტიკური ბრძოლის გზაზე. მარქსისტული სოციალ-დემოკრატიის ამოცანა იყო ესწავლებინა მუშებისათვის არა. იმდენად სამუშაო ძალის უკეთეს პირობებში გაყიდვის პოლიტიკა, არამედ, და ეს იყო უმთავრესი, ექსპლოატატორული კლასების მოსპობისა და მშრომელი ხალხისათვის სასურველი წყობილების დამყარებისათვის ბრძოლის პოლიტიკა.

მაგრამ როგორ უნდა მომხდარიყო რუსეთის მუშათა კლასის მომზადება პოლიტიკური ბრძოლისათვის?

ამ კითხვაზე „ეკონომისტები" იძლეოდნენ პასუხს ერთი მაღალფარდოვანი ფრაზით: „ეკონომიურ ბრძოლას უნდა მიეცეს პოლიტიკური ხასიათი". ამ გაცვეთილ ფრაზაში იმალებოდა „ეკონომისტების" ოპორტუნიზმის მთელი შინაარსი. ეს იყო მუშათა სტიქიური მოძრაობისაკენ ოპორტუნისტების ტრადიციული მისწრაფება. ეკონომიური ბრძოლა არის ამა თუ იმ პროფესიის მუშების ბრძოლა წარმოების მეპატრონეების წინააღმდეგ შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. „ეკონომისტების" მოთხოვნა — „მუშების ეკონომიური ბრძოლისათვის პოლიტიკური ხასიათის მიცემა" — ნიშნავდა მხოლოდ იმას, რომ მუშათა მოძრაობა ჩაკეტილიყო ტრედ-უნიონისტური პოლიტიკის ჩარჩოებში და საბოლოოდ დამორჩილებოდა მთავრობის საკანონმდებლო „ღონისძიებებს".

მარქსიზმ-ლენინიზმი არ უარყოფს მუშების ეკონომიურ ბრძოლას, მაგრამ იგი ბრძოლის ამ ფორმის გამოყენებას უყურებს არა როგორც თვითმიზანს, არამედ როგორც საშუალებას მიზნისაკენ მიმავალ სამოქმედო გზაზე. მარქსისტული სოციალ-დემოკრატიის ძირითადი ამოცანა იყო მუშათა კლასის პოლიტიკური აღზრდის დაჩქარება. მუშების პოლიტიკური აღზრდისათვის აუცილებელი იყო მასობრივ-პოლიტიკური აგიტაციის ყოველმხრივი გაფართოება, მეფის თვითმპყრობელობის დახავსებული პოლიტიკური აპარატის საქვეყნოდ მხილება, მთავრობის ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუროკრატიულ მოხელეთა მექრთამეობის, უხამსობისა და თვითნებობის გამომზეურება და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად მო-

წოდება. მუშათა კლასში და მშრომელ გლეხობაში პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობის შეგნების დანერგვისა და მგზნებარე აგიტაციით რევოლუციური ბრძოლის ხანძრის გაღვივებისათვის საჭირო იყო, რომ აგიტატორები თვითონ ყოფილიყვნენ ცეცხლოვანი ტრიბუნები, მათ უნდა ჰქონოდათ არა მარტო სათანადო თეორიული და პოლიტიკური მომზადება, არამედ უნდა სცოდნოდათ მეფის რუსეთის სინამდვილის თვითეული დეტალი და ყოველივე ეს პრაქტიკულად გამოეყენებინათ აგიტაციაში. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ისეთი აგიტატორების მასობრივ მომზადებას, რომლებსაც შეეძლებოდათ მუშათა ფართო მასების ტრედ-უნიონისტური პოლიტიკისაგან განთავისუფლება და ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ პოლიტიკურ მოძრაობაში ჩაბმა. საჭირო იყო მუშების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, რათა მათ თავიანთი რიგებიდან წამოეყენებინათ მოწინავე მუშები ადგილებზე აგიტატორებად, პროპაგანდისტებად და პოლიტიკური ბრძოლისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. რუსეთის პროლეტარიატის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა და მისი მომზადება შეგნებული რევოლუციური ბრძოლისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მუშათა მოწინავე ელემენტების რევოლუციურ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაკებად ჩამოყალიბებისათვის.

„ეკონომისტების“ წინააღმდეგ იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლაში ვ. ი. ლენინი მოწინავე მუშებიდან ამზადებდა, სჭედდა კადრებს ახალი ტიპის პარტიისათვის. „სოციალ-დემოკრატი რომ გახდეს, მუშამ ნათლად უნდა წარმოიდგინოს მემამულისა და ხუცის, დიდი კაცისა და გლეხის, სტუდენტისა და მაწანწალის ეკონომიური ბუნება და სოციალურ-პოლიტიკური სახე, უნდა იცოდეს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, უნდა ერკვეოდეს იმ გაცვეთილ ფრაზებსა და ყოველგვარ სოფიზმებში, რომლებითაც ჰფარავს თვითეული კლასი და თვითეული ფენა თავის ეგოისტურ ზრახვებს და თავის ნამდვილ „ბუნებას“, უნდა ერკვეოდეს იმაში, თუ რომელი დაწესებულებანი და კანონები ასახავენ და სახელდობრ როგორ ასახავენ ამა თუ იმ ინტერესებს. ამ „ნათელ წარმოდგენას“ კი ვერ ამოიღებ ვერავი-

თარი წიგნიდან: მისი მოცემა შეუძლია მხოლოდ ცოცხალ სურათებს“ [1].

ვ. ი. ლენინი მოწინავე მუშა აგიტატორი სოციალ-დემოკრატებისაგან მოითხოვდა არა მარტო მემამულეებისა და ბურჟუაზიის პოლიტიკური სახის მხილებას, არამედ მათი აპოლოგეტების — „ეკონომისტების“ — მოღალატური სახის მხილებასაც. საჭირო იყო მუშებს კარგად გაეგოთ, რომ რუსეთის მშრომელ ხალხს სიღატაკისა და გაჭირვებისაგან, უუფლებობისა და პოლიტიკური დამცირებისაგან თავის დაღწევა შეეძლო მხოლოდ თვითმპყრობელურ-მემამულური წყობილების დამსხვრევისათვის ორგანიზებული პოლიტიკური ბრძოლით, რომელიც გზას გაწმენდდა ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისა და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ვ. ი. ლენინმა „ეკონომისტების“ წინააღმდეგ ბრძოლაში ნათელყო, რომ მუშათა კლასის ჩამოშორება პოლიტიკური ბრძოლისაგან და მისი დატოვება მხოლოდ ეკონომიური ბრძოლის ჩარჩოებში იმ იმედით, რომ „ეკონომიურ ბრძოლას თვითონ მიეცემოდა პოლიტიკური ხასიათი“, წარმოადგენდა მუშათა მოძრაობის დამორჩილებას ბურჟუაზიის პოლიტიკისადმი. ბურჟუაზია თვითაა დაინტერესებული მუშების ჩაბმით ტრედუნიონისტურ პოლიტიკაში, რადგან „მუშათა კლასის ტრედუნიონისტური პოლიტიკა... ბურჟუაზიული პოლიტიკაა“ (ლენინი).

ვ. ი. ლენინმა ფესვებამდე გააშიშვლა „ეკონომისტების“ ვულგარულ-მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა, მეცნიერულად დაასაბუთა მისი იდეური კავშირი ნაროდნიკულ-ტერორისტულ მსოფლმხედველობასთან, „სოციალისტ-რევოლუციონერთა“ ტერორიზმთან.

„ეკონომიზმსა“ და ტერორიზმს შორის კავშირი გარეგნულად რაღაც შემთხვევითობად მოჩანდა, რადგან „ეკონომისტები“, როგორც რეფორმისტები, უარყოფდნენ პოლიტიკურ ბრძოლას და ეკონომიური ბრძოლის ჩარჩოებს არ სცილდებოდნენ, მაშინ როდესაც „სოციალისტ-რევოლუციონერთა“ ჯგუფი მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკური აპარატის მო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 520.

ხელეთა წინააღმდეგ ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკის გატარებას მოითხოვდა.

ვ. ი. ლენინმა თეორიულად დაასაბუთა „ეკონომიზმსა“ და ტერორიზმს შორის არსებული შინაგანი კავშირი, რომელიც გაპირობებული იყო ამ ორივე მიმართულების მიერ სტიქიური მოძრაობის გაიდეალებით. თუმცა „ეკონომისტები“ კმაყოფილდებოდნენ მუშების საგაფიცვო ეკონომიური ბრძოლით, „სოციალისტ-რევოლუციონერები“ კი თავიანთი ორგანიზაციის წევრებს მოუწოდებდნენ ინდივიდუალური ტერორის გზით ბრძოლისაკენ, მაგრამ როგორც „ეკონომისტები“, ისე ტერორისტებიც წარმოადგენდნენ ორ უკიდურეს პოლუსს სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის საქმეში. „ეკონომისტები“, გატაცებულნი მუშათა სტიქიური მოძრაობით, ქედს იხრიდნენ მის წინაშე და ცდილობდნენ „თეორიულად“ გაემართლებინათ მუშათა სტიქიური მოძრაობის უპირატესობა შეგნებული პროლეტარული მოძრაობის წინაშე. ტერორისტები კი გატაცებული იყვნენ ცალკეული ინტელიგენტის სტიქიური ბრძოლით მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ვერ ხედავდნენ ხალხთა მასების როლს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. „ეკონომისტებსა“ და ტერორისტებს, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — „აქვთ ერთი საერთო ფესვი: ეს არის სწორედ ქედის მოხრა სტიქიურობის წინაშე“.

„ეკონომისტები“ და ტერორისტები თავიანთი მოქმედებით არსებითად ეხმარებოდნენ ბურჟუაზიას. ამიტომ ლიბერალები, რომლებიც ცდილობდნენ მუშათა პოლიტიკური მოძრაობის შეჩერებას, თანაუგრძნობდნენ და ხელს უწყობდნენ მისწრაფებას ინდივიდუალური ტერორისაკენ. „ეკონომისტებიც“ არ მალავდნენ ინდივიდუალური ტერორისადმი თავიანთ თანაგრძნობას. მარტინოვი, ლიბერალების კვალდაკვალ, ინდივიდუალური ტერორისადმი მისწრაფებას თვლიდა მუშათა სტიქიური მოძრაობის აღორძინებისა და მისდამი ბიძგის მიმცემ საშუალებად.

მუშათა კლასისა და მისი მოკავშირე გლეხობის რევოლუციური აღგზნებისათვის და მათი ბრძოლის ველზე გამოყვანისათვის საჭირო იყო არა სტიქიური მოძრაობით გატაცება და

ინდივიდუალური ტერორისადმი თაყვანისცემა, არამედ მეფის თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული აპარატის, ექსპლოატატორული კლასების თავაშვებულობისა და თვითნებობის ყოველ ნაბიჯზე მხილება. ხოლო მოწოდება ტერორისადმი, ისე როგორც მოწოდება იმის შესახებ, რომ ეკონომიური ბრძოლა თვითონ მიიღებს პოლიტიკურ ხასიათს, წარმოადგენდა პოლიტიკური ბრძოლიდან თავის დაძვრენის ტაქტიკას.

კითხვაზე „რა ვაკეთოთ", ვ. ი. ლენინის აზრით, არ კმაროდა ძველი ჩვეულებრივი პასუხი — „წავიდეთ მუშებთან"; საჭირო იყო სოციალ-დემოკრატი აგიტატორებისა და პროპაგანდისტების წასვლა მშრომელ მოსახლეობაში, რუსეთის ყველა კუთხეში, რათა ყველგან დანთებულიყო ლენინური „ისკრას" ნაპერწკლიდან რევოლუციური ბრძოლის ხანძარი, რომელსაც ველარ ჩააქრობდა ვერც ჯარისკაცებისა და პოლიციის ხიშტებზე დაყრდნობილი თვითმპყრობელობა და ვერც მეფის მთავრობის დამცველი ბურჟუაზიისა და მისი აგენტურის „სახანძრო რაზმები".

ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ მარქსისტ სოციალ-დემოკრატებს მთელი სიგრძე-სიგანით დაეყენებინათ მშრომელი ხალხის წინაშე ისტორიის მიერ წამოყენებული დემოკრატიული ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობის საკითხი, შეემჭიდროებინათ და დაერაზმათ მებრძოლი ძალები მათ წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის. მაგრამ საერთო დემოკრატიული ამოცანების აგიტაციისა და პროპაგანდის დროს არ უნდა ყოფილიყო დავიწყებული პროლეტარიატისა და მისი პარტიის საბოლოო მიზანი.

ვ. ი. ლენინმა საქვეყნოდ გამოააშკარავა „ეკონომისტების" არა მარტო იდეოლოგიური, ტაქტიკურ-პოლიტიკური ოპორტუნიზმი, არამედ ორგანიზაციული ოპორტუნიზმიც. მან „ისკრასა" და „ზარიაში" გამოქვეყნებულ სტატიებში და თავის განთქმულ ნაშრომში „რა ვაკეთოთ?" დაამსხვრია „ეკონომისტების" ვულგარული, მეტაფიზიკური დოგმები, ამხილა მათი ტრედ-უნიონისტური პოლიტიკისა და ტაქტიკის ბურჟუაზიული შინაარსი და კუსტარულობისა და წრეობანას ორგანიზაციული პრინციპების ოპორტუნისტული ბუნება.

ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ „ეკონომისტების“ თეორიული შეკიცება მუშათა სტიქიური მოძრაობიდან სოციალისტური იდეოლოგიის წარმოშობის შესახებ ნაკარნახევი იყო მათ მიერ მუშათა მოძრაობაში მოწინავე რევოლუციური თეორიის როლის უარყოფით, თეორიული ხელმძღვანელობის გარეშე პროლეტარიატის დატოვებისა და მისი შეგნებული რევოლუციური გზიდან გადაცდენის ეულგარული, მეტაფიზიკური ფილოსოფიით. ხოლო ტრედ-უნიონისტური ბრძოლის პოლიტიკა გამომდინარეობდა „ეკონომისტების“ მიერ სოციალური რევოლუციის უარყოფიდან და რეფორმისტული ბრძოლის ოპორტუნისტული შეხედულებიდან.

ყოველი რევოლუცია განპირობებულია პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის ამოცანებით, რომელიც დიამეტრულად ეწინააღმდეგება და შეუთავსებელია „ეკონომისტების“ ტრედ-უნიონისტური პოლიტიკისათვის.

ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ პარტიული ორგანიზაციების კუსტარულობისა და დაქსაქსულობისათვის დამახასიათებელია რევოლუციური მუშაობის შევიწროება და შეზღუდვა მუშათა ტრედ-უნიონისტურ მოძრაობამდე.

„ეკონომისტები“ თავდადებით იცავდნენ კუსტარულობას და წრეობანას პარტიაში, უარყოფდნენ მარქსისტული პარტიის აგების ლენინურ ორგანიზაციულ გეგმას და მას დაცინვით „მაკედონელთა მებრძოლი რაზმების ორგანიზაციის გეგმას“ უწოდებდნენ. ცნობილი „ეკონომისტი“ ა. მარტინოვი მარქსისტული პარტიის აგების ლენინური გეგმის შესახებ თავის მოგონებაში წერდა: „მახსოვს პირველი შეხვედრა ლენინთან 1901 წელს... მე და ლენინი ვსაუბრობდით... საუბრის დასასრულს მომმართავს კითხვით — „აბა ეხლა როგორ უყურებთ თქვენ ჩემს საორგანიზაციო გეგმას?“ აქ იმწამსვე წამოვიჭაგრე: „ამ პუნქტში მე თქვენ სრულიად არ გეთანხმებით: თქვენი საორგანიზაციო გეგმა მაგონებს მაკედონელთა მებრძოლი რაზმების ორგანიზაციას: თქვენ გვირჩევთ შემოვიღოთ პარტიაში რაღაც სამხედრო დისციპლინა. არც რუსეთში და არც დასავლეთ ევროპაში არაფერი ამის მსგავსი არ უნახავთ სოციალ-დემოკრატებს“. ლენინმა თვალები მოხუჭა, გაიღიმა და

მიპასუხა: „თქვენ მარტო ამ პუნქტში არ მეთანხმებით, მაგრამ ამაშია მთელი არსებითი მხარე საკითხისა, და მაშასადამე საღაპარაკოც ჩვენ ერთმანეთთან აღარაფერი გვაქვსო“ და „გავშორდით ერთმანეთს მრავალი წლით“ [1].

მარტინოვი ერთში იყო მართალი: ვ. ი. ლენინამდე არა მარტო არ არსებობდა ახალი ტიპის პარტია, არამედ არც არავის უცდია მსგავსი პარტიის შექმნა მთელ მსოფლიოში.

შემოქმედებითი მარქსისტი ვ. ი. ლენინი შორს იყურებოდა, როცა ქმნიდა მოძღვრებას ახალი ტიპის პარტიაზე. იგი მეცნიერული წინდახედულობით ითვალისწინებდა რუსეთის პროლეტარიატის მებრძოლი შტაბის, ახალი ტიპის პარტიის ისტორიულ ამოცანებს, რომლებიც უნდა გადაეწყვიტა მას ხალხისადმი ბრძნული ხელმძღვანელობით.

ახალი ტიპის პარტიის შექმნის წინააღმდეგ „ეკონომისტები“ და მათი თანამოაზრეები ორ სხვადასხვა მოსაზრებას აყენებდნენ. ერთნი ქადაგებდნენ იმას, რომ პროლეტარიატმა თვითონ უნდა გამოიმუშაოს თავისი ორგანიზაციული მუშაობის ფორმები, და რადგან მას ეს ფორმები არ წამოუყენებია, ამიტომ ასეთი ორგანიზაციისათვის პირობები არ მომზადებულაო. მეორენი „არქიმემარცხენეობდნენ“, ქადაგებდნენ „თვითმპყრობელობის დამხობას“, მაგრამ უარყოფდნენ პროლეტარიატის ერთიანი ცენტრალიზებული ორგანიზაციის შექმნას. მათი თვალსაზრისით, რევოლუციისათვის საჭირო იყო არა პარტიული ხელმძღვანელობა, არამედ ხალხთა აღშფოთება და ყველას მოქმედება იმ იარაღით, რაც მათთვის ხელმისაწვდომია, ე. ი. „ყველას ხელი უნდა მოეკიდა „მისაწვდომი“ და „ნაცნობი“ კეტისათვის“. ეს ორივე მიმართულება, ოპორტუნისტულიც და „რევოლუციურიც“, ქედს იხრიდა კუსტარულობის წინაშე. მათ არ სწამდათ ხალხთა მასების შემოქმედი როლი ისტორიაში, არ ესმოდათ პროლეტარიატისა და მისი პარტიის ისტორიული მისია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის ბრძოლებში.

---

[1] ა. მ ა რ ტ ი ნ ო ვ ი, პროლეტარიატის დიდი ბელადი, 1924, გვ. 7.

„ეკონომისტები“ მოწინავე თეორიის უარყოფით მივიდნენ მუშათა კლასის პრაქტიკულ-რევოლუციური მოძრაობის უარყოფამდე.

ყოველი თეორიის მეცნიერული ღირსება ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში მოწმდება. მხოლოდ პრაქტიკა იძლევა ამა თუ იმ თეორიის ავკარგიანობის შემოწმების შესაძლებლობას. კაცობრიობის განვითარების ისტორიის მიერ პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში მხოლოდ ის თეორიები განხორციელდება, რომლებიც ობიექტური კანონზომიერების მეცნიერული გამოყენების საფუძველზე არიან შემუშავებულნი, ხოლო თეორიები, რომლებიც არ ეყრდნობიან ბუნებისა და საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას, პრაქტიკულ საქმიანობაში სასტიკ კრახს განიცდიან.

„ეკონომისტები“ და მათი თანამოაზრეები არა მარტო არ იცნობდნენ საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებს, არამედ არც ფიქრობდნენ ამ კანონების შესწავლაზე. ისინი ყოველი მოვლენის ობიექტურობაზე ქადაგით ბრმად მისდევდნენ მოძრაობას და ეფლობოდნენ სტიქიური ვულგარული მატერიალიზმის ჭაობში. „„ეკონომისტებისა“ და მენშევიკების დაცემა, — წერდა შემდეგ ი. ბ. სტალინი, — აიხსნება, სხვათა შორის, იმით, რომ ისინი არ სცნობდნენ მოწინავე თეორიის, მოწინავე იდეის დამრაზმავ, მაორგანიზებელ და გარდამქმნელ როლს და, ვარდებოდნენ რა ვულგარულ მატერიალიზმში, თითქმის ნულამდე დაჰყავდათ მათი როლი — მაშასადამე, სწირავდნენ პარტიას პასიურობისა და ერთ წერტილზე გაყინვისათვის“ [1].

ვ. ი. ლენინმა გაზეთ „ისკრას“ და ჟურნალ „ზარიას“ ფურცლებზე, თეორიულ ნაშრომებში და განსაკუთრებით თავის გენიალურ წიგნში „რა ვაკეთოთ?“ დაამსხვრია „ეკონომისტებისა“ და მათი ევროპელი მასწავლებლების — რევიზიონისტების — ფილოსოფიის ოპორტუნისტული სათავეები და საქ-

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, 1949, გვ. 22.

ვეყნოდ გამოააშკარავა მათი ანტიპროლეტარული მსოფლმხედველობის საფუძვლები. მან ნათლად უჩვენა რუსეთის პროლეტარიატს და შექმნის პროცესში მყოფ მის პარტიას, რომ მუშათა კლასის ისტორიული ამოცანების შეზღუდვა წარმოების მეპატრონეებთან და მეფის მთავრობასთან ტრედ-უნიონისტური ბრძოლით და მისი ჩამოშორება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ კლასობრივ-პოლიტიკური ბრძოლიდან ნიშნავდა პროლეტარიატის განწირვას სამუდამო მონობისათვის. ვ. ი. ლენინმა გამოამჟღავნა „ეკონომისტების" მიერ სტიქიური მოძრაობის წინაშე ქედის მოხრის ოპორტუნისტული არსი და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ პროლეტარული მოძრაობის სტიქიური პროცესის გაიდეალება, პროლეტარული პარტიის მაორგანიზებელი, წარმმართავი, ხელმძღვანელი როლის უარყოფა, მისი გადაქცევა მოვლენებისა და ფაქტების აღმნუსხავად, ნიშნავდა მაჩანჩალობისაკენ მოწოდებას, პარტიის სტიქიური მოძრაობის კუდად გადაქცევას და პროლეტარიატის უპარტიოდ დატოვებას. მან დაამტკიცა, რომ „ეკონომისტების" ოპორტუნისტული ფილოსოფია ცენტრალიზებული რევოლუციური პარტიის უარყოფის შესახებ წარმოადგენდა ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას და მუშათა კლასის ღალატს.

ვ. ი. ლენინმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა „ეკონომისტების" სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრისა და მოწინავე რეოლუციური თეორიის შეუფასებლობის ვულგარულ-მეტაფიზიკური ფილოსოფიური დოგმები და პროლეტარიატისა და მისი პარტიის წინაშე ცოცხალი ფაქტებით დაამტკიცა, რომ „ეკონომისტები" ასეთი მოთხოვნით ამცირებდნენ მუშათა კლასის სოციალისტური შეგნებულობისაკენ მისწრაფებას და აბუჩად იგდებდნენ მათ ლტოლვას თეორიის დაუფლებისადმი, რომ პროლეტარული პარტიის თვალში მოწინავე რევოლუციური თეორიის მაორგანიზებელი როლის გაუფასურება, იმ იდეური იარაღის უარყოფა, რომლის საშუალებით პარტიას შეუძლია გარემომცველი სამყაროს არა მარტო შეცნობა, არამედ რევოლუციურად გარდაქმნაც, ნიშნავდა პარტიის სრულ განიარაღებას.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ სოციალისტური იდეოლოგია ჩამოყალიბდა არა სტიქიური მოძრაობიდან, არამედ მეცნიერებიდან, რომ „ეკონომისტების“ მიერ მუშათა მოძრაობაში გარედან სოციალისტური შეგნების შეტანის უარყოფა ნიშნავდა სოციალიზმის მუშათა მოძრაობასთან შეერთების უარყოფას და პროლეტარული მოძრაობის მომწყვდევას რეფორმისტულ ჩარჩოებში. მან „ეკონომისტების“ წინააღმდეგ თეორიულ ბრძოლაში ცხადყო, რომ „ეკონომისტებს“, II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული ბელადების მსგავსად, სურდათ შეექმნათ არა სოციალური რევოლუციის პარტია, არამედ სოციალური რეფორმების პარტია, რომელიც შეეგუებოდა ბურჟუაზიის იდეოლოგიას და პოლიტიკას.

ვ. ი. ლენინმა, საბოლოოდ დაამსხვრია რა „ეკონომისტების“ ანტიპროლეტარული იდეურ-პოლიტიკური და ტაქტიკურ-ორგანიზაციული ოპორტუნისტული დოგმები, საყოველთაოდ ნათელყო, რომ „ეკონომიზმი“ შემთხვევითი მოვლენა არ იყო რუსეთის მუშათა მოძრაობაში, რომ მას ჰყავდა მოკავშირეები დასავლეთ ევროპაში ბერნშტეინელების, ფაბიანელების და მილიერანელების სახით. მან გვიჩვენა, რომ დასავლეთში ადრე წარმოიშვა მუშათა მოძრაობაში ოპორტუნისტული მიმდინარეობანი, რომელთაც მოახდინეს სოციალ-დემოკრატიული პარტიების დამორჩილება ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი, რომ „ეკონომისტები“ რუსეთში წარმოადგენდნენ საერთაშორისო ოპორტუნიზმის სახესხვაობას, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი საზღვარგარეთელი მასწავლებლების კვალდაკვალ მარქსიზმის უარყოფას, რუსეთის პროლეტარული მოძრაობის დამორჩილებას ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი.

1902 წლის მეორე ნახევრიდან რუსეთის მარქსისტულმა სოციალ-დემოკრატიულმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და კომიტეტებმა მასობრივად იწყეს გადასვლა ლენინურ-ისკრულ პოზიციებზე. ლენინური „ისკრას“ რევოლუციურმა მოღვაწეობამ და ვ. ი. ლენინის თეორიულმა პრინციპულმა ბრძოლამ „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ ის გამოიწვია, რომ რუსეთის მუშათა კლასი საბოლოოდ განთავისუფლდა „ეკონომისტების“

ოპორტუნისტული გავლენისაგან და მტკიცედ დაადგა მარქსიზმ-ლენინიზმის პრაქტიკულად გამარჯვებისათვის ბრძოლის გზას.

ვ. ი. ლენინის კლასიკური წიგნის — „რა ვაკეთოთ?“ — გამოქვეყნება 1902 წლის მარტში უდიდესი მოვლენა იყო რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატის იდეურ ცხოვრებაში. მისი გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის II ყრილობის მოწვევის დროისათვის, „ეკონომიზმიდან“ მხოლოდ უსიამოვნო მოგონება დარჩა, ხოლო სახელწოდება „ეკონომისტს“ პარტიულ მუშაკთა უმრავლესობა შეურაცხყოფად ღებულობდა. ეს იყო „ეკონომიზმის“ სრული იდეური განადგურება.

მაგრამ ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომის — „რა ვაკეთოთ?“—მნიშვნელობა მარტო ამით არ განისაზღვრება. მისი ისტორიული მნიშვნელობა იმაშია, რომ ლენინმა მარქსისტული აზროვნების ისტორიაში პირველმა გააშიშვლა ფესვებამდე საერთაშორისო ოპორტუნიზმის იდეური სათავეები, მეცნიერულად დაამტკიცა, რომ იგი მდგომარეობს ქედის მოხრაში მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე და მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების როლის დამცირებაში. მან მაღლა აიყვანა მოწინავე რევოლუციური თეორიის მნიშვნელობა, მეცნიერულად დაასაბუთა, რომ მარქსისტული პარტია არის მუშათა მოძრაობის შეერთება სოციალიზმთან.

ამრიგად, ვ. ი. ლენინმა რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში გენიალურად შეიმუშავა ახალი ტიპის პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები.

ვ. ი. ლენინის მიერ ოპორტუნიზმის განადგურებამ გაათავისუფლა რუსეთის მუშათა მოძრაობა სტიქიურობის, დაქსაქსულობისა და კუსტარულობის ბორკილებისაგან. ამის უშუალო შედეგი ის იყო, რომ რუსეთის მუშათა მოძრაობა 1902 წლიდან განვითარების ახალ სიმაღლეზე ავიდა.

ლენინის მიერ რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნიზმის იდეურმა დაძლევამ, ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად მარქსიზმის თეორიული მემკვიდრეობის განვითარებამ და გამდიდრებამ გამოიყვანა რუსეთის პროლეტარიატი მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდად გადაქცევის საბრძოლო გზაზე.

თავი მეოთხე

ვ. ი. ლენინის ბრძოლა ახალი ტიპის პარტიის პროგრამისათვის

კომუნისტური პარტიის ძირითადი პროგრამული დებულებები გენიალურად შეიმუშავეს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა „კომუნისტური პარტიის მანიფესტში", „გოთას პროგრამის კრიტიკაში", „ერფურტის პროგრამის კრიტიკაში" და სხვა ნაშრომებში. მარქსმა და ენგელსმა პროლეტარული მოძრაობის ისტორიაში პირველად დაასაბუთეს კაპიტალიზმის დაცემისა და კომუნიზმის გამარჯვების კანონზომიერი აუცილებლობა. მათ გვიჩვენეს, რომ კაპიტალიზმმა თვით წარმოშვა თავისი მესაფლავე, პროლეტარიატი, რომელსაც უნარი შესწევს დაამხოს ბურჟუაზიული წყობილება და სამუდამოდ იხსნას კაცობრიობა ყველა სახის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან. მარქსმა და ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდენს სოციალისტურ რევოლუციას, დაამყარებს პროლეტარიატის დიქტატურას და ჩაუდგება სათავეში მშრომელ ხალხს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. თუმცა ტერმინი „პროლეტარიატის დიქტატურა" არაა ნახმარი „მანიფესტში", მაგრამ ამ ნაშრომს წითელ ზოლად გასდევს პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის სახელმძღვანელო იდეები.

კ. მარქსმა პროლეტარიატის დიქტატურის კლასიკური ფორმულირება პირველად მოგვცა 1852 წლის 5 მარტს ვეიდე-

მაიერისადმი მიწერილ წერილში, სადაც მან ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება კლასების არსებობის, კლასობრივი ბრძოლის მიზეზების, ამ ბრძოლის შედეგებისა და უკლასო კომუნისტური საზოგადოების გამარჯვების საკითხებზე. კ. მარქსმა ამ დოკუმენტში მეცნიერულად განსაზღვრა: „...რომ 1) კლასთა არსებობა მხოლოდ **წარმოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ ფაზებთანაა** დაკავშირებული; 2) რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლად მივყავართ **პროლეტარიატის დიქტატურამდე**; 3) რომ თვით ეს დიქტატურა მხოლოდ **ყველა კლასთა მოსპობისა და უკლასო საზოგადოებისაკენ** გადასვლას წარმოადგენს“ [1].

მიუხედავად ასეთი გარკვეული სახელმძღვანელო მითითებისა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ 1875 წელს გოთას ყრილობაზე მიღებული პროგრამა გვერდს უვლიდა მარქსიზმში მთავარს—პროლეტარიატის დიქტატურას—და მის მაგივრად აყენებდა რაღაც „თავისუფალი სახელმწიფოს“ მოთხოვნას. კ. მარქსმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა „გოთას პროგრამაში“ წამოყენებული ოპორტუნისტული დებულებები და წამოაყენა დებულება გარდამავალი რევოლუციური პერიოდისათვის პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობის შესახებ. „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებათა შორის, — წერდა კ. მარქსი, — მდებარეობს პერიოდი რევოლუციური გარდაქმნის ერთისა მეორედ. მას შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკური გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა **პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა**“ [2].

„გოთას პროგრამაში“ დამახინჯებული იყო არაპროლეტარული მშრომელი მასების როლი, ისინი რეაქციულ ძალად იყვნენ აღიარებულნი. კ. მარქსმა უარყო არაპროლეტარული მშრომელი მასების ლასალიანური შეუფასებლობა და მიუთითა „მანიფესტზე“, სადაც ნათქვამია, რომ არაპროლეტარული მშრომელი მასები რევოლუციურია იმდენად, რამდენადაც

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 62.
[2] კ. მ ა რ ქ ს ი, გოთას პროგრამის კრიტიკა, 1932, გვ. 33.

„ისინი იცავენ თავიანთ სამერმისო ინტერესებს“. კ. მარქსმა დაგმო „გოთას პროგრამაში“ ფ. ლასალის „ხელფასის რკინის კანონის“ ოპორტუნისტული შინაარსი და მიუთითა „კაპიტალის“ იმ ადგილზე, სადაც მეცნიერულად არის განსაზღვრული, რომ „ხელფასი წარმოადგენს ღირებულების ფარულ ფორმას“, „სამუშაო ძალის ფასს“. მან გააკრიტიკა „გოთას პროგრამის“ ლასალიანური ილუზიონისტური ბუნება და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ მუშათა ასოციაციების იმედი მიეღოთ დახმარება ბურჟუაზიული სახელმწიფოსაგან, მოკლებული იყო ყოველგვარ რეალობას.

„გოთას პროგრამაში“ წამოყენებული იყო წვრილბურჟუაზიული მოთხოვნები: „შრომის მთელი პროდუქციის მიღების უფლება“, „სამართლიანი განაწილება“ და „თანაბარი უფლება“ და სხვ. „გოთას პროგრამის“ ავტორებს არ უნდოდათ გაეგოთ, რომ მოხმარების საშუალებათა განაწილება წარმოადგენს მხოლოდ წარმოების განაწილების შედეგს, რომელიც გვიჩვენებს წარმოების წესის ხასიათს.

„გოთას პროგრამის კრიტიკაში“ კ. მარქსმა მეცნიერულად განსაზღვრა კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზა — სოციალიზმი და კომუნიზმი, და ჩამოაყალიბა მათი შესაბამისი პრინციპები. სოციალიზმი, რომელიც კაპიტალიზმის საშოდან იბადება, ერთხანს ინარჩუნებს ძველი წყობილების ზოგიერთ ნიშანს. ამავე დროს, ახალი საზოგადოება ერთბაშად ვერ მიაღწევს განვითარების იმ საფეხურს და მისი წევრები ვერ აცაღლდებიან ზნეობრივად და გონებრივად იმ დონემდე, რომ შესაძლებელი გახდეს მოხმარების საშუალებათა პროდუქტების განაწილება მოთხოვნილებისამებრ. ამიტომ კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზას შეესაბამება პრინციპი — „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მისი შრომის მიხედვით“, ხოლო კომუნიზმის მეორე ფაზაში, როდესაც შრომა სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაიქცევა, როდესაც საწარმოო ძალები უსაზღვროდ გაიზრდებიან და სახალხო „სიმდიდრის ყველა წყარო უხვად გადმოდინდება“, მაშინ შეიძლება საზოგადოებამ თავის დროშას დააწეროს — „თვითეულისა-

გან მისი უნარის მიხედვით და თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით".

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თეორიულმა ბრძოლამ ის გამოიწვია, რომ 1891 წელს ერფურტის ყრილობაზე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ჯგუფი იძულებული გახდა წარედგინა ახალი პროგრამის პროექტი, რომელიც „გოთას პროგრამაზე" უკეთესი იყო, მაგრამ თავისუფალი არ იყო ოპორტუნისტული გადახვევებისაგან. მისი ერთ-ერთი მთავარი ნაკლი იყო თეორიული დებულებებისა და პრაქტიკული ამოცანების ურთიერთდაცილება, რაც II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული ბელადებისათვის ძირითად დეევიზად გადაიქცა. ფ. ენგელსმა კაუცკისადმი მიწერილ წერილში 1891 წელს გადაჭრით უარყო თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთდაცილება და კატეგორიულად მოითხოვა მათი დიალექტიკურ კავშირში განხილვა.

პროგრამის პროექტის თეორიულ ნაწილში არაფერი არ იყო ნათქვამი პროლეტარიატის პრაქტიკულ-რევოლუციური მოქმედების ამოცანებზე. პროგრამა გვერდს უვლიდა პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხს. პროგრამის პრაქტიკულ ნაწილში ლაპარაკი იყო პროლეტარიატის პოლიტიკური აქტივობის ზრდაზე და მისი საარსებო პირობების გაუმჯობესების რეფორმისტულ მოთხოვნებზე.

ფ. ენგელსმა გაილაშქრა „ერფურტის პროგრამის" პროექტის ოპორტუნისტული შინაარსის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი საფუძვლიანი გადამუშავება. მან კატეგორიულად მოითხოვა პროგრამაში შეტანილიყო პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხები, წინა პლანზე წამოწეულიყო პროლეტარიატის რევოლუციურ-პოლიტიკური მიზანი.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი მთელი სიცოცხლის მანძილზე გადაჭრით იცავდნენ და ავითარებდნენ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" წამოყენებულ რევოლუციურ იდეებს.

კ. მარქსმა 1850 წელს „კომუნისტური კავშირისადმი" მიმართვაში და 1856 წ. წერილში ფ. ენგელსისადმი წამოაყენა გენიალური დებულებები განუწყვეტელი რევოლუციისა, და

გლეხური რევოლუციური მოძრაობის პროლეტარულ რევოლუციასთან დაკავშირების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მოსაზრებებს შემდგომში განვითარება არ მიუღია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებში. პროლეტარიატის დიდი მასწავლებლების სიკვდილის შემდეგ II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიების ლიდერებმა დაივიწყეს მარქსიზმი და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის გზას დაადგნენ.

მარქსისტებისათვის გადაუდებელი ამოცანა იყო მარქსისა და ენგელსის უკვდავი მოძღვრების დაცვა და განვითარება საერთოდ, და კერძოდ, პროლეტარული პარტიის პროგრამულ საკითხებში; მაგრამ ვ. ი. ლენინის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლამდე მარქსიზმის დაცვა და შემოქმედებითად განვითარება ვერავინ შეძლო.

1884 — 1887 წლებში „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა გ. ვ. პლეხანოვის მეთაურობით შეიმუშავა სოციალ-დემოკრატიის პროგრამის ორი პროექტი, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ პასუხობდა რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ ამოცანებს — მათში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ შეცდომებს.

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის მიერ შემუშავებულ სოციალ-დემოკრატიის პროგრამის მეორე პროექტს, მაგრამ იგი, ამავე დროს, მკაცრად აკრიტიკებდა მასში დაშვებულ შეცდომებს. ლენინი განსაკუთრებით მიუთითებდა გ. ვ. პლეხანოვის შეცდომაზე გლეხობის როლის შეუფასებლობაში და მოითხოვდა პროგრამაში თავისი ადგილი დაეკავებინა გლეხობას, როგორც პროლეტარიატის მოკავშირეს.

აუცილებელი გახდა მარქსიზმის თეორიული სიმდიდრისა და რუსეთის პროლეტარიატის პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობის ორგანული კავშირის ამსახველი, ახალი ტიპის პარტიის სამოქმედო პროგრამის შემუშავება.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ ნაროდნიკების წინააღმდეგ თეორიული ბრძოლის პერიოდში ნაშრომში—„რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ — წამოაყენა პროლეტარული პარტიის იდეოლოგიის, ორგანიზაციის, პროგრამისა და ტაქტიკის ძირითადი

დებულებები, განსაზღვრა პროლეტარიატის, როგორც რევოლუციის ჰეგემონის როლი და გლეხობის, როგორც პროლეტარიატის მოკავშირის როლი.

ვ. ი. ლენინს განზრახული ჰქონდა პროლეტარული პარტიის პროგრამის პროექტის შემუშავება „ბრძოლის კავშირის" შექმნის დროს, მაგრამ ეს არ მოხერხდა მისი დაპატიმრების გამო.

საპყრობილეში ყოფნის პერიოდში ვ. ი. ლენინმა დაწერა სოციალ-დემოკრატიული პარტიის „პროგრამის პროექტი" და „პროგრამის განმარტება".

სოციალ-დემოკრატიული პარტიის „პროგრამის პროექტი" სამი ნაწილისაგან შედგება. პროგრამის პროექტის პირველ ნაწილში მითითებულია პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის საკითხზე. პროლეტარიატის ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ წარმოადგენს ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც „...შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლით მუშათა კლასის ხელში, მთელი მიწის, იარაღების, ფაბრიკების, მანქანების, მაღაროების გადაცემით მთელი საზოგადოების ხელში სოციალისტური წარმოების მოსაწყობად, რომლის დროსაც ყველაფერი, რასაც კი მუშები აწარმოებენ, და ყოველი გაუმჯობესება წარმოებაში თვით მშრომელთა სასარგებლოდ უნდა წარიმართოს" [1].

ვ. ი. ლენინმა პროგრამის პროექტში ხაზი გაუსვა რუსეთის პროლეტარიატის ნაციონალური და ინტერნაციონალური ამოცანების ერთიანობის საკითხს, რომ ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ბრძოლა საკუთარ ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ, საბოლოო მიზნის თვალსაზრისით, ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებს.

პროექტის მეორე ნაწილში განხილულია რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ფორმებისა და მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთების საკითხები. მარქსისტული პარტია, ნათქვამია ლენინის მეორე დოკუმენტში — „პროგრამის განმარტებაში," — პრაქტიკულად უნდა დაეხმაროს პრო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 102.

ლეტარიატს მისი საბოლოო მიზნისა და უახლოესი ამოცანების გარკვევაში, იდეურ აღზრდაში, ორგანიზაციულად შემჭიდროებაში და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის ორგანიზაციაში. „პროგრამის განმარტებაში“ ნაჩვენებია პროლეტარული პარტიის დამოკიდებულება რუსეთის საზოგადოების სხვა პოლიტიკურ მიმდინარეობებთან, არაპროლეტარულ მასებთან, რათა პროლეტარიატს გარკვევით სცოდნოდა „ვინ შეიძლება იყოს მისი მოკავშირე, სადამდე, ვინ არის მისი მტერი“ (ლენინი).

პროექტის მესამე ნაწილში ჩამოყალიბებულია მარქსისტული პარტიის უახლოესი მოთხოვნები: დემოკრატიული რესპუბლიკა, რვასაათიანი სამუშაო დღე და გლეხობისათვის „ჩამონაჭრების“ დაბრუნება.

ვ. ი. ლენინის მიერ 1895 — 1896 წლებში საპყრობილეში შემუშავებული პროლეტარული პარტიის „პროგრამის პროექტი“ და „პროგრამის განმარტება“ რევოლუციური შინაარსით და ინტერნაციონალური ამოცანებით საფუძვლიანად განსხვავდებოდა არა მარტო II ინტერნაციონალის პარტიების პროგრამებისაგან, არამედ — „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის პროგრამების პროექტებისაგანაც.

რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილების ეკონომიკის გენიალური ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა თავის კლასიკურ ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ მოგვცა პროლეტარული პარტიის სამოქმედო პროგრამის ეკონომიური საფუძვლები. ამ ნაშრომში მან მეცნიერულად დაამტკიცა, რომ რუსეთის საზოგადოების განვითარებაში მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენდა წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ვ. ი. ლენინმა სწორად განსაზღვრა, რომ რუსეთის საზოგადოების ყველა კლასს შორის ერთადერთ ბოლომდე რევოლუციურ კლასს წარმოადგენდა პროლეტარიატი, რომელსაც შეეძლო წაეყვანა საუკუნეებით ტანჯული გლეხობა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და მოემზადებინა ყველა პირობა უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასის — ბურჟუაზიის — ბატონობის დასამხობად, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მარქსისტული პროგრამული დებულებების განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინის მიერ 1899 წელს შემუშავებულ პროგრამულ დოკუმენტებს: „ჩვენი პროგრამა“ და „ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი“. ამ დოკუმენტებში ლენინმა მეცნიერულად განსაზღვრა, რომ პროლეტარული მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის საჭირო იყო არა „ახალი გეგმების შედგენა საზოგადოების გარდაქმნის შესახებ“ და რეფორმიზმის ქადაგება, არა მუშათა მოძრაობას მოწყვეტილი ბლანკისტური შეთქმულება, როგორც ამას უტოპისტები ფიქრობდნენ, არამედ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაცია, პარტია, რომლის საბოლოო მიზანი იქნებოდა პროლეტარიატის მიერ „პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა და სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაცია“ (ლენინი).

ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ დაამუშავა პროლეტარული პარტიის სამოქმედო პროგრამის თვითეული დეტალი და წამოაყენა სახელმძღვანელო დებულებანი, რომელთა საფუძველზე შემდგომ უნდა შემუშავებულიყო და შემუშავდა კიდეც ახალი ტიპის პარტიის საბრძოლო პროგრამა. მან თავის ნაშრომში — „ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი“ — მეცნიერულად ჩამოაყალიბა ეს სახელმძღვანელო პროგრამული დებულებები: „1) მითითება რუსეთის ეკონომიური განვითარების ძირითად ხასიათზე; 2) მითითება კაპიტალიზმის გარდუვალ შედეგებზე: სოლტაკისა და მუშათა აღშფოთების ზრდაზე; 3) მითითება პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაზე, როგორც ჩვენი მოძრაობის საფუძველზე; 4) მითითება სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის საბოლოო მიზნებზე,... მოძრაობის საერთაშორისო ხასიათზე; 5) მითითება კლასობრივი ბრძოლის აუცილებელ პოლიტიკურ ხასიათზე; 6) მითითება იმაზე, რომ რუსეთის აბსოლუტიზმი, იწვევს რა ხალხის უუფლებობას და ჩაგვრას და უწევს რა მფარველობას ექსპლოატატორებს, წარმოადგენს მუშათა მოძრაობის მთავარ დაბრკოლებას, და ამიტომ პოლიტიკური თავისუფლების დაპყრობა, აუცილებელი მთელი საზოგადოებრივი განვითარებისათვისაც, წარმოადგენს პარტიის უახლოეს პოლიტიკურ ამოცანას; 7) მითითება იმაზე, რომ პარტია მხარს დაუჭერს ყველა პარტიასა და მოსახ-

ლეობის ყველა ფენას, რომელნიც იბრძვიან აბსოლუტიზმის წინააღმდეგ...; 8) ჩამოთვლა ძირითადი დემოკრატიული მოთხოვნილებისა, — შემდეგ 9) მოთხოვნებისა მუშათა კლასის სასარგებლოდ და 10) მოთხოვნებისა გლეხთა სასარგებლოდ ამ მოთხოვნათა საერთო ხასიათის განმარტებით“ [1].

1901 წლის იანვრის დამდეგს ვ. ი. ლენინმა ციურიხში პლეხანოვსა და აქსელროდს გააცნო თავისი ნაშრომი „ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი“, სთხოვა მათ გადაესინჯათ იგი და სერიოზულად ეფიქრათ პარტიის პროგრამის მეცნიერულად შემუშავების საკითხებზე. მაგრამ დრო გადიოდა და პროგრამის შედგენაზე ვ. ი. ლენინის გარდა სერიოზულად არავინ ფიქრობდა.

1901 წლის 7 ივლისს ვ. ი. ლენინმა წერილი მისწერა გ. ვ. პლეხანოვს და კვლავ სთხოვა მას მოეკიდა ხელი პარტიის პროგრამის პროექტის შემუშავებისათვის. „მეტად საჭიროა,— სწერდა ვ. ი. ლენინი გ. ვ. პლეხანოვს,—დავაჩქაროთ პროგრამა. გთხოვთ მომწეროთ, ფიქრობთ თუ არა მოჰკიდოთ ხელი და შეგიძლიათ თუ არა მოჰკიდოთ ხელი ამ სამუშაოს... აქ საჭიროა ფორმულირების უდიდესი მოფიქრებულობა“ [2].

9 ივლისს მან ანალოგიური წერილი მისწერა აქსელროდს და სთხოვა, რომ მას პლეხანოვთან ერთად ემუშავა პარტიის პროგრამის პროექტის შემუშავებაზე. პლეხანოვმა და აქსელროდმა მიიღეს ლენინის წინადადება და აცნობეს მას, რომ ისინი ერთად შეიმუშავებდნენ რსდმპ პროგრამის პროექტს. ლენინი 1901 წლის 30 ივლისს პლეხანოვს სწერდა: „ძალიან გამახარა ცნობამ, რომ თქვენ პ. ბ. ს. (აქსელროდს. — ვ. ს.) შეხვდებით და პროგრამას შეუდგებით“.

მაგრამ 1901 წლის ზაფხულში პროგრამის პროექტის შემუშავება არ მოხერხდა. აგვისტოს ბოლოს აქსელროდმა განიზრახა პარტიის პროგრამის პროექტის შემუშავება, მაგრამ მალე მანაც გადაიფიქრა. ბოლოს გ. ვ. პლეხანოვმა მოჰკიდა ხელი ამ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ 4, გვ. 305.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 34, გვ. 71.

საქმეს 1901 წლის ოქტომბერში და, მისივე გადმოცემით, დაამთავრა იგი დეკემბრის დამლევისათვის.

გ. ვ. პლეხანოვის პროგრამის პროექტი განიხილა ისკრელთა თათბირმა მიუნხენში 1902 წლის 21 იანვარს. იგი ვერ აღმოჩნდა შესაბამისი რუსეთის პროლეტარული პარტიისათვის. მისი გარჩევის დროს მწვავე პოლემიკა გაიმართა „ისკრას“ რედაქტორებს შორის და განსაკუთრებით გ. ვ. პლეხანოვსა და ვ. ი. ლენინს შორის. გ. ვ. პლეხანოვს პროგრამის პროექტი სრულყოფილად მიაჩნდა და მასში შესწორების შეტანის შესახებ წინადადებების მოსმენაც არ სურდა. ვ. ი. ლენინი გადაჭრით მოითხოვდა პლეხანოვის პროექტის გადამუშავებას და მასში პრინციპული შესწორებების შეტანას.

ვ. ი. ლენინი თათბირზე გამოვიდა თავისი ცნობილი შენიშვნებით. მან მოითხოვა პლეხანოვის პროგრამის პროექტის შესავალ ნაწილში რუსეთის კაპიტალიზმის სპეციფიკურობის ზუსტად ასახვა, პროექტში არასწორი ფორმულირებების დაზუსტება, პროექტიდან ზედმეტი სიტყვების ამოგდება და რიგი პრინციპული საკითხების დამატება.

პროგრამის პროექტის შესავალი უნდა დაწყებულიყო არა კაპიტალისტური სამყაროს ზოგადი დახასიათებით, როგორც ამას პლეხანოვი განსაზღვრავდა, არამედ იმ თავისებურების კონკრეტული გადმოცემით, რომლითაც ხასიათდებოდა ნახევრადბატონყმურ ურთიერთობასთან გადახლართული და მასთან ათასი ძაფით დაკავშირებული რუსეთის კაპიტალიზმი. პროლეტარული პარტიის პროგრამას რუსეთის კაპიტალიზმისათვის უნდა წაეყენებინა საბრალმდებლო განაჩენი და ზუსტად ეჩვენებინა პროლეტარიატისა და მისი მოკავშირე გლეხობისათვის სამოქმედო გზა.

პარტიის პროგრამის პირველი პროექტის განხილვის დროს უთანხმოებანი გ. ვ. პლეხანოვსა და ვ. ი. ლენინს შორის ძირითადად გამომდინარეობდა მათ მიერ რუსეთის კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის სხვადასხვა შეფასებიდან. ეს კი საბოლოო ანგარიშით იწვევდა მათ შორის წინააღმდეგობას პროლეტარული პარტიის პროგრამის ტიპის საკითხზე.

ასეთი იყო პარტიის პროგრამის პროექტის შემუშავებისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი.

პროლეტარული პარტიის პროგრამის შემუშავებისათვის ბრძოლის მეორე ეტაპი იწყება იმით, რომ ვ. ი. ლენინმა თვითონ დაიწყო (თავის ადრინდელი პროგრამული დოკუმენტების გადასინჯვის საფუძველზე) პარტიის პროგრამის პროექტის შემუშავება, რაც დაამთავრა 1902 წლის თებერვლის დამდეგს. 7 თებერვალს იგი დაეგზავნა „ისკრას" რედაქციის წევრებს.

ვ. ი. ლენინის მიერ მეცნიერულად შემუშავებული პროგრამის პროექტი წარმოადგენდა რუსეთის პროლეტარიატისა და მისი პარტიის საბრძოლო მოქმედების პროგრამას. იგი შედგებოდა სამი მთავარი ნაწილისაგან.

პროექტის პირველი ნაწილი ვ. ი. ლენინმა, გ. ვ. პლეხანოვისაგან განსხვავებით, დაიწყო რუსეთის კაპიტალიზმის თავისებურების კონკრეტული ანალიზით, გვიჩვენა კაპიტალიზმის ძირითადი ტენდენცია და მიუთითა მისი განვითარების შედეგებზე. მან მეცნიერულად ახსნა, თუ როგორ ხდება კაპიტალისტური წარმოების წესის დროს მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების გამოდევნა, რელიეფურად დახატა მშრომელთა ფართო მასების უმუშევრობის და სიღატაკის სურათი და მიუთითა მათ მიზეზებზე.

პროექტის მეორე ნაწილში ვ. ი. ლენინმა, პლეხანოვისაგან განსხვავებით მოგვცა, კლასობრივი ბრძოლის მეცნიერული დახასიათება და გვიჩვენა პროლეტარიატის განთავისუფლების გზა, განიხილა არაპროლეტარული მშრომელი მასების როლის საკითხი და მიუთითა, რომ ისინი რევოლუციონერები ხდებიან და პროლეტარიატის მხარეზე გადადიან იმდენად, რამდენადაც „მათ შეგნებული აქვთ კაპიტალისტური საზოგადოებით განპირობებული თავიანთი მერმისის უქონლობა". მან მეცნიერულად ჩამოაყალიბა პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა და მიუთითა, რომ მხოლოდ მას შესწევს უნარი უხელმძღვანელოს არაპროლეტარულ მასებს განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ლენინმა განსაზღვრა სოციალური რევოლუციის შინაარსი, გვიჩვენა სოციალური რევოლუციის პარტიის როლი კაპიტალისტური საზოგადოების მოსპობისა და უკლასო კომუნისტური საზოგადოების გამარჯვების საქმეში.

პროგრამის პროექტის VII, VIII და IX მუხლებში ლენინმა ჩამოაყალიბა ახალი ტიპის პარტიის პროგრამა-მაქსიმუმის კლასიკური ფორმულირება. „პროლეტარიატის ეს რევოლუცია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — სრულიად მოსპობს საზოგადოების კლასებად დაყოფას და, მაშასადამე, ყოველგვარ სოციალურსა და პოლიტიკურ უთანასწორობასაც, რაც ამ დაყოფიდან გამომდინარეობს... პროლეტარიატმა უნდა დაიპყროს პოლიტიკური ძალაუფლება, რომელიც მას მდგომარეობის ბატონ-პატრონად გადააქცევს და საშუალებას მისცემს მოსპოს ყველა დაბრკოლება, რაც კი მისი დიადი მიზნის გზაზე დგას. ამ აზრით პროლეტარიატის დიქტატურა სოციალური რევოლუციის აუცილებელ პოლიტიკურ პირობას შეადგენს“ [1].

პროექტის მესამე ნაწილში ვ. ი. ლენინმა მოგვცა რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილების განვითარების თავისებურებათა დახასიათება და მიუთითა ნახევრადბატონყმური მეურნეობის მრავალრიცხოვან ნაშთებზე, მან გვიჩვენა რომ, ხალხთა ფართო მასების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა მეფის თვითმპყრობელობის დამხობას, ნახევრადბატონყმური მეურნეობის ნაშთების მოსპობას და დემოკრატიული უფლებების მოპოებას. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის უახლოესი პოლიტიკური ამოცანა — მეფის თვითმპყრობელობის დამხობა და მისი შეცვლა დემოკრატიული რესპუბლიკით. ლენინმა სწორად განსაზღვრა, რომ ეს ისტორიული ამოცანა შეეძლო გადაეჭრა მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, რომელიც იმპერიალიზმის ეპოქაში ხდებოდა. ამიტომ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან განსხვავებით რუსეთში რევოლუციის ხელმძღვანელად, ჰეგემონად პროლეტარიატი უნდა გამოსულიყო.

ვ. ი. ლენინის პროგრამის პროექტის თითქმის ყველა დებულებას პლეხანოვმა დაუპირისპირა თავისი მოსაზრებანი. იგი არ ეთანხმებოდა ლენინს რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების შედეგების, მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 15.

ბის გამოდევნის, პროლეტარიატის ჰეგემონიის, მუშათა კლასისა და გლეხობის კლასობრივი კავშირის, პროლეტარული პარტიის კლასობრივი ხასიათის განსაზღვრისა და სხვა პრინციპულ საკითხებში.

გ. ვ. პლეხანოვმა გამართა მიმოწერა ვ. ზასულიჩთან და პ. აქსელროდთან ვ. ი. ლენინის პროგრამის პროექტის წინააღმდეგ და მიმართავდა ყველა ზომას მის უარსაყოფად. „ეს-ეს არის მივიღე პროგრამის პროექტი, — წერდა იგი ვ. ზასულიჩს ლენინის პროექტის შესახებ, — ვიტყვი ჯერჯერობით ერთს — პროექტის საერთო ნაწილი, ჩემი აზრით, სავსებით უვარგისია, მაგრამ ამის შესახებ მერე დავწერ, ეხლა კი ვჩქარობ გამოგიგზავნოთ წერილი... ნუთუ პავლე და ვერა (აქსელროდი და ზასულიჩი. —ვ. ს.) ამ პროექტის მომხრენი ხართ?". ანალოგიური წერილი მისწერა გ. ვ. პლეხანოვმა პ. აქსელროდსაც. ამავე დროს, მან აცნობა „ისკრას" რედაქციის წევრებს, რომ ის მუშაობდა პროგრამის მეორე პროექტზე და მალე წარადგენდა რედაქციაში განსახილველად. შექმნილი ვითარების გამო ვ. ი. ლენინის პროგრამის პროექტი „ისკრას" რედაქციას სპეციალურად არ განუხილავს.

ასე დამთავრდა ახალი ტიპის პარტიის პროგრამის შემუშავებისათვის ბრძოლის მეორე ეტაპი.

რსდმპ პარტიის პროგრამის შემუშავებისათვის ბრძოლის მესამე ეტაპი დაიწყო გ. ვ. პლეხანოვის მიერ მეორე პროექტის წარმოდგენით.

1902 წლის 12 მარტს მიუნხენში „ისკრას" რედაქციაში პლეხანოვმა წარმოადგინა რსდმპ პროგრამის მეორე პროექტი, რომელიც პირველ პროექტზე უარესი იყო. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა იგი, გააკეთა ამომწურავი შენიშვნები მის შესახებ და გადაჭრით მოითხოვა მისი საფუძვლიანი გადამუშავება.

პლეხანოვის მეორე პროექტის მთავარ ნაკლად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა პროგრამის ტიპის საკითხი, რომ იგი იძლეოდა არა სოციალური რევოლუციის პარტიის სამოქმედო ხაზს, არამედ მოსწავლეთა და ისიც პირველი კურსის მოსწავლეთა სახელმ-

---

[1] იხ. ვ. ი. ლენინის კრებული, ტ. II, გვ. 55.

ძღვანელოს ეკონომიურ დარგში. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, მისი ინტერნაციონალური ხასიათის მიუხედავად, ბრძოლა უსდებოდა უშუალოდ რუსეთის კაპიტალიზმთან. ამიტომ მის პროგრამაში დახასიათებული უნდა ყოფილიყო რუსული კაპიტალიზმის თავისებურებანი და ის ძირითადი წინააღმდეგობანი, რომლებიც რუსეთში კაპიტალიზმს ახასიათებდა.

„ყველაზე ზოგად და ძირითად ნაკლად, რაც ამ პროექტს (პლეხანოვის მეორე პროექტს. — ვ. ს.) მიუღებლად ხდის, მე მიმაჩნია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — პროგრამის მ თ ე ლ ი ტ ი პ ი, სახელდობრ: ეს პრაქტიკულად მებრძოლი პარტიის პროგრამა კი არ არის, არამედ rinzipienerklärung (პრინციპების დეკლარაცია. — ვ. ს.), ეს არის უფრო პროგრამა მ ო ს წ ა ვ ლ ე თ ა თ ვ ი ს;... თანაც პირველი კურსის მოსწავლეთათვის, სადაც ლაპარაკობენ საერთოდ კაპიტალიზმზე, ხოლო ჯერ კიდევ არ ლაპარაკობენ რუსეთის კაპიტალიზმზე“ [1].

კაპიტალიზმის განვითარების ტენდენციის შეფასება პრინციპული ბრძოლის საკითხს წარმოადგენდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში რევოლუციურ და ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა შორის. ყველა ქვეყნის რევიზიონისტები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ ვითომ კაპიტალიზმის განვითარებით სუსტდებოდა წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. იმ დროს გ. ვ. პლეხანოვი ჯერ კიდევ ემიჯნებოდა ოპორტუნიზმს და ძირითადად მარქსიზმის პოზიციაზე იდგა. მაგრამ იგი კაპიტალიზმის განვითარების ტენდენციის ზოგადი დახასიათების იქით არ მიდიოდა, არ იყო დაინტერესებული მისი შედეგების, კერძოდ, რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების შედეგების ანალიზის გაკეთებით.

პროლეტარული პარტიის პროგრამაში ვ. ი. ლენინის მოთხოვნით საჭირო იყო მითითებულიყო უმუშევრობაზე, მცირე ხელფასზე, შიმშილზე, რასაც. რუსეთის კაპიტალიზმის განვითარება იწვევდა. კაპიტალისტთა უხამსი მოქმედებისა და მუშათა აღშფოთების ასეთი ზუსტი დახასიათებით მარქსისტები

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 27.

ა ემოჯნებოდნენ იმ ორეროვ ადაძიანებს, რომლებიც სიტყვით თანაუგრძნობენ პროლეტარიატს, საქმით კი მოითხოვდნენ „რეფორმებს“ და „ცდილობდნენ“ „ნეიტრალური პოზიცია“ დაეკავებინათ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას, თვითმპყრობელურ მთავრობასა და რევოლუციონერებს შორის (ლენინი).

პლეხანოვი, რომელიც 80-იან წლებში ნაროდნიკობის წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში ასაბუთებდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას, პარტიის პროგრამის შემუშავების დროს, 900-იანი წლების დასაწყისში, მიუთითებდა, რომ რუსეთის კაპიტალიზმი არ არის განვითარებული და მას ჯერ კიდევ არა აქვს მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. რუსეთის კაპიტალიზმის ტენდენციის დახასიათება და მისი შედეგების ანალიზი, წერდა გ. ვ. პლეხანოვი ისკრელებისადმი მიწერილ წერილში, „ჩვენ დაგვაყენებდა ალტერნატივის წინაშე: ან 1) არ გვეპასუხა კრიტიკოსებისათვის: კაპიტალიზმის მიმართ მარქსის შეხედულების მაგივ „კრიტიკაზე“ (ასეთ პასუხს კი პროგრამა მართლაც უ ნ დ ა შეიცავდეს, რომ მან საყვედური არ გამოიწვიოს — პროგრამის ავტორებმა მხედველობაში არ მიიღეს „მეცნიერების“ თანამედროვე მდგომარეობაო), ან 2) მოგვეცა კაპიტალიზმის ა რ ა ს წ ო რ ი დახასიათება, რადგან რუსეთის ეკონომიურ ურთიერთობას ჯერ კიდევ არ აქვს განვითარებული კაპიტალიზმის ყველა ტიპიური ნიშანი“[1].

გ. ვ. პლეხანოვის ასეთი მტკიცებიდან ის გამოდიოდა, რომ თუ რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული კაპიტალიზმი, მაშინ არც კაპიტალიზმის მესაფლავე პროლეტარიატი იქნებოდა მზად მარქსისტული პარტიის შექმნისათვის; მაშინ პროლეტარული პარტიის შექმნისათვის და მისი პროგრამის შემუშავებისათვის მუშაობა და ბრძოლა ზედმეტი ხდებოდა.

თუმცა პლეხანოვს რსდმპ პროგრამის პროექტის შემუშავების დროს სუბიექტურად ჯერ კიდევ არ შეეძლო დახმარებოდა მარქსიზმის „კრიტიკოსებს“, მაგრამ პროგრამაში რუსეთის კაპიტალიზმის დახასიათებისადმი გვერდის ავლით ობიექტურად სამსახურს უწევდა მარქსისტული მსოფლმხედველობის

---

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული, ტ. II, გვ. 93.—94.

მოწინააღმდეგეებს. პროგრამაში რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების ტენდენციის დახასიათებისა და კაპიტალიზმისათვის გადამწყვეტი ომის გამოცხადების უარყოფა ფაქტიურად ნიშნავდა რუსეთში სოციალური რევოლუციის პარტიის შექმნის უარყოფას.

ეთანხმოებანი ვ. ი. ლენინსა და გ. ვ. პლეხანოვს შორის რუსეთის კაპიტალიზმის შეფასების საკითხში, გამომდინარეობდა რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივების ორი სხვადასხვა გაგებიდან.

პლეხანოვის შეხედულებით, რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო გამწვავებული წინააღმდეგობანი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის იმ დონემდე, რომ პროლეტარიატს ომი გამოეცხადებინა კაპიტალიზმისათვის. იგი იქედოვნებდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზიის პროლეტარიატის მოკავშირედ გამოყენებაზე. ამიტომ ბურჟუაზიის წინააღმდეგ რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლის საკითხი პლეხანოვისათვის პრაქტიკულ საკითხს არ წარმოადგენდა. მას იგი შორეული მომავლის საკითხად ჰქონდა წარმოდგენილი.

ლენინის მოთხოვნა პროლეტარიატის მიერ რუსეთის კაპიტალიზმის წინააღმდეგ ომის გამოცხადების შესახებ ითვალისწინებდა რუსეთის ბურჟუაზიის რეაქციულ როლს. რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესები ისე მჭიდროდ იყო გადახლართული ცარიზმთან, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის არენაზე გამოსვლის პირობებში მას (ბურჟუაზიას) არ შეეძლო გამოსულიყო ხალხური რევოლუციის ხელმძღვანელად, კიდევ მეტი, მას არ შეეძლო გამოსულიყო მისი მთავარი მამოძრავებელი ძალის როლშიაც კი. შექმნილი ვითარების გამო რუსეთის ბურჟუაზია ცარიზმის ანტიპოდად კი არა, მის მოკავშირედ უნდა გამოსულიყო. ეს ასეც მოხდა. ამიტომ, ვისაც ნამდვილად სურდა ცარიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის გამართვა, მას ბრძოლა უნდა გაემართა ბურჟუაზიის წინააღმდეგაც. ეს განაპირობებდა რუსეთის მრავალტანჯული გლეხობის გადაქცევას ბურჟუაზიის რეზერვიდან პროლეტარიატის რეზერვად. აქე-

დან გამომდინარეობდა რუსეთის მოახლოებულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიისა და რევოლუციის ბოლომდე მიყვანისათვის ბრძოლის აუცილებლობა.

ვ. ი. ლენინმა გადაჭრით უარყო პლეხანოვის პროექტის კაპიტალიზმისადმი აბსტრაქტულ მიდგომა, მისი ტენდენციის ზოგადი დახასიათება და მეცნიერულად განსაზღვრა, რომ რუსეთის კაპიტალიზმის კონკრეტული ანალიზის გარეშე პროგრამა გამოუსადეგარი გახდებოდა სოციალური რევოლუციის პარტიისათვის. წინააღმდეგ პლეხანოვისა, ლენინი მოითხოვდა, რომ, ჯერ ერთი, პროგრამაში ნათლად ყოფილიყო ნაჩვენები რუსეთის კაპიტალიზმის სახე, რადგან პროგრამას უნდა ეჩვენებინა რუსეთის პროლეტარიატისა და მისი პარტიისათვის სამოქმედო გზა; მეორეც, პროგრამას უნდა წამოეყენებინა მოკლე და გასაგები რევოლუციური მოთხოვნები, მას უნდა საბრალმდებლო განაჩენი გამოეტანა რუსეთის კაპიტალიზმისათვის; მესამე, საჭირო იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში იმ თავისებურების ასახვა, რითაც რუსეთი განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნებისაგან.

არ შეიძლებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა ყოფილიყო ავსტრიის ან გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიების პროგრამების უბრალო განმეორება. რუსეთის პროლეტარიატის პარტიას თავის პროგრამაში გარკვევით ბრალი უნდა დაედვა რუსული კაპიტალიზმისათვის, ომი უნდა გამოეცხადებინა მისთვის.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გ. ვ. პლეხანოვის მეორე პროექტში ადგილი აღარ დარჩა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხისათვის, რამაც იგი გამოუსადეგარი გახადა პროლეტარული პარტიისათვის. პლეხანოვის მეორე პროექტში, როგორც ვ. ი. ლენინი შენიშნავს, „პროლეტარიატის დიქტატურის“ ადგილი რევოლუციამ დაიკავა, რომელიც უნდა მოეხდინა პროლეტარიატს და „რომელსაც მხარს დაუჭერდნენ კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან განაწამები მოსახლეობის სხვა ფენები“. ჯერ ერთი, აქ ნაჩვენები არ იყო

რომელ რევოლუციაზეა ლაპარაკი, რადგან კაპიტალიზმისაგან განაწამები არაპროლეტარული მასები მონაწილეობას მიიღებდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაშიც, რათა ცარიზმის დამხობით მიეღოთ დემოკრატიული უფლებები, რაც რუსეთის პროლეტარიატისა და მისი პარტიის უახლოეს ამოცანებს არ სცილდებოდა; მეორე, ყოველი რევოლუციის ამოცანაა პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება, უამისოდ რევოლუცია თავის შინაარსს კარგავს; პროლეტარიატის მიერ მოპოვებული პოლიტიკური ძალაუფლება კი სხვა არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო თუ არა პროლეტარიატის დიქტატურა; მესამე, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვება, პროლეტარიატის გაბატონებულ კლასად გადაქცევა „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" გულისხმობდა პროლეტარიატის დიქტატურას; მაგრამ იმის შემდეგ, რაც მარქსმა და ენგელსმა ჩამოაყალიბეს მეცნიერული ტერმინი „პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა", ხოლო რევიზიონისტებმა პროლეტარული რევოლუცია უარყვეს და რეფორმების გზით ფიქრობდნენ კაპიტალიზმზე „გამარჯვებას"; პლეხანოვის ბუნდოვანი ფორმულირებები — „პროლეტარიატის ძალაუფლება", „ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ბრძოლა" და სხვა — წყალს უშვებდა რევიზიონისტების წისქვილზე.

გ. ვ. პლეხანოვი თავის პირველ პროექტში იგივეობის ნიშანს სვამდა პროლეტარიატსა და ყველა მშრომელთა მიერ ძალაუფლების მოპოვებასა და პროლეტარიატის დიქტატურას შორის და ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ „ისინი ერთიმეორეს ემთხვევიანო". მას არ უნდოდა გაეგო, რომ ედ. ბერნშტეინისა და კ. კაუცკის მიერ პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფისა და „ერფურტის პროგრამის" მეშვიდე პარაგრაფის ოპორტუნისტულად დამახინჯების შემდეგ ასეთი ფორმულირების შეტანა პარტიის პროგრამაში წარმოადგენდა დახმარებას II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული ბელადებისათვის.

ვ. ი. ლენინი პროლეტარიატის დიქტატურის საკითხს მჭიდროდ უკავშირებდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის არსის, პროლეტარიატის ჰეგემონიის, მისი ისტორიული როლის

საკითხს. მან გადაჭრით მოითხოვა პლეხანოვის მეორე პროექტში პროლეტარიატის არაპროლეტარულ მშრომელ მასებთან გათანაბრების, „ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ბრძოლის“ არასწორი ფორმულირება შეცვლილიყო მარქსისტული ფორმულირებით. პლეხანოვის მეორე პროექტში არასწორად იყო ფორმულირებული პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის არსი, არ იყო ნაჩვენები მისი ისტორიული როლი პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში, არ იყო მითითებული, რომ „მუშათა კლასის განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ მუშათა კლასის საქმე“.

რითი უნდა აიხსნას 900-იანი წლების დასაწყისში გ. ვ. პლეხანოვის მიერ პროგრამის პროექტში პროლეტარიატის ისტორიული როლის დამცირების ცდა, მაშინ როდესაც 80-იან წლებში ნაროდნიკების წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში იგი იცავდა პროლეტარიატის ისტორიულ როლს და აცხადებდა, რომ „რუსეთში რევოლუციას შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ როგორც პროლეტარულ მოძრაობასო“. ეს ხომ არ იყო მისი უკან დაბრუნება ნაროდნიკული შეხედულებებისაკენ, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს? არა, გ. ვ. პლეხანოვის ბსოფლმხედველობის გამორკვევა ასეთი დასკვნის გაკეთებისათვის არავითარ საბუთს არ იძლევა. რსდმ პარტიის პროგრამის პროექტის შემუშავების დროს გ. ვ. პლეხანოვის მარჯვნივ გადახვევა აიხსნება არა მისი ნაროდნიკობისაკენ უკან დაბრუნებით, არამედ II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული ბელადებისა და კერძოდ კ. კაუცკისადმი ერთგვარი დათმობით, რომელთა წინააღმდეგ იგი იბრძოდა 90-იანი წლების მეორე ნახევარში. ვ. ი. ლენინის ბრძოლა პლეხანოვის წინააღმდეგ პროგრამის პროექტის პრინციპულ საკითხებში ერსებითად წარმოადგენდა „ერფურტის პროგრამის კრიტიკაში“ კ. კაუცკის წინააღმდეგ ფ. ენგელსის ბრძოლის ლოგიკურ გაგრძელებას ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად. პლეხანოვის კაუცკისადმი დათმობაზე ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ იგი პროგრამის პროექტში კვლავ იცავდა კაუცკისებურ მცდარ დებულებებს, როცა კარგად იცოდა, რომ ფ. ენგელსის კატე-

გორიული მოთხოვნით ისინი ამოღებული იყო ერფურტის პროგრამიდან.

ვ. ი. ლენინმა გ. ვ. პლეხანოვის წინააღმდეგ პრინციპულ პრძოლაში ნათელყო, რომ პლეხანოვი პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის დაჩრდილვით და, ერფურტის პროგრამის მსგავსად, „ხალხთა ფართო მასების", „მშრომელი და ექსპლოატირებული მასების" საკითხის წინა პლანზე წამოყენებით, ბაძავდა კ. კაუცკის და ეშვებოდა წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის პოზიციაზე (და არა გლეხური ნაროდნიკული სოციალიზმის პოზიციაზე), II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული ბელადების მიერ გაიდეალებული რეფორმისტული სოციალიზმის პოზიციაზე. მაგრამ პლეხანოვი იმ დროს თავისი რევოლუციურობით II ინტერნაციონალის ბელადებზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა. სწორედ ეს განაპირობებდა რსდმ პარტიის პროგრამის შემუშავების დროს ვ. ი. ლენინის გ. ვ. პლეხანოვთან ერთად მუშაობას.

გ. ვ. პლეხანოვსა და ვ. ი. ლენინს შორის უთანხმოების ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა კაპიტალისტური მსხვილი და წვრილი წარმოების ურთიერთობის საკითხი. გ. ვ. პლეხანოვმა არ მიიღო პროგრამის პირველ პროექტში ლენინური შესწორება და მეორე პროექტში კვლავ შეიტანა წვრილი წარმოების გამოდევნის ნაცვლად „შეზღუდვის" ტერმინი. მან ვერ გაიგო, რომ კაპიტალიზმის განვითარება იწვევს წვრილ მწარმოებელთა გლეხაკებას, „გამოდევნას" და მათ გადასვლას პროლეტარიატისა და ნახევრადპროლეტარიატის რიგებში.

მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების გამოდევნის საკითხის პროგრამაში შეტანა და მისი განმარტება ეხმარებოდა ქალაქისა და სოფლის წვრილ მწარმოებლებს გაეგოთ, რომ მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია შედეგია არა მარტო პროლეტარიატის გაძლიერებული ექსპლოატაციისა, არამედ მსხვილი წარმოების მიერ წვრილ მეწარმეთა სისტემატური გაკოტრებისა. საჭირო იყო ყველა წვრილ მწარმოებელს შეეგნო ამ პროცესის გარდუვალობა. მაშინ ისინი მიატოვებდნენ „თავიანთ

თვალსაზრისს და მიიღებდნენ პროლეტარიატის თვალსაზრისს" (ლენინი).

გ. ვ. პლეხანოვი ცდილობდა „შეზღუდვის" ფორმულირება დასაბუთებინა იმ გაუმართლებელი მოტივით, თითქოს რევოლუციონერები გამოიყენებდნენ მას და იტყოდნენ — წვრილი წარმოების „გამოდევნა" შეიძლება ისევე მართალი იყოს ჩამორჩენილი რუსეთისათვის, როგორც კაპიტალის პირველადი დაგროვების დროს დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვისო, ხოლო „განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ასეთი მოვლენები აღარ განმეორდება".

ამ მოთხოვნით გ. ვ. პლეხანოვი ძველ შეცდომებს ახალ შეცდომებს უმატებდა, რადგან საკითხის ასე დაყენებით გამოდიოდა: ჯერ ერთი, თითქოს დასავლეთ ევროპის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში არ მიმდინარეობდა მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების გაჩანაგება და გამოდევნა, მეორე, თითქოს რუსეთის კაპიტალიზმის განვითარება არ ეძორჩილებოდა კაპიტალისტური განვითარების კანონზომიერებას.

გ. ვ. პლეხანოვის ამ უსაფუძვლო მოტივის წინააღმდეგ ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა ავირჩიოთ ყველაზე აბსტრაქტული ფორმულირებანი, რადგან ჩვენ ვწერთ არა სტატიას კრიტიკოსთა წინააღმდეგ, არამედ იმ მებრძოლი პარტიის პროგრამას, რომელიც მიმართავს შინამრეწველთა და გლეხთა მასას... რომ კაპიტალი „აქცევს მათ თავის სასყიდლებად და მოხარკეებად", „აჩანაგებს" მათ, „მიერეკება" მათ პროლეტარიატის რიგებისაკენ... და მხოლოდ ასეთი ფორმულირებიდან გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ გამოვა დასკვნა: ერთადერთი ხსნა თქვენთვის ის არის, რომ მიემხროთ პროლეტარიატის პარტიას" [1].

ასეთი იყო პროგრამის შემუშავების დროს გ. ვ. პლეხანოვსა და ლენინს შორის ბრძოლის მესამე ეტაპი.

რსდმპ პროგრამის პროექტის შემუშავებისათვის ბრძოლის მეოთხე ეტაპი დაიწყო იმით, რომ 1902 წლის მარტის მეორე

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 36.

ნახევარში ვ. ზასულიჩის წინადადებით შეიქმნა შემთანხმებელი კომისია.

კომისიაში შევიდა მარტოვი, ზასულიჩი და დეიჩი. კომისიას ხელთ ჰქონდა პლეხანოვის მეორე პროექტი, ლენინის პროექტი და მისი პრინციპული შენიშვნები. შემთანხმებელ კომისიას პროგრამის შემუშავებისას უნდა გაეთვალისწინებინა ყველა საკითხი და შეედგინა სრულყოფილი პროგრამის პროექტი.

პროგრამის პროექტი შეადგინა ზასულიჩმა, რომელიც მოიწონეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა. იგი მიიღო პლეხანოვმაც. მაგრამ ვ. ი. ლენინმა უარყო ეს პროექტიც და მოითხოვა მისი საფუძვლიანი შესწორება. ვ. ი. ლენინის მოთხოვნები კომისიის პროექტის მიმართ დაახლოებით იგივე იყო, რაც პლეხანოვის მეორე პროექტის მიმართ. თუმცა კომისიის პროექტში შევიდა საკითხი რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების დონის დახასიათების შესახებ, მაგრამ არ იყო მითითებული ის, რომ წარმოების კაპიტალისტურ წესს გაბატონებული ადგილი ეკავა რუსეთში. კომისიის პროექტი კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის დახასიათებისას მიმართავდა სასაქონლო წარმოებას და არაფერს ამბობდა სამუშაო ძალის საქონლად გადაქცევაზე, არ მიუთითებდა იმაზე, რომ ნუშები წარმოებაში ქმნიან გაცილებით მეტს, ვიდრე იღებენ თავიანთი სამუშაო ძალის ფასად; რომ ეს აუნაზღაურებელი შრომა არის ზედმეტი ღირებულების წყარო. „კომისიის ფორმულირება არ გამოდგება", — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რადგან იგი ...გადმოგვცემს კაპიტალიზმის მხოლოდ ყველაზე ზოგად და ძირითად ნიშნებს, და არ გადმოგვცემს ზედმეტი ღირებულების თეორიასაც კი".

კომისიამ უარყო ვ. ი. ლენინის მოთხოვნა მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების „გამოდევნის" შესახებ და პროექტში შეიტანა ფორმულირება: „წვრილი მწარმოებელნი ყველა არ პროლეტარდება და მათ შორის ნაწილი განაგრძობს არსებობასო".

თუმცა ვ. ი. ლენინის მოთხოვნით კომისიამ პროექტში შეიტანა პროლეტარიატის დიქტატურის პუნქტი, მაგრამ მას დაუმატა დებულება — „ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებუ-

ლი მასების ბატონობა", რაც ფაქტიურად ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფას. ამ პუნქტში მოცემული იყო ცდა პროლეტარიატის თვალსაზრისის შეთავსებისა არაპროლეტარული მშრომელი მასების თვალსაზრისთან. პროლეტარიატის ამოცანა ის კი არ არის, რომ იგი ჩამოქვეითდეს არაპროლეტარული მშრომელი მასების თვალსაზრისამდე, არამედ ის, რომ აამაღლოს არაპროლეტარული მშრომელი მასების შეგნება, წარმართოს მათი ბრძოლა ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინმა მოითხოვა პროლეტარიატის კლასობრივი შინაარსისა და მისი ისტორიული როლის დახასიათების დროს ცალკე გამოყოფილიყო იგი ყველა კლასიდან და ფენიდან და ზუსტად მითითებულიყო მის მიზნებსა და ამოცანებზე.

კომისიის მიერ შედგენილი პროექტის დამატებით შენიშვნებში ვ. ი. ლენინი წერდა „...საჭირო არ არის შვილდის გადაღუნვა მეორე მხარეს, როგორც ამას ვ. ზასულიჩი სჩადის! საჭირო არ არის „სურვილი" ავრიოთ სინამდვილესთან, ...სასურველია, რა თქმა უნდა, ყველა წვრილი მწარმოებლის მოზიდვა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ცალკე კლასია, თუმცა პროლეტარიატთან ათასი ძაფით და გარდამავალი საფეხურებით დაკავშირებული; მაგრამ მაინც ცალკე კლასია.

აუცილებლად საჭიროა ჯერ გავემიჯნოთ ყველას, გამოვყოთ მხოლოდ ერთი, ერთადერთი და მარტოდმარტო პროლეტარიატი, — ხოლო უკვე ამის შემდეგ განვაცხადოთ, რომ პროლეტარიატი ყველას გაათავისუფლებს, ყველას მოუხმობს, ყველას იწვევს.

მე თანახმა ვარ ამ „შემდეგი"-სა, მაგრამ ამაზე ადრე მოვითხოვ „ჯერ"-ს!"[1].

კომისიის პროექტში აგრეთვე არასწორად იყო განსაზღვრული რსდმ პარტიის კლასობრივი ხასიათი; ისე გამოდიოდა, რომ პარტია იქმნებოდა არა პროლეტარიატის ისტორიული მიზნების გამარჯვებისათვის, არამედ ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული მასების მიზნების გამარჯვებისათვის. კომი-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 79.

სიას არ სურდა გაეგო, რომ წვრილი მწარმოებლების, გლეხების, შინამრეწველების, აგრეთვე სხვა არაპროლეტარული მშრომელი მასების მიზნებისა და ამოცანების გაიგივება პროლეტარიატის მიზნებთან და ამოცანებთან ნიშნავდა მარქსისტული სოციალიზმიდან წვრილბურჟუაზიული სოციალიზმისაკენ გადახვევას. ვ. ი. ლენინი კომისიას და კერძოდ ვ. ზასულიჩს ბრალს სდებდა „წვრილბურჟუაზიისაკენ მშვილდის გადაღუნვაში".

კომისიის მიერ შედგენილმა პროექტმა ვერ დააკმაყოფილა ვ. ი. ლენინი. მან მოითხოვა მისი გადამუშავება. თუმცა წინათ ვ. ი. ლენინი პლეხანოვთან და აქსელროდთან მიმოწერაში მოითხოვდა პარტიის პროგრამის პროექტზე მუშაობის დაჩქარებას, მაგრამ იგი შემდგომ სასტიკი წინააღმდეგი იყო პროგრამის გაუარესების ხარჯზე მისი დაჩქარებით დამთავრებისა. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა პროგრამაზე გულდასმით, აუჩქარებელ მუშაობას, რათა შესაძლებელი გამხდარიყო შეცდომების თავიდან აცილება და ისეთი პროგრამის შედგენა, რომელიც გამოდგებოდა მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური პროლეტარიატის — რუსეთის პროლეტარიატის პარტიისათვის.

„თუ უფალმა ღმერთმა, — წერდა ვ. ი. ლენინი „კომისიის პროგრამის პროექტის გამო", — ჩვენი ცოდვებისათვის დაგვსაჯა იმ აუცილებლობით, რომ გამოვიდეთ ამ „ნაცოდვილარი" პროექტით, საჭიროა შ თ ე ლ ი ღონე მაინც ვიხმაროთ, რათა შ ე ვ ა მ ც ი რ ო თ ამის საველალო შედეგები. ამიტომ სრულიადაც არ არიან მართალნი ისინი, ვინც ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ა ღ ხელმძღვანელობს სურვილით — „რაც შეიძლება ჩქარა მოერჩეთო": შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ა ხ ლ ა. ასეთი კონსტელაციის დროს, აჩქარება ცუდის მეტს არაფერს მოიტანს... რაღაც ერთი თვით დაგვიანება ოდნავადაც არ იქნება პარტიისათვის საზიანო. და, ჰაი, ჰაი, უკეთესი იქნება, რომ პატივცემულმა კომისიამ ჯერ კიდევ კარგად იმუშაოს, მოიფიქროს, მოინელოს და მოგვცეს თ ა ვ ი ს ი, არა შეკოწიწებული, არამედ მთლიანი პროექტი. ერთხელ კიდევ ვიმეორებ: თუ ეს ამოცანა განუხორციელებელია, მაშინ საქმისათვის გაცილებით უფრო სასარგებლო იქნება დავუბრუნდეთ 2 პროექტის გეგმას

(და ჩვენ ამ გეგმის განხორციელებას სავსებით შევძლებთ ისე, რომ არ ავითარი „უხერხულობა“ არ იყოს: პლეხანოვი თავისი ხელმოწერით ბეჭდავს „ზარიაში“, მე კი დავბეჭდავ „განზე“, ჟენევაში, როგორც x, y, z). უდიდესი მოკრძალებით ვშუამდგომლობ უმაღლესი კოლეგიის წინაშე დაკვირვებით მოისაზროს საქმის ყველა გარემოება“ [1].

ასე რომ, თუ შემთანხმებელი კომისია ვერ შეძლებდა სერიოზული მუშაობის ჩატარებას და ნამდვილად რევოლუციური პროგრამის პროექტის შემუშავებას, მაშინ ვ. ი. ლენინი პრესაში გამართული პრინციპული პოლემიკის საშუალებით ფიქრობდა მიეღწია გამარჯვებისათვის.

ვ. ი. ლენინის პრინციპულმა მოთხოვნამ კომისია და პლეხანოვი ალტერნატივის წინაშე დააყენა: ან მიეღოთ ყველა მისი მოთხოვნა და „ისკრას“ შიგნით მიეღწიათ შეთანხმებისათვის რსდმპ პროგრამის შემუშავებაში, ან ეს საკითხი გაეხადათ პრესაში აშკარა პოლემიკის საკითხად. ამ უკანასკნელს შეიძლება მოჰყოლოდა ისკრელების გათიშვა. ამიტომ მათ გადაწყვიტეს ერთხელ კიდევ გულდასმით გადაეთვალიერებინათ პროექტი და შეესწორებინათ და გადაემუშავებიათ იგი ლენინის მოთხოვნების შესაბამისად. ეს მუშაობა შეასრულა 1902 წლის 14 — 17 აპრილს ციურიხის ისკრელთა თათბირმა ვ. ი. ლენინის დაუსწრებლად. ამით დაიწყო რსდმპ პროგრამაზე მუშაობის მეხუთე ეტაპი.

ციურიხის თათბირმა, რომელსაც ესწრებოდნენ პლეხანოვი, აქსელროდი, ზასულიჩი, მარტოვი და დეიჩი, გულდასმით განიხილა გ. ვ. პლეხანოვის მეორე პროექტი და ვ. ი. ლენინის მიერ გაკეთებული ყველა შენიშვნა (რომელთა რაოდენობა ასს აღემატებოდა) და საფუძვლიანად გადაამუშავა კომისიის მიერ შედგენილი პროექტი, ლენინის შენიშვნების აბსოლუტური უმრავლესობის (90-ზე მეტი შენიშვნის) გათვალისწინებით.

თათბირზე გადაწყდა შეეტანათ პროგრამაში ვ. ი. ლენინის მოთხოვნები: კაპიტალიზმის ტენდენციისა და მისი განვითარების შედეგების, რუსეთის კაპიტალიზმისათვის ომის გამოცხა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 74 — 76.

დების, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის შინაარსის, მისი ისტორიული როლის, სოციალური რევოლუციისა და მისი შედეგის — პროლეტარიატის დიქტატურის, პროლეტარული პარტიის კლასობრივი ხასიათის, პარტიის საბოლოო მიზნისა და უახლოესი ამოცანების, პროლეტარიატისა და მისი პარტიის არაპროლეტარულ მშრომელ მასებთან დამოკიდებულების საკითხები და სხვ.

პროგრამის პროექტში შეტანილ იქნა ლენინური ფორმულირება პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის შედეგების შესახებ, რომელიც საზოგადოების კლასებად დაყოფის მოსპობას, ჩაგრული კაცობრიობის განთავისუფლებას, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობას ითვალისწინებდა. „ამ სოციალური რევოლუციის აუცილებელ პირობას შეადგენს პროლეტარიატის დიქტატურა, ე. ი. პროლეტარიატის მიერ ისეთი პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება, რომელიც საშუალებას მისცემს მას შემუსროს ექსპლოატატორების ყოველგვარი წინააღმდეგობა“ [1].

პროგრამის პროექტში პროლეტარიატისა და მისი პარტიის უახლოესი ამოცანების შესახებ ნათქვამი იყო, რომ საბოლოო მიზნისათვის ბრძოლის გზაზე სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარული პარტიები მოვალენი არიან ადგილის, დროისა და პირობების შესაბამისად გადასჭრან სხვადასხვა უახლოესი ამოცანები, რომლებიც დააახლოებს პროლეტარიატს სოციალიზმისათვის ბრძოლასთან. პროექტში ნაჩვენები იყო რუსეთში კაპიტალისტური წარმოების წესის გადაქცევა გაბატონებულ წესად, ამავე დროს მითითებული იყო იმ მრავალრიცხოვან ბატონყმურ ნაშთებზე, რომლებიც ხელს უშლიდნენ საზოგადოების წინსვლას და აბრკოლებდნენ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის განვითარებას.

პროექტში ნაჩვენები იყო, რომ ფეოდალიზმის ყველაზე საზიზღარ ნაშთს, არსებული წყობილების ყველაზე მძლავრ დასაყრდენს წარმოადგენდა მეფის თვითმპყრობელობა. ამი-

---

[1] სკკპ ყრილობის, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, გვ. 42.

ტიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავის უახლოეს პოლიტიკურ ამოცანად უნდა ისახავდეს მეფის თვითმპყრობელობის დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას.

1902 წლის 14 — 17 აპრილს კომისიის მიერ ციურიხში შემუშავებული პროგრამის პროექტი, თუმცა თავისი სქემით ძირითადად პლეხანოვის მეორე პროექტს ასახავდა, მაგრამ თაკისი ტიპის მიხედვით (გარდა შესავალისა) აგებული იყო ლენინის მოთხოვნების სიფრცეზე. ამის გამო კომისიამ მიიღო ვ. ი. ლენინის თანხმობა.

ამგვარად, გენი-ლურმა ვ. ი. ლენინმა ხანგრძლივი დაძაბული პრაქტიკულ-რევოლუციური მუშაობით და შეუპოვარი იდეური ბრძოლით მიაღწია იმას, რომ კომისიას პროგრამის პროექტის შემუშავების დროს მიეღო თითქმის ყველა მისი პრინციპული მოთხოვნა, რამაც იგი ნამდვილად გადააქცია სოციალური რევოლუციის პარტიის მოღვაწეობის სამოქმედო პროგრამად.

ამით დამთავრდა რსდმპ პროგრამის შედგენისათვის მუშაობის მეხუთე ეტაპი.

პროგრამის პროექტს ბოლოში გ. ვ. პლეხანოვმა მიაწერა „ამინ"; მაგრამ პროგრამას აკლდა აგრარული ნაწილი, რომლის შემუშავებისთვისაც დაიწყო რსდმპ პროგრამისათვის ბრძოლის მეექვსე ეტაპი.

აგრარული პროგრამის პროექტის შემუშავება „ისკრას" და „ზარიას" რედაქციამ დაავალა ვ. ი. ლენინს. ლენინმა ნაროდნიკების, „ლეგალური მარქსისტების", „ეკონომისტების", „სოციალისტ-რევოლუციონერების" და მათი საზღვარგარეთელი მეგობრების წინააღმდეგ თეორიულ ბრძოლაში იდეურად გაანადგურა გლეხთა როლის გადაფასების ან შეუფასებლობის შეხედულებანი, ჩამოაყალიბა მეცნიერული პროგრამული პრინციპები აგრარულ საკითხებზე.

ისტორიამ ლენინს წილად არგუნა მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ გამოთქმული გენიალური მონახაზების არა მარტო აღდგენა, არამედ მისი ახალი პი-

რობების შესაბამისად განვითარება და პროლეტარიატისა და გლეხობის კლასობრივი კავშირის საკითხზე მეცნიერული მოძღვრების შემუშავება.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ თავის ადრინდელ ნაშრომებში „რანი არიან ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“, „ნაროდნიკების ეკონომიური შინაარსი“, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ და სხვ.—ნათლად გვიჩვენა, რომ აგრარული და ნაციონალური საკითხების გადაწყვეტისათვის ამა თუ იმ ქვეყანას, მისი განვითარების დონის მიხედვით, ახასიათებს სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც განაპირობებენ განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათს.

ვ. ი. ლენინი რუსეთში აგრარული საკითხის მეცნიერული ანალიზის დროს სამ ძირითად თავისებურებაზე მიუთითებდა: ჭარბად შემორჩენილი ბატონყმური ნაშთები და მათი მძიმე შედეგები; გლეხთა მძლავრი რევოლუციური მოძრაობა მიწისა და დემოკრატიული თავისუფლებისათვის; პროლეტარიატის ხელმძღვანელობა გლეხთა მოძრაობისადმი, რაც მას გადაიქცევდა ბურჟუაზიის რეზერვიდან პროლეტარიატის რეზერვად. ყოველივე ამას თავისი სწორი ასახვა უნდა ეპოვნა პროგრამაში. ეს თავისებურებანი განაპირობებდა რუსეთის პროლეტარიატის ჰეგემონიას იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში და მის გამოსვლას მთელ გლეხობასთან ერთად მეფის თვითმპყრობელობის დამხობისათვის ბრძოლაში.

ვ. ი. ლენინი, პლეხანოვისაგან განსხვავებით, გლეხობაში ხედავდა რევოლუციურ ძალას, რომლის გამოყენება დამოკიდებული იყო იმაზე, შეძლებდნენ თუ არა პროლეტარიატი და მისი პარტია გლეხთა ფართო მასების დარაზმვას და მისთვის სწორი ხელმძღვანელობის გაწევას ცარიზმისა და მემამულეობა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ამოცანა კი მოითხოვდა აგრარული საკითხის მეცნიერულად დამუშავებას რუსეთში შექმნილი ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად და ძის გამოყენებას პროლეტარიატისა და მისი პარტიის უახლოესი და საბოლოო მიზნების გამარჯვებისათვის.

გერმანიაში — დავიდი, ჰერცი და მათი მეგობრები, რუსეთში — სტრუვე, ტუგან-ბარანოვსკი და სხვები უარყოფდნენ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ აღმოჩენილი კაპიტალიზმის განვითარების კანონზომიერების გამოყენებას მიწათმოქმედების მიმართ. ისინი ბრალსაც

კი სდებდნენ მათ იმაში, რომ ვითომ მარქსი და ენგელსი მექანიკურად ავრცელებდნენ მრეწველობის განვითარების კანონებს მიწათმოქმედებაში. ჰერცი, დავიდი და მათი მომხრეები რუსეთში, იცავდნენ რა მიწათმოქმედებაში წვრილი მეურნეობის „სიმტკიცის", „გამძლეობისა" და „სიცოცხლისუნარიანობის" თეორიას, ამტკიცებდნენ, ვითომ კაპიტალისტური „მრეწველობის განვითარების კანონები არ მოქმედებდნენ მიწათმოქმედების განვითარებაზე". მათი აზრით, მიწათმოქმედებისათვის არსებობდა განსაკუთრებული კანონები, რომლებიც განაპირობებდა წვრილ მეურნეობათა „სიმყარეს" და „სიცოცხლისუნარიანობას". რუსეთის „ლეგალური მარქსისტების" ლიდერები პ. სტრუვე, ტუგან-ბარანოვსკი, ქართველი ფედერალისტების ერთ-ერთი ლიდერი ა. ჯორჯაძე და მათი საზღვარგარეთელი მეგობრები — დავიდი, ჰერცი და სხვები გადაჭრით უარყოფდნენ მიწათმოქმედებაში კაპიტალის კონცენტრაციას და მსხვილი მეურნეობის მიერ წვრილი მეურნეობის გაღატაკებას და გამოდევნას. მარქსიზმის ეს „კრიტიკოსები" მიზნად ისახავდნენ მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში მებრძოლი ძალების დაქსაქსვას, გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩამოცილებას პროლეტარიატის ხელმძღვანელობისაგან, საერთო რევოლუციური ნაკადის დასუსტებას და კაპიტალიზმის ბატონობის განმტკიცებას.

მართალია, კაპიტალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფორმების სრული გაიგივება არ შეიძლება, რადგან „სასაქონლო წარმოების ზრდა და დაქირავებული შრომის განვითარება ხდება სხვა ფორმით სოფლის მეურნეობაში, ვიდრე მრეწველობაში", მაგრამ მათ შორის ამ განსხვავების მიუხედავად კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება ერთ ზოგად კანონზომიერებას ემორჩილება. „... საერთოდ და მთლიანად თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების

მიმართ ისტორიამ კი არ გაამართლა, არამედ დ ა ა დ ა ს ტ უ-რ ა მარქსის კანონის მიყენება მიწათმოქმედებისადმი"[1].

ვ. ი. ლენინი რსდმ პარტიის აგრარული პროგრამის ცენტრალურ საკითხად აღიარებდა მსხვილი მიწათმფლობელობის ექსპროპრიაციასა და მემამულეთა მიწების კონფისკაციას. იგი ჯერ კიდევ ადრინდელ ნაშრომში „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?" წერდა: „სოციალ-დემოკრატები უაღრესი ენერგიულობით მოითხოვენ, რომ გლეხებს დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ წართმეული მიწები და მოხდეს სრული ექსპროპრიაცია მემამულეთა მიწათმფლობელობისა — ბატონყმური დაწესებულებებისა და ტრადიციების ამ დედაბოძისა. ეს უკანასკნელი პუნქტი, რომელიც ემთხვევა მიწის ნაციონალიზაციას, არაფერს შეიცავს სოციალისტურს, იმიტომ რომ ფერმერული დამოკიდებულებანი, რომლებიც ჩვენში უკვე იქმნება, მხოლოდ უფრო სწრაფად და უხვად გაიშლებოდა მაშინ, მაგრამ ის უაღრესად მნიშვნელოვანია დემოკრატიული აზრით, როგორც ერთადერთი ზომა, რომელიც შესძლებდა სრულიად მოედრიკა კეთილშობილი მემამულეები"[2].

ვ. ი. ლენინი რუსეთში აგრარული საკითხის რევოლუციურად გადაჭრისათვის მოითხოვდა მემამულეთა, საუფლისწულო, სამონასტრო, სახაზინო მიწების კონფისკაციას და მთელი მიწების ნაციონალიზაციას. მაგრამ მან, ამავე დროს, აგრარულ პროგრამაში წამოაყენა უფრო ვიწრო მოთხოვნაც — „ჩამონაჭრების" დაბრუნება გლეხებისათვის. იგი ჯერ კიდევ 1895 წელს ციხეში დაწერილ პროგრამულ დოკუმენტში მოითხოვდა: გლეხების გამოსასყიდ გადასახდელთა გაუქმება და გადახდილი თანხების უკან დაბრუნებას, „ჩამონაჭრების" დაბრუნებას გლეხებისათვის და იმ კანონების გაუქმებას, რომლებიც უზღუდავდა „გლეხობას მიწათსარგებლობის თავისუფლებას".

ვ. ი. ლენინმა, აგრარული საკითხის მეცნიერულად დამუშავების დროს ზუსტად განსაზღვრა რუსეთში გლეხთა საკითხის არსებითი განსხვავება დასავლეთ ევროპაში გლეხთა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 123 — 124.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 341.

საკითხისაგან. მან გვიჩვენა, რომ დასავლეთში გლეხობის რევოლუციური ენერგია ამოწურული იყო ბურჟუაზიის ჰეგემონობით ფეოდალიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციების დროს, როდესაც გლეხობა გამოდიოდა როგორც ბურჟუაზიის რეზერვი და იბრძოდა მისი დროშით; რუსეთში კი გლეხობა ჯერ კიდევ არ იყო თავისუფალი მემამულეთა ბრჭყალებისაგან და გმინავდა ნახევრადბატონყმური უღლის ქვეშ. თუმცა რუსეთში „საგლეხო რეფორმის“ გატარებით გადაიდგა ერთი ნაბიჯი ფეოდალური მონარქიიდან ბურჟუაზიული მონარქიისაკენ, მაგრამ სახელმწიფო მართვა-გამგეობა, თითქმის მთელი პოლიტიკური ძალაუფლება ჯერ კიდევ თავადაზნაურთა ხელში იყო. რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესები ისე მჭიდროდ იყო გადახლართული ცარიზმის ინტერესებთან, რომ მას არ შეეძლო ისეთივე როლი შეესრულებინა გლეხობის მემამულური ჩაგვრისაგან „განთავისუფლებაში“ და ბურჟუაზიისადმი დამორჩილებაში, როგორც ეს მოხდა დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში. რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების თავისებურება განაპირობებდა გლეხობის მიერ ბურჟუაზიის „მფარველობისაგან“ თავის დაღწევას და მის დარაზმვას პროლეტარიატის ხელმძღვანელობით.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პირდაპირი და გადაუდებელი ამოცანა იყო დაერაზმა მთელი გლეხობა პროლეტარიატის დროშის ქვეშ ცარიზმისა და მემამულეთა კლასის წინააღმდეგ საბრძოლველად, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის გამარჯვებისათვის, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისათვის. ამ მხრივ უდიდესი როლი ითამაშა ვ. ი. ლენინის სტატიამ „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა“.

ვ. ი. ლენინმა ხსენებული სტატია 1902 წლის 16 აპრილს წარადგინა განსახილველად ციურიხში ისკრელთა თათბირზე. თათბირმა (გ. ვ. პლეხანოვი არ ესწრებოდა) ძირითადად მოიწონა იგი ზოგიერთი შენიშვნით და აპრილის დამლევს დაუბრუნა ავტორს. შემდეგ იგი გადაეცა გ. ვ. პლეხანოვს გადასასინჯად, რომელმაც მოითხოვა მასში პრინციპული ხასიათის

ცვლილებების შეტანა, რასაც ვ. ი. ლენინი არ დაეთანხმა და დაიწყო დავა ლენინსა და პლეხანოვს შორის.

უთანხმოების მთავარ საკითხებს წარმოადგენდა პროლეტარიატის ჰეგემონიის, მემამულეთა მიწების ნაციონალიზაციისა და „ჩამონაჭრების“ გლეხობისათვის დაბრუნების საკითხები.

გ. ვ. პლეხანოვის აზრით მიწების ნაციონალიზაცია მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის ღონისძიებას წარმოადგენდა, ამიტომ აგრარულ პროგრამაში მისი შეტანა, როგორც უახლოესი ამოცანისა, მიზანშეწონილი არ იყო. მისი აზრით, მიწების ნაციონალიზაცია დააკანონებდა გლეხების მიმაგრებას სახელმწიფოზე. იგი შეცდომით ფიქრობდა, რომ მიწების ნაციონალიზაცია გამოიწვევდა „ივანე მრისხანის დროის სახელმწიფოებრივი წესწყობილების აღდგენას“. პლეხანოვი რუსეთის გლეხობას უყურებდა არა როგორც მემამულეთა წინააღმდეგ მებრძოლ კლასს, არამედ როგორც სახელმწიფოსადმი დამოკიდებულ კლასს. ამიტომ მიწების ნაციონალიზაცია მას ესმოდა არა როგორც მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში გატარებული რევოლუციური ღონისძიება, არამედ როგორც სახელმწიფოს საკანონმდებლო ღონისძიება. მან ვერ გაიგო, რომ მემამულეთა საუფლისწულო, სამონასტრო, სახაზინო მიწების კონფისკაცია და მისი ნაციონალიზაცია გამოიწვევდა ცარიზმისა და მემამულეთა კლასის მოსპობას და მიწის სარგებლობაზე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წესების შემოღებას. პლეხანოვმა ვერ გაიგო ისიც, რომ მიწების ნაციონალიზაციას ითვალისწინებდა ბურჟუაზიული რევოლუციაც, რომელიც ჯერ კიდევ XVII საუკუნეში იქნა წამოყენებული ინგლისის ბურჟუაზიის მიერ სამრეწველო გადატრიალების დროს. თუ ბურჟუაზიას არ ძალუძს მისი თანმიმდევრული განხორციელება, ეს იმიტომ, რომ ფეოდალური კერძო საკუთრების ადგილს ბურჟუაზიული კერძო საკუთრება იჭერს, რომელიც კვეცავს ნაციონალიზაციის ფარგლებს.

რასაკვირველია, ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში ბურჟუაზიის მიერ მიწების ნაციონალიზაციის მოთხოვნა, რაც იმ დროისათვის აუცილებლად რევოლუციურ ღონისძიებას წარმოადგენდა, არ უნდა ავრიოთ იმპერიალიზმის ეპოქაში

შემარჯვენე სოციალისტებისა და ლეიბორისტების მიერ მრეწველობის ნაციონალიზაციის თვალთმაქცურ მოთხოვნასთან, რაც მშრომელი ხალხის მოტყუებას ისახავს მიზნად.

ამავე დროს, ბურჟუაზიული რევოლუციების პირობებში მიწის ნაციონალიზაციის ლონისძიება არ უნდა ავრიოთ სოციალისტური რევოლუციის დროს გატარებული მიწის ნაციონალიზაციის პროგრამასთან. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობებში გატარებული მიწის ნაციონალიზაცია წარმოადგენს წარმოების ყველა საშუალების ნაციონალიზაციის ნაწილს, მრეწველობის, ტრანსპორტის, ბუნებრივ საქიდიდრეთა, ბანკების ნაციონალიზაციის შემადგენელ ნაწილს. ბურჟუაზიული რევოლუციების პირობებში, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ძალაში დარჩენის დროს კი მიწის ნაციონალიზაციის გატარება წარმოადგენს საერთო დემოკრატიულ ლონისძიებას, რომელიც მიმართულია მხოლოდ მემამულეთა კლასის წინააღმდეგ. ლენინი, რომელმაც აგრარულ პროგრამაში შეიტანა მიწის ნაციონალიზაციის საკითხი, მკვეთრად ანსხვავებდა ერთმანეთისაგან ბურჟუაზიული რევოლუციისა და პროლეტარული რევოლუციის პირობებში გატარებულ მიწის ნაციონალიზაციას.

მიწის ნაციონალიზაციის საკითხს ვ. ი. ლენინი ორგანულად უკავშირებდა მოახლოებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას, რომელიც პროლეტარიატის ჰეგემონიით უნდა გატარებულიყო. ამ საკითხის გადაწყვეტის არსი მდგომარეობდა იმაში, შეესძლებდა თუ არა რუსეთის პროლეტარიატი და მისი პარტია საუკუნეებით ტანჯული გლეხობის დარაზმვას ცარიზმისა და მემამულეთა კლასის ბატონობის დამხობისათვის და მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარებისათვის. ამიტომ მიწის ნაციონალიზაციის პრაქტიკულ-რევოლუციური გატარება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები და როგორ გადაიქცეოდა ცარიზმისა და მემამულეთა კლასის ბატონობის დამხობის შესაძლებლობა სინამდვილედ. სწორედ ამ მოვლენების განვითარების სირთულეს ითვალისწინებდა ვ. ი. ლენინი, როცა მიწის ნაციო-

ხალიზაციის გარდა აყენებდა უფრო ვიწრო მოთხოვნას — „ჩამონაჭრების“ გლეხებისათვის დაბრუნებას. ამითვე იყო ნაკარნახევი 1905 წელს რსდმპ III ყრილობაზე ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული და ყრილობის მიერ მიღებული მიწის კონფისკაციის რეზოლუცია. ხოლო 1906 წელს პარტის IV „გამაერთიანებელ“ ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა კატეგორიულად მოითხოვა მიწის ნაციონალიზაცია.

ვ. ი. ლენინი წინასწარ ჰვრეტდა, რომ მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნისა და პროლეტარიატის ხელმძღვანელობით რევოლუციის პროცესში მისი გატარების გარეშე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ბოლომდე ვერ მივიდოდა, რაც დაადასტურა რუსეთის მეორე რევოლუციის დროს განვითარებულმა მოვლენებმა.

არანაკლებად მწვავე უთანხმოება გამოიწვია „ჩამონაჭრების“ გლეხებისათვის დაბრუნების საკითხმა. უთანხმოება დაიწყო იმით, უნდა შეხებოდა თუ არა „ჩამონაჭრების“ დაბრუნების მოთხოვნა იმ მიწებს, რომლებიც „საგლეხო რეფორმის“ შემდეგ კეთილმოწყობილ, კულტურულ მეურნეობებად გადაიქცა. ვ. ი. ლენინი „ჩამონაჭრების“ საკითხზე საჭიროდ თვლიდა ასეთი შენიშვნის გაკეთებას, რასაც უარყოფდა პლეხანოვი. უთანხმოების მეორე პუნქტი იყო ის თუ რა პირობებში უნდა მიეღოთ გლეხებს „ჩამონაჭრები“.

გ. ვ. პლეხანოვი მოითხოვდა გლეხებს „ჩამონაჭრები“ გამოესყიდათ. ვ. ი. ლენინმა გაილაშქრა გ. ვ. პლეხანოვის წინააღმდეგ. იგი სარკასტულად შენიშნავდა, რომ „ჩამონაჭრების“ გამოსყიდვის პლეხანოვისეულ მოთხოვნას „უგვანო კეთილგანზრახული და ბურჟუაზიული ზომის სპეციფიკური სუნი აქვსო“. მან ნათელყო „ჩამონაჭრების“ გლეხობისათვის უსასყიდლოდ დაბრუნების რევოლუციური შინაარსი და უჩვენა მისი გამოსყიდვის რეფორმისტული და „ისიც ჩვეულებრივი დაბალი სახის რეფორმისტული ბუნება“.

„ჩამონაჭრების“ გამოსყიდვა გლეხობას მევახშის კლანჭებში ჩააგდებდა, კიდევ უფრო გაღატაკებდა, რაც ეწინააღმდეგებოდა აგრარული საკითხის მარქსისტულ-ლენინურ გაგებას.

მარქსიზმ-ლენინიზმი გლეხობის გაღატაკებას კი არ ‘ოოითხოვს, როგორც ამას ჯერ ნაროდნიკები და შემდგომ II ინტერნაციონალის ოპორტუნისტი ბელადები ფიქრობდნენ, არამედ მის ამხედრებას სიღატაკისა და გაჩანაგების წინააღმდეგ, მის, როგორც მოკავშირის დარაზმვას პროლეტარიატის გარშემო.

მწვავე უთანხმოებანი ვ. ი. ლენინსა და გ. ვ. პლეხანოვს შორის „ჩამონაჭრებისა“ და მიწის ნაციონალიზაციის საკითხებში გამომდინარეობდა გლეხობისადმი მათ ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომაში და მათ მიერ გლეხობის როლის სხვადასხვაგვარ შეფასებაში. პლეხანოვს არ ესმოდა რუსეთის გლეხობის როლი ცარიზმისა და მემამულეთა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის გამოც მან ვერ გაიგო, თუ როდის რომელი ღონისძიებანი შეუწყობდა ხელს მის ამხედრებას. ლენინი მეცნიერულად განსაზღვრავდა გლეხთა კლასის ბუნებას და მის სხვადასხვა როლს ნახევრადბატონყმური ურთიერთობისა და ბურჟუაზიული ურთიერთობის პირობებში.

რამდენადაც „საგლეხო რეფორმის“ შემდეგ სოფლად შეიჭრა კაპიტალიზმი, რომელიც თანდათან სდევნიდა ბატონყმურ ურთიერთობას, იმდენად გლეხობა აღარ წარმოადგენდა ერთ კლასს. იგი იშლებოდა სოფლის პროლეტარებად, ნახევრადპროლეტარებად, საშუალო გლეხობად და ბურჟუაზიად. მაგრამ, რამდენადაც რუსეთში მძლავრად იყო შემორჩენილი ბატონყმური ურთიერთობის ნაშთები და გლეხობა ამ ურთიერთობის ბორკილებს ჯერ კიდევ თავს ვერ აღწევდა, იმდენად იგი კვლავ რჩებოდა ბატონყმური საზოგადოებისდროინდელ კლასად. სწორედ ამიტომ გლეხობისათვის „ჩამონაჭრების“ უსასყიდლოდ დაბრუნების მოთხოვნა წარმოადგენდა იმ რევოლუციურ ღონისძიებას, რომელიც აამხედრებდა მას საბრძოლველად ნახევრადბატონყმური ურთიერთობის ბორკილებიდან თავის დაღწევისათვის.

რუსეთში ნახევრადბატონყმური ურთიერთობის ბურჟუაზიულ ურთიერთობასთან რთული გადახლართვის პირობებში ვ. ი. ლენინის მიერ გლეხთა საკითხის ესოდენ მეცნიერულად გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური

მოძრაობის შემდგომი მსვლელობისათვის. „...რადგან ეს ურთიერთობანი (ნახევრად ბატონყმური ურთიერთობანი. — რ ე დ.) ურთულესად გადახლართულნი არიან ბურჟუაზიულ ურთიერთობებთან, ჩვენ ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი ვ ხ დ ე ბ ი თ შევაღწიოთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ხლართის შიგ შუაგულში და ამოცანის სირთულისა არ უნდა შეგვეშინდეს... პროლეტარიატის პარტია არათუ მხარს უნდა უჭერდეს, არამედ კიდეც უნდა აქეზებდეს გლეხობას მის ბრძოლაში ბატონყმობის ყველა ნაშთის წინააღმდეგ, ხოლო წასაქეზებლად საკმარისი არ არის დასჯერდე ზოგადი სურვილის გამოთქმას, — უნდა მისცე გარკვეული რევოლუციური დირექტივა, უნდა შეგეძლოს დ ა ე ხ მ ა რ ო აგრარულ ურთიერთობათა ხლართში გ ა რ კ ვ ე ვ ა ს“ [1].

ვ. ი. ლენინის აზრით ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების მოსპობა წარმოადგენდა მხოლოდ ერთგვარ საფეხურს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისათვის ბრძოლის გზაზე, ერთი მთლიანი რევოლუციური მოძრაობის აუცილებელ წინა ეტაპს. იგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას და პროლეტარულ რევოლუციას მექანიკურად კი არ სთიშავდა ერთმანეთისაგან ჩინური კედლით, როგორც ამას II ინტერნაციონალის ოპორტუნისტი ბელადები და მენშევიკები აკეთებდნენ, არამედ ამ ორ რევოლუციას იხილავდა ერთმანეთთან ორგანულ კავშირში.

უთანხმოებამ ვ. ი. ლენინსა და გ. ვ. პლეხანოვს შორის აგრარული პროგრამის პროექტის განხილვის დროს კულმინაციურ წერტილს მიაღწია. პლეხანოვი გათიშვით იმუქრებოდა. ზოგიერთი შენიშვნით მას ეხარს უჭერდნენ ზასულიჩი და აქსელროდი. ისინი „გათიშვის თავიდან აცილების“ მიზნით მიმართავდნენ შუამავლობას ვ. ი. ლენინსა და გ. ვ. პლეხანოვს შორის. მაგრამ ლენინი მტკიცედ იდგა პრინციპული პოლიტიკის პოზიციაზე და განუხრელად იცავდა მის მიერ შემუშავებულ აგრარულ პროგრამას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 132—133.

პლეხანოვის მუქარამ იქამდისაც კი მიაღწია, რომ 1902 წლის 14 მაისს ლენინი იძულებული გახდა პლეხანოვის შენიშვნების პასუხად მიეწერა შემდეგი შინაარსის წერილი: „მივიღე სტატია თქვენი შენიშვნებით. კარგი წარმოდგენა კი გქონიათ ტაქტზე რედაქციის კოლეგებთან ურთიერთობაში! თქვენ ყოვლად დამამცირებელ გამოთქმებსაც კი არ ერიდებით... თუ თქვენ მიზნად დაისახეთ შეუძლებელი გახადოთ ჩვენი ერთად მუშაობა,—მაშინ თქვენ მიერ არჩეული გზით შეგიძლიათ ძალიან მალე მიაღწიოთ ამ მიზანს. რაც შეეხება არა საქმიან, არამედ პირად ურთიერთობას, თქვენ ეს ურთიერთობა უკვე საბოლოოდ გააფუჭეთ ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ: მის სრულ შეწყვეტას მიაღწიეთ“ [1].

ამ წერილის შემდეგ გ. ვ. პლეხანოვი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებულ აგრარულ პროგრამაზე, მხოლოდ ურჩევდა მას ამოეშალა მიწის ნაციონალიზაციის პუნქტი. ამასთან, შეეცადა აღედგინა მასთან პირადი ურთიერთობა. პლეხანოვი აღიარებდა ლენინის უდიდეს თეორიულ ძალას და არ სურდა მასთან საქმიანი და პირადი ურთიერთობის გაწყვეტა. ამიტომ იგი ლენინისადმი მიწერილ საპასუხო წერილში წერდა: „მე თქვენ ძალზე გცემთ პატივს, და ვფიქრობ, რომ ჩვენ ერთმანეთთან 75%-ით უფრო ახლოს ვართ, ვინემ კოლეგიის სხვა დანარჩენ წევრებთან. დანარჩენი 25% არის ჩვენს შორის დარჩენილი განსხვავება, მაგრამ 75 ხომ სამჯერ მეტია 25-ზე“ [2].

ამრიგად, პლეხანოვისა და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ ვ. ი. ლენინის პრინციპული თანმიმდევრული თეორიული ბრძოლის შედეგად „ისკრასა“ და „ზარიას“ რედაქციის შიგნით შესაძლებელი გახდა ახალი ტიპის პარტიის სამოქმედო პროგრამის შემუშავება. მსოფლიო მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად შემუშავდა ახალი ტიპის პარტიის სამოქმედო პროგრამა, რომელიც თავისი რევოლუციურობით ძირფესვიანად განსხვავდებოდა ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 34, გვ. 105.
[2] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული, ტ. III, გვ. 130.

პარტიების პროგრამებისაგან. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის პროგრამული დოკუმენტების შემდეგ რსდმპ პროგრამაში ვ. ი. ლენინის მოთხოვნით პირველად შევიდა პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხები.

პროგრამის პროექტი გამოქვეყნდა „ისკრას" 21-ე ნომერში. დაიწყო მისი განხილვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ადგილობრივ კომიტეტებში და ორგანიზაციებში და საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებში. ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების დიდმა უმრავლესობამ მოიწონა პროგრამის პროექტი.

ისკრული პროგრამის პროექტი მოიწონა (ხმის უმრავლესობით) კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ 1903 წლის მარტში. ყრილობამ აირჩია ხელმძღვანელი ცენტრი — რსდმპ კავკასიის კომიტეტი, რომელმაც სერიოზული როლი ითამაშა ამიერკავკასიაში მარქსისტულ-ლენინური ინტერნაციონალური ორგანიზაციების განმტკიცების საქმეში.

პროგრამის პროექტის განხილვის დროს მხოლოდ ცალკეულმა პირებმა დაიწყეს მისი ზოგიერთი საკითხის ე. წ. „კრიტიკა". პროგრამის პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრეს მასლოვმა, ნადეჟდინმა და მარტინოვმა.

პ. პ. მასლოვი აკრიტიკებდა პროექტის აგრარული ნაწილის მესამე და მეოთხე პუნქტებს. პროგრამის აგრარული ნაწილის მესამე პუნქტში ნათქვამია: „...მოხდეს სამონასტრო ქონებისა და საუფლისწულო მამულების კონფისკაცია". მასლოვს ასეთი ფორმულირება მიაჩნდა რეაქციულ მოთხოვნად და აღნიშნავდა, რომ „საუფლისწულო მიწების კონფისკაცია ბურჟუაზიისადმი დახმარებაა", რადგან „მას შეუძლია ჩალისფასად დაიტაცოს კონფისკაციაქმნილი მიწებიო". მასლოვმა პლეხანოვის მსგავსად ვერ გაიგო, რომ კონფისკაცია უსასყიდლოდ ჩამორთმევას ნიშნავს და პროექტში ლაპარაკია სამონასტრო ქონებისა და საუფლისწულო მამულების სწორედ ასეთ ჩამორთმევაზე. მასლოვი მოითხოვდა, რომ „კონფისკაციას" დამატებოდა „მიწის გადაცემა დემოკრატიული სახელმწიფოს მფლობელობაში". მისი მოთხოვნა წარმოადგენდა

მხოლოდ ოცნებას, რადგან დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის საჭირო იყო დემოკრატიული სახალხო რევოლუციის გამარჯვება, რომელსაც ის, როგორც მომავალი მენშევიკი, გვერდს უვლიდა.

„ჩამონაჭრების" გლეხობისათვის დაბრუნების მოთხოვნას მასლოვი რეაქციულ მოთხოვნას უწოდებდა. იგი მიუთითებდა, რომ მთელ რიგ გუბერნიებში „ჩამონაჭრები" იმდენად მცირეა, რომ „ეს გამოიწვევს... მიწების იჯარასა და ახალ გაჭირვებასო".

ჯერ ერთი, მასლოვს არ უნდა გაეგო „ჩამონაჭრების" გლეხობისათვის დაბრუნების რევოლუციური არსი, რომ თვითმპყრობელურ რუსეთში მხოლოდ ასეთ ზომას შეეძლო გლეხების ამხედრება ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ; მეორე, იგი ვერ ხედავდა და უარყოფდა კავშირს „ჩამონაჭრებსა" და შრომა-მიგების სისტემას შორის, ვერ ხედავდა, რომ „ჩამონაჭრების" გლეხებისათვის დაბრუნება მოსპობდა ბატონყმური ნაშთების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს; მესამე, გლეხობისათვის „ჩამონაჭრების" დაბრუნება ყოველგვარი გაჭირვების მოსპობას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ ბატონყმური ნაშთების მოსპობას, ამ ნაშთების წინააღმდეგ მთელი გლეხობის ამოძრავებას, რაც არ სცილდებოდა ბურჟუაზიული მოთხოვნების ჩარჩოებს; მეოთხე, პროლეტარიატს თავისი კლასობრივი შინაარსისა და ისტორიული ამოცანების გამო არ შეეძლო მთელ გლეხობასთან, მათ შორის მდიდარ გლეხობასთან ერთად, წასულიყო „ჩამონაჭრების" მოთხოვნაზე შორს, ბატონყმური ნაშთების მოსპობაზე შორს; მეხუთე, მომავალ მენშევიკს მასლოვს არ სურდა გაეგო და ვერც გაიგო პროლეტარიატის ჰეგემონიის შინაარსი, იგი ფაქტიურად მოითხოვდა ბურჟუაზიისადმი პროლეტარიატის დაქვემდებარებას.

ვ. ი. ლენინმა თავის ბროშურაში — „პასუხი პროგრამის ჩვენი პროექტის კრიტიკაზე"—ფესვებამდე გააშიშვლა მასლოვისა და მისი თანამოაზრეების მეტაფიზიკური დოგმები და მეცნიერულად დაასაბუთა გლეხთა საკითხში პროგრამული მოთხოვნების რევოლუციური ხასიათი.

აგრარული საკითხის შემდგომი დამუშავებისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების ადგილობრივ კომიტეტებში მისი პოპულარიზაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის მიერ 1903 წლის გაზაფხულზე დაწერილ ბროშურას „სოფლის ღარიბებს", სადაც მან ამომწურავად გააშუქა სოფლად კლასობრივი ბრძოლის ნამდვილი არსი, ნათელყო სოფლის მოსახლეობის ოთხი ფენის — მემამულეების, კულაკური ბურჟუაზიის, საშუალო გლეხობისა და ნახევრადპროლეტარების—ღარიბი და უღარიბესი გლეხობის— არსებობა და მათ ინტერესთა სხვადასხვაობა. ამ ბროშურას დართული ჰქონდა რსდმპ პროგრამის პროექტი.

ვ. ი. ლენინი რსდმპ პროგრამაში აგრარულ საკითხთან ერთად სერიოზულ ყურადღებას უთმობდა ნაციონალურ საკითხს. თავის შრომებში ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა და საყოველთაოდ ნათელყო ნაციონალური საკითხის ადგილი რსდმპ პროგრამაში, მისი ისტორიული როლი არა მარტო საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში, არამედ სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური საზოგადოების გამარჯვებისათვის ბრძოლაშიაც. მან ნაციონალური საკითხი განიხილა არა ცალკე, იზოლირებულად, როგორც ამას II ინტერნაციონალის ოპორტუნისტი ბელადები აკეთებდნენ, არამედ როგორც მარქსიზმის მთავარი საკითხის — პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის — წარმოებული და მისდამი დაქვემდებარებული საკითხი, რითაც მან მიიღო ინტერნაციონალური ხასიათი.

ლენინმა თავის სტატიებში — „ბუნდის განცხადების გამო", „სომეხ სოციალ-დემოკრატების მანიფესტის შესახებ", „ესაჭიროება თუ არა ებრაელ პროლეტარიატს დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია?", „ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში" და სხვ. — მეცნიერულად დაასაბუთა რუსეთის პროლეტარული პარტიის ინტერნაციონალური ამოცანები, ნათელყო არსებითი განსხვავება ნაციონალური საკითხის ბურჟუაზიულ და პროლეტარულ გადაწყვეტას შორის. ლენინმა დაამტკიცა,

რომ ნაციონალური საკითხის ბურჟუაზიული გადაწყვეტა იწვევდა ერების ერთიმეორისაგან გათიშვას, მათ შორის წინააღმდეგობის გამწვავებას. ნაციონალური საკითხის პროლეტარული გადაწყვეტა, რაც ორგანულადაა დაკავშირებული პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებასთან, ბურჟუაზიული ერების ნანგრევებზე სოციალისტური ერების ჩამოყალიბებასთან, არა მარტო აახლოებს და აკავშირებს სხვადასხვა ერებს ერთმანეთთან, არამედ აძლიერებს მათ ურთიერთ უანგარო დახმარებას და მეგობრობას; როგორც ეს მოხდა სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში.

ვ. ი. ლენინი ნაციონალურ საკითხს იხილავდა ადგილის, დროისა და პირობების შესაბამისად. იგი, მოითხოვდა რა პროგრამაში ერთა თვითგამორკვევის სამოქმედო დებულების დაცვას და ეროვნული მოძრაობისადმი მხარის დაჭერას, ამავე დროს, მიუთითებდა, ჯერ ერთი, განსხვავებაზე შესაძლებლობასა და სინამდვილეს შორის და, მეორე, იმ პირობებისა და მდგომარეობის გათვალისწინების აუცილებლობაზე, იქნებოდა თუ არა ხელსაყრელი პროლეტარიატისათვის ამა თუ იმ ეროვნული მოძრაობისათვის მხარის დაჭერა. აქედან კი ლენინი აკეთებდა ორ ლოგიკურ დასკვნას: ჯერ ერთი, ერთა თვითგამორკვევა კი არ დაქსაქსავდა სხვადასხვა ერების ძალებს, არამედ გააერთიანებდა მათ ერთ მებრძოლ ბანაკად საერთო მტრის წინააღმდეგ; მეორე, პროლეტარიატი და მისი პარტია მხარს დაუჭერს არა ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას, არამედ მხოლოდ ისეთ მოძრაობას, რომელიც, თუ ვერ მოსპობს, შეარყევს მაინც რეაქციას, ხელს შეუწყობს პროგრესული ძალების განვითარებას და არსებით დახმარებას გაუწევს პროლეტარულ რევოლუციასა და პროლეტარიატის გამარჯვებას. ვ. ი. ლენინის ამ დასკვნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში მშვიდობის, დემოკრატიზმისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ამგვარად, ლენინის მიერ რუსეთის მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის იდეურმა განადგურებამ, „ისკრასა“ და „ზარიას“ რედაქციებში წინააღმდეგობის დაძლევამ, ლენინური

პრინციპებისა და საორგანიზაციო გეგმის გამარჯვებამ, რუსეთის პროლეტარული პარტიისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე სამოქმედო პროგრამის შემუშავებამ პრაქტიკულად დააყენა დღის წესრიგში რსდმპ II ყრილობის მოწვევისა და ლენინიზმის პარტიის შექმნის საკითხი.

თავი მეხუთე

ახალი ტიპის პარტიის შექმნა ვ. ი. ლენინის მიერ რსდმპ II ყრილობაზე

ლენინურ-ისკრული მიმართულების გამარჯვება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში და პროლეტარული პარტიის შექმნისათვის პირობების მომზადება აღაშფოთებდა და აბორტებდა დამარცხებულ, პოლიტიკურად გაკოტრებულ „ეკონომისტებს", ბუნდელებს და მათ თანამოაზრეებს. მათ უკანასკნელად სცადეს რსდმპ II ყრილობის მოწვევა და ანტიისკრული, სოციალური რეფორმების პარტიის შექმნა.

ამ მიზნით „რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთის კავშირმა", ბუნდის ცენტრალურმა კომიტეტმა, მისმა საზღვარგარეთულმა კომიტეტმა, სამხრეთის კომიტეტებისა და „ორგანიზაციების კავშირმა" გადაწყვიტეს 1902 წლის აპრილის დასაწყისისათვის მოეწვიათ ქ. ბელოსტოკში რსდმპ II ყრილობა.

ეს ცდა საფრთხეს უქმნიდა რუსეთში სოციალური რევოლუციის პარტიის შექმნისათვის ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებას. ამიტომ ვ. ი. ლენინმა გადასწყვიტა მიეღო ზომები, რათა „ეკონომისტებისა" და ბუნდელების ინიციატივით რსდმპ II ყრილობა არ ჩატარებულიყო და ის კონფერენციად გამოცხადებულიყო.

ამ მიზნით ბელოსტოკში გაიგზავნა „ისკრას" წარმომადგენელი სპეციალური რეზოლუციის პროექტით, რომელმაც დელეგატთა პირველ სხდომაზე შეიტანა მუშაობის კონსტრუირების რეზოლუციის პროექტი და მოითხოვა შეკრებისათვის კონფერენცია ეწოდებინათ. ამ პროექტში ნათქვამია: „იღებს რა მხე-

დველობაში, რომ ...ჯერ კიდევ არ შექმნილა ისეთი საერთო-პარტიული ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა ესოდენ მოკლე ვადაში... დამაკმაყოფილებლად მოემზადებინა რსდმ პარტიის II ყრილობა, ...რომ კრებაზე საკმაოდ არ იყვნენ წარმოდგენილი ორგანიზაციები და ყველა ორგანიზაციას საკითხები სათანადოდ არ დაუმუშავებია, — კრება თავს აცხადებს წინასწარ კონფერენციად, რომლის მიზანია უახლოეს მომავალში მოამზადოს ასეთი ყრილობის მოწვევა"[1]. თუმცა კრების ოპორტუნისტულმა ნაწილმა პირველად უარყო ისკრელთა რეზოლუციის პროექტი, მაგრამ ორგანიზაციების წარმომადგენელთა სიმცირისა და ყრილობისათვის საკითხების მოუმზადებლობის გამო იძულებული გახდა დათანხმებულიყო შეკრების კონფერენციად გამოცხადებას.

კონფერენციამ განიხილა პარტიის პრინციპული პლატფორმის, საპირველმაისო ფურცლებისა და II ყრილობის მოწვევისათვის საორგანიზაციო კომიტეტის არჩევის საკითხები.

პრინციპული პლატფორმის საკითხზე წამოყენებული იყო ისკრელთა, „სამხრეთის კომიტეტთა კავშირის", „ეკატერინოსლაველთა" და ბუნდის ც. კ-ის წარმომადგენელთა რეზოლუციის პროექტები. მათ შორის მოწოდების სიმაღლეზე იდგა მხოლოდ ისკრელთა პროექტი, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით იყო შემუშავებული.

ისკრელთა რეზოლუციის პროექტი გადაჭრით ილაშქრებდა რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ „...კონფერენცია გადაჭრით უკუაგდებს, — ნათქვამია ისკრელთა პროექტში, — პროლეტარიატის კლასობრივ მოძრაობაში ოპორტუნიზმის შეტანის ყოველგვარ ცდებს, და აღიარებს, რომ პარტიის ამოცანაა გამოხატოს პროლეტარიატის საბოლოო ინტერესები მთელი მათი სისრულით... კონფერენცია სავსებით აუცილებლად თვლის მტკიცედ შემჭიდროებული, ცენტრალიზებული მებრძოლი პარტიული ორგანიზაციის შექმნას: მხოლოდ და მხოლოდ ასეთ ორგანიზაციას შეუძლია დააყენოს

---

[1] სკკპ ყრილობების კონფერენციებისა და ცკ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, გვ. 30 — 31, 1954.

პროლეტარიატის მასობრივი მოძრაობა იმ ისტორიული ამოცანების სიმაღლეზე, რომლებიც მას წილად ხვდა“ [1].

თუმცა ისკრელთა რეზოლუციის პროექტი კონფერენციამ უარყო, მაგრამ მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის ბრძოლის საქმეში, ვინაიდან იგი ლენინური. პრინციპულობით იმიჯნებოდა ოპორტუნიზმისაგან და გადაჭრით ატარებდა წყალგამყოფ ზღვარს რევოლუციონერთა და ოპორტუნისტთა შორის.

კონფერენციამ სამი კაცის შემადგენლობით აირჩია საორგანიზაციო კომიტეტი მეორე ყრილობის მოსაწვევად. მაგრამ მალე მისი ორი წევრი დაპატიმრებულ იქნა.

„ისკრამ“ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გაშალა რსდმპ II ყრილობის მოწვევისათვის.

ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1902 წლის 15 — 16 ნოემბერს შეიკრიბა „ისკრას“ და რუსეთის ზოგიერთი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წარმომადგენელთა ფსკოვის თათბირი, რომელიც მიეძღვნა რსდმპ II ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის შექმნას. საორგანიზაციო კომიტეტში შევიდნენ „ისკრას“[2], „ბრძოლის კავშირის“ და „იუჟნი რაბოჩის“ ჯგუფის წარმომადგენლები, შემდეგ იგი დამატებით შეივსო უმთავრესად ისკრელთა წარმომადგენლებით.

საორგანიზაციო კომიტეტის ცნობა გამოქვეყნდა 1903 წლის იანვარში გაზეთ ისკრას“ 32-ე ნომერში. ვ. ი. ლენინი, ითვალისწინებდა რა საორგანიზაციო კომიტეტის რთულ ამოცანებს, გადაჭრით მოითხოვდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ადგილობრივი ორგანიზაციებისა და კომიტეტებისაგან საორგანიზაციო კომიტეტისადმი ქმედით დახმარებას. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, — ამბობდა ლენინი, — რომ „არ იყოს რუსეთის სოციალ-დემოკრატთა არც ერთი ჯგუფი, რომელიც დაკავშირე-

---

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ-ის. პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში ნაწ. I, 30 — 31, 1954.

[2] საორგანიზაციო კომიტეტში „ისკრიდან იყვნენ: ი. ი. რადჩენკო, ტ. მ. კრჟიჟანოვსკი, ფ. ვ. ლეგნიკი, მ. ა. კრასიკოვი (თავმჯდომარე), ე. მ. ალექსანდროვი; „ბრძოლის კავშირიდან“ — კ. პ. კრასნოუხა; „იუჟნი რაბოჩიდან“ — ვ. ი. ლევინი; ბუნდიდან — კ. პორტნოვი.

ბული არ იქნება საორგანიზაციო კომიტეტთან და რომელიც არ იმუშავებს მასთან ერთად".

1903 წლის თებერვლის პირველ ნახევარში ქ. ორიოლში შეიკრიბა საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებისა და რუსეთის ზოგიერთი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წარმომადგენელთა თათბირი (პლენუმი), რომელმაც შეიმუშავა რსდმპ II ყრილობის მოწვევის წესდების პროექტი.

საორგანიზაციო კომიტეტმა ლენინის რჩევით განიხილა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების საქმიანობა, დაადგინა სია იმ ორგანიზაციებისა, რომელთაც შეეძლოთ (წესდების ძალით) მონაწილეობის მიღება რსდმპ II ყრილობაზე. საორგანიზაციო კომიტეტის წევრები ორჯერ იყვნენ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში — ადგილებზე მათთვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად. საორგანიზაციო კომიტეტს ქმედით დახმარებას უწევდნენ „ისკრას" აგენტები, რომლებიც ქმნიდნენ დამხმარე კომიტეტებს, ამყარებდნენ კავშირ-ურთიერთობას, აგვარებდნენ ლიტერატურისა და ტრანსპორტის საქმეს. საორგანიზაციო კომიტეტის, ქვეკომიტეტების, „ისკრას" აგენტებისა და მათი დამხმარე ორგანიზაციების, კომიტეტების, ჯგუფებისა და ცალკეული პირების მუშაობის თეორიული და პრაქტიკულ-ორგანიზატორული ხელმძღვანელობა თავს იყრიდა „ისკრას" რედაქციაში, ვ. ი. ლენინის ხელში. ლენინი სისტემატურ მიმოწერას აწარმოებდა საორგანიზაციო კომიტეტთან, რუსეთის ადგილობრივ ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან, აძლევდა მათ რჩევა-დარიგებას.

ვ. ი. ლენინმა წინასწარ შეადგინა რსდმპ II ყრილობისათვის ცალკეული კომიტეტების ძირითად მოხსენებათა პროექტები და წამოაყენა სია იმ საკითხებისა, რომლებზეც უნდა გაუმახვილებინათ კომიტეტებს ყურადღება. მან მოხსენებათა საორიენტაციო პროექტში წამოაყენა რვა ძირითადი საკითხი, რომლებიც უნდა გამხდარიყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების და კომიტეტების მსჯელობის საგანი პარტიის II ყრილობაზე.

ვ. ი. ლენინი ამ პროექტში ურჩევდა კომიტეტებს და ჯგუფებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ პარტის II ყრი-

ლობაზე, თავიანთ მოხსენებებში ყურადღება მიექციათ ისეთი საკითხებისათვის, როგორიც იყო: მუშათა მოძრაობა, მისი ისტორია, ადგილობრივი სოციალისტური წრეების ისტორია, სოციალ-დემოკრტების გამოჩენა, მიმართულებათა ბრძოლა, ადგილობრივი კომიტეტების ჯგუფებისა და წრეების ორგანიზაცია, მათი მუშაობის ხასიათი, შინაარსი და სიფართოვე, მათი დამოკიდებულება სხვადასხვა ეროვნების რევოლუციურ ჯგუფებთან, სტამბები, ტრანსპორტი და კონსპირაციის ქსელი, კავშირი მოსახლეობის სხვა ფენებთან, არასოციალ-დემოკრატიულ რევოლუციურ და ოპოზიციურ მიმდინარეობათა მდგომარეობა, მათი დამოკიდებულება და სხვ.

ვ. ი. ლენინს მთელი სიგრძე-სიგანით ჰქონდა წარმოდგენილი ის უდიდესი ისტორიული ამოცანა, რომელიც ნამდვილად უნდა შეესრულებინა რსდმპ II ყრილობას რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში. „...მე ფრიად მნიშვნელოვნად და აუცილებლად მიმაჩნია,—წერდა ვ. ი. ლენინი,—რომ საორგანიზაციო კომიტეტი ეცადოს თვითეულ კომიტეტსა თუ ჯგუფს გააცნოს ყრილობისათვის საინტერესო (და საჭირო) საკითხთა მთელი **მოცულობა**. ჩვენს მე-2 ყრილობას უფრო მეტად ექნება **დამფუძნებელი** ხასიათი, ვიდრე პირველს ჰქონდა და ამიტომ მთელი ძალღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მოხსენებები უფრო სრული და საფუძვლიანი იყოს: მოხსენებების იდეალური პროგრამის რაც უფრო მეტ **ნაწილს** შეასრულებს თვითეული ჯგუფი, მით უფრო სრულად და უფრო ზუსტად იქნება წარმოდგენილი ჩვენს ყრილობაზე მთელი მოძრაობა საერთოდ, მით უფრო მტკიცე იქნება ყრილობის შედეგები“ [1].

ასეთი რთული მუშაობის შედეგად საორგანიზაციო კომიტეტმა მოახერხა რსდმპ II ყრილობის მოწვევა 1903 წლის ივლისში. თუმცა ყრილობა ბელგიაში, ქ. ბრიუსელში უნდა შეკრებილიყო, მაგრამ დელეგატების უმრავლესობა ყრილობამდე გამოცხადდა ქ. ჟენევაში, ვ. ი. ლენინის ბინაზე. აქ ლენინმა ყრილობის დელეგაციის ერთ ნაწილს ერთხელ კიდევ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 354.

ნისცა რჩევა-დარიგება პარტიის პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებზე.

ვ. ი. ლენინი დიდი ხალისით და მონდომებით ესაუბრებოდა თვითეულ დელეგატს ადგილობრივი და საერთო პარტიული მუშაობის საკითხებზე. ასეთი მიდგომით იგი არკვევდა დელეგატებს შორის არა მარტო იმას, ერკვეოდნენ თუ არა ისინი დამფუძნებელი ყრილობისა და სოციალური რევოლუციის პარტიის ამოცანებში, არამედ მათ პოლიტიკურ მიმართულებასაც, ეხმარებოდა ჭეშმარიტ რევოლუციონერებს, ხოლო ყველას თვალწინ ამხელდა მათს მოწინააღმდეგეებს.

ამ მხრივ საინტერესოა კაფე „ლანდოლდში" გამართული კამათი. „იუჟნი რაბოჩის" წარმომადგენლებმა მოითხოვეს გაზეთი „იუჟნი რაბოჩი" ყრილობას გამოეცხადებინა მასობრივ გაზეთად. ამ აზრს გ. ვ. პლეხანოვიც მხარს უჭერდა. ლენინმა პარტიული მუშაობის მდიდარი გამოცდილებისა და პრესის მნიშვნელობის ღრმა ცოდნის საფუძველზე დაასაბუთა „იუჟნი რაბოჩის" წარმომადგენელთა მოთხოვნის უსაფუძვლობა, რომ ყრილობის ამოცანა იყო არა კუსტარულობისა და დამოუკიდებელი ადგილობრივი გაზეთებისათვის ხელის შეწყობა, არამედ კუსტარულობის საბოლოო ლიკვიდაცია და ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის იდეური ორგანოს დროშის ქვეშ დარაზმვა. ვ. ი. ლენინმა აიძულა „იუჟნი რაბოჩის" წარმომადგენლები უარი ეთქვათ თავიანთ მოთხოვნაზე.

1903 წლის 30 ივლისს ბრიუსელში არალეგალურად შეიკრიბა რსდმპ II ყრილობა[1] (მისი მუშაობა გაგრძელდა ბრიუსელ-ლონდონში 23 აგვისტომდე).

---

[1] ბრიუსელში რსდმპ II ყრილობის დელეგატების გამოცხადება თავდაპირველად დანიშნული იყო კოლოგოვის ბინაზე, საიდანაც მათი გადასვლა უნდა მომხდარიყო „ოქროს მამლის" სასტუმროში, მაგრამ ბელგიის პოლიციამ ჯერ კიდევ ყრილობის გახსნამდე მიიტანა ეპეი კოლოგოვის ბინაზე „საეკვო ადამიანების" ჩამოსვლის გამო. სახლის პატრონმა წინადადება მისცა კოლოგოვებს (ცოლსა და ქმარს), რომ თუ არ შეწყდებოდა მათთან „საეკვო ადამიანების" მიმოსელა, იგი იძულებული გახდებოდა დაეთხოვნა ისინი ბინიდან. ამის შემდეგ კოლოგოვის ცოლ თუმცა ქუჩაში ხედებოდა ახლად ჩამოსულ დელეგატებს და აგზავნიდა დანიშნულ აგილზე, მაგრამ ყველაფერი ეს პოლიციას არ გამოეპარა. ბელგიის სოცია-

26 ორგანიზაციიდან რსდმპ II ყრილობაზე ჩამოვიდა 43 დელეგატი 51 გადამწყვეტი ხმით, მათგან 35 დელეგატი თითო ხმით და 8 დელეგატი ორ-ორი ხმით. ყრილობას ესწრებოდა აგრეთვე 10 დელეგატი სათათბირო ხმით.

როგორც ყრილობის პირველ სხდომაზევე გამოირკვა, მისი შემადგენლობა ერთფეროვანი არ იყო. ყრილობას ესწრებოდა: 27 ისკრელი 33 ხმით, აქედან მტკიცე ისკრელი იყო 20 დელეგატი 24 ხმით, მერყევი ისკრელი — მარტოველები — 7 დელეგატი 9 ხმით; „იუენი რაბოჩის" ორგანიზაციიდან 4 დელეგატი, რომლებიც მარტოველებს უჭერდნენ მხარს; ცენტრისტები — 4 დელეგატი 6 ხმით, (ისინიც მხარს უჭერდნენ მერყევ ისკრელებს); რაბოჩეედელოელები — ანტიისკრელები — 3 დელეგატი; ბოლოს 5 დელეგატი იყო ბუნდიდან, რომლებიც ყველა საკითხში ისკრელთა საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგნენ.

ყრილობის შემადგენლობა ორ ძირითად მიმართულებად იყოფოდა — რევოლუციონერებად და ოპორტუნისტებად. როცა მერყევი ისკრელები, ცენტრისტები და ანტიისკრელები ერთიანდებოდნენ ლენინელების წინააღმდეგ, მტკიცე ისკრელთა მდგომარეობა კრიტიკული ხდებოდა. მერყევი ისკრელები, ცენტრისტები და ანტიისკრელები ერთად შეადგენდნენ 23 დელეგატს 27 გადამწყვეტი ხმით, წინააღმდეგ მტკიცე ისკრელების 20 დელეგატის 24 ხმისა.

ჯერ კიდევ ყრილობის მუშაობის დაწყებამდე იჩინა თავი წინააღმდეგობამ ისკრელებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წინასწარ იყო განაწილებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ

ლისტური პარტიის ხელმძღვანელთა რჩევით რსდმპ II ყრილობის ჩატარება გადაწყდა ერთ-ერთი ვაჭრის ფქვილის საწყობში. ამან კიდევ უფრო გაზარდა პოლიციის ეჭვები. ბელგიის პოლიციამ კატეგორიული წინადადება მისცა დელეგატებს დაეტოვებინათ ბრიუსელი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი „იმოქმედებდა კანონის მიხედვით რუსეთის რევოლუციონერთა წინააღმდეგ". ყრილობამ დატოვა ბრიუსელი 13 სხდომის შემდეგ (6 აგვისტოს), გადავიდა ლონდონში და 24 სხდომა იქ ჩაატარა (11-დან 23 აგვისტომდე).

ორგანიზაციებსა და კომიტეტებს შორის დელეგატთა წარმომადგენლობა, მაინც პარტიის ყრილობის გახსნის წინ საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა, ისკრელმა ე. მ. ალექსანდროვმა მოითხოვა „ბორბას“ ჯგუფის წარმომადგენლის დაშვება ყრილობაზე სათათბირო ხმით. მხოლოდ ვ. ი. ლენინისა და გ. ვ. პლეხანოვის კატეგორიული მოთხოვნით მოხერხდა არ დაეშვათ „ბორბას“ ჯგუფის წარმომადგენელი — „გადამრბენი“ ჩერნიშევი[1].

სერიოზული აქტი იყო აგრეთვე ყრილობის პრეზიდიუმის არჩევა. მარტოვმა ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებულ წინადადებას პრეზიდიუმში სამი კაცის არჩევის შესახებ დაუპირისპირა 9 კაცის არჩევის მოთხოვნა. ამავე დროს, მარტოვი მოითხოვდა პრეზიდიუმში ბუნდის წარმომადგენლის შეყვანასაც, რაც (როგორც შემდეგ გამოირკვა) მას გარკვეული მიზნისათვის სჭირდებოდა. ვ. ი. ლენინმა მიაღწია ყრილობის პრეზიდიუმში სამი კაცის არჩევას. პრეზიდიუმში არჩეული იქნენ ლენინი, პლეხანოვი და კრასიკოვი.

რსდმპ II ყრილობა გახსნა გ. ვ. პლეხანოვმა, რომელმაც უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა. რსდმპ II ყრილობამ დაამტკიცა დღის წესრიგი, რომელიც 20 საკითხისაგან შედგებოდა.

რსდმპ II ყრილობის მთავარი ამოცანა იყო, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „...ნ ა მ დ ვ ი ლ ი პარტიის შექმნა იმ პრინციპულ და ორგანიზაციულ საფუძვლებზე, რომლებიც წამოაყენა და დაამუშავა „ისკრამ“... ისკრული პროგრამა და მიმართულება უნდა გამხდარიყო პარტიის პროგრამად და მიმართულებად, ისკრული ორგანიზაციული გეგმები განმტკიცებული უნდა ყოფილიყო პარტიის საორგანიზაციო წესდებაში“[2].

რსდმპ II ყრილობაზე ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საკითხი იყო პარტიის პროგრამის პროექტის განხილვა და მიღება.

---

[1] ი. ვ. ჩერნიშევი გადარბოდა „ბრძოლის კავშირიდან“ „ეკონომისტებისაკენ“, „ეკონომისტებიდან“ „ისკრელებისაკენ“.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 7, გვ. 249.

ყრილობის ოპორტუნისტულმა ნაწილმა სასტიკად გაილაშქრა ისკრელთა პროგრამის პროექტის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პუნქტების წინააღმდეგ, მათ შორის პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. მათ მოითხოვეს პროგრამის პროექტიდან პროლეტარიატის დიქტატურის პუნქტის ამოღება. ისინი თავიანთ მოთხოვნას იმით ასაბუთებდნენ, რომ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების არცერთ პროგრამაში არ იყო პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი, ყველა მათგანი „სახალხო დემოკრატიული უფლების" საკითხით იფარგლებოდა; მათ არ მოსწონდათ პროგრამის პროექტში რევოლუციური მოთხოვნა პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების შესახებ, რადგან ის ზღვარს დებდა რეფორმიზმსა და რევოლუციონიზმს შორის, მისი განხორციელება მოითხოვდა II ინტერნაციონალის რეფორმისტული პარტიების საწინააღმდეგო სოციალური რევოლუციის პარტიას, რაც ოპორტუნისტებისათვის უცხო და მიუღებელი იყო. ისინი „ამტკიცებდნენ", რომ ყოველგვარი დიქტატურა და მათ შორის პროლეტარიატის დიქტატურაც ეწინააღმდეგება დემოკრატიასო. „ან დიქტატურა ან დემოკრატია" — ამბობდა ყრილობაზე აკიმოვი.

აკიმოვისა და მისი მომხრე ოპორტუნისტების თვალსაზრისით, პროლეტარიატის დიქტატურა და ხალხთა დემოკრატია შეუთავსებელი იყო ერთმანეთთან. აკიმოვმა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის წამოყენებას უწოდა „ბუნდოვანი" და „გაურკვეველი" მოთხოვნა და მოითხოვა მისი შეცვლა „მშრომელთა დემოკრატიით". მან თავის მეტაფიზიკური შეხედულების „გასამართლებლად" მოიშველია პარტიის სახელწოდება, მიუთითა რომ მას ეწოდება სოციალ-დემოკრატიული პარტია და იგი მიზნად ისახავს „სოციალიზმისა და დემოკრატიზმის გამარჯვებასო". მისი აზრით, შეუძლებელი იყო დემოკრატიის, როგორც „უმრავლესობის უფლების, შეთავსება დიქტატურასთან".

აკიმოვს და მის თანამოაზრეებს არ უნდოდათ გაეგოთ, რომ მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში შეიძლებოდა განხორციელებულიყო და განხორციელდა კიდეც უმაღ-

ლესი ტიპის დემოკრატია, რომელიც, ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, „მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია“, ვიდრე ყოველგვარი ბურჟუაზიული პარლამენტური დემოკრატია.

აკიმოვმა და მარტინოვმა ედ. ბერნშტეინის მსგავსად უარყვეს კაპიტალისტურ საზოგადოებაში მშრომელთა გალატაკების ფაქტი და მოითხოვეს პროგრამიდან მისი ამოღება.

აკიმოვისა და მარტინოვის აზრით, გალატაკებისა და პროლეტარიზაციის საკითხის შეტანა პროგრამაში ნიშნავდა „ლიკარების მტვრევას... ევროპის სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაში გადაწყვეტილი საკითხის სადავოდ გამოცხადებას“.

ვ. ი. ლენინმა სასტიკად გაილაშქრა აკიმოვის, მარტინოვისა და მათი თანამოაზრეების წინააღმდეგ და მიუთითა, რომ მათი გამოსვლა წარმოადგენდა საერთაშორისო ოპორტუნიზმის და მისი რუსული სახესხვაობის — „ეკონომიზმის“ — ძველი შეხედულებების დაცვას.

პროლეტარიატის დიქტატურის პუნქტის წინააღმდეგ თავისებური ოპორტუნისტული ფორმულირებით გამოვიდა ტროცკი. იგი კაუცკისებურად შეეცადა ისეთი ოპორტუნისტული ფორმულირების ჩამოყალიბებას, რომელიც დღის წესრიგიდან მოხსნიდა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხს.

როგორც ცნობილია, 1899 წელს, როცა ბერნშტეინმა თავის წიგნში „სოციალიზმის პრობლემა“ გაილაშქრა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ და უარყო იგი, კაუცკიმ ქედი მოიხარა ბერნშტეინის წინაშე და განაცხადა, რომ „პროლეტარიატის დიქტატურის პრობლემის საკითხის გადაწყვეტა ჩვენ სრულიად დამშვიდებით შეგვიძლია მომავალს მივანდოთ“. ასეთი გამოსვლით კ. კაუცკი ცდილობდა პროლეტარიატის განიარაღებას, ვინაიდან, თუ „პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი“ მომავლის საკითხი იყო, მაშინ პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლაც შორეული მომავლისათვის უნდა გადადებულიყო. ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის უარყოფა.

ტროცკიმ რსდმპ II ყრილობაზე განაცხადა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პრობლემა ფაქტიურად განუხორციე-

ღებელი რჩება, ვიდრე ამა თუ იმ ქვეყანაში პროლეტარიატი უმრავლესობად არ გადაიქცევაო, რაც კაუცკისეული ოპორტუნიზმის გადამღერება იყო.

ტროცკის განცხადება, რომ პროლეტარიატის დიქტატურას შეიძლება ნიადაგი ჰქონდეს იმ ქვეყანაში, სადაც ერის უმრავლესობა პროლეტარიატისაგან შედგებაო, წარმოადგენდა რუსეთში პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების უარყოფას. მისი მოთხოვნის მიხედვით, რუსეთის პროლეტარიატს იქამდე უნდა გადაედვა პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის ბრძოლის საკითხი, სანამ რუსეთში პროლეტარიატი ერის უმრავლესობად არ გადაიქცეოდა. ჯერ ერთი, პროლეტარიატის ერის უმრავლესობად გადაქცევა ნიშნავს მესამე ძალის — გლეხობის ფაქტიურად მოსპობას, მის გადასვლას პროლეტარიატის რიგებში და ე. წ. „წმინდა კაპიტალიზმის“ შექმნას, რაც უტოპიას წარმოადგენს; მეორე, მარქსიზმი იმის მომხრე კი არ არის, რომ უცადოს ამა თუ იმ ქვეყნის ერის უმრავლესობის აბსოლუტურ გაღატაკებას და მის პროლეტარიზაციას, არამედ იგი უნდა დაეყრდნოს პროლეტარიატს და რაც შეიძლება დროულად მიაღწიოს მის გამარჯვებას.

ტროცკი პროლეტარიატის ერის უმრავლესობად გადაქცევის საკითხს უკავშირებდა პარტიის აბსოლუტური ზრდის საკითხს. მისი აზრით, პროლეტარიატის უმრავლესობა პარტიაში უნდა გაერთიანებულიყო; ეს იყო ოპორტუნიზმის აქტიური დაცვა დახლართულ ფორმებში. ეს მისი ტროცკისტულ-მენშევიკური თეორიის — ცალკეულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების უარყოფის თეორიის — სერიოზულ ჩანასახს წარმოადგენდა.

უკეთებდა რა ანალიზს პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების სამი წლის შედეგებს, ვ. ი. ლენინი 1920 წლის ნოემბერში თავის ცნობილ ნაშრომში — „დიქტატურის საკითხის ისტორიისათვის“ — წერდა: „პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი თანამედროვე მუშათა მოძრაობის ძირითადი საკითხია გამოუკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ამ საკითხის სავსებით გამოსარკვევად აუცილებლად საჭიროა ვიცოდეთ მისი ისტორია. საერთაშორისო მასშტაბით საერთოდ რევოლუციური დიქტატურის და კერძოდ პროლეტარიატის დიქტატურის მოძღვრების ისტორია თანაემთხვევა რევოლუციური სოციალიზმის ისტორიას და სპეციალურად-მარქსიზმის ისტორიას... ვისაც ვერ გაუგია ამა თუ იმ რევოლუციური კლასის დიქტატურის აუცილებლობა მისი გამარჯვებისათვის, მას ვერაფერი ვერ გაუგია რევოლუციის ისტორიაში ან არაფერი არ სურს იცოდეს ამ დარგში.

რუსეთის მასშტაბით, თუ ვილაპარაკებთ თეორიაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რსდმ პარტიის პროგრამას, რომელიც 1902—1903 წლებში შეადგინა „ზარიას“ და „ისკრას“ რედაქციამ... პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი ამ პროგრამაში ნათლად და გარკვევით არის დასმული, ამასთან დასმულია სწორედ ბერნშტეინის წინააღმდეგ, ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით“ [1].

ოპორტუნისტები პროგრამის პროექტის განხილვის დროს მარტო პროლეტარიატის დიქტატურის პუნქტის წინააღმდეგ ბრძოლით არ შემოფარგლულან.

მარტინოვმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა არა მარტო პროგრამაში განვითარებული დებულებების, არამედ ვ. ი. ლენინის ნაშრომის—„რა ვაკეთოთ?“—წინააღმდეგაც. იგი ცდა ფაქტების მოტანით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ყველა ქვეყნის პროლეტარიატი თვითონ იმუშავებს სოციალისტურ მსოფლმხედველობასო. მან მოითხოვა ყრილობას მიეღო მისი ფორმულირება იმის შესახებ, რომ ვითომ პროლეტარიატის რიცხობრივი ზრდა განაპირობებდა „მუშათა მოძრაობის შიგნით სოციალისტური შეგნების გამომუშავებას“. მას არ უნდოდა დაენახა არსებითი განსხვავება მუშების ტრედ-უნიონისტურ შეგნებასა და სოციალისტურ შეგნებას შორის. მარტინოვის მოთხოვნა იყო იდეურად განადგურებული და დასამარებული „ეკონომიზმის“ აღდგენის ცდა.

მტკიცე ისკრელებმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით გადაჭრით გაილაშქრეს მარტინოვის ოპორტუნისტული მოთხოვნის წინა-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 411—412.

აღმდეგ და მას „ეკონომიზმის“ რეციდივი უწოდეს. ვ. ი. ლენინმა კატეგორიულად მოითხოვა მარტინოვის ფორმულირების უარყოფა. ყრილობამ უარყო მარტინოვის წინადადება.

„ეკონომისტები“ და „ბუნდელები“ მიზნად ისახავდნენ „პროგრამის სულისკვეთების შეცვლას“. ამ მიზნით აკიმოვმა ყრილობაზე პროგრამაში შესატანად წამოაყენა ე. წ. 21 შესწორება, რაც პროლეტარული პარტიის როლის უარყოფისაკენ იყო მიმართული. იგი თავის გამოსვლებში პროლეტარული პარტიის ხელმძღვანელი როლის დასამცირებლად სხვადასხვა ოინბაზობას მიმართავდა და გრამატიკის საკითხზეც კი დავობდა. აკიმოვი ბრალს დებდა პროგრამის შემდგენლებს იმაშიც, რომ პროლეტარიატი სახელობითი ბრუნვის მაგივრად ნათესაობით ბრუნვაშია დასმული. ვ. ი. ლენინს სასაცილოდ არ ყოფნიდა აკიმოვის ასეთი მოთხოვნა და მიუთითებდა, რომ „...თურმე სახელობითი ბრუნვა ყველაზე საპატიოა, ნათესაობითი ბრუნვა კი მეორე ადგილზეა პატივის მხრივო“ (ლენინი). ყრილობამ უარყო აკიმოვის ყველა „შესწორება“.

ოპორტუნისტულ შეხედულებათა წინააღმდეგ პროლეტარული პარტიის ისტორიული როლის საკითხზე ყრილობამ მიიღო რევოლუციური გადაწყვეტილება: იმისათვის, რომ პროლეტარიატმა შეძლოს თავისი დიადი ისტორიული მისიის შესრულება, პროლეტარული პარტია ირაზმება „...დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად, რომელიც უპირისპირდება ყველა ბურჟუაზიულ პარტიას, ხელმძღვანელობას უწევს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყოველგვარ გამოხატულებას, ააშკარავებს მის წინაშე ექსპლოატატორების ინტერესების შეურიგებელ წინააღმდეგობას ექსპლოატირებულთა ინტერესებისადმი და ურკვევს მას მომავალი სოციალური რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობას და აუცილებელ პირობებს. ამასთანავე ის მთელი დანარჩენი მშრომელი და ექსპლოატირებული მასის წინაშე ააშკარავებს მისი მდგომარეობის უიმედობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში და სოციალური რევოლუციის აუცილებლობას კაპიტალის უღლისაგან მისი განთავისუფლების ინტერესებისათვის“ [1].

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, გვ. 42—43.

ყრილობაზე ამ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენდა ლენინელების გამარჯვებას არა მარტო ყრილობის ოპორტუნისტულ ნაწილზე, არამედ მთელი II ინტერნაციონალის ოპორტუნისტულ მიმდინარეობაზე გამარჯვების მტკიცე საწინდარს, რადგან რუსეთის პროლეტარული პარტიის სამოქმედო პროგრამაში ასეთი, მეცნიერულად ჩამოყალიბებული ფორმულირების განმტკიცება გზას უჩვენებდა და მაგალითს აძლევდა მსოფლიო პროლეტარიატს და მის ხელმძღვანელ რევოლუციურ ჯგუფებს საერთაშორისო ოპორტუნიზმის იდეური დაძლევისა და მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთებისათვის.

ყრილობის ოპორტუნისტული ნაწილი თავს დაესხა ისკრელთა პროგრამას აგრეთვე აგრარულ საკითხში. იგი უარყოფდა გლეხობის რევოლუციურ როლს, მის გამოსვლას პროლეტარიატის მოკავშირედ და მას აბსოლუტიზმის დასაყრდენადაც კი აღიარებდა. ოპორტუნისტები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ გლეხობის გულგრილობა რევოლუციისადმი და მისი რეაქციულობაც კი, რასაც ხსნიდნენ გლეხთა „გონებრივი ჩამორჩენილობითა და პოლიტიკისადმი ინდეფერენტული დამოკიდებულებით“.

მარტინოვს, აკიმოვს, ეგოროვს, მახოვს და მათ მომხრეებს გლეხთა როლის დასამცირებლად მოჰქონდათ არაზუსტად ამოგლეჯილი ადგილები „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“ და მიუთითებდნენ „გლეხობის რეაქციულობაზე“. ისინი თავიანთი ოპორტუნისტული შეხედულებების დასამტკიცებლად მიუთითებდნენ გ. პლეხანოვის ბროშურაზე „სოციალისტთა ამოცანების შესახებ შიმშილობასთან ბრძოლაში რუსეთში“ და პ. აქსელროდის ბროშურაზე „რუსი სოციალ-დემოკრატების თანამედროვე ამოცანებისა და ტაქტიკის საკითხისათვის“, რომლებშიც გლეხობა რეაქციულ კლასად იყო აღიარებული. ეს ბროშურები შემდგომ მარტინოვმა საფუძვლად დაუდო 1905 წელს თავის ანტიმარქსისტულ წიგნაკს „ორი დიქტატურა“.

მარტინოვისა და მისი მომხრეების გალაშქრება აგრარული საკითხის წინააღმდეგ წარმოადგენდა არსებითად გალაშქრებას

პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, რადგან მარქსიზმ-ლენინიზმში პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისა და განმტკიცების საკითხი ორგანულადაა დაკავშირებული პროლეტარიატის მიერ გლეხობისადმი ხელმძღვანელობისა და მათი კლასობრივი კავშირის განმტკიცების საკითხთან. ვისაც არ სწამს პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება, მისთვის არარაობას წარმოადგენს პროლეტარიატის მოკავშირის — გლეხობის საკითხი. ამიტომ არ იწუხებდნენ თავს II ინტერნაციონალის ოპორტუნისტი ბელადები და მათი თანამოაზრე რუსი მენშევიკები გლეხობის საკითხზე, პროლეტარიატის გლეხობისადმი რევოლუციური ხელმძღვანელობის საკითხზე. მარტინოვი და მისი მომხრეები მიზნად ისახავდნენ გლეხობის პროლეტარიატისაგან ჩამოცილებას და ბურჟუაზიის ხელმძღვანელობის ქვეშ დატოვებას, რაც წარმოადგენდა პროლეტარიატის ჰეგემონიის უარყოფას მოახლოებულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში.

მარტინოვი, მახოვი და ბუნდელი ლიბერი წინადადებას იძლეოდნენ ყრილობას უარეყო აგრარულ საკითხზე კონკრეტული მითითებანი „ჩამონაჭრების“ დაბრუნებისა და გლეხობის რევოლუციური პოტენციალის გამოყენების შესახებ. მარტინოვმა „ჩამონაჭრების“ დაბრუნების მოთხოვნას 1861 წლის „საგლეხო რეფორმის“ დროს დაშვებულ „შეცდომათა გამოსწორებისათვის თამაში“ უწოდა. მისი აზრით, „ჩამონაჭრები“ აღარ ატარებდა ბატონყმურ ხასიათს, „მისი მოთხოვნა უკან დაბრუნება იყო“.

მარტინოვს და მის მომხრეებს არ უნდოდათ დაენახათ, რომ ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები თავიანთ მოღვაწეობაში ახდენდნენ უკან დაბრუნებას, რათა დაემთავრებინათ ის, „რაც ბურჟუაზიამ ვერ დაამთავრა“. „რუსეთის სოციალ-დემოკრატებსაც არ შეუძლიათ,—ამბობდა ყრილობაზე ვ. ი. ლენინი,— - არ დაუბრუნდნენ თავის 1861 წელს“.

თუმცა, მარტინოვის, მახოვის, ეგოროვის, ლიბერის, გორინის მოთხოვნები პროლეტარიატისა და გლეხობის კლასობრივი კავშირის უარყოფაში, გლეხთა რევოლუციური როლის შეუფასებლობაში იყრიდა თავს, მაგრამ ფორმალურად ზოგი

მათგანი არქირეოლუციონერობას იჩენდა, „ჩამონაჭრების“ მოთხოვნას არასაკმაოდ თვლიდა და უფრო „რადიკალურ მოთხოვნებს აყენებდა“. ეგოროვი, გორინი და ლიბერი აგრარულ პროგრამაში „ჩამონაჭრების“ მოთხოვნას უწოდებდნენ „ქიმერას“, ლიბერალების მოთხოვნის განმეორებას. გორინი დასცინოდა „ჩამონაჭრების“ მოთხოვნას და ირონიულად მიუთითებდა, რომ „ჩამონაჭრების“ იმედი ძალდატანებით აკავებს წვრილ გლეხს ანტიპროლეტარული იდეოლოგიის ტყვეობაშიო.

ვ. ი. ლენინი აგრარულ საკითხს ორგანულად უკავშირებდა მეფის თვითმპყრობელობისა და მემამულეთა კლასის ბატონობის დამხობის საკითხს, პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული-რევოლუციური დიქტატურის შექმნის საკითხს, როცა აგრარული საკითხი არა მარტო რევოლუციურად გადაწყდებოდა გლეხთა სასარგებლოდ, არამედ პირდაპირ დახმარებას გაუწევდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდას სოციალისტურ რევოლუციაში.

„ჩვენ გვეუბნებიან,—ამბობდა ყრილობაზე ვ. ი. ლენინი,—რომ გლეხობა ჩვენი პროგრამით არ დაკმაყოფილდება, რომ იგი უფრო შორს წავალ; მაგრამ ჩვენ ამისი არ გვეშინია, ამისათვის ჩვენ გვაქვს ჩვენი სოციალისტური პროგრამა... ამიტომ ვეუბნებით გლეხ პროლეტარს: „შენ ახლა გლეხურ ბურჟუაზიასთან ერთად იბრძვი, მაგრამ შენ ყოველთვის მზად უნდა იყო ებრძოლო სწორედ ამ ბურჟუაზიას, და ამ ბრძოლას შენ გასწევ ქალაქის მრეწველობის პროლეტარიატთან ერთად[1]“.

ტროცკიმ უარყო აგრარული პროგრამის კონკრეტულობა და გაილაშქრა მასში კონკრეტული ადგილობრივი მოთხოვნების შეტანის წინააღმდეგ.

ყრილობაზე ისკრელთა საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგნენ ჟორდანია და თოფურიძე, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს ოპორტუნისტებს და გადაჭრით ილაშქრებდნენ ლენინელების წინააღმდეგ[2]. ნ. ჟორდანია იცავდა მარტინოვისა და ტროცკის შეხედულებას და კატეგორიულად უარყოფდა ყრი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 617.

[2] თუმცა კავკასიის დელეგატებმა ცენტრალური ორგანოების არჩევნებში ხმა მისცეს ლენინელებს, მაგრამ რსდმპ II ყრილობის შემდეგ

ლობ.ზე კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას აგრარულ საკითხზე.

ვ. ი. ლენინმა გამოამჟღავნა ყრილობაზე ტროცკისა და მისი მომხრეების ოპორტუნისტული მოთხოვნის არსი და მიუთითა, რომ სოციალ-დემოკრატიას უფლება არა აქვს თავის სამოქმედო პროგრამაში არ შეიტანოს ზუსტი მოთხოვნები. წინააღმდეგ ტროცკისა და მისი მომხრეებისა, ვ. ი. ლენინის წინადადებით რსდმპ II ყრილობამ აგრარულ პროგრამაში დამატებით შეიტანა კავკასიის საკითხი, სადაც ნათქვამია: გადაეცეს გლეხებს საკუთრებად „კავკასიაში ის მიწები, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ როგორც დროებითი ვალდებულნი, „ხიზნები“.

პროგრამის განხილვის დროს მწვავე დისკუსია გაიმართა ნაციონალურ საკითხზეც. მარქსისტულ-ლენინური ინტერნაციონალური პრინციპების წინააღმდეგ გაილაშქრეს პოლონეთის სოციალ-დემოკრატებმა და ბუნდელებმა, რომლებიც უარყოფდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას და უპირისპირებდნენ მას ბურჟუაზიულ მოთხოვნას — კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას.

ბუნდელებმა მოითხოვეს პროგრამის მეხუთე პარაგრაფის შესწორება. „სინდისის, სიტყვის, პრესის, კრებების, გაფიცვების და კავშირების შეუზღუდველ თავისუფლებას“ პროგრამაში ბუნდელები უმატებდნენ „ენის თანასწორუფლებიანობას და თავისუფლებას“. მათი აზრით „ენათა თანასწორუფლებიანობის“ პროგრამაში შეუტანლობა ნიშნავდა „ერთა თანასწორუფლებიანობის უარყოფას“. მათ არ უნდოდათ გაეგოთ, რომ პროგრამაში აღიარებული „ყველა ეროვნების თანასწორუფლებიანობა“ თავისში იტევდა თვითეული ერისათვის დედა ენის თავისუფლებას.

ამ მოთხოვნას ლენინმა უწოდა „ენის ფეტიშიზაცია“ და კაუზისტიკის წინაშე სოციალ-დემოკრატიის ქედის მოხრა.

ბრძოლამ კიდევ უფრო მწვავე პოლემიკის სახე მიიღო

ცნობილი რევოლუციონერის კნუნიანცის გარდა ყველანი მენშევიკები გახდნენ.

პროგრამის მეცხრე პუნქტის განხილვის დროს. ეს პუნქტი ეხება „სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას". ბუნდელებს ერთა თვითგამორკვევის უფლება არადამაკმაყოფილებლად მიაჩნდათ და ისეთი დამატების შეტანას მოითხოვდნენ, რითაც არარაობამდე დაჰყავდათ ეროვნული საკითხის ინტერნაციონალური შინაარსი.

ყრილობაზე ბუნდელმა გოლდბლატმა მოითხოვა ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის დამატებით „ეროვნული დაწესებულებების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ-თვის კულტურული განვითარების სრულ თავისუფლებას" (რსდმპ II ყრილობის ოქმები, გვ. 190.).

ლიბერმა გოლდბლატის ფორმულირების დასაცავად უფრო შელამაზებული ფორმულირება წამოაყენა. მან მოითხოვა ყრილობას პროგრამის ეროვნულ საკითხში ჩაეწერა: „სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფ ყველა ერს მიენიჭოს თვითგამორკვევისა და თავისუფალი კულტურული განვითარების უფლება" (იქვე, გვ. 192).

გოლდბლატისა და ლიბერის მოთხოვნა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოთხოვნა იყო. ბუნდელი დელეგატები ნაციონალურ საკითხზე თავიანთ გამოსვლებში ორიენტაციას იღებდნენ არა ებრაელ პროლეტარიატზე, არამედ ებრაელ ბურჟუაზიაზე. ბუნდელების მოთხოვნის მიღება გამოიწვევდა სხვადასხვა ერების პროლეტარიატის ურთიერთისადმი დაპირისპირებას. ეს იყო მარქსისტულ-ლენინური ინტერნაციონალური პრინციპის უარყოფა.

ვ. ი. ლენინმა თავის გარშემო დარაზმა ყრილობის რევოლუციური ნაწილი და გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბუნდელების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შეხედულება. ყრილობამ უარყო ბუნდელების მოთხოვნა.

ყრილობაზე ლენინსა და ლენინელებს მწვავე ბრძოლა მოუხდათ ეროვნულ საკითხში აგრეთვე პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებთან. ისინი უარყოფდნენ ერთა თვითგამორკვევის ინტერნაციონალურ პრინციპს, მეტაფიზიკურად განიხილავდნენ პროლეტარიატსა და

ბურჟუაზიას რაღაც „წმინდა სახით“ და „მექანისტურად უპირისპირებდნენ მათ ერთმანეთს“.

პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლების—განეცკისა და ვარსკის—აზრით, პარტიის პროგრამაში ეროვნული საკითხი გადაჭარბებულად იყო შეფასებული, ერთა თვითგამორკვევის მოთხოვნა ვითომ იყო „ბურჟუაზიული მოთხოვნა და ეწინააღმდეგებოდა პროლეტარულ ინტერნაციონალურ ამოცანებს“. ისინი მოითხოვდნენ, რომ „პროგრამაში არ შესულიყო პოლონეთისა და ლიტვის ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხი“. ერთა თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნა, მათი აზრით, გამოიწვევდა სხვადასხვა ეროვნებათა პროლეტარიატის „არა გაერთიანებას, არამედ დაქსაქვას“. მათ არ ესმოდათ, რომ ერთა თვითგამორკვევის საკითხის გადაჭრას უნდა გამოეწვია სხვადასხვა ეროვნებათა პროლეტარიატისა და ყველა მშრომელის გაერთიანება, უანგარო ურთიერთდახმარება და ხალხთა მეგობრობის განმტკიცება.

ვ. ი. ლენინმა და მისმა მომხრეებმა სასტიკად გაილაშქრეს პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა ანტიპროლეტარული მოთხოვნის წინააღმდეგ და დაგმეს იგი.

პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებმა დამარცხების გამო დატოვეს ყრილობა. ამიტომ „პოლონეთისა და ლიტვის სამეფოს პარტია“ (როგორც მაშინ უწოდებდნენ) ვერ გაერთიანდა II ყრილობაზე რსდმ პარტიაში.

პოლონეთის და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებმა ყრილობას წარმოუდგინეს განცხადება ყრილობის დატოვების „მიზეზის“ შესახებ, სადაც ისინი არსებითად უერთდებოდნენ ბუნდელთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შეხედულებებს და მოითხოვდნენ ერთა თვითგამორკვევის საკითხის შეცვლას კულტურულ-ნაციონალური ავტონომიით.

რსდმპ II ყრილობამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მიიღო „ისკრას“ მიერ წამოყენებული პროგრამა. ეს იყო ლენინისა და ლენინელების უდიდესი ისტორიული გამარჯვება. რუსეთის პროლეტარული პარტიის ეს საბრძოლო-სამოქ-

მედო დოკუმენტი პრინციპულად განსხვავდებოდა II ინტერნაციონალის ყველა პარტიის პროგრამებიდან. პროგრამაში წითელ ზოლად გასდევდა რევოლუციური მოთხოვნები. პროგრამას ლენინმა „რუსეთის პროლეტარიატის საბრძოლო დროშა“ უწოდა. ამ საბრძოლო დროშით 40 წლის წინათ, 1917 წლის ოქტომბერში, კომუნისტურმა პარტიამ დიდი ლენინის წინამძღოლობით მიიყვანა პროლეტარიატი და მისი მოკავშირე მშრომელი გლეხობა ჩვენს დიდ ქვეყანაში მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის დამხობამდე და კაცობრიობის ისტორიაში პირველი სახალხო წყობილების დამყარებამდე.

რუსეთის მუშათა კლასის პარტიის რევოლუციური პროგრამა, რომელიც რსდმპ მეორე ყრილობამ მიიღო, პროლეტარიატის და მისი პარტიის საბრძოლო-სამოქმედო სახელმძღვანელო იყო პარტიის VIII ყრილობამდე (1919 წლამდე).

პროგრამის მიღების შემდეგ საჭირო იყო ყრილობას მიეღო მისი შესაფერისი წესდებაც.

პარტიის წესდების საკითხზე რსდმპ II ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ვ. ი. ლენინი, რომელმაც მოხაზა რევოლუციური პარტიის ორგანიზაციული პრინციპები. ვ. ი. ლენინის მიერ ყრილობაზე წარმოდგენილი ახალი ტიპის პარტიის წესდების პროექტში მეცნიერულად იყო ჩამოყალიბებული პარტიული ცხოვრების ყველა ძირითადი პრინციპი: დემოკრატიული ცენტრალიზმის თანამიმდევრული განხორციელება, მტკიცე, შეგნებული დისციპლინის დამკვიდრება, ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი კომიტეტების მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა, ცენტრში და ადგილებზე კოლექტიური ხელმძღვანელობის განუხრელი გატარება, პარტიის რიგითი წევრების აქტივობისა და ინიციატივის ყოველმხრივი განვითარება და პარტიული, შემოქმედებითი, იდეური და ორგანიზაციული მუშაობის ისე წარმართვა, რომ პარტია გამხდარიყო ერთი მთლიანი, ცოცხალი, თვითმოქმედი, განვითარებაში მყოფი ორგანიზმი, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდებოდა მშრომელთა მილიონიან მასებს და მიიყვანდა მათ სრულ გამარჯვებამდე.

ყრილობაზე ლენინური წესდების წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრეს ანტიისკრელებმა, ცენტრისტებმა და მერყევმა ისკრელებმა.

ყრილობაზე განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გაჩაღდა რევოლუციურ და ოპორტუნისტულ ნაწილს შორის პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ირგვლივ. საქმე ეხებოდა იმას, თუ ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო პროლეტარული პარტიის წევრი, როგორი უნდა ყოფილიყო ამ პარტიის შემადგენლობა, მისი ორგანიზაციული წყობა, უნდა შექმნილიყო ორგანიზაციულად შემჭიდროებული, მონოლითური პარტია, თუ ჩამოუყალიბებელი და შეუკავშირებელი ორგანიზაციების უბრალო თავყრილობა.

პარტიის წესდების პირველი პარაგრაფისათვის ყრილობაზე წამოყენებული იყო ლენინის რევოლუციური ფორმულირება და მარტოვის ოპორტუნისტული ფორმულირება.

ლენინის მოთხოვნით, პროლეტარული პარტიის წევრი შეიძლებოდა გამხდარიყო ყველა ის, ვინც აღიარებდა პარტიის პროგრამას, მატერიალურ დახმარებას გაუწევდა პარტიას და იმუშავებდა მის ერთ-ერთ ორგანიზაციაში.

ლენინის ფორმულირებას მარტოვმა დაუპირისპირა ოპორტუნისტული ფორმულირება. მარტოვი საკმარისად თვლიდა პარტიის წევრისათვის პროგრამის აღიარებას, მის მიერ პარტიისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენას, და კატეგორიულად უარყოფდა „ერთ-ერთ ორგანიზაციაში მის პირად მონაწილეობას". ამის ნაცვლად ის უმატებდა პარტიის წევრზე რაღაც „კონტროლისა და ხელმძღვანელობის" მოთხოვნას.

ვ. ი. ლენინისა და მარტოვის ფორმულირებები პრინციპულად სხვადასხვა პოზიციებიდან გამომდინარეობდა.

ლენინის ფორმულირების ბოლო ნაწილი — „პირადი მონაწილეობა ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში", კარებს უკეტავდა პარტიაში ოპორტუნისტ, მერყევ და კარიერისტ ადამიანებს. იგი პარტიაში კარს უღებდა მხოლოდ იმათ, ვინც ყველაფერზე მაღლა აყენებდა პარტიას და მის რევოლუციურ მოთხოვნებს, ვინც დაემორჩილებოდა პარტიის ნებას და თავ-

დადებული მებრძოლი იქნებოდა პარტიის დიადი მიზნებისათვის, სოციალიზმისათვის, კომუნიზმისათვის.

მარტოვის ფორმულირება ფართოდ უღებდა პარტიაში კარს არა მარტო მუშათა-არისტოკრატიის მერყეევ ელემენტებს, არამედ სხვადასხვა არაპროლეტარული კლასებიდან გამოსულ ფრაზიორ კარიერისტებსაც. რუსეთში მოახლოებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირობებში ბურჟუაზიული ინტელიგენციის რიგებში საკმაოდ ბევრი იყო ისეთი ელემენტი, რომლებიც დროებით „თანაუგრძნობდნენ“ რევოლუციის აღმავლობას. ეს ელემენტები უარს არ იტყოდნენ სიტყვიერად პარტიის პროგრამის აღიარებაზე და მისთვის ერთგვარი ნივთიერი დახმარების აღმოჩენაზეც. მაგრამ ისინი არ მიიღებდნენ პარტიულ ორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას, არ დაემორჩილებოდნენ პარტიის დისციპლინას, მის ნებას, არ შეასრულებდნენ პარტიულ დავალებებს და ყოველმხრივ თავს აარიდებდნენ ისეთ მოქმედებას, რომელიც უშუალოდ რევოლუციურ მუშაობასთან იქნებოდა დაკავშირებული. მარტოვის ფორმულირება შესაძლებლობას აძლევდა ყველა „გაფიცულს, ესერს, ანარქისტს, ავანტიურისტს ჩაერიცხა თავი პარტიაში და არ ემუშავა არც ერთ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციაში.

მარტოვის ფორმულირებას აქტიურად დაუჭირეს მხარი ანტიისკრელებმა და ცენტრისტებმა. ტროცკი, იცავდა რა მარტოვის ოპორტუნისტულ ფორმულირებას ლენინის წინააღმდეგ, ყრილობაზე დემაგოგიურად ამბობდა, რომ ჩვენ გვინდა „მასობრივი პარტია“ და არა „შეთქმულებითი ორგანიზაციაო“. მან მოითხოვა ლენინის ნაშრომში — „რა ვაკეთოთ?“ — მეცნიერულად შემუშავებული მარქსისტული პარტიის აგების გეგმის გადასინჯვა. იგი ცდილობდა ერთი გასროლით ოპორტუნიზმისათვის ორგვარი სამსახური გაეწია: უარეყო მარქსისტული პარტიის აგების ლენინური გეგმა და პარტიის წესდებაში ლენინის მიერ წამოყენებული რევოლუციური მოთხოვნა. ტროცკი უარყოფდა როგორც ვიწრო პროფესიონალ რევოლუციონერთა ხელმძღვანელი კადრის ორგანიზაციას, ისე პარტიაში შემსვლელთა საწესდებო

შეზღუდვას და გადაჭრით მოითხოვდა პარტიის კარების ყველასათვის ფართოდ გახსნას.

ლენინი ყრილობაზე ტროცკის დემაგოგიური გამოსვლისა და ოპორტუნისტული მოთხოვნის წინააღმდეგ ამბობდა: ტროცკიმ ვერ გაიგო „...რომ ჩემს წიგნში მე ვსახავ სხვადასხვა ტიპის მთელ რიგ ორგანიზაციებს, დაწყებულთ უაღრესად კონსპირაციული და უაღრესად ვიწრო ორგანიზაციებით და გათავებულთ შედარებით ფართო და „თავისუფალი“ (lose) ორგანიზაციებით. მას დავიწყებია, რომ პარტია უნდა იყოს მხოლოდ მოწინავე რაზმი, ხელმძღვანელი მუშათა კლასის უზარმაზარი მასისა, რომელიც მთლად (ან თითქმის მთლად) მუშაობს პარტიული ორგანიზაციების „კონტროლითა და ხელმძღვანელობით“. მაგრამ .რომელიც მთლად როდი შედის და მთლად არც უნდა შედიოდეს „პარტიაში“ [1].

ყრილობაზე ლენინის წინააღმდეგ გამოსული მარტოვი, ტროცკი და მათი მომხრეები თავიანთ მოთხოვნაში ზღვარს შლიდნენ პროლეტარიატსა და პროლეტარულ პარტიას შორის და ამით სავსებით უკარგავდნენ პარტიას მოწინავე რაზმის წარმმართველ, მაორგანიზებელ, ხელმძღვანელ როლს.

ლენინი მარტოვისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ თავისი ფორმულირების დასაცავად ამბობდა: „...მე არასგზით არ შემიძლია უარი ვთქვა ჩემს მტკიცე რწმენაზე, რომ მარტოვის ფორმულირება არის პირვანდელი პროექტის გ ა უ ა რ ე ს ე ბ ა, რომელსაც შ ე უ ძ ლ ი ა, გარკვეულ პირობებში, საკმაოდ დიდი ვნება მოუტანოს პარტიას“ [2].

გ. ვ. პლეხანოვმა მხარი დაუჭირა ლენინს და ყრილობაზე განაცხადა, რომ მარტოვის „ოპორტუნისტული ფორმულირება კარს ულებს ოპორტუნისტებს“, რომელთაც სურთ ფორმალურად ირიცხებოდნენ პარტიაში და ფაქტიურად იყვნენ ორგანიზაციის გარეთ, რათა „თავი დაიძვრინონ პარტიული მუშაობიდანო“.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 622 — 623

[2] იქვე, გვ. 621.

მარტოვის ფორმულირების მიხედვით ირღვეოდა პროლეტარული პარტიულობის პრინციპი, რადგან, ჯერ ერთი, პარტიის წევრი ორგანიზაციის გარეშე ვერ დაიცავდა პარტიის ნებისყოფას და თვითნებური იქნებოდა: მეორე, მას თავისუფლად შეეძლო დაემახინჯებინა და ბოროტად გამოეყენებინა პარტიის წევრის უფლება, და ამაზე მას პარტიულ პასუხისმგებლობას არავინ მოსთხოვდა, რადგან ის არც ერთ პარტიულ ორგანიზაციაში არ ირიცხებოდა; მესამე. მისთვის პარტიული მუშაობა და პარტიული დისციპლინა სავალდებულო არ იქნებოდა; მეოთხე. ასეთ პირობებში „ყველა ყბედს შეეძლო ჩარიცხულიყო პარტიაში", ეღიარებინა ფორმალურად პარტიის პროგრამა, გაეწია ერთგვარი ნივთიერი დახმარება პარტიისათვის და გამოეყენებინა იგი თავისი პირადი კარიერისტული მიზნებისათვის.

მარტოვის ფორმულირების მიხედვით პარტიას და მის შტაბს — ცენტრალურ კომიტეტს — არ შეეძლო გაეწია თავისი წევრების მოღვაწეობისათვის არც ხელმძღვანელობა და არც კონტროლი, რადგან პარტიას არ შეუძლია უხელმძღვანელოს და კონტროლი გაუწიოს იმ პირებს, რომლებიც არც ერთ პარტიულ ორგანიზაციაში არ ირიცხებიან.

მარტოვის ფორმულირებაში „...სიტყვები „კონტროლითა და ხელმძღვანელობით",—ამბობდა ყრილობაზე ვ. ი. ლენინი.— გამოიწვევენ იმას, რომ არც **კონტროლი** იქნება და არც **ხელმძღვანელობა**. ცენტრალური კომიტეტი ვერასოდეს ვერ შეძლებს გაავრცელოს ნამდვილი კონტროლი ყველა იმათზე, ვინც მუშაობს, მაგრამ ორგანიზაციაში არ შედის. ჩვენი ამოცანაა **ფაქტიური** კონტროლი მივცეთ ხელთ ცენტრალურ კომიტეტს. ჩვენი ამოცანაა დავიცვათ ჩვენი პარტიის სიმტკიცე, სიმკვიდრე, სიწმინდე. ჩვენ უნდა ვეცადოთ სულ უფრო და უფრო ავამაღლოთ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა,— და ამიტომ მე წინააღმდეგი ვარ მარტოვის ფორმულირებისა"[1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 625.

რსდმპ II ყრილობაზე ვ. ი. ლენინის მიერ წარმოთქმული ისტორიული სიტყვა პარტიის სიმტკიცის, სიწმინდის, მისი მაღალი სახელწოდებისა და მნიშვნელობის, მისი მებრძოლი შტაბის — ცენტრალური კომიტეტის — პრინციპული კოლექტიური ხელმძღვანელობის შესახებ შემდგომ საფუძვლად დაედო არა მარტო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელ მუშაობას, არამედ მოძმე პარტიების მუშაობასაც.

მიუხედავად ვ. ი. ლენინისა და მისი მომხრეების შეუპოვარი პრინციპული ბრძოლისა, მარტოვმა, ტროცკმა და აქსელროდმა მაინც მოახერხეს მერყეევი ისკრელების, ცენტრისა და ანტიისკრელების გაერთიანება და 28 ხმით 22-ის წინააღმდეგ (ერთმა თავი შეიკავა) ყრილობამ მიიღო პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის მარტოვისეული ფორმულირება.

იცავდა რა პარტიის წესდების ლენინურ ფორმულირებას, ი. ბ. სტალინი 1905 წლის იანვარში მენშევიკების წინააღმდეგ გამოქვეყნებულ სტატიაში „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია" წერდა: „ჩვენ უბრალო მოუფიქრებლობად მიგვაჩნია გადაწყვეტილება მეორე პარტიული ყრილობისა, რომელმაც მარტოვის განსაზღვრა მიიღო, და სრული იმედი გვაქვს, რომ მესამე პარტიული ყრილობა უეჭველად გაასწორებს მეორე ყრილობის შეცდომას და ამხ. ლენინის განსაზღვრას მიიღებს" [1].

მართლაც, რსდმპ მესამე ყრილობამ (1905 წლის აპრილში, ლონდონში) უარყო პარტიის წესდებაში პირველი პარაგრაფის მარტოვისეული ფორმულირება და მიიღო ლენინური ფორმულირება.

რსდმპ II ყრილობაზე ოპორტუნისტები შეეცადნენ მიეღწიათ ლენინის მიერ წამოყენებული პარტიის წესდების ორგანიზაციული პრინციპების მთლიანად უარყოფისათვის. მაგრამ ლენინმა შეუპოვრად მოახერხა მტკიცე ისკრელების დარაზმვა და წესდებაში დანარჩენი 11 მუხლი უცვლელად იქნა მიღებული ყრილობის მიერ. ეს ლენინელთა დიდი გამარჯვება იყო.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 71, 1947.

„...განმაცვიფრებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ლენინმა ლონდონის ყრილობაზე 1903 წელს...—წერდა თავის მოგონებაში ა. მარტინოვი[1], — ასე მეგონა დავესწარი რაღაც ისტორიულ მასკარადს, რომ ვცხოვრობდი არა 1903 წელს, არამედ 1793 წელს, რომ ვიყავი არა რუსეთის პარტიული ყრილობის სხდომაზე, არამედ საფრანგეთის რევოლუციური კონვენტის სხდომაზე, და რომ ჩემს გვერდით ისხდნენ არა რუსეთის სოციალ-დემოკრატები, არამედ რობესპიერი, სენ-ჟუსტი და სხვა დიდი იაკობინელები. ყრილობაზე ისეთი დაჭიმული ატმოსფერო იყო, რომ ყრილობის ბელადების მიერ დანიშნული გზისაგან ოდნავი გადახვევა იდაღებოდა როგორც ოპორტუნიზმი. და იწვევდა გრგვინვას, და მთელ ამ იაკობინურ-მარქსისტულ ყრილობას თავს ადგა ლენინის სული. მან შექმნა ასეთი განწყობილება. რისი გულისათვის შექმნა მან ეს? რისი გულისათვის გამოსჭედა პარტია ასეთი რკინის დისციპლინით? რისთვისაა გამსჭვალული ის ასეთი უსაზღვრო რევოლუციური შეურიგებლობით? მაშინ ეს მე არ მესმოდა. ახლა ეს ნათელია ჩემთვის, ახლა ეს ბევრისათვის უნდა იყოს ნათელი[2].

ლენინური წესდების მუხლობრივი განხილვის დროს კვლავ წამოიჭრა ბუნდის დამოუკიდებლობის საკითხი პარტიაში. ბუნდელებმა წამოაყენეს თავიანთი წესდება და გადაჭრით მოითხოვეს, რომ ბუნდი გამოცხადებულიყო ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად რსდმ პარტიაში. ბუნდელთა ამ მოთხოვნის მიღება ნიშნავდა მუშათა კლასის დაყოფას პარტიულ ორგანიზაციებში ექსტერიტორიალურად, ნაციონალური ნიშნის მიხედვით, რაც გამოიწვევდა პროლეტარიატის ერთიან კლასობრივ ტერიტორიალურ ორგანიზაციებზე ხელის აღებას და მარქსისტულ-ლენინური, ინტერნაციონალური პრინციპის დავიწყებას.

---

[1] ა. მარტინოვმა, ცნობილმა „ეკონომისტმა", ჟურ. „რაბოჩეე დელოს" ერთ-ერთმა რედაქტორთაგანმა, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, 1922 წელს დაგმო თავისი შეცდომები და კომუნისტურ პარტიაში შეეიდა.

[2] ა. მ ა რ ტ ი ნ ო ვ ი, პროლეტარიატის დიდი ბელადი, 1924, გვ. 8—9.

II ყრილობამ ვ. ი. ლენინის მოთხოვნით უარყო ებრაელთა დამოუკიდებელი პარტიის არსებობა, რასაც ბუნდელთა პროტესტი და მათ მიერ ყრილობის დატოვება მოჰყვა.

ამავე დროს, ყრილობამ წესდებით, რსდმპ ერთადერთ წარმომადგენლად (ორგანიზაცია) საზღვარგარეთ აღიარა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგა" და დაშლილად გამოაცხადა „ეკონომისტების" „რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირი", რის გამოც ორმა ეკონომისტმაც პროტესტის ნიშნად დატოვა ყრილობა.

პროგრამისა და წესდების მიღების შემდეგ ყრილობამ განიხილა ტაქტიკური საკითხები, ლიბერალურ ბურჟუაზიასთან და „სოციალისტ-რევოლუციონერებთან" (ესერებთან) დამოკიდებულების საკითხები.

ლიბერალურ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების საკითხზე პოტრესოვმა წამოაყენა ოპორტუნისტული რეზოლუციის პროექტი. მისი აზრით, ყრილობას უნდა გაერჩია მემარჯვენე და „მემარცხენე" ლიბერალები და დაემყარებინა საქმიანი კავშირი ლიბერალური ბურჟუაზიის იმ ნაწილთან, რომელიც თავის „ლოზუნგად გაიხდიდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას".

პოტრესოვის ოპორტუნისტულ მოთხოვნას დაუპირისპირდა ლენინისა და პლეხანოვის რევოლუციური რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვდა ლიბერალური ბურჟუაზიის სისტემატურად მხილებას. გ. ვ. პლეხანოვის რეზოლუციის პროექტში (რომელიც ვ. ი. ლენინთან შეთანხმებით იქნა შემუშავებული) პირდაპირ იყო მითითებული ლიბერალური ბურჟუაზიის ანტიპროლეტარულ ხასიათზე.

რსდმპ II ყრილობაზე ბრძოლა ლენინელებსა და ოპორტუნისტებს შორის ლიბერალურ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების საკითხში არსებითად წარმოადგენდა ბრძოლას რუსეთის მოახლოებულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ჰეგემონიის საკითხზე, იმაზე, თუ რომელი კლასი უნდა გამხდარიყო რევოლუციის ხელმძღვანელი — პროლეტარიატი თუ ბურჟუაზია.

ვ. ი. ლენინის მოთხოვნა ლიბერალური ბურჟუაზიის ანტირევოლუციური ბუნების სისტემატური მხილების შესახებ

ითვალისწინებდა იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს.

ლენინისა და ლენინელების პრინციპული წინააღმდეგობის მიუხედავად, შაინც პოტრესოვს მხარი დაუჭირა ყველა მომავალმა მენშევიკმა და ყრილობაზე კენჭისყრის დროს დელეგატთა ხმები შუაზე გაიყო. ამიტომ ორივე რეზოლუციის პროექტი გადაეცა ცენტრალურ კომიტეტს სახელმძღვანელოდ.

ლიბერალურ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების საკითხთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული „სოციალისტ-რევოლუციონერებთან" დამოკიდებულების საკითხი. „სოციალისტ-რევოლუციონერები", ისე როგორც შემდგომ მენშევიკებიც, საქმიან კავშირში იყვნენ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან. ისინი „წარმოადგენდნენ მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ფრაქციას" (ლენინი).

ოპორტუნისტებმა მოითხოვეს „სოციალისტ-რევოლუციონერებთან" გაერთიანება. ვ. ი. ლენინმა სასტიკად გაილაშქრა სოციალ-დემოკრატიის „სოციალისტ-რევოლუციონერებთან" გაერთიანების წინააღმდეგ და გადაჭრით მოითხოვა მათგან გამიჯვნა. ვ. ი. ლენინის წინადადებით, რსდმპ II ყრილობამ უარყო სოციალ-დემოკრატიის „სოციალისტ-რევოლუციონერებთან" გაერთიანების ცდა და თავის გადაწყვეტილებაში ჩასწერა: „...ყრილობა გადაჭრით გმობს „სოციალისტ-რევოლუციონერებთან" სოციალ-დემოკრატების გაერთიანების ყოველგვარ ცდებს და შესაძლებლად თვლის მხოლოდ კერძო შეთანხმებებს მათთან ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ცალკეულ შემთხვევებში" [1].

ყრილობამ განიხილა ვ. ი. ლენინის წინადადება რაიონული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საკითხზე და მიიღო რეზოლუცია რსდმპ ც. კ-ის მიერ ადგილებზე მათდამი თეორიული და პრაქტიკული ხელმძღვანელობისა და დიდ წარმოება-

---

1 სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი I, გვ. 57.

დაწესებულებებში ადგილობრივი პარტიული კომიტეტების ჩამოყალიბების შესახებ.

ყრილობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია პროპაგანდის მოწყობის საკითხს, რომლის წინააღმდეგ გამოვიდნენ ოპორტუნისტები — მომავალი მენშევიკები. მაგრამ ვ. ი. ლენინმა ამ საკითხშიც მიაღწია გამარჯვებას — ყრილობამ პროპაგანდის დაყენების საკითხზე მიიღო ლენინური რეზოლუცია.

ყრილობაზე დელეგატთა შორის მწვავე წინააღმდეგობა გამოიწვია მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების საკითხმა. ყრილობის ოპორტუნისტული ნაწილი ინდიფერენტულად უყურებდა მოსწავლე ახალგაზრდობაში მარქსისტული შეგნების შეტანის, მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და ორგანიზაციული დარაზმვის საკითხს. ოპორტუნისტების აზრით, მოსწავლე ახალგაზრდობა „თავისით გაიკვლევდა გზას რევოლუციური მოძრაობისაკენ". ოპორტუნისტები ასეთი მოთხოვნით მოსწავლე ახალგაზრდობას სტოვებდნენ ბურჟუაზიის იდეური გავლენის ქვეშ.

ლენინმა სასტიკად გაილაშქრა მოსწავლე ახალგაზრდობისადმი ასეთი დამოკიდებულების წინააღმდეგ და გადაჭრით მოითხოვა მათ შორის თეორიული და პრაქტიკული მუშაობა, მათი მარქსისტული გათვითცნობიერება, ბურჟუაზიული ილუზიებისაგან განთავისუფლება და რევოლუციურ გზაზე დაყენება. მოსწავლე ახალგაზრდობის „...ყალბი მეგობრები ცდილობენ, — ამბობდა ვ. ი. ლენინი ყრილობაზე, — დაარწმუნონ ახალგაზრდობა, რომ მისთვის საჭირო არ არის სხვადასხვა მიმდინარეობაში ერკვეოდეს. ჩვენ კი მთავარ მიზნად ვისახავთ მთლიანი რევოლუციური მსოფლმხედველობის შემუშავებას, ხოლო შემდგომი პრაქტიკული ამოცანა ის არის, რომ ახალგაზრდობა, როცა ირაზმება, ჩვენს კომიტეტებს მიმართავდეს"[1]. ვ. ი. ლენინის მოთხოვნამ მისცა ყრილობას სწორი მიმართულება ამ საკითხის გადაწყვეტაშიც — მიღებულ იქნა ლენინური რეზოლუცია.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება II ინტერნაციონალს

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 631.

ამსტერდამის კონგრესზე (1904 წ.) რუსეთის სოციალ-დემოკრა-ტიის მონაწილეობისა და რევოლუციურ-ინტერნაციონალური პრინციპების დაცვის საკითხზე. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა II ინტერნაციონალში ოპორტუნიზმის სოციალური ფესვების ბოლომდე მხილებას. ყრილობის მიერ ამ საკითხზე მიღებულ რეზოლუციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო რუსეთის მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის, არამედ მსოფლიო პროლეტარული მოძრაობისათვისაც. რეზოლუცია II ინტერნაციონალისაგან მოითხოვდა რევოლუციურ მოღვაწეობას, რათა იგი გამხდარიყო მსოფლიო მუშათა მოძრაობის ნამდვილი ხელმძღვანელი.

რსდმპ II ყრილობა ურჩევს პარტიის საბჭოს, — ნათქვამია რეზოლუციაში, — იზრუნოს სათანადო წარმომადგენლობისა-თვის II ინტერნაციონალის ამსტერდამის კონგრესზე. რათა დაიცვას რევოლუციური „პრინციპები, რომლებითაც პარტია ხელმძღვანელობს თავის მოღვაწეობაში".

ეს მოთხოვნა კომენტარს არ საჭიროებს და ცხადყოფს იმას, რომ ვ. ი. ლენინი წინასწარ ითვალისწინებდა იმ შეუპოვარი პრინციპული ბრძოლის აუცილებლობას. რომელიც მას და მის მოწაფეებს დასჭირდებოდათ შემდგომ II ინტერნაციონალში და მის კონგრესებზე მარქსიზმის დაცვისა და განვითარებისა-თვის.

რსდმპ II ყრილობა დასასრულს უახლოვდებოდა. საჭირო იყო პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა, რაც ლენინისა და ლენინელების გადამწყვეტ ბრძოლას მოითხოვდა, რათა წარმატებით დაგვირგვინებულიყო მტკიცე ისკრელთა გამარჯვება და ახალი ტიპის პარტიის შექმნა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყრილობიდან 7 ოპორტუნისტის წასვლით მდგო-მარეობა ლენინელების სასარგებლოდ შეიცვალა.

ვ. ი. ლენინმა სასწრაფოდ გააკეთა ყრილობაზე შექმნილი ვითარების ანალიზი, იგი დელეგატთა რევოლუციურ უმრავ-ლესობას ჩაუდგა სათავეში და ოსტატურად წარმართა ყრილო-ბის მუშაობა ოპორტუნიზმზე გამარჯვებისაკენ.

იმ პერიოდში პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოების სტრუქტურა განსხვავდებოდა პარტიული ხელმძღვანელობის ეხლანდელი სტრუქტურისაგან. ახლა პარტიის ხელმძღვანელობისათვის, წესდების საფუძველზე, აღიარებულია ერთი ცენტრი, უმაღლესი პარტიული ორგანო, ყრილობიდან ყრილობამდე მისი მებრძოლი შტაბი, ცენტრალური კომიტეტი; რომელიც ხელმძღვანელობს პარტიული ცხოვრების ყველა სფეროს. რსდმპ II ყრილობაზე მიღებული წესდების საფუძველზე კი ყრილობა ირჩევდა არა მარტო პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, არამედ ცენტრალური თეორიული ორგანოს — გაზეთის ხელმძღვანელებსაც. თეორიული ორგანოს ხელმძღვანელ კოლექტივს იდეური ხელმძღვანელობა უნდა გაეწია მთელი პარტიისათვის და მისი ცენტრალური კომიტეტისათვის.

ამიტომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა ცენტრალური ორგანოს გაზეთ „ისკრას" რედაქტორთა შემადგენლობის საკითხსაც. რსდმპ II ყრილობამდე გაზეთ „ისკრას" რედაქცია ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ფაქტიურად ასრულებდა პარტიული ცენტრის მოვალეობასაც. რსდმპ II ყრილობამ მოიწონა „ისკრას" რედაქციის იდეურ-პოლიტიკური ხაზი, მისი პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობა და აღიარა იგი პარტიის ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოდ.

რსდმპ II ყრილობაზე ვ. ი. ლენინი საჭიროდ თვლიდა პარტიის ორივე ცენტრში — გაზეთ „ისკრას" რედაქციაში და ცენტრალურ კომიტეტში—არჩეულიყვნენ იდეურ-პოლიტიკურად მომზადებული, ორგანიზატორულ და პრაქტიკულ რევოლუციურ მუშაობაში გამობრძმედილი და გამოცდილი, ბოლომდე თანმიმდევარი რევოლუციონერი ადამიანები.

ყრილობის ოპორტუნისტული ნაწილი მარტოვის, ტროცკისა და აქსელროდის მეთაურობით ცდილობდა პარტიის ცენტრალურ ორგანოებში ოპორტუნისტთა უმრავლესობა ყოფილიყო. ისინი ამოცანად ისახავდნენ პარტია კვლავ უკან დაეწიათ იდეური აბნეულობისა და ორგანიზაციული დაქსაქ-

სულობისაკენ და შეეგუებინათ იგი რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგიისა და პოლიტიკისადმი.

ვ. ი. ლენინი საჭიროდ თვლიდა, ნაცვლად 6 კაცისა, „ისკრას" რედაქციაში აერჩიათ სამი კაცი. „ისკრას" რედაქციაში სამეულის უპირატესობა ექვსეულის წინაშე აიხსნებოდა იმით, რომ, ჯერ ერთი, პრინციპული საკითხების გადაწყვეტის დროს ექვსეულში ხმები შეაზე იყოფოდა და საქმე ფერხდებოდა; მეორეც, გაზეთზე რთული მუშაობის შესრულება ორ-სამ კაცს და უმრავლეს შემთხვევაში გაზეთის ფაქტიურ რედაქტორს ვ. ი. ლენინს და მის მდივანს ნ. კ. კრუპსკაიას უხდებოდათ. „ძველი ექვსეული იმდენად მოკლებული იყო ქმედითუნარიანობას, — წერდა რსდმპ II ყრილობის შემდეგ ვ. ი. ლენინი, — რომ **სამი წლის განმავლობაში იგი ერთხელაც** არ შეკრებილა სრული შემადგენლობით". ამიტომ ვ. ი. ლენინმა „ისკრას" ხელმძღვანელ კოლექტივში ყრილობაზე ასარჩევად წამოაყენა სამი კაცის — პლეხანოვის, მარტოვისა და ლენინის — კანდიდატურა.

ლენინის წინადადებას მარტოვმა დაუპირისპირა „ისკრას" რედაქციის ძველი ექვსეულის — პლეხანოვის, აქსელროდის, ზასულიჩის, პოტრესოვის, ლენინისა და მარტოვის — არჩევის წინადადება. მარტოვი, ტროცკი, აქსელროდი ცდილობდნენ დაესაბუთებინათ ექვსეულის უპირატესობა სამეულთან შედარებით და კატეგორიულად მოითხოვდნენ ლენინის წინადადების უარყოფას. მარტოვმა სამეულის არჩევის წინააღმდეგ ყრილობაზე განაცხადა, რომ ლენინის წინადადების მიღება „ნიშნავს პარტიის ცენტრალურ კომიტეტზე გაზეთის იდეური გავლენის მოხდენასო". მისი აზრით, ეს იყო პარტიული დემოკრატიზმის დარღვევა და ცენტრალური ორგანოს ცენტრალური კომიტეტისადმი დაპირისპირება.

ვ. ი. ლენინმა ოპორტუნისტების წინააღმდეგ თავის გამოსვლაში ნათელყო მარტოვის მიერ წამოყენებული ე. წ. ბრალდების უსაფუძვლობა და გაბედულად განაცხადა, რომ მარტოვი ვერ აფასებდა იდეური ორგანოს როლს და ეშვებოდა ოპორტუნიზმში. მარტოვი თავის სიტყვებში განგაშს სტეხდა და აცხადებდა, რომ გაზეთის რედაქციაში სამეულის არჩევა

„...რუსეთში ცენტრალურ კომიტეტზე გავლენისათვის ბრძოლის აქტიაო“. ვ. ი. ლენინს პარტიის ცენტრალურ კომიტეტზე ცენტრალური ორგანოს იდეური გავლენა დადებითად მიაჩნდა და მოითხოვდა, რომ იგი განმტკიცებულიყო. „მე მარტოვზე უფრო შორს წავალ, — ამბობდა ვ. ი. ლენინი ყრილობაზე. — გავლენისათვის ბრძოლა იყო დღემდე „ისკრას“, როგორც კერძო ჯგუფის, მთელი მოღვაწეობა, ახლა კი საქმე ეხება უკვე უფრო მეტს, გავლენის ორგანიზაციულ განმტკიცებას, და არა მარტო მისთვის ბრძოლას. თუ რა დიდად ვშორდებით ჩვენ აქ პოლიტიკურად... მარტოვს, ჩანს იქიდან, რომ ის ბრალად მითვლის ამ სურვილს — გავლენა მოვახდინოთ ცენტრალურ კომიტეტზე, მე კი დამსახურებად მიმაჩნია ის, რომ ვცდილობდი და ვცდილობ განვამტკიცო ეს გავლენა ორგანიზაციულად“ [1].

მარტოვი, ტროცკი, აქსელროდი და მათი მომხრეები ლენინსა და ლენინელებს ბრალს სდებდნენ ყრილობაზე „დიქტატორობაში“, „საალყო წესების გამოცხადებაში“, „ცალკეულ პირებზე და ჯგუფებზე თავდასხმაში“, „ცალკეული პირებისა და ჯგუფების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონების შემოღებაში“ და სხვ. „მერყევი და მოქანავე ელემენტების მიმართ, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ვალდებულნიც ვართ შევქმნათ „საალყო მდგომარეობა“. პარტიის წესდება, მთელი ჩვენი ცენტრალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა „საალყო მდგომარეობა“ პოლიტიკური უსახურობის წინააღმდეგ. სწორედ უსახურობის წინააღმდეგ არის საჭირო საგანგებო, თუნდაც განსაკუთრებული კანონები“ (ლენინი).

ოპორტუნისტების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ვ. ი. ლენინმა მოახერხა დელეგატთა მტკიცე უმრავლესობის თავის გარშემო დარაზმვა და შეუპოვარ პრინციპულ ბრძოლაში მიაღწია ოპორტუნიზმზე გამარჯვებას. რსდმპ II ყრილობამ აირჩია „ისკრას“ რედაქციაში ლენინი, პლეხანოვი და მარტოვი. მარტოვმა პროტესტი განაცხადა ყრილობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ და უარი თქვა რედაქციაში

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 629.

მუშაობაზე. მარტოვის მაგივრად წამოყენებულ იქნა კოლ-
ცოვი, მაგრამ მან ხმების უმცირესობა მიიღო და ყრილობის
გადაწყვეტილება მარტოვის „ისკრას“ რედაქციაში არჩევის
შესახებ ძალაში დარჩა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის
არჩევნებშიც ლენინმა და ლენინელებმა გაიმარჯვეს. ცენტრა-
ლურ კომიტეტში ყრილობამ აირჩია მტკიცე ისკრელები —
კრეიჟანოვსკი, ლეგნიკი და ნოსკოვი.

პარტიული ხელმძღვანელობის ორ ცენტრს შორის, ცენტ-
რალურ კომიტეტსა და ცენტრალურ ორგანოს შორის სადავო
საკითხების გადაწყვეტისათვის, პარტიის წესდების საფუძველ-
ზე, უნდა შექმნილიყო პარტიული საბჭო, რომელიც ხუთი კა-
ცისაგან უნდა შემდგარიყო. ამასთან, საბჭოში ორი კაცი გაზე-
თის რედაქციიდან უნდა შესულიყო, ორი — ცენტრალური
კომიტეტიდან, ხოლო მეხუთე პირი, თავმჯდომარე, ყრილობას
უნდა აერჩია. ყრილობამ პარტიული საბჭოს თავმჯდომარედ
აირჩია გ. ვ. პლეხანოვი.

ახალი ტიპის პარტიის ფუძემდებლის — ლენინის ხელმძღვა-
ნელობით მტკიცე ისკრელებმა მოიგერიეს და დაამარცხეს
ოპორტუნისტების მრავალი შემოტევა, აიძულეს ოპორ-
ტუნისტთა გაკოტრებული ნაწილი მიეტოვებინა ყრილობა და
პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნებში (როცა ყრი-
ლობიდან 7 ოპორტუნისტის წასვლის შემდეგ ძალთა ვითარება
შეიცვალა) მტკიცე უმრავლესობით მიაღწიეს გამარჯვებას.

ამგვარად, პარტიის უმაღლესი ორგანოების არჩევნების
დროს რსდმპ II ყრილობამ, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით,
გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ოპორტუნისტებს, თავის ის-
ტორიულ გადაწყვეტილებაში მტკიცედ ჩასწორა მარტოველთა
დამარცხება და ლენინელთა გამარჯვება. ამ დროიდან ლენინე-
ლები, რომლებიც რსდმპ II ყრილობაზე პარტიის უმაღლესი
ორგანოების არჩევნებში ხმების უმრავლესობით გამარჯვე-
ბული აღმოჩნდნენ, რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა
მოძრაობის ისტორიაში შევიდნენ ბოლშევიკების სახელწოდე-
ბით, რის საფუძველზედაც გაჩნდა „ბოლშევიზმი, როგორც
პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა, და როგორც პოლი-
ტიკური პარტია“ (ლენინი). ხოლო ლენინელთა მოწინააღმდე-

გენი, რომლებიც მარტოვის, ტროცკის, აქსელროდის მეთაურობით ოპორტუნიზმის გზას დაადგნენ, და რომლებმაც პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნების დროს ხმების უმცირესობა მიიღეს, მუშათა მოძრაობის ისტორიაში დარჩნენ მენშევიკების სახელწოდებით.

მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რსდმპ II ყრილობაზე პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნების წინ ლენინელთა უმცირესობის უმრავლესობად და მარტოველთა უმრავლესობის უმცირესობად გადაქცევა შემთხვევითი იყო, და ყრილობიდან ოპორტუნისტების ნაწილის წასვლაც იგივე შემთხვევითობით აგვეხსნა. რსდმპ II ყრილობაზე დელეგატების ორ ურთიერთ მოწინააღმდეგე მიმდინარეობად — რევოლუციონერებად და ოპორტუნისტებად გაყოფა, მწვავე ბრძოლა ამ მიმდინარეობებს შორის, ოპორტუნიზმის დამარცხება და რევოლუციონიზმის გამარჯვება კანონზომიერი მოვლენა იყო.

ვ. ი. ლენინის ხანგრძლივ შეუპოვარ თეორიულ ბრძოლას წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, მარქსიზმის დაცვისა და ახალ ისტორიულ ვითარებაში შემოქმედებითი განვითარებისათვის უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნიზმის იდეური სათავეების დამსხვრევა, რუსეთის მუშათა მოძრაობაში მარქსიზმის ბრწყინვალე გამარჯვება, მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთება.

დიდი ლენინის ხანგრძლივი იდეური პრინციპული ბრძოლები და ტიტანური პრაქტიკულ-რევოლუციური მუშაობა მარქსისტული მოძღვრების დაცვისა და გამდიდრებისათვის, რუსეთის პროლეტარული პარტიისათვის უნდა დაგვირგვინებულიყო და დაგვირგვინდა კიდეც რსდმპ II ყრილობაზე II ინტერნაციონალის რეფორმისტული პარტიების საწინააღმდეგო ახალი ტიპის პარტიის, ლენინიზმის პარტიის შექმნით რუსეთში.

„რევოლუციური მარქსისტული პარტიის—სოციალური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პარტიის შექმნის, გენიალური ლენინური გეგმის გამარჯვებამ ცხადყო, რომ

ლენინის სახით რუსეთსა და საერთაშორისო პროლეტარიატს ჰყავს მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსი, მარქსისა და ენგელსის საქმისა და მოძღვრების განმგრძნობი, რევოლუციის გამოჩენილი სტრატეგი, რომელიც გამჭრიახად ხედავს მუშათა მოძრაობის განვითარების პერსპექტივებს, მთის არწივი, რომელმაც არ იცის შიში ბრძოლაში"[1].

გენიალური ლენინის მიერ რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნიზმის იდეური დამარცხება, მარქსისტული პარტიის აგების გეგმისა და მისი იდეოლოგიური საფუძვლების მეცნიერული შემუშავება და მის საფუძველზე ახალი ტიპის პარტიის შექმნა რსდმპ II ყრილობაზე წარმოადგენდა უდიდეს ისტორიულ მოვლენას არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

რსდმპ II ყრილობაზე 1903 წელს ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ბოლშევიზმის წარმოშობით დაიწყო რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში ახალი პერიოდი, მარქსიზმ-ლენინიზმის გამდიდრებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით სოციალიზმისათვის ბრძოლის ახალი პერიოდი, რუსეთის პროლეტარიატის იმპერიალიზმის ეპოქის მოახლოებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ჰეგემონად გამოსვლისა და საერთაშორისო პროლეტარიატის ავანგარდად გადაქცევისათვის ბრძოლის პერიოდი.

რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში ვ. ი. ლენინის უდიდესი დამსახურება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მან წმიდათა-წმიდად დაიცვა მარქსიზმი, იდეურად გაანადგურა მარქსიზმის მრავალრიცხოვანი მტრების წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული შეხედულებანი, არამედ იმაშიაც, რომ მან მარქსისა და ენგელსის მოძღვრება აღიარა მუდმივად განვითარებაში მყოფ მოძღვრებად და ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად განავითარა, წინ წასწია და გაამდიდრა იგი ახალი დებულებებითა და დასკვნებით, რაც იმპერიალიზმისა და პროლე-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი, გვ. 11, 1953.

ტარული რევოლუციის ეპოქაში ლენინიზმის უკვდავი სახელით შევიდა ისტორიაში.

წინააღმდეგ II ინტერნაციონალის ბელადებისა, რომლებიც მედავითნურად იზეპირებდნენ მარქსიზმის ცალკეულ დებულებებსა და ფორმულებს, ვ. ი. ლენინმა ნაროდნიკებთან, „ლეგალურ მარქსისტებთან", „ეკონომიზმსა" და მათ საზღვარგარეთელ მასწავლებლებთან შეუპოვარ პრინციპულ იდეურ ბრძოლაში შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმი და მის საფუძველზე გააკეთა გენიალური დასკვნა, რომ მუშათა კლასის ხელმძღვანელობისათვის და მისი გამარჯვებისათვის საჭირო იყო არა II ინტერნაციონალის პარტიების მსგავსი პარტია, არამედ ახალი ტიპის პარტია, რომლის შექმნაც მან წარმატებით დააგვირგვინა.

ვ. ი. ლენინმა „ბრძოლის კავშირში" და შემდგომ „ისკრას" მოღვაწეობის პერიოდში გენიალურად შეიმუშავა მუშათა კლასისა და მისი პარტიისათვის კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპები, რასაც წმინდად იცავდა ყველა სახის ანტიპარტიულ შემოტევათა წინააღმდეგ პრინციპულ ბრძოლაში.

მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობის პრინციპების გამომუშავების საქმეში ვ. ი. ლენინის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ბელადების, პოლიტიკური ხელმძღვანელების ნებას უქვემდებარებდა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის კოლექტიური ხელმძღვანელობის ნებას. ვ. ი. ლენინი ბელადების, პოლიტიკური ხელმძღვანელების ძლიერების წყაროს ხედავდა არა თვით ბელადებში და გამოჩენილ ადამიანებში, არამედ საზოგადოების განვითარების მატერიალური ცხოვრების პირობებში, იმ ხალხში, კლასებსა და პარტიებში, რომელთაც მოძრაობაში მოჰყავთ წარმოების საშუალებები და წარმოების იარაღები, წინ მიჰყავთ საზოგადოება და ქმნიან ახალ ისტორიას. იგი ბელადების, პოლიტიკური ხელმძღვანელების ცოდნასა და გამოცდილებას, ხელმძღვანელობის უნარსა და მათ ისტორიულ დამსახურებას საზოგადოების განვითარების საქმეში განიხილავდა არა ცალკე, როგორც ამას სუბიექტური იდეალისტები აკეთებდნენ, არამედ იმ ხალხთან, კლასებთან და პარტიებთან

ორგანულ კავშირში, რომელთაც ისინი წარმოშვეს და რომელთა სასიცოცხლო ინტერესებსაც მათი მოღვაწეობა ემსახურება.

ვ. ი. ლენინი გადაჭრით ილაშქრებდა ისტორიაში არა მარტო პიროვნების როლის გაზვიადების წინააღმდეგ, არამედ მოწინავე ადამიანების ცოდნისა და მოღვაწეობის შეუფასებლობის წინააღმდეგაც. იგი დიდად აფასებდა საზოგადოების განვითარების ისტორიაში ისეთ მოწინავე მოაზროვნეთა და პოლიტიკურ ხელმძღვანელთა როლს, რომელთა იდეები, თეორიები, დებულებები და დასკვნები გამომდინარეობს ისტორიის მატერიალისტური განვითარების კანონზომიერებიდან, მეცნიერულად ასახავს საზოგადოებრივი განვითარების მატერიალური ცხოვრების პირობებს, და რომლებიც მთელ თავიანთ ცოდნას, გამოცდილებას და მოღვაწეობას უკავშირებენ ხალხის, კლასების, პარტიის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლის ამოცანებს.

ასეთი ყოველმხრივი მეცნიერული მიდგომით, წინდახედული და შორსმჭვრეტელური პოლიტიკის შემუშავებით გენიალური ლენინი ახალი ტიპის პარტიის შექმნასთან ერთად ზრდიდა და სჭედდა თავის მოწაფეთა და თანამებრძოლთა რიგებში ახალი ტიპის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს, რომლებიც შემდგომ ლენინთან ერთად განამტკიცებდნენ და ამჭიდროვებდნენ ლენინიზმის დიად პარტიას მისი ხელმძღვანელი კოლექტივის— ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ვ. ი. ლენინმა პროლეტარული მოძრაობის ისტორიაში პირველმა შეიმუშავა დასრულებული მოძღვრება ახალი ტიპის პარტიაზე, როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელ ორგანიზაციაზე. მან პირველმა შეიმუშავა მეცნიერულად ახალი ტიპის პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკურ-პოლიტიკური და თეორიული საფუძვლები, რამაც განაპირობა კომუნისტური პარტიის იდეური სიმდიდრე, ხელმძღვანელობის სიბრძნე, პოლიტიკის წარმატება და დაუმარცხებლობა.

დიდი ლენინის მოთხოვნით ახალი ტიპის პარტია უნდა შეიარაღებულიყო თეორიულად, განმტკიცებულიყო და გამობრძმედილიყო იდეურ-პოლიტიკურად, შეკავშირებულიყო

და შემჭიდროებულიყო ორგანიზაციულად და გადაქცეულიყო მუშათა კლასის მოწინავე, შეგნებულ, ორგანიზებულ, ცენტრალიზმის პრინციპზე აგებულ დისციპლინირებულ რაზმად, პროლეტარული ორგანიზაციის უმაღლეს ფორმად, მშრომელთა მილიონიან მასებთან სისხლხორცეულ კავშირში მყოფ ორგანიზაციად, მათ მაორგანიზებელ, დამრაზმავ, წარმმართველ ხელმძღვანელ ძალად.

კომუნისტური პარტიის ასეთ ძალად გადაქცევისათვის შეუპოვარი პრინციპული იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის ჩატარება დასჭირდათ დიდ ლენინს, მის მოწაფეებსა და თანამებრძოლებს რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინმა რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში დაამსხვრია რევიზიონისტების ანტიმარქსისტული, მეტაფიზიკური, იდეალისტური დოგმები, განავითარა მარქსიზმი ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად და გენიალურად შეიმუშავა ახალი ტიპის პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური, თეორიული საფუძვლები, რამაც განაპირობა ლენინური პარტიის სიბრძნე მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლაში.

1905 — 1907 წლების რევოლუციისა და 1907 — 1910 წლების რეაქციის პერიოდში, შეტევისა და ორგანიზებული უკან დახევის პირობებში, კომუნისტური პარტია დიდი ლენინის ხელმძღვანელობით მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და განუხრელად უჩვენებდა ხალხს გზას გამარჯვებისაკენ. კომუნისტურმა პარტიამ სტოლიპინის რეაქციის მძიმე წლებში ვ. ი. ლენინის ბრძნული ხელმძღვანელობით მოიგერია მარქსიზმის ყველა სახის მტრების გააფთრებული იერიში, იდეურად გაანადგურა მშრომელთა მოღალატენი და ღირსეულად დაიმსახურა მშრომელი ხალხის უსაზღვრო ნდობა და სიყვარული.

რევიზიონისტებთან, ლიკვიდატორებთან, ოტზოვისტებთან, ტროცკისტებთან შეუპოვარ იდეურ ბრძოლაში ბოლშევიკები

ე. ი. ლენინის ხელმძღვანელობით წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ და განამტკიცებდნენ კომუნისტურ პარტიას.

კომუნისტური პარტიის შემდგომი განმტკიცებისათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა 1912 წელს პრაღის პარტიული კონფერენცია, რომელმაც, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ოპორტუნიზმს. საბოლოოდ განდევნა პარტიის რიგებიდან მენშევიკ-ლიკვიდატორები და მოახდინა ბოლშევიკების დამოუკიდებელ მარქსისტულ პარტიად გაფორმება.

* * *

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მსოფლიოში ერთადერთი პარტია, რომელიც სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის საქმის ბოლომდე ერთგული აღმოჩნდა და გამოიყვანა ხალხთა მილიონიანი მასები იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის ბრძოლაში, ლენინიზმის პარტია იყო.

კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ჩვენი დიდი ქვეყნის გმირი ხალხი მიიყვანა არა მარტო ცარიზმზე და მემამულეთა კლასზე გამარჯვებამდე რუსეთის მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, არამედ ბურჟუაზიაზე გამარჯვებამდეც — დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში.

კომუნისტურმა პარტიამ 40 წლის წინათ 1917 წლის ოქტომბერში რევოლუციის გენიის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მძლავრ რევოლუციურ ნაკადად გააერთიანა ხალხის საერთო დემოკრატიული ბრძოლა ზავისათვის, იმპერიალისტური ომის შეწყვეტისათვის, მრავალტანჯული გლეხობის ბრძოლა მემამულეთა ლიკვიდაციისათვის, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ხალხთა ეროვნული თავისუფლებისათვის, პროლეტარიატის ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის, ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისათვის და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, რაც ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ლენინური თეორიის კლასიკური განხორციელება იყო.

40 წლის წინათ კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით გამარჯვებულმა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა კაცობრიობის ახალ ეპოქას — პროლეტარული რევოლუციების ეპოქას იმპერიალიზმის ქვეყნებში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მოასწავებდა ძირეულ შობრუნებას კაცობრიობის ისტორიაში კაპიტალისტური სამყაროდან კომუნისტური სამყაროსაკენ. გამარჯვებულმა პროლეტარულმა რევოლუციამ შეარყია საერთაშორისო იმპერიალიზმის საფუძვლები, გაუადვილა მსოფლიო პროლეტარიატს კაპიტალის ბატონობის დამხობისათვის ბრძოლა და ჩვენი პარტია ეროვნული ძალიდან ინტერნაციონალურ ძალად, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის „დამკვრელ ბრიგადად“ გადააქცია.

ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო კაპიტალიზმისა და მემამულეთა კლასის ბატონობა მეფის რუსეთში, ფაბრიკა-ქარხნები, ბანკები, მიწა, ბუნების წიალი ხალხის საკუთრებად, საზოგადოებრივ საკუთრებად გამოცხადდა. მან კაცობრიობის ისტორიაში პირველმა მისცა მშრომელ ხალხს ნამდვილი თავისუფლება, ფართო გასაქანი, უნარის, ნიჭისა და ტალანტის განვითარებისა და გაფურჩქვნის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების შემოღებამ ძირფესვიანად შესცვალა ხალხის დამოკიდებულება შრომისადმი; იძულებითი, კატორღული შრომის ადგილი თავისუფალმა, შემოქმედებითმა შრომამ დაიკავა.

ჩვენი დიდი ქვეყნის მრავალეროვანმა, მრავალმილიონიანმა მშრომელმა ხალხმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, კაცობრიობის ისტორიაში პირველმა მიიღო ნამდვილი

თავისუფლება და პირველად დაიწყო შემოქმედებითი მუშაობა თავისი თავისათვის, თავისი საზოგადოებისათვის.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციაზე და სამოქალაქო ომში ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ პარტიამ, გენიალური ლენინის ხელმძღვანელობით, შექმნა დიდი საბჭოთა ოჯახი — სსრ კავშირი და სწორად წარმართა მშრომელი ხალხის შემოქმედებითი ძალები სახალხო მეურნეობის აღსადგენად. გმირმა საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გაუგონარი სიძნელეებისა და კლასობრივი მტრების წინააღმდეგობის მიუხედავად, მოკლე დროში მიაღწია სახალხო მეურნეობის აღდგენას და ისტორიაში უნახავი ტემპებით დაიწყო ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქცია.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური მოძღვრების განხორციელებისათვის ბრძოლაში მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ, ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, იდეურად გაანადგურა ლენინიზმის მტრები — ტროცკისტები, ზინოვიელები, მემარჯვენე-ბუხარინელი პანიკიორები, დაიცვა და შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმი და უზრუნველყო მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის სწორად წარმართვა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ლენინური გზით.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გამარჯვების საფუძველზე შეიქმნა პირველხარისხოვანი მძიმე ინდუსტრია და მექანიზებული მსხვილი მიწათმოქმედება, მოისპო უმუშევრობა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ჩვენს ქვეყანაში ერებს შორის ფაქტიური უთანასწორობა, გაიმარჯვა სოციალიზმმა, განმტკიცდა სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური, პოლიტიკური და მორალური ერთიანობა, გაიზარდა და განმტკიცდა ხალხთა მეგობრობა და საბჭოთა პატრიოტიზმი, რომლებიც საბჭოთა საზოგადოების მძლავრ მამოძრავებელ ძალად გადაიქცნენ.

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ არ იცის საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი ძირეული გარდაქმნები. სახალხო მეურნეობის განვითარების, გაფურჩქვნისა და აყვა-

ვების ისეთი გიგანტური მაჩვენებლები, როგორც ამას ადგილი აქვს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში—სსრ კავშირში: გმირმა საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ისტორიის მოკლე მონაკვეთში, 40 წლის მანძილზე, მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა, ააშენა სოციალიზმი და შექმნა ყველა პირობა სრული კომუნისტური საზოგადოების აგებისათვის.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი, მის და მის მოწაფეთა მიერ გამობრძმედილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მხოლოდ იმიტომ გახდა უძლეველი ძალა, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, რომ ის მთელი თავისი არსებობის მანძილზე წმიდათა-წმიდად იცავს მარქსისტულ-ლენინურ ყოვლისმძლე მოძღვრებას, არასდროს არ გადაუხვევია ლენინური გზიდან და ამ გზით მიჰყავს დიდი საბჭოთა ხალხი კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

გენიალური ლენინის მიერ შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ და სოციალისტურმა სახელმწიფომ თავისი ძლევამოსილობა და ხალხისადმი ხელმძღვანელობის სიბრძნე საყოველთაოდ ნათელყვეს დიდი სამამულო ომის პერიოდში, როდესაც კომუნისტური პარტიის ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ, ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, ჩაშალა ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების ყველა ეარაუდი, ფოლადის კედლად შეკრა ფრონტი და ზურგი, ფეხზე დააყენა არმია და ხალხი, ქვეყანა გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე, ყველაფერი დაუმორჩილა მტრის განადგურებისათვის ბრძოლის ინტერესებს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მტერზე.

სსრ კავშირის იდეურ-პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიური დახმარებით ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში მშრომელმა ხალხმა, კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით, დაამხეს ექსპლოატატორთა ბატონობა და შექმნეს პროლეტარიატის დიქტატურის ახალი სახელმწიფოებრივი ფორმა — სახალხო-დემოკრატიული წყობილება.

პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები და ნორმები უბადლო სახელმძღვანელო აღმოჩნდა საბჭოთა კავ-

შირის კომუნისტური პარტიისა და მოძმე პარტიებისათვის არა მარტო პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების აღებისათვის ბრძოლაში, არამედ ჩვენს დიად ქვეყანაში კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებლობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

გენიალური ლენინის მიერ შექმნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების ტრიუმფს წარმოადგენს ლენინიზმის პარტიის XX ყრილობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვების ზეიმს, კომუნიზმის მშენებელი და მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის მებრძოლი საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებების ბრწყინვალე დემონსტრაციას.

პარტიის XX ყრილობამ მთელ რიგ საკითხებში განავითარა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს ორი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების — მშვიდობიანი თანაარსებობისა და სოციალიზმში გადასვლის სხვადასხვა ფორმების შესახებ და სხვ. — მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

იმის შემდეგ, რაც სოციალიზმი ერთი ქვეყნის საზღვრებს გასცდა და მსოფლიო სისტემად გადაიქცა, ძალთა შეფარდება რადიკალურად შეიცვალა კაპიტალიზმის საზიანოდ და სოციალიზმის სასარგებლოდ.

კაპიტალისტური სამყაროს ჯაჭვიდან მთელი რიგი რგოლების ამოვარდნამ, სახალხო დემოკრატიული წყობილების გამარჯვებამ ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში, კაპიტალიზმის სისტემის შემდგომმა დასუსტებამ და სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაქცევამ განაპირობა პარტიის XX ყრილობაზე საკითხის წამოყენება სოციალიზმში გადასვლის სხვადასხვა ფორმების შესახებ და ამ საკითხზე სპეციალური გადაწყვეტილების მიღება.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომმა გაღრმავებამ, კოლონიური სისტემის რღვევამ, ეროვნულ-განმათავისუფლე-

ბელი მოძრაობის ზრდამ, სოციალისტური ბანაკის შექმნამ და განმტკიცებამ გამოიწვია ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალიზმის პოლიტიკური დასუსტება და მშრომელთა დემოკრატიული მოთხოვნების გაფართოება, პროლეტარიატისა და მისი პარტიის პოლიტიკური განმტკიცება და მისი ავტორიტეტის ზრდა ხალხთა ფართო მასებში.

აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ კაპიტალისტურ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი და მისი პარტია პოლიტიკურად ძლიერია და სარგებლობს მშრომელთა ფართო მასების თანაგრძნობითა და მხარდაჭერით, ხოლო ბურჟუაზია იმდენად სუსტია პოლიტიკურად, რომ აღარ შეუძლია წინ აღუდგეს ხალხთა დემოკრატიულ მოთხოვნებს, — პარლამენტურ ბრძოლაში პროლეტარიატს და მის პარტიას შესაძლებლობა ეძლევა გამარჯვებას მიაღწიოს არჩევნებში, ხელში აიღოს პოლიტიკური ძალაუფლება, დაამყაროს პროლეტარიატის დიქტატურა, გაატაროს სოციალისტური გარდაქმნები და უზრუნველყოს სოციალისტური მშენებლობა.

მშვიდობის, დემოკრატიზმისა და სოციალიზმის მტრები, იმპერიალიზმის აპოლოგეტები, მარქსიზმ-ლენინიზმის პროფესიონალი რევიზიონისტები შეეცადნენ დაემახინჯებინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილება სოციალიზმში გადასვლის სხვადასხვა ფორმების შესახებ და ზოგიერთ ქვეყანაში პროლეტარიატისა და მისი პარტიის პარლამენტური ბრძოლით გამარჯვების შესაძლებლობის საკითხი გაეიგივებინათ რეფორმიზმთან, რათა უარეყოთ პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი და მშრომელი ხალხი აეცდინათ რევოლუციური ბრძოლის გზიდან. მაგრამ ისინი სასტიკად მოტყუვდნენ, რადგან, ჯერ ერთი, პარლამენტური ბრძოლით ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში პროლეტარიატის გამარჯვების შესაძლებლობას და სოციალისტური გარდაქმნების გატარებას საერთო არაფერი აქვს რეფორმიზმთან. რეფორმიზმი არ არყევს კაპიტალიზმის ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძვლებს, მაშინ როდესაც საპარლამენტო ბრძოლით პროლეტარიატი და მისი პარტია, უზრუნველყოფს რა მტკიცე უმრავლესობას თავის

გარშემო. ხელში აიღებს პოლიტიკურ ძალაუფლებას და გამოიყენებს მას კაპიტალისტური ბაზისის სოციალისტური ბაზისით შესაცვლელად; მეორე, სოციალიზმში პარლამენტური გზით გადასვლა ერთადერთი ფორმა კი არ არის, როგორც ეს მემარჯვენე სოციალისტებს—რეფორმისტებს—სურთ გაიგონ, არამედ ერთ-ერთი ფორმაა, და თანაც მხოლოდ იმ კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, სადაც პარლამენტური ბრძოლით შესაძლებელია კომუნისტებისა და მუშათა პარტიების მიერ მტკიცე უმრავლესობის მოპოვება და სოციალისტური გარდაქმნების გატარება; მესამე, სოციალიზმში პარლამენტური გზით გადასვლა თუმცა გამორიცხავს შეიარაღებულ აჯანყებას და სამოქალაქო ომებს, მაგრამ იგი მაინც წარმოადგენს რევოლუციურ გადატრიალებას, რადგან კაპიტალიზმის ბატონობა იცვლება პროლეტარიატის ბატონობით, პროლეტარიატის დიქტატურით; კერძო საკუთრებაზე დამყარებული კაპიტალისტური წყობილება იცვლება საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული სოციალისტური წყობილებით; მეოთხე, იმ ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზია ჯერ კიდევ ძლიერია პოლიტიკურად, სადაც პოლიციური დესპოტიზმი და სამხედრო მილიტარიზმია გამეფებული და კაპიტალიზმი ცეცხლითა და მახვილით თრგუნავს ყოველგვარ დემოკრატიულ მოთხოვნას. იქ გარდუვალი იქნება კლასობრივი ბრძოლის უმაღლესი ფორმა, შეიარაღებული აჯანყება, იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალდატანებით დათრგუნვა, კონტრრევოლუციის წინააღმდეგობის გატეხვა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის.

პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ახალი სამოქმედო პროგრამა მისცა საერთაშორისო პროლეტარიატსა და მის პარტიებს, მთელი მსოფლიოს პროგრესულ კაცობრიობას მშვიდობის, დემოკრატიზმისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ლენინიზმის პარტიის XX ყრილობამ მიიღო მეექვსე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც წარმოადგენს გრანდიოზულ პროგრამას კომუნიზმის მშენებლობის, მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურად დაწევისა და გასწრებისათვის ბრძო-

ლის გზაზე, საბჭოთა ხალხის კულტურულ-მატერიალური პირობების გაუმჯობესების, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების და კულტურის შემდგომი აყვავებისა და გაფურჩქვნის გზაზე.

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბჭოთა ხალხის შემოქმედებითმა მუშაობამ საყოველთაოდ ცხადყო მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის დარაზმულობა. მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი მათი ერთგულება, სოციალიზმის ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების კოლოსალური შესაძლებლობა, სოციალისტური სისტემის ყოველმხრივი უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

გენიალური ლენინის მიერ 54 წლის წინათ შექმნილი ახალი ტიპის პარტიისა და 40 წლის წინათ შექმნილი სოციალისტური სახელმწიფოს უდიდესი საკაცობრიო ისტორიული მნიშვნელობა არა მარტო იმაშია, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით და სოციალისტური წარმოების წესის მეოხებით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ქვეყნად გადაიქცა, არამედ იმაშიც, რომ ახლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მის ხელმძღვანელობაში მყოფი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო წარმოადგენს მაგალითისა და მიმართულების მიმცემს მოძმე პარტიებისათვის, მსოფლიო პროლეტარიატისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის, მშვიდობის, დემოკრატიზმის და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ახლა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავზე, სსრ კავშირი ერთადერთ ქვეყანას აღარ წარმოადგენს კაპიტალისტური სამყაროს ოკეანეში. სოციალიზმი მსოფლიო სისტემად გადაიქცა. მსოფლიო მოსახლეობის მესამედზე მეტმა სამუდამოდ დააღწია თავი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის უღელს და მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით წარმატებით იბრძვის კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმომცველი მოძღვრებით შეიარაღებული მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს ხვდება

მუშების, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის მშობლიური კომუნისტური პარტიის ირგვლივ კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვის ვითარებაში, საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების შემდგომი განმტკიცების პირობებში, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის ეკონომიური და პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცების ვითარებაში.

XX საუკუნის დასაწყისში გენიალური ლენინის მიერ შექმნილმა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის გმირულ ბრძოლაში განმტკიცებულმა კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ თავის ისტორიულ გადაწყვეტილებაში ჩასწერა: „ყრილობა რწმენას გამოთქვამს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებით აღჭურვილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს თავის დროშის ქვეშ მთელ საბჭოთა ხალხს და მიიყვანს მას კომუნიზმის ახალ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე“ [1].

---

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუციები, 1956, გვ. 32.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

შესავალი 5

თავი პირველი. ვ. ი. ლენინის ბრძოლა „ლეგალური მარქსიზმისა“ და „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ 23

თავი მეორე. ლენინური გაზეთ „ისკრას“ გამოსვლა. მარქსისტული პარტიის აგების ლენინური გეგმა 80

თავი მესამე. ვ. ი. ლენინი სოციალისტური იდეოლოგიის გამომუშავებისა და რევოლუციური თეორიის მნიშვნელობის შესახებ მუშათა მოძრაობაში 125

თავი მეოთხე. ვ. ი. ლენინის ბრძოლა ახალი ტიპის პარტიის პროგრამისათვის 164

თავი მეხუთე. ახალი ტიპის პარტიის შექმნა ვ. ი. ლენინის მიერ რსდმპ II ყრილობაზე 206

რედაქტორი ა. კილენჯერიძე
გამომც. რედაქტორი გ. გულბანი
მხატვარი რ. ზედელაშვილი
ტექრედაქტორი გ. იაშვილი
კორექტორი თ. ხახურია

გადაეცა წარმოებას 1/VIII-57 წ. ხელ-
მოწერილია დასაბეჭდად 20/X-57 წ.
ქაღალდის ზომა 84×108 1/32. ფიზ. თაბახი-8.
პირობითი თაბახი 13,12. სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 11,66. ტირაჟი 3000.
უე 03330 შეკვ. № 835. ფასი 3 მან. 70 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

Владимир Георгиевич Сипрашвили

Создание В. И. Лениным партии нового типа

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси
1957